8. „საზიარო აღმსარებელთა, ოდესცა ხსენებასა აღვასრულებდეთ, უკეთუ გენებოს დღესასწაული, უფალო ღაღადყჳსა ზედა მუხლი 0, ჴმა 0.— რამე გიწოდო, ბრძენო მამაო, სახელი, მოძღურებათა სამღრთოთა წინამძღუარო, ყოველად შენიერ თავ მართლმადიდებელთა სწაელისა, ყოველად უტყუელ ჭეშმარიტად...“ 120—138 გვ.

9. „საზიარო წმიდათა წინასწარმეტყუელთა, ოდესცა ხსენებასა მათსა აღვასრულებდეთ, უკეთუ გენებოს დღესასწაული, მწუხრად დასდებელი 0

შუხლად, ხმა ა. — სული ყოველად წ[მ]ა, რომელი მამისაგან გამოვალს, იტყოდი ყოფადისა მისთ[ს], აღსასრულსა გამოთასა ქრისტეს ჯორცთ შესხმისა..." 138 – 153 გვ.

10. „საზიარო ღირსთა დედათა, ოდესცა ხსენებასა მათსა აღვასრულებდეთ, უკეთუ გენებოსთ დღესასწაული, 0 მუხლად დასდებელი წარუკითხე, ქმა დ.—გუანითა მით უძლურითა, დედათა თანა სანატრელო, ხოლო სახითა მამაკაცობრიეთა სრბა კეთილი აღასრულე..." 154—172 გვ.

მინაწერი: „ჭიპნაძის ბიბლიოტეკისა", 1 გვ.

(60) 60

კრებული. XVIII

294 ფ. (568 გვ); 20,8×14; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტყიფურული ხის ყდა; დახიანებული; თავ-პოლონკელული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVIII ს].

1. [პოკრიფები ახალი აღთქმიდან]. — „... თისა მის სულისა წმიდისა მონიჭებულნი და შეწზადებულნი ესრეთ აღესრულა ტაძრად მიყვანებაჲ ქალწულისაჲ..." 1—115 გვ.

2. „საკითხავი განცხადებისათჳს. — ხოლო ჩ[ე]ნ განცხადებისა მის და ნათლისღებისა უფლისაჲ სიტყუაჲ ვისმინოთ..." 115—163 გვ.

3. „ჳ[ე]რცმის საკითხავი. — ხოლო ოდეს-იგი ღაღად ყო ჴმითა დიდითა იესჳ და განუტევა სული..." 163—206 გვ.

4. „საკითხავი მიცვალებისა. — ხოლო აწ მიცვალებისა მისისათჳს და ამიერ სოფლით სასუფეველად საუკუნოდ მიწევნისათჳს ვიტყოდით მადლითავე მისითაჲ..." 206—237 გვ.

5. „საკითხავი სარტყლის დადებისაჲ. — ჟამთა მათ ლეონ დიდისა, მეფისა მის მორწმუნისა ბერძენთასა, რომელი-იგი შემდგომად მარკიანესა მეფობდა, იყუნეს ორნი ერისთაუნი..." 237—276 გვ.

6. „ცხორებაჲ და ქადაგებანი წმიდისაჲ და ყოვლად ქებულისა იოანე ღ[ა]ვთმეტყუელისაჲ, აღწერილი პროხოლეს(!) მიერ, მოწაფისა მისისა ერთისა შჳდთავანისა, ძმისწულისაჲ წ[ი]ნა სტეფანე პირველმოწამისა. — ესე ჯაჭი ღერთშემოსილი, უხვმოიცსი ანგელოზთა, შეყუარებული მეფისაჲ, განმანათლებელი დაბნელებულთა..." 277—450 გვ.

7. „წმიდისა მამისა ჩ[ე]ნისა ანდრია მთავარებისკოპოზისა კესარია-კაბადუკიელისა თარგმანებაჲ გამოცხადებისა წ[ი]ნა იოანე მახარებელისა, რომელი სთხოვაჲ ს[ა]ხმან ებისკოპოსმან და მან მიუწერა ესე მას: უფალსა ჩემსა და ძმასა და ჩემ თანამღდეელსაჲ უფლისაჲ მიერ ვახარებ.— მრავალთა მიერ მრავალგზის ეიძულე, რომელთაჲ იგი აქუნდა ჩემდა მოწაფეთ იჳ: უხვმოიცსი ძალისა ჩემისა..." 450—588 გვ.

წყდება: „... რათა ამას საქმესა ეეკრძალნეთ და უპატიოსნეს შეერაცხ".

შენიშვნა: ტექსტის თავებად და რიცხვებად დაყოფა, ამოკრეფილ წინადადებათა კიდეებზე გამოტანა, განმარტებანი და ხელი, რაც ვახტანგ VI ახასიათებს, გვიდიკრებინებს, რომ მას უმუშავნია ამ ხელნაწერზე: იხ. გვ. 67, 71, 86, 94, 282.

283, 288, 291, 292, 298, 300, 302, 304, 305, 308, 314, [315, 316, 324, 327, 328, 329. 336, 364, 369, 378, 399, 452—588.

ანდერძი (არა ტექსტის ბეჭდით, მხედრულად).

1. „ყოველ[და] წმინდაო მ^აღთისმშობელო და წმინდაო იოვანე მახარებელო, თქუენ, მოიხ ქმნინით ჱფორედ მოსლვასა მეცხეთ[ი]ს კანდელაკს ჯრიგოლს. სამს დღეს გავითავე და შეუჭედ კეთილი ესე მოსაძოვარი, ანბან ქორაღნენ" 43 გე.

2. „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი გრიგოლ, ქ^რს უობ" 276 გე.

3. „ქრისტე, შეიწყალე ეუთვიმე წინამძღვარი, ამინ" 276, 450 გე.

4. „ქ. ღმერთო, შეიწყალე მცხეთის კანდელაკის შვილი ისიდორე" 340 გე. (ხელთვის).

5. „შეეკერებულო ქრისტესო მოციქულო იოანე, მოიხ ეყავ გრიგოლს, ქ^რს უობ" 354 გე.

6. „ქ. ცოდვილი ბერი ნაკლოხ მიწობლიძე გედოვიარ ყოველთა, შენდობ[ა]ს მიბძ[ა]ნებდეთ, უფალნო ჩენნო" 588 გე.

მინაწერები: 1—„ჯიჯაძის ბიბლიოტეკის" 2 გე.

2. „წმინდაო ღუნე (?) უცოველებელო (?), შეიწყალე ცოდვილს რამაზს, ამინ" 115 გე.

3. „იოვანე, საყუარელო მოწაფეო ქრისტესო, შემიწყალე ცოდვილი იესე" 264 გე.

4. „ქრისტე იესო, ღ^მთისა სიბრძნეო, მშვიდობით დაიფარე ცხორება მიტროპოლიტის იოვაკიმესი" 276 გე.

5. „იოანე მოსავი ჯუარისა, მამა დავით გარეჯისა" 277 გე. (ლეგენდა ბეჭდისა).

6. „ეს წიგნი წმინდის დავითისა არის, ცოდვილი იოანე შეიწყალე, იოანე ღ^მთისმტყველ" 277 გე.

7. „წმინდაო იოვანე მახარებელო, შეიწყალე იესე." 280 გე.

8 „ღ^მთისმტყუელება წმიდათა მამათა და წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა, ერთარსებისათჳს და სამთჳითებისა. — კურთხეულ არს ღმერთი, მამა უშობელი და დაუსაბამო და დაუსრულელი, მიუწუომელი და გამოუთქმელი. ღმერთი— ძე მამისაგან დაუსაბამოდ პიროველ ყოველთა საუკუნეთა შობილი, და ღმერთი სული წ^ა, რომელი მამისაგან გამოველს და ძისა ზედა განსუენებს, და ძისა მიერ მოუვლენს ჩუენ, არა სამნი ღმერთნი, არამედ ერთი ღმერთი, ერთი ნება, ერთი ძალი, ერთი ქველმოქმედება, რომელი განიყოფის განუშორებელად და შეურეველად შეურწყმელად. ხოლო სამთჳითება სახელთა ესრეთ იცნობების და ღ^მთისმეტყუელნი ესრეთ იტყუიან სახელთა სამთჳითებისათა და ესრეთ გამოარჩევნ სამთჳითებასა, რამეთუ მამისასა არა იტყუიან შობასა, არამედ უშობელობასა, და ძისა არა იტყუიან უშობელობასა, არამედ შობასა, და არცა იტყუიან ძესა ძედ სულისა წმიდისად, არამედ ძედ მამისად იტყუიან. და სულსა წმიდასა არა იტყუიან ძისაგან გამოსრულად, არამედ მამისაგან გამოსრულად და ძისა ზედა განსუენებულად—სულად ქრისტესად. სულად ძისა ღ^მთისა, ვითარცა შუებრა წმიდათა მოციქულთა. და კუალად წმიდა მოციქული პავლე იტყუის გამოვლინა ღმერთმან სული ძისა თჳისაჲსა და სამთჳითებასა გამოარჩინებენ, ხოლო ერთარსებასა, რამეთუ ერთ არს ბუნება მათი, და სადაცა არს მამა, მუნ არს ძეცა და სულიცა. და სადაცა არს ძე, მუნ არს მამაცა და სული წმიდაცა, და სადაცა არს სული წმიდა, მუნ არს მამაცა და ძეცა. და არა არს მათ შორის პიროველობა და უკანასკნელობა, არამედ თანასწორ იყო მაშა, იყო ძეცა და სული წმიდაცა, და თჳეს იყო ძე, იყო მამა და სული წმიდაცა, და თჳეს იყო სული წმიდა, იყო მამა და ძეცა, რომელი განუყოფელ არიან. და ერთ არს ბუნება მათი, და სანცვამოვნი არს და სამთჳითება და ერთ^ობა, ერთნება, ერთსიტყუა, ერთფუძეება: და ამისთჳს თქუეს ღ^მთისმეტყუელთა სამთჳითებად და ერთღ^მებად. რამეთუ ერთ არს ბუნება და არსება მათი და სანცოებად: რამეთუ მამამან უშობელმან შვა ძე და სული წ^ა გამოავლინა, და თუ რა არს შობა და რა არს გამოსვლა, მან ცხოლმან უწყის. ხოლო ჩუენ ესრეთ გუასწავიეს წერილთაგან სა^ღოოთა და კაცთაგან ღ^მთისმეტყუელთა და ესრეთ აღვიარებთ, ვითარმედ: მამა უშობელი და ძე შობილი და სული წ^ა მამისაგან გამოსრული და

მამისა და ძისა თანა თაყუანისცემული და დიდებული—ესე არიან თუითეზანი ერთარსებად მის ღ~თაებისანი და ჭეშმარიტ იყო და არს და იყოს საუკუნოთა და უკუნითი უკუნისამდე. ამინ. ჭეშმარიტ გაღაჯეს მოციქულთა და ჭეშმარიტ ღ~თისმეტყველს, ღმერთსა-მოძღუართა და მამათა. და ამის უმეტეს ნუ ვინ ეძიებს და გამშიერკვეცა რამეთუ. რომელიცა იყო გამოსაძიებელი და მისაწყობელი, მათ გამოძიებს და რომელი მათ დაუტევეს გამოდ[ე]ნილად, არცა ჩუენგან ჯერ არს გამოძიება, და რომელი ძიებულს უმეტესსა ამისსა, მან პოოს დანთქმა და დაობება წუალებითა, ღმერთო, შეიწყალე ამისი დამწერი, ამინ". 388,397 გგ.

9. „ωწერა, ასცთი ასცთი—ითქუა თავსა. ამის დამწერელსა, ღ~თის მადლით ნურაენ დასწყელით" 587 გგ.

(61) 61

ჩარდავრიშიანი, 1780

103 ფ. (206 გგ.); 19,2×13,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მბეჭდური (სათაურები სინგურით); 1780 წ. (206 გგ.); გადაწერი — დავით ალექსის ძე [მესხიშვილი]—206 გგ.

„ქარი პირველი ბახტიარ ჭელმწიფის ამბავი, ტკბილად და ამოდ გასაგონი მსმენელთათვის, რომელსაცა ეწოდების წიგნსა ამას სახელად ჩარდავრიშიანი.—იყო ჭელმწიფე კოსტანტინეპოლეს შინა მორჩმული, გამდიდრებული და ყოველსა ქვეყანასა ზედა სახელგანთქმული..." 1—206 გგ.

ანდერძი: „წარმეითხეველნი ამას ზედანე ნუ გამკიცხავთ, რომელ ესე მისი წესი არ იყო და რად მწერდაო. თუცა მართალ არს, რომ ამისთანას ამოსა და ბედითს საქმესზედ ჭელი არ უნდა დაშოთს კაცმან და არცა მეცნიერთა წესია ამისი წერა-რა ყო, რომელთათჳს ჩემთა კეთილთა მეგობართა ძმათა მაწერეს ამ წიგნის დაწერა დიდად მეეჯერნენ, მე ჭელარ ჯერ ვეჭმენ და გარდავნებე. ოდესმე კაცს შეჰკეცეს ამათ ჯუფთ მომეხმარებელ ვარ ყოველთადმი უმდაბლესად ალექსის ძე დავით თთქუსა ოცდაშვიდსა რიცხუსა 8, წელსა 1780 გამართულა. დავით" 235 გგ. (ბეღრთვა).

მინაწერი: „წიგნებისაგან კოლეგიის ასსესორის იოანე ალექსიევისა" პირველი საქაღალდე ფ-ის ნ.

(62) 62

კრებული. 1823

104 ფ.; 21×16,5; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული ტილოჭერილი მუყაოს ყდა—დახიანებული; მბეჭდური (სათაურები სინგურით); 1823 წ. (65v, 76r); გადაწერი—კონი ბებუროვი (65v, 76r). დაწერილია: 66r—v, 95v—97v, 99v—101r.

1. [მ ი რ ი ა ნ ი].—„ამბავი დასაწყისი მაშრიყის ჭელმწიფისა.—იყო ჭელმწიფე ხოსროვ-შაჰ, ჩინეთს დგებოდა, იმისთანა ძლიერი და მაღალი ჭელმწიფე უშვილობას ასე შეეწუხებინა, რომ ყოველი თავისი სახელმწიფო და დიდება ჩალად მიაჩნდა..." 1r—65v.

2. [ა ლ ე ქ ს ი ა ნ ი].—„კოსტანტინეპოლსა იყო კაცი ერთი, დიად მდიდარი, აშენებული, სახელათ ერქუა ეფრემ, ცოლს ერქუა ანნა, შვილი არა ჰყუანდა, ღმერთს ეხვეწებოდნენ შვილის პოძებისათვის..." 67r—76r.

3. [თ ე მ უ რ აზ II. ხ ლ თ ა ბ ა ა ს ი].— „1. ქ. მარწყმა თქუა: მოვალ პირველათ, მე ვერ მომისწრობს ხილია..." 77r—79r.

4. [ჯაამ ვეზირის ამბავი]. — „კარი პირუწლი. ამბავი ბრძნისა ჯამ ვაზირისა. — იყო ვინმე მეფე დიდი, ძლიერი სახელით, და ჰყვანდა კაცი ფრიად მეცნიერი და იყო სახელი მისი ჯაამ...“ 79v—81v.

5. „ანბანთ ქება თქმული ბრძნისა და მეცნიერისა გურგენოსნისა მეფეთ-მეფისა და თჳთ ქელმწიფისა პატრონის თემურაზ, პირველისა მიერ.—აღახენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო...“ 82r—86v.

6. „მამაო ჩვენო გალეწსილი, ოთხტაპოვანი.— რომელი მყოფ ხარ მაღალთა, სახელწმინდაო მამაო ჩვენო...“ 86v.

7. „სხუა ანბანთ ქება სრული და უნაკლულოთემურაზ კახთ ბატონისაგან ნაბრძანები, რომელი არს პირუწლი თემურაზ, ენა რიტორი, სასმენად საამო და შეენიერი:

აღმართა მჳსნელმან ჯუარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადამის ძალ-[თა]...“ 87r—91v.

8. [არაკები].—ა. „სამნი ამბანაკნი შეიყარნენ გზასა მიმავალი, ერთი ქილა თეთრი პოვეს და შუღილი მოუხდათ...“ 103r.

ბ. „ერთი მდიდარი ხელმწიფე სანადიროთ გავიდა. ნადირობას თავის მეჯინიბეს უთხრა, ცხენი გაე[ა]ქეთოთო...“ 103v.

გ. „ერთს მეცნიარს უთქვამს, სამთა საქმეთა არ უნდა კაცი შეეხას...“ 103v.

9. [რეცეპტი წამლის მომზადებისა]. „მაჯუმი, რომ კაცი გასუქოს და წელი გაუმაგროს...“ 104r.

10. [ბგავი]. — „ქრისტე რომ ქვეყნათ მოვიდა, ერთი ცოდეილი დედაკაცი მოიყვანეს, რომ ჩაქეავონ...“ 104v.

შენაშენი: 1. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ, იხ. „Описание,“ ტ. II: გვ. 301.

2. ხელნაწერი გრიგოლ ჰაგეპაძის (ილიას მამის) ოჯახის საკუთრება ყოფილა (იხ. ხელნაწერის მინაწერები).

ანდერძი: 1. „დაიწერა ესე მირიანი ქონი ბებურთვისაგან წელს ჩყკგ ქათთვის ე“. 65v.

2. „ესე აღვჩსანესი გადავწერე მე, ქონი ბებურთვი, წელს ჩყკგ, მარიამობისთვის ე. ბაშ, ეს ეიტყოდეთ და ნუღარავინ მ[ი]ვენდობით ამ წუთისოფელსა“ 76r.

მინაწერი: 1. „ღმერთმან მიეცადრბაში მოახმაროს პატრონს თ-ა გიორგი ანდრონიკოვს“ 65v.

2. „წელსა ჩყმზ-ს მარტის იე დღესა.

ესაფარლო ძალეა, კნინა მაგდან ჰაეკავაძისა, წაიკითხე ესე თქვენი წიგნი, რომელიც არიან ბოლოსა და ბოლოს ღმერთსდე სამო და შესაკეცენი ამბავნი და ეს თან, რომ ამისი წაკეთისანი არც ცოლი და არც კმრი არ იქმნებით ურჯმნებელნი. მაშასადამე, ჭირანს, რაცხელ ფეცა ჯრნძობაში შემიყვანა ამ წიგნმა, უმეტეს ამას, რომ სოფლიურს კაცსა თუ ქალსა უნდა ჰქონდეს ტიკრი, რომ საწუთრო, ესე სოფელი განიყვანს კაცთა ლიხთაგან, ჭირსა შეერთოვეს გულწყრეულად (?) და ლხინს ანანებს პირთაგან, მოაყოლებს დღეთა ვრცელობას და საყვარელთა ტრფობასა, და წყეულია ღვთისაგან, ვინცა არ მიენდოს ძმობასა.

გთხოვთ, მოსმიგონოთ, ძმათ და ძაღუვ, თდესცა აღსთქვიათხოთ მცირენი ესე აღწერილნი ხელითა ჩემითა. ჯერეთ განვერო სოფელსა ამას ოხრსა და მეტადრე ჩემთჳს შეფსენებელს, მოსმიგონებდეთ შენდობით. და თქვენი სალმე მგლ-ჭისგდეკოვნა ანდრონიკოვისა“ 92v—93r.

3. „წელსა ჩყნ, იელისის იდ, პარასკევს დილით ეჭვს სათზედ შემოვიდა ყვარელ-ში ჯარი და იდგა ბაზარში, იდგა ნაზევარ სათი. ქართველი მოკედა სული თოთობეტი და ლეკი ცამეტი. ადგილობრივი დარჩა ცამეტი მკედარი, რომელთაგან ერთი აღმოჩნდა ადალაიანი“ 93v.

4. „წელსა ჩყა. თებერვლის 11 დღესა ასულმა ჩემმა ნინოწმიდამ იქორწინა თავად ნიკოლოზ აბაზაზედ. თავადი გრიგოლ ჭავჭავაძე" 93v, 94r.

5. [ილია ჭავჭავაძის ყრმობის ლექსი. აღტაცებაში].

„ჩემს საყვარელს და სასურველს ნინას
წიგნსა მიუწერო, თუ ყურს მისცემ სმენას.
შენის ლაღვილისთვის ცასტანდას ღე ენას,
შენთვის ღმერთსა ვთხოვე შვებას და ლხენას.

ღმერთმან ისმინოს ჩემი ხარაზვანი,
რომე გიჭერეთს შენი ტანჯვანი,
მაშინ მაღირსოს შენი ნახვანი.

აი, რა არის ჩემი ნატვრანი!

ოყავ მწვიდობით, სავსე ბედით, ყოველს სიკეთით,
ტკბებოდე ლხინით, სიამოვნით, ყოლისა შვებით,
მაშინ აღტაცებული ვისიამოვნებ შენთანა ხლებით,
და ღმერთსაც მადლობას შეეწირამ დიდისა კმებით.

ამ წუთით გიძღვნით ჩალაუბნის ქებას,
თუ წარკოთზვის-ვის დართობით თქვენ ნებას,
მრავალსა პოებთ მუნ შეცოდებას,
და რად-ღა ვიფიქრებ მის მოწონებას.

შენსა შეილსა, ჩემს დაწუწკსა გიგოსა,
მაგ ვარდის კონას, დრამის წონას გერატოსა,
ათასთრათ ჩაუტყლოშნი მის თვალებსა ცქერატოსა,
და მისთვის შეწევნას ვსთხოე მაცა, ვისთვის თეორი იმოსა.

ბევრსა მოგწერდი, ბარამ ენა არა მაქვს ტკბილია.
ჩემი ლექსი და სიტყვები გულისთვის მეტად ლბილია.
მისთვის ვასრულებ ამ წიგნსა, ხელიც მაქვს დაღლილია.
დავშვები შენივე ძმაჲ, შე. ჭავჭავაძე ილია.

გათავდა ეს ლექსი" 94v—95r.

ამ ლექსის მეორე ვარიანტი დაცულია ხელნაწერ S—5028. იხ. იქვე, ჰაგიოგრაფები აღტაცებაში, აღწერილობა, შედგენილი შ. გოხელაშვილის მიერ, 1951, გვ. 26).

6. „წელსა ჩყლ ზ-სა ღვინობისთჳ 8-სა დღესა, ოთხს საათზედ შემობრძანდა დიდებული და ყოვლად მოწყალე ხელმწიფე და მოიარა მოწყალება თჳს საკართველოს.— შესხმა ჭსართხისისაგან. როდესაც ხელმწიფეს მოახსენა: ყოველად მოწყალეო ხელმწიფეო! ძველია იერუსალიმ ღირს ჰქნა, როგორ გიხაროდ შენ პირველი გვირგვინოსანთაგანი რუსეთისა, ვითარ საბარძედვან არა ესე და რაოდენ შემკობილ ჩუმნაც მოსულა შენი, შემკართობენ ამისთჳს, როჟელ განცხადებულა მღვდელთა ზურგთა მთათასა უმაღლეთაა სიფიცხესა და უუკუნეთა კქვეანისათა... საბარძედვან არს ამისთჳს, რომელ რასა ნიშნავს მოსული შენი?—მამობრივსა შენს ჩვენდა სიკვარულსა—სიყვარული, რომლისა არცა სიმალლეს, არცა სიღრმესა, არცა სიძნელესა, არცა საშიშროებასა გჳსასა არა ძალუძსთ შეყენება მისჯან, რათა იხილოს ტომნი და ენანი ტურაესთა საზღაჳთაცა შინა, ტკბილად განსვენებულნი მფარველობისა კეშრე სიკეთრაჲსა შენისა, და მრავალთა ენათა მეჭონეთ, განსა ერთითა გულითა მადიდებელნი (?) მეფეებისა შენისა, კელმწიფეო!

გული შენი განპკრეა, მას შინა ყოველი და თჳითელი ჩვენგანი არა იწროდ დაიტევიან, ნუ უმე ჩუმს. არა განერეულდეთ ნაცვლადცა მოგებას (2 კორნ.) ოჲ, უეთუმცა ძუბირივემან სოყვარულმან ჩუმმან განატკბოს ყოველნი ტკივილნი და ზოომანი შენი ჩუნთჳს. უეთუმცა დატკბეულებან მეცადინოობამან საზოგადოჲსა კეთილისაჲნი და სრულან შეყენებანან ჩუენი ტაბუისადმი შემსუბუქოს მძიმე ტკივილი სამეფოსა ეთჳალეთა ხარგჳანი შენთა კეთილდღეობისათჳს ჩუენისა.

ხოლო უფალმან ძალთა აღსრულებითა აღასრულოს ჭაბედნი გულისა შენისანი და დაკჳრ[ი]ჰოს დაიცუნოს განგებითი ჩუენთჳს შემოსვლა და განსვლა შენი ამიერითგან და უკუნისამდე." 98r—99r.

(63) 63

ქრებული. XVIII

110 ფ.: 15,3×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის დახანებული ყდა; თავ-ბოლო-ნაკლული; მხედრული, კალიგრაფიული ხელით; XVIII ს. დაწერილია: 46v, 94v, 97v.

1. [ლოგიკიდან]. „... ანისთვის თქვა: სხვისა არა არს ვისიმეო, ესე იგი სხვის მაარსებელი არა არსო...“ 1r—4Cv.

2. „უცილებელი ღვთისმეტყველებაა იოანე დამასკელისა.— ღ მერთი არავინ იხილა, ოდესაც მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა...“ 41r—46r.

3. „მოკლედ წყობილნი მუხლები, მრავალთა წიგნთაგან აღმობეტკნეული გულსმოდგინებითა დავით ახალნორჩის და სიბრძნის ჭურად მზადებული, ჯამშერ ერისთვის ძისათა, ღვაწლდებულობით შრომილი, მისის უერთგულესულების მეგობრის ზაქარია ფილასოფოსისათა.—მოყუარე დუმილისა მეეხლების ღმერთსა და რაზომცა მიეახლოს მას, განათლებულ იქმნების მის მიერ...“ 47r—110v.

წყება: „... მიზეზი ჴეწარწერისა. იცოდეს რას მიზეზისათვის არს აღწერი...“

ჭ ინაწერები: 1. „Книга эта куплена на Тифл[исской] ярмарке 2 Мая 1879. Н. Гамрекели“ 1r.

2. „ხნეობრივი სენტენციები თქმულნი ბრძენთაგან“ 1r.

(64) 64

ხვინაქსარი. 1757

458 ფ. (916 გვ.); 16×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეთრული მუყაოს ყდა; დახანებული; ნუსხური (სათურები სინურით); 1757 წ. (912 გვ.); გადამწერი—იოანე დეკანოზი (912 გვ.); ადგილი—თბილისი, ჯვრის სავდარი (912 გვ.).

„სვინაქსარი, ძალითა ღ-ისათა მოძღუარი სოფლისა და სამკუალი წიდისა კათოლიკე ეკლესიისა. სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჭამი იბ და ღამეთა ჭამი იბ. თუესა სეკდენბერსა ა. გჳრგჳინი წელიწდისა და დაწყება ინდიკტიონისა და ჴსენება წმიდისა ღ-ისმშობელისა მასიანეს შინა...“ 1—911 გვ.

ანდერძი: „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა, რომელსა შეწევნითა აღეწერე წ-ა ესე სჴნაქსარი, გჳირგჳინი წელიწდისა, მე, ულირსმან მღდელმან ტფილისის ჭალის ჯ-ის სადგის დეკანოზმან იოანემ, ვეცდებერი ყოველთა მხილველთა შენდობისა ყოფად ბემ ცოდვილისათ-ს.

სრულ იქნა ოქტომბერის თთეს კზ, ქ-ს წჟზ“ 912 გვ.

მინაწერები: 1. „1757 წელსა ჯვრის მაძის ეკლესიის დგეანოზს იოანეს დაწერია“ 912 გვ.

2. „ეს წიგნი ვიყიდე 1867 ს წ. ლევან კასაშვილისგან; ამასთანავე ვიყიდე მისგან „ჯრამმატიკა“ ქართული, თხზული საქართველოს ბატონიშვილის დავითისაგან 1796-ს, რომელსაც ეძღვნის თავის პაპას მეფე ირაკლი II-ს. ეს ჯრამმატიკა წაიღო თხოვებით ბატ. დავით იესეს ძე ჩუბინოვმა 1875 წელს პეტერბურგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სვინაქსარს ესწირავე „წერა-კითხვის ჭაბარულებული საზოგადოების ბიბლიოთეკას, პოლიეკტოს კარბელოვი, 1882-ს წ. მაისის 30ე, 913 გვ.

3. „წულის სათვალავი: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, ფებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო. წელიწადი გასრულდა", 916 გვ.

(65)

65

კრებული. XVIII

17 ფ. (34 გვ.); 17,5×11; ქაღალდი; ქაღალდისაჲ ყდა; მბეჭდური (სათაურები სინგურით); [XVIII ს.]; გადამწერი—დავით რეკტორი (34 გვ.).

1. „აქა წერილნი ღ~თივ ცხოვიერნი ათნი მცნებანი, რომელნი მოუცნა მოსეს ღ~თისმხილველსა თითითა ღ~ისათა, წერილნი, რომელნი თანა-გვაძს ყოველთა ქრისტეანეთა დამარხვად..." 1—12 გვ.

2. „წიგნი აღსარებისა.— მოძღვარმან სიტკბოებით და კეთილად მიიყვანოს მოწყალე და თქვას: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი..." 13—34 გვ.

მინაწერები: 1. ალექსის ძის დავით რეკტორისა", 34 გვ. (უსრულო).
2. „აღსარების წიგნი ესე ეკუთვნის კოლეგიტის სკრეტარს იერონიმე ალექსიევს", 1 საცავი ფ-ის r.

(66)

66

ლოცვები. XIX

165 ფ.; 17,7×10,7; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტაიტული მეყაის დახაზებული ყდა; დაშლილი; ნაწილი (ძველი პაგინაციის მიხედვით დაკარგულია 8 ფ. აკლია) მბეჭდური (სათაურები სინგურით; XIX ს. (ვეორნიშანი: 1821); დაუწერელია: 142v—143v, 146r—161v, 162v—164r.

[ლოცვები] „... სინანული. — მონანული ყოველი ცოდვებსა შენსა ზედა, თქუი ესეფრ: ჭი, ჩემო ტკბილო იესო ქრისტეო..." 1r—135v.

შენიშვნა: 1. ლოცვების წიგნი კათოლიკური რიგისაა;
2. ბოლოშია „ქართული წირეის წესისა" 136r—142r.
3. ხოგი ლოცვა გალესილია: ა. „გალობა ყოველად წმიდა მარიამისა" 138r—139r; ბ. „აღდგომის კვირის წირეის სათქმელი გალობა" 141r—142r.

მინაწერები: 1. „ჰიბლიოთეკისა" 2r.
2. „ბელნაწერი წიგნები ეკ. ხაქარია ჭიჭინაძისი:
1) გეომეტრია, ნათარგმნი მიხაილ ულელიისაგან და შეწე ვახტანგის გასწორებული წელს 17..
2) არისტოტელის კატეგორია. დაწერილი 1767 წელს.
3) მეტაფიზიკა, გადაწერილი წელს 1783.
4) არისტოტელის სწავლა, ნათარგმნი ვრასტი თურჭისტანოვისა მიერ.
5) იობისა და სანჭხეთ ისტორია და სახარება, ერთ წიგნად.
6) სახოკადო ათთორმეტთა მოციქულთა სახიობო.
7) ანტონ კათალიკოზის ფილოსოფია, წე[ლს] 1785.
9) ლექსები სხვადასხვა მწერლებისა.
10) სარიდონიანი ლექსათ.
11) სახარება, ხელნაწერი.

12) დავრიშიანი, ხელნაწერი.
13) მხითარიანი რიტორება.
14) რეცენზენტი.
15) შემოკლებული კატეხიზმისი.
16) ხილვა ჯვრა.
17) მეფე ვახტანგის ლექსები.
18) მოხსენებულთათვის გარდაცვალებულთასა.
19) ლექსები სხვადასხვა მწერლებისა.
20) მოქმედება დღესასწაულობით, 1783, გიორგისა.
21) ლოცვანი ძველი.
22) კიდევ ლოცვანი, ძველი.
23) ლოცვანი, კიდევ ძველი.
24) ისტორია საქართველოსი, ერთი რეგენტი.
25) თავად-ასნაურების ახწერა მეფე ერეკლეს ბრძანებით.
26) ჯრაკები, ძველი წიგნი.
27) დამტკიცება კათოლიკე სარწმუნოებისა საქართველოში.
28) სახმარებელი ღვინისა.
29) ვწერ კერაკესი (!)" 144r–145v.
3. „1809-სა წელსა, მაისის 5-სა დღეს დაიბადა გიორგი სტეფანეს ძე ზარიფოვი, ნათლია იყო იოსებ ღარიბოვი". 162r.
4. „Господина Георгия Зарапова" 164v.
5. „Бонифачио Исаралов" 165r.
6. „1865 წელსა 16 июня" 165v.

(67) 67

კრებული. XVIII

287 ფ. (574 გვ.); 16,7×10. ქაღალდი; ტყავდაკრული ტყავიერული ბის ყდა; ნაკლული (322–323 და 538–539 შორის); მხედრული (კალიგრაფიული ხელით. სათაურები სინგურით); [XVIII ს.]; გადამწერი—ნიკოლოზ ორბელიშვილი, მიტროპოლიტი (557 გვ.). დაწერილია: 465–466, 468 გვ.

1. „ჟამნი. ძალითა ღთისათა, რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანეთ ლოცვითა წმინდათა მამათა ჩვენთათა.—უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ..." 7–217 გვ.

2. [საწელიწდო თვენი]. —„თვესა სექდებერს აქს დღე ლ, დღეთა აქს ღამე იბ და ღამეთა ღამე იბ.—ა წმიდისა მამისა სვიმეონ მესვეტისა და ქუენება წ~ისა ღ~თისმშობელისა და წ~ისა ეთოლასი..." 218–318 გვ.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „განსრულდა ძალითა ღ~თისათა თორმეტიე თვე თჳითა იბკო".

3. „მარხვათა და ხატიკთანი. ჴორციელის კუირიაკესა მეორედ მოსლვა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი ოხით.—ოდეს იგი მიგიყუანებდენ შენ, სულო ჩემო, ყოველსა სოფლისა განკითხვისა მას საშჯოაროსა და გასწრაფობდენ საშინელებით..." 319–378 გვ.

4. „სახარებანი აღდგომისანი. ათორმეტნი აღდგომისანი. სახარება მათესი.—ა. მას ღამსა შინა ხოლო ათორმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეასა მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესო..." 379–420 გვ.

5. [გამოკრებილი საკითხავები ახალი აღთქმიდან].—„რომაელთა მიმართ ეპისტოლე: ძმანო, რომლითა-ესე ნათელ ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ ვიღეთ...“ 421—464 გვ.

შენიშვნა: ერთვის „ხელთა“. 467 გვ.

6. „იბაკონი წმიდისა ღ[ვთის]მშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების.—ზეშთა მრძოლისა (!) ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეულისა(!), ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა აღვწერთ...“ 469—517 გვ.

7. ლოცვები: ა. „ლოცვა წმიდისა იოვანე დამასკელისა“ 517—524 გვ.

ბ. „ლოცვა მგზავრობისათვის“ 524—525 გვ.

გ. „ლოცვა მტერთა მიმართ შებმისა“ 525—526 გვ.

დ. „ლოცვა წ[მი]სა მამისა ჩვენისა ბასილისა, კესარის მთავარ ეპისკოპოზისა“ 527—534 გვ.

ე. „აღვიარება მართლმადიდებელთა. მწყამს და აღვიარებ წ[მი]სა სამებასა“ 534—538 გვ.

წყობა: „... ესრეთ აღვიარებ მართლმადიდებლო[ბისა წესითა]...“

8. „ესე არს შვიდთა მათ მომაყუდინებელთა ცოდვათა უპირველესი—ამპარტავნება. ამპარტავნება ეს არის, ვისაც თავისი ნაქმარი და ნათქვამი დიდად მოსწონდეს...“ 539—557 გვ.

9. „სარწმუნოება შამკლებით, აღწერილი ტფილელ მიტროპოლიტისა ნიკოლოზისა მიე[ი], რომელსაცა ენებოს, და სწავლა ამითი მიღონ. კითხუა: რა არს სჯულიჲ?...“ 559—574 გვ.

შენიშვნა: უძღვის—„შეურება საქმე და ჴერიათა იესო ნაზარეველისა. ოდეს ჴგავრს აცვეს, პილატეს ცოლმან თქუა: ა. არარა ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისა, რამეთუ მრავალი მეწუნა მე დღეს...“ 1—6 გვ.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიშვილი, ამის გამტარებელი, და ვინც გარდასწერდეს და ჩემი მოხსენება დააგდოს, ღმერთმან ორასივე შინა სოფელსა კეთილს ცუნაცილა დააგდოს. კეთილად მომკსენებელნი ღმერთმან კეთილად მოიკსენოს. ამისი მწერალი ნიკოლოზ“ 557—558 გვ.

(68) 68

ძლისპირნი. 1786.

149 ფ.; 16×9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივტრული ხის ყდა, მხედრული (საოთარები მთავრულით, სინგრით; 1786 წ. (143r); გადაწერი—იოსებ მცირე (143r) დაწერილია: 36v.

„სძლისპირი და ღ[ვთის]მშობლისანი, ჴ[ა] ა.— სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღუა მღელვარე სატყუა განახშო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქალწულისაგან და წარმოძღუა ჩუენ ზეცად...“ 3r—143r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „განსრულდა სძლისპირნი რვა ხმათანი, დიდება ღმერთსა ჩუენსა, ამინ“.

2. ზედა ყდის v-სა, 1r—2v, 148r—149r და ქვედა ყდის r-ზე სხვა ხელით მიწერილია საგალობლები.

ანდერძი: 1. „აღესწერე სძლისპირი ესე მ ც ი რ ე ბ ა ნ ი ო ს ნ ჲ მოსახსენებელად და შესაწევრებლად სულისა ჩემისა კალმითა ერთის გამოჭრილითა დეკემბერს დ. ქ'ს უოდ. ქრისტეს აქეთ ათასშვიდას ოთხმოცდა ექვსსა" 143r.

2. „ღმერთო, აცხოვნე ი ო ს ნ ჲ დიაკონი სასფეველსა ზენსა, ამინ" 143r (სხვა ხელით, აშიაზე).

მინაწერები: 1. „ესე წიგნი ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ეკუთნების, ნურავინ ხელყოფს პარვად ამისა, რაისათა დაისაჯონ" 1r.

2. „ხ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ე ბ ი ძ ი ს ბიბლიოტეკისა" 2v.

3. „რომელ სძლისპირსაც წაიღეთ სათხრო აქეს, იმის ხმაზედ იგალობების მისი მიმყოლი სძლისპირი, რომელსაც შავ სათხრო ჰქვს. ა რ. ჯ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, 1895 წელი 29 აგვისტო" 88r.

4. „იბპკონი ანუ კონდაკნი იგალობებიან თავის „წარდგომის" ხმაზე. ა რ. ჯ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, 1895 წ." 129v.

5. „ეს ძლისპირი მე, ს ა ბ ა ს, ვიყიდე ფასით, ასე იცოდეთ ფეზერელის ით, დღეს პარასკევსა ჩყიგ" 144v.

6. „ჩ ყ ო-სა წელსა ენკენისთვის კ ო-ს პ ა ა ტ ა ჯ ა ვ შ ვ ი ლ მა უნდა მომცეს პური ხუთი კოდი და ოთხი ლიტრა. რომელიც გასახეზულია (!) იმისი, ანუ ფული ხუთი და ათი შაური. ამას ჯარჭა. ჩემი პური ახარია ოცდა თუთხმეტი ლიტრა, თუ არ დაათვისეინა, პური უნდა მომპაპაროს" 149v (ხახვაფასშოლია).

7. „ჩყოგ-სა იენისს კ ბ-სა პატარა ი ო თ ა მ მოიყიდა თავისმა ძმამ მ ა რ კ ო ზ ჭ ა ო დ ი შ ი ა მ ჩემთან ქ ი ზ ი ყ ს", ქვეყა ყდის r

(69) 69

ანტონ I, კატალიზმო. 1769

64 ფ. (128 გვ.); 21,2×16; ქაღალდი: ტყავგადაკრული ტეიფრული ბის ყდა; მხედრული (სათაურები მთავრული, სინგურით); 1769 წ. (127 გვ.); გადამწერი— ხაჭარია, ხუცესი სიონისა (127 გვ.).

„წიგნი კ ა ტ ე ხ ი ზ მ ი ს ა, ანუ მოწოდება, რომელიცა თანა-ადს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმეოლიონ აღიჩნების 1 2 3 შინა კითხვსა-მიგებათა, ქმნილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არხიეპისკოპოსისა ყოლისა ზემოასა საქართუელოსა. — 1. კითხუა: რაჲ არს სათნადო ქრისტეანისა მიმართ, რათა ჰრწმენეს?" 3—108 გვ.

შენიშვნა: 1 უძღვის: ა. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველმყოფელისა თანა-არსისა და განუყოფელისა სამებისა—მამისა და ძისა და სულისა წ'ისა—ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოასა საქართველოსასა, დავითიან ბაგრატოვანისა წიგნი კ ა ტ ე ხ ი ზ მ ი ს ა, რომელ არს მოწოდება თჳსთა მოწაფეთა ჭეშმარიტისა მიმართ სარწმუნოებისა და საქმისა, რომელიცა სათანადოსა ქრისტეანეთასა აღშენებითსა ღ'ისმტყუელებითითა და ფილოსოფოსობითითა იპყრობს თჳს შორის კითხუა-მიგებითად ღრმისა ჭეშტარიტებისა და უმჯობესისა. და უმჯობესისა ი რ ა კ ლ ი მეორისა, მეფისა ყოელისა საქართველოსასა და მამათმთავრებისა თჳსისასა ყოველთა ქართველთა. ზედა, წელს დასაბამითგან სოფლისა... ჴსოს. განჴოროცელებითგან სიტყჳსა ღ'ისა..; ჩ ე ი ი, თთუსა მესამესა, რიცხუსა... კ" 1 გვ.

ბ. „შეცდებილება, ანუ წინასიტყუობა წიგნისა კ ა ტ ე ხ ი ზ მ ი ს ი ს ა—

არ მომწყინდების თ'ქუენსა საუბარი
ჲ, ქართველნო, სიბრძნის შემყუარებულნო,
აღტებილება მაჭუს ნიჭად, თ'ქუე მომართ
შრომად, უბრძოლად, წერად, მეშაირობად,
ამად, ეითარმედ მიყუართ ჭეშმარიტებით.
ნამდჳლ ჭეშმარიტ ზესთა მყო ისწენს ამის,
ეითარმედ თ'ქნთჳს შეჩუენებულ ვჰყო თავი.

არარა მჰგავსი, არად შემრაცხიეს
არცა თჳნთა სიჴდილი. არცა ტანჯუა!
ესპრები კატეხიზმის სარგებლად თქუმდა, ძმანო,
ჩემთან ნერგულთად შუღთა თჳქნთა ძმათადმი,
მოშუოდებელმან სათანადოისადმი
ქრისტეანეთად კეთილსასურო მცხოვრებთა.
მიიჩუეთ სარგებელ. ჩუენი ჩემთჳს თჳნ ლოცუანი.
ეს აღჳსწინ ტაეპთ სიმოყილისათ ათ-ორთა,
ლ'ისმეტყუელურად აღთაჩინებს იმათ,
ხოლო სხუათაცა საღმრთოთა სიდგუმლოთ
ეჳ სახედ მათსა ჴყოფს აღმოჩინებასა
ჭილოსოფოსებრ, ყოველად დაუტოლებელად.
რაცა საჭიროდ თანა-გუაძს ქრისტიანეთ,
რაჲსაცა მიჳსწუესთ, არარა დაუტევე
დაუდებელად კატეხიზმისსა შინა
თეორეტიკა ანუ საპრაკტიკოი
ლ'ისმეტყუელება, ამისთჳს ყ'შუენ უკეთნი" 2 გვ.

2. ე რ თ ი ა ნ ი: „პინაკს-სიტყუაობა ჩ'ნ მიერ გჳნდისა წიგნისა კატეხიზმისისა რომლისა შორის სიმკოლიოს აღიცანების 123 კითხუა-მიგებათა შინა ქართულსა ალფაჲტასა ზედა" 109—127 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა 1769. 3. 23; იყუენ სადიდებელად შენდა, მხოლოდ შობილო სიტყუაო მამისაო, ღმერთო ჴგშმარიტო და უბიწოდ მშობელისა შენისა აღუსწორე ფლორსა ხ ე ც ე ს მ ა ხ ა რ ი ა სიონისამან, ძემან დკანონზისმა". 127 გვ.

მინაწერები: 1. „ესე „ძღუნ-მწუნებიროვნა"—კატეხიზმო, ჴნდილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ I, არის პ ო ლ ი ე ვ კ ტ ო ს გ რ ი გ ო რ ი ს ძ ი ს კ ა რ ბ ე ლ ო ვ ი ს ა, 1882 წ. აპრილის 20-ს." 1 გვ.

2. „ამ წიგნს ესწირავ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" პ. კ ა რ ბ ე ლ ო ვ ი. 1882-ს წ. მაისის 30-ს" 1 გვ.

(70) 70

პარაკლიტონი. XVIII

464 ფ.: 14,3×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიფრული ხის ყდა; (ცალი ყდა მოცილებულია); დაზიანებული; ნაკლული (თავ-ბოლოსა და შიგადაშიგ); ნუსხური (სათარგმანი სინგურითა; [XVIII ს.]; გადაწერა—ბაკარია ცოდვილი (411v). დაწერილია 343r.

[პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი]. —„გალობანი... ჴმა ა. სამწუხრონი ლოცუა ჩ'ნნი შეიწყარენ, წ'ო უფალო, და ბოგან... ცოდვილთა, რამეთუ შენ მწ..., რომელმან უჩ'ნე საფლავსა აღდგომით..." 1r—464v.

წ უ დ ე ბ ა: „...უბრწყინელო, ზეშთა სიტყუსა ჯორცნი ავა"...

შენიშვნა: ვიშებზე გადაწერის მინაწერებია: 103r, 139v, 162v, 271r, 326v, 329r, 347r, 368r, 369v, 378r, 380r, 392v,401r, 437v, 457v.

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ბ ა კ ა რ ი ა ლ'ისწმიბლისა მრთბებითა" 411v

მინაწერი: „ჭრთლ'და მე, უ ლ ი ო ხ გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი, და ა წ'ყისი მისი წ'ა ქალაქად მიეიდენ" 392v.

(71) 71

აღაპიტ დიაკონი, სამეფო ტომარი. XVIII

33 ფ. (66 გვ.); 21×16,8; ქაღალდი (მოლურჯო): მუქაოს ყდა: მბედრული (სათაურები მთავრულად): XVIII ს. (ვეირნიშანი: 1789); გადაწერა—გაბრიელ რატის ძე (65 გვ.). დაუწერელია: 66 გვ.

„სამეფო ტომარი. უსამღვდელოესსა და უკეთილმსახურესსა მეფესა ჩუენსა იმპერატორსა იუსტინიანეს აღაპიტ უმცირესი დიაკონი კრძალვით შრომასა ამას უძღვნი, თავი ჲ.— ღმერთი არს ყოველთა მეფობათა შემოქმედი, მყოფი უმაღლესსა ღირსებასა შინა, ჰი იმპერატორო, უმაღლეს ყოველთა ღირსებათა აღგიყვანა შენ ქრისტემან...“ 6—63 გვ.

შენიშვნა: 1. უძღვნის: ჲ. მთარგმნელის, გაიოსის მიმართვა ირაკლი მეფისადმი (შდრ. H- 70, შენ. ბ; 1—3 გვ.); ბ. [ავტორების შესახებ დამოწმებული ცნობები], (3—5 გვ.).

2. ერთვის: [გაიოსის ლოცვა მეფის ირაკლისა და მისი სახელეულობისათვის]; 63—65 გვ.

ანდერძი: „რატის ძის გაბრიელის არის, რომელ აღწერა ქამსა სიჭაბუკისასა თჳსისასა, ამინ“ 65 გვ.

(72) 72

წიგნი სიბრძნისა და კეთილმოქმედებისა. XVIII

133 ფ.; (266 გვ.); 20×15; ქაღალდი: ტყავგადაკრული მუქაოს ყდა; მბედრული. XVIII ს. (ვეირნიშანი: 1791). დაუწერელია დასწყისში 6 ფ. და 246—266 გვ.

„წიგნი სიბრძნისა და კეთილმოქმედებისა, ანუ მდგომარეობა კაცობრიესა ცხოვრებისა. შესავალი.— დასდრიკეთ თავნი თჳსნი ქვედ, ჰი თქუენ, მცხოვრებნო ქუეყანად! სდუმენით და მიიღეთ კეთილ-კრძალულებითა მოძღერებაჲ მაღლით...“ 1—240 გვ.

შენიშვნა: ერთვის—„პყრობა ჲ ნაწილისა შეიდთა წიგნთა გამო შემდგარისა...“ 241—245 გვ.

(73) 73

ლოცვები. 1778

235 ფ. (470 გვ.); 15×9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუქაოს ყდა; თავნაკლული; ნუსხური (სათაურები სანგურით); 1778 წ. (470 გვ.); გადაწერა—სოლომონ ულიხისი (470 გვ.). დაუწერელია: 234 გვ.

[ლოცვები]. „...ხოლო აწ გახარებ შენ სიხარულსა, და ეგო უურწუნელად და ჭეშუ ღმერთი, ყოველად წიდაო...“ 1—470 გვ.

შენიშვნა: ზოგი ლოცვა და გალობა ხელნაწერში არის ავტორის დასახელებით:

ა. „ლოცვა სავედრებელი ყოველად წ'ისა ღ'ისშობელისა მიმართ, თქმული წ'ისა მამისა ჩ'ნისა მ ა რ კ ო ზ მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს ა“ 160—177 გვ.; 283—287 გვ.

ბ. „გალობა ყოველად წ'ისა ღ'ისშობელისა, თქმული ი ო ს ე ბ ი ს ა, ჭმა დ“ 180 გვ.

ჯ. „ლოცვა ყ'დ წ'ისა ღ'ისმშობელისა მიმართ, თქმული ღირსისა ფილოთეოს კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა" 181—197 გვ.

დ. „ლოცვაჲ განთიად და მიწურჱრი სათქმელი წ'ისა იოანე დამასკელისა" 215—222 გვ.

ე. „ლოცვაჲ, თქმული წ'ისა მ ა კ ა რ ი ს ი" 223—233 გვ.

ვ. „ს'ჲ ლოცვაჲ წ'ისა დიდისა ბ ა ს ი ლ ი ს ი" 287—290 გვ.

ზ. „ლოცვაჲ წ'ისა მამისა ჩ'ნისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა" 290—297 გვ.

ი. „ლოცვა წ'ისა ხიაროსანისა წ'ისა დიდისა ვასილისი" 337—445 გვ.

თ. „ლოცვაჲ სხ'ჲ წ'ისა მამისა ჩ'ნისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა" 345—350 გვ.

ი. „ლოცვაჲ სხ'ჲ ს ი მ ე ო ნ მ ე ტ ა ფ რ ა ს ი ს ა" 350—354 გვ., 355—366 გვ.

ია. „საღთოსა დამასკელისა" 366—369 გვ.

იბ. „დ ი დ ი ს ა ვ ა ს ი ლ ი ს ა" 369—371 გვ.

იგ. „ლოცვაჲ სხ'ჲ წ'ისა ხიაროსანის ს ი მ ე ო ნ ა ხ ლ ი ს ა ღ'ისმეტყუელისა" 372—383 გვ.

იდ. „ლოცვაჲ სხ'ჲ ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა" 383—388 გვ.

ივ. „ლოცვაჲ ს'ჩჲ ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა" 389—391 გვ.

ივ. „სხ'ჲ ლოცვაჲ ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა" 391—392 გვ.

იზ. „დ ი დ ი ს ა ვ ა ს ი ლ ი ს ა" 402—404 გვ.

იჱ. „ხ ი თ ი ო ქ რ ო პ ი რ ი ი" 412 გვ.

ით. „ხ ი თ ი ვ ა ს ი ლ ი ს ა" 415 გვ.

კ. „გალობა სავედრებელი ყოველდ წ'ისა ღ'ისმშობელისა, ითქმის ყოველსა ვნებისათ'ს სულიერისა, თქმული თეოსტირიკტა მონახონისა" 419—422 გვ.

ანდერძი: „... და ღმე მოსწრაფედ მოჩქუებად და ამის უკუე ძლით. ამა, უწყობნი მარცუელნი ჩანდ და იქმნების როდენნიმე შეც[ ]მილება, განს გვ გვედრები შენდობასა ყოველთა, უღირსი სოლომონ, კ'ს უჯზ" 470 გვ. (მხედრულად, სხვა ხელით).

(74) 74

კრებული. XVIII

256 ფ. (512 გვ.); 20×16; ქაღალდი (სხვადასხვა); ტყავგადაკრული ტყიდრული ხის ყდა; მხედრული (სხვადასხვა ხელი; სათაურები სინგურით); XVIII ს. (ვეორნიშანი: 1780, 1788, 1789, 1792, 1799). დაუწერელია: 346, 509, 510, 512 გვ.

1. „თქმული წ'ისა და ნეტარისა მამისა ჩ'ნისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ივგინისა მისთ'ს მეზუ©რისა და ფარისეველისა, მ. გ.—საყუარელნო, ორნი კაცნი აღვიდოდეს ტაძრად ლოცვად, ერთი ფარისეველი და ერთი მეზუ©რე..." 1—5 გვ.

შენიშვნა: თავფურცლის ყ-ზე დაკრულია ნაბეჭდი წიგნიდან აღებული ილუსტრაცია: „ეზეყმრე და ფარისეველი" წარწერით: „ტროდონი", ქვემოთ კი: „ნემცა ვილოცავთ ფარისეველებრ, ძმანო, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თ'ი, დამდაბლდეს. მოვედით, დავმდაბლდეთ წინაშე ღ'ისა მარხვით და მეზვერისა, ქმნა ვღაღადებდეთ სულთქმით და ღმობიერად. ღმერთო გკლხინე ჩ'ნ ცოდჱლთა ამათ და მოგვანიჭე ბრალთა შენდობა მრავალმოწყალეო და გვსხენ მწარეთა მათგან სატანჯველთა საუკუნეთა".

2. „წმიდათა შორის მამისა ჩ'ნისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა უმღებისათჳს შეილისა, მ. გ.—მარადის თანამდებ ვართ ქადაგებად კაცთმოყუარებისა ღ'ისანა... 6—14 გვ.

3. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ'ნისა ა ნ ა ს ტ ა ს ი ს ს ი ნ ე ლ ი ს ა ქრისტეს მიერ შესვენებულთა და სარწმუნოებით დაძინებულთათჳს, მ. გ.—რაჲ არს ესე დღეს, ჭ საყუარელნო, ეითარ მოსწრაფებით და ღირსე-

ბით შემოკრებულ ვართ, რაჲეთუ მომიწოდს ჩ~ნ ხსენება ძმათა ჩუენთა..." 14—22 გვ.

4. „წმიდისა და ღ~ივ განბრძნობილისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა სიტყუა ქრისტეს მიერ შესხუენებულთათჳს და რათა სამარადისოდ აღვასრულებდეთ ჴსენებასა მათსა, მ. გ.—ააზრდელთა გემოვანთა წინადაგებანი მრავალგზის არა ხოლო მწიერთა ჰაჴად თჳისსა მიიხიდუნს, არამედ ოდესმე თჳთ მათ განმაძღართაცა აღსძრუნს..." 23—44 გვ.

5. „ყოველთაჲვის პოროცა აღებასა საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა მეორედ მოსლეისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, მ. გ.—საყუარელნო, ნუთარაის პატიჟს სცემთ უფროს შეუორგულებულისა სიყუარულისა, რამეთუ ფრიად ვსცთებით დღითი დღე..." 45—57 გვ.

6. „მაბათსა ყუელერისასა ჴსენებასა წმიდათა მამათასა სიტყუა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა მაძათათჳს შესუენებულთა, მ. გ.—გული ჩემი მელმის, შემდობელ (!) მექმნენით მე, ძმანო და მონანო კურთხეულნო, მოვედით და ისმინეთ რამეთუ ტკივნეულ არს სული ჩემი და ელმის თირკმელთა ჩემთა, სადა არიან ცრემლნი..." 57—67 გვ.

7. „წმიდათაჲვანისა მამისა ჩუენისა ეასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიაჲ კაბადუკიელისა მარხჳისათჳს, სიტყუა ა, მ. გ.—დანესტტუმ, იტყჳს, ახალთა თთუსა შინა ნესტჳსა კეთილ შესწავებულსა დღესა დღესასწაულისა თქუნისასა..." 67—77 გვ.

8. „წმიდათაჲვანისა მამისა ჩ~ნისა ეასილი მთავარეპისკოპოზისა კესარიაჲ კაბადუკიისა მარხეისათჳსვე, სიტყუა მეორე, მ. გ.—ნუგეშინისცემდით, იტყჳს, მღუდელნი ერსა, იტყოდეთ ყურთა მიმართ იერუსალიმისათა, ქმა არს ბუნება სიტყჳსა მოსწრაფეთა მიმართებისა, ვიდრემე წარმატებულ ყოფად..." 77—84 გვ.

9. „თქმული ანასტასი მონაზონისა სინელისა შემოსლეისათჳს მარხეათასა და მეექვსისათჳს ფსალმუნისა, მ. გ.—შემსგავსებული მარხეათა დაწყებისა და ჯეროანისა სინანულეისა მიზეზი მიღებიეს ეკლესიასა მეექვსე ფსალმუნი, და რამეთუ არს იგი ნამდჳლი სწაჲლა სულისა..." 84—100 გვ.

10. „თთუსა მარტსა თ, წამება წმიდათა ორმეოცთა სებასტიას წამებულთა. სახელები მათი ესე არს: დომენტიანე, ვალენტი, ევსუქი...—ჟამსა მათ ლიკინიოზ მეფისასა იყო დევნულება დიდი ქრისტიანეთა ზედა..." 101—107 გვ.

11. „წმიდათა შორის მაბისა ჩუენისა ეასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიაჲ კაბადუკიელისა შესხმა წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა, მ. გ.—მარტჳლთა ჴსენებითა ოდეცა იქმნეს ვანძღოვნაჲ მოყუარისა მათისა..." 107—116 გვ.

12. „წამება წმიდისა მოწამისა თეოდორესი, მ. გ.—ტკბილ არს და საწადელ ჴსენება მოწამეთა და სავსე სიტკბოთა მადლითა..." 117—126 გვ.

13. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ნეკტარი კოსტანტინოპოლით მამათ-მთავრისა საკითხავი, რომელი-ესე აღწერა სასწაულისა მისთჳს წმიდისა თეოდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელი-იგი აღასრულა ყოველად ქებულმან და უძლეველმან მოწამემან ქრისტჱ იესუ ანდ განდგომილისათა, რომელი-ესე იყოთხებების პ~ლსა მაბათსა წმიდათა მარხუ-

თასა, მ. გ.—ბრწყინვალე არს და ბუნიერ დღეს მგალობელთა მთავრისა დავითის თანა გალობად ჩუენდა... 127—140 გვ.

14. „თხრობა სულთა სიწმიდეთა სასწაულისა მისთ'ს, რომელი იქმნა ხალკიპატრიას პატრონისაგან და წმიდისა ხატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათ'ს ეწოდა მას თავსმდებ, და თეოდოროსთ'ს მენაესა და აბრაჰამ ჰორაისა, მ. გ.—საშეუფოთა სასწაულთა სახსენებელი წარმოვკუდგა დღეს და უხმობს მას გულსმოდგინებით მსმენელთაგან ღირად დიდებულებისა თქმულთასა განმზადებად სასმენელთა...“ 141—162 გვ.

15. „პირუელსა კჳრიაკეს წმიდათა მარხუთასა თხრობა სასწაულისა მის, რომელი აღესრულა ბერიტიის ხატსა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, და სიტყუა სწავლისა მარხჳსთ'ს და მოწყალებისა, მ. გ.—ბერიტია არს ქალაქი რომელიმე მყოფი სახღუართა ტჳროსისა და სიდონისათა...“ 163—175 გვ.

16. „თხრობა დიდებულისა სასწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ზედა ჯუარცმულსა დიდისა ეკლესიისასა სოფია წმიდასა საუფლოსაგან და პატრონისა ხატისა უფლისა და ღ'ისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და მუნ მისრულისა მისთ'ს პატრიკიოსა და ქრისტეს მოყუარისა მწჳრვნარისა მისისა, მ. გ.—ვინაჰა არს ესრეთ მახარებელ სულთა ღ'ის მოყუარეთა, ვითარ საჴმელი ღ'ისა მიერ საკრველებით აღსრულებულთა...“ 175—184 გვ.

17. „წმიდათა შორის მამის ჩუენის და ნეტარებით მოხსენებულისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, სიტყუა ხატთათ'ს, თავი მეორე. მ. გ.—მეცით მე შენდობა მეძაებელსა შენდობისასა, მეუფენო ჩემნო....“185—200 გვ.

18. „თხრობა, მოღებული წ'თა და სამსახურებელთა ხატთათ'ს, და თუ ვითარ, ანუ რომლისა მიზეზისათ'ს განეწესა დღესასწაული მართლმადიდებლობისა, რომელი მიიღო წლითა'წლად წმიდამან და დიდმან კათოლიკე ეკლესიამან ჰ'ლსა კჳრიაკესა წმიდათა მარხუთასა, მ. გ.—მეფესა თეოფილეს მის ცხებსა, რომელი იგი თჳთმპყრობელობისა ბერძენთასა დაეპყრა მთავრობა მიუსწრებითა ღ'ისათა...“ 201—206 გვ.

19. „მეთორმეტე დღეთა საღმრთოსა მიერ განბრწყინებისა მოუხდა წ'სა და დიდსა იოვანეკს. რომელი-იგი სიბრძნის მოყუარეობით მათ ზედა ულუმბოსით, წ'ა არსაკ, რჱეული იგი მონა ღ'ისა და დიდი მოღუაწე...“ 207—215 გვ.

20. „წ'თა შორის მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა ქებაჲ ეკლესიად მიმაგალთა და კეთილწყრისებისათ'ს დიდებისმეტყუელებათა შინა და სიტყჳსა მისთ'ს, ვითარმედ ვიხილე უფალი მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა და აღმატებულსა, მ. გ.—მრაველისა მოსწრაფებისა მწუხრებელად გხედიან თ'ენ...“ 215—229 გვ.

21. „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა დიდისა ჩუენისა მარიამ მეგჳპტელისა, აღწერილი სოფრონის მიერ იერუსალემელ მთავარეპისკოპოსისა, მ. გ.—სიდიდჱ სოფლისა მეუფისათა დაფარუა კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღ'ისათა ქადაგება დიდებულ...“ 229—255 გვ.

22. „თხრობა მარგებელი თხრობათაგან, შეკრებილი მაუწყებელად, სახსენებელად საკრთ'ლებით ქმნილისა სასწაულისასა, რაჟამს სპარსნი და ბარბაროსნი დედოფალსა ამას ქალაქსა ბრძოლად მოადგეს და წ[ა]რწყმა-

დესცა სამღთოთა ბჯობითა განსჯილნი, ხოლო ქალაქი ესე, უენებელად დაცული მეოხებითა ღ~ისმშობელისათა, მიერითგან წლითი-წლადსა გალობასა სამადლობელსა დაუჯდომელ სახელდებული დღისა ამის, მ. გ.—წელთა ირაკლის მერძენთა მეფობისათა, ხუასრო სპარსთა სამთავროჲსა მჭირნებელ-მან წარმოაელინა სარეან მხედართმძღუანელი...“ 255—265 გგ.

23. „ნეტარისა ევსუქი ხუცისა იეროსალიმელისა შესხმა ცხოვრებისათ~ს ყოველად წმიდისა ღ~ისმშობელისა, მ.გ.—ყოველი, ვინ კეთილ ცნობიერი ენა სამართლად მოიკითხავს ქალწულსა ღ~ისმშობელსა და კეშმარიტად ძალისაებრ მიემსგავსების მთავარანგელოსსა გაბრიელს, რაჲეთუ იგი გიხაროდენ ეტყჳს მას...“ 265—269 გგ.

24. „იოანე მთავარეპისკოპოსისა თესალონიკელისა სიტყუა გარკაცებისათ~ს უფლისა იესუ ქრისტესსა და ხარებისათ~ს ყოველად წმიდისა ღ~ისმშობელისა, მ. გ.—ღამე წარხდა, ხოლო დღე მოგუახლა...“ 270—273 გგ.

25. „წმიდათა შორის მამისა ჩუ~ნისა სოფრონ იეროსალიმელ პატრიარხისა სიტყუა ხარებისათ~ს ყოველად წმიდისა უხრწნელისა დედოფლ~ისა ჩუ~ნისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მ. გ.—მარტს კე. ხარება არს, ძმანო, ხარება, და კ~დ ეჰქუა ხარება არა ხოლო, რომელ ყოველთა ხარებათა უმაღლეს არს, უსაღმოთოს და უპატროენეს(!) და შეუსწორებელითა აღმატებითა აღმატებულ...“ 273—307 გგ.

26. „წმიდათა შორის მამის ჩუ~ნისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ხარებათ~ს ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩუ~ნისა ღ~ის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მ. გ.—კ~დ სიხარულისა ხარება, კ~დ განთავისუფლებისა უწყებაჲ, კ~დ აღმოწყდებაჲ, კ~დ აღმოსულა, კ~დ მხიარულებისა ჴმაჲ, კ~დ მონებისა წილ ახზაურება, ანგელოსი ქალწულსა ჰხრახავს...“ 307—312 გგ.

27. „წ~ისა და ნეტარისა მამისა ჩუ~ნისა ანდრია იერუსალიმელის, კრიტელ მთავარეპისკოპოსისა, სიტყუა ლაზარისთ~ოს დღე მომკუდრისა, რომელი აღადგინა უფალმან, მ. გ.—ლაზარე შემოკრიბა აწინდელი ესე შესაკრებელი და ეკულების სეროპისა ყოფად და ტაბლასა განმზადებს ღირსებით ტრფიალთათ~ს სათნოებისათა...“ 312—334 გგ.

28. „წმიდათა შორის მამისა ჩუ~ნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა თქმული ბზობისათ~ს, მ. გ.—საკრუ~ლებათაგან საკრუ~ლებად და სასწაულთაგან სასწაულთა მიმართ უფლისათა ვიდოდით, ძმანო...“ 334—345 გგ.

29. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუ~ნისა ანდრია იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა ბზობისა და იეროსალიმს შესულისათჳს უფლისა· ჩუ~ნისა იესუ ქრისტესსა, გ. მ.—გუშინ შეუფისა თანა ლაზარე მისტუმრნა ჩუ~ნ...“ 347—370 გგ.

30. „იოანე მდაბალისა ხუცეს-მონაზონისა და დამაკნელისა სიტყუა ლეღუასთ~ს განხმობილისა და ოგაჲსა მისთ~ს ვენახისა, რომელი აღმოიჭედა დიდისა ორშაბათისათ~ს. მ. გ.—აღმძრავს მე სიტყუად ერთ~ისა ღ~ისა მამისა, რომელი-იგი მაჴულთა წიაღთა არაოდეს განუშორა საშოსა ქალწულისასა...“ 370—380 გგ.

31. „თარგმანება მატ[თ]ეს თაჲისა, წმიდათაგანისა მამისა ჩუ~ნისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ათთა ქალწულთათ~ს, რომელი იგი-

თხების ორშაბათსა ვნებისასა. მ. გ. თავი კგ.—ორმეტ საყუარელნო, შესაძრწუნებელსა იგავსა წარმოიტყჳს უფალი, რომელნი-ესე გულისჴმის-ყოფით ყურად ვიხუნეთ, და გონებათა შინა ჩუენთა გაჳუნდინ სახსენებელად..." 380—395 გვ.

32. „თარგმანი მათეს თავისა, რომელი იკითხების დიდსა სამშაბათსა, თავი კგ, მ. გ.—ხოლო იესჳ იყო რა ბეთანიასს სახლსა სიმონ კეთროვნისასა, მოუდგა დედაკაცი, რომელსა ჰქონდა ალაბასტრი ნელსაცხებელისა მრავალ ფასყოფილისა და დაასხა თავსა მისსა..." 396—403 გვ.

33. „წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა დიდისა ხუთშაბათისა განცემისათჳს იუდასგან და მიცემისათჳს წმიდათა საიდუმლოთასა და რათა არა ვიხსენებდეთ ძჳრსა, მ.გ.—მცირედ საჭირო არს დღეს თქუენსა მიმართ სიყუარულისა თქმად, ხოლო მცირედ საჭიროება ვთქუ..." 404—415 გვ.

34. წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინპოლელ მთავარეპისკოპოსისა საკითხაჲ დიდისა ხუთშაბათისა, განცემისათჳს უფლისა ჩუენისა იესჳ ქრისტესსა, მ. გ.— მჳნიერად ვხედავ დღეს ეკლესიასსა სახითა და ფრიადცა შეწუხებულად..." 415—418 გვ.

35. „თარგმანება მათეს თავისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, თავი კგ. მ. გ.—და ვითარცა ჰამდეს იგინი, მოიღო იესჳ პური, აკურთხა და განსტეხა და მისცა მოწაფეთა თ'სთა და ჰრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი..." 418—426 გვ.

36. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სწაულა ხილულისათ'ს წმიდათა საიდუმლოთასა, მ. გ.—ამისთ'ს გეცოდრები, საყუარელნო, ნუცა ჩუენ უდებ ვიქმნებით და ვიტყჳთ, თუ ღმერთმან გაცხოვნოს..." 426—431 გვ.

37. „დიდსა პარასკევსა საკითხაჲ ჯუარცმისათ'ს და დაფლჳსა უფლისა ჩუენისა იესჳ ქრისტესსა, თქმული ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგორი ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისა, მ. გ.—მაღალსა და აღმატებ[უ]ლსა სახილველსა აღიწყო ჴილგაგება იგი სახარებისა..." 431—446 გვ.

38. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა ენებისათ'ს მაცხოვრისა ჩ'ნისა იესჳ ქრისტესსა, ძისა ღ'ისა, და ვითარმედ დღესა, რომელსა განჴელინა ადამ სამოთხით, ესეც დღესა შეეძინა ევაჲსაჲ სამოხედ, მ. გ.—გუშინ აღთქმულსა მას ვალსა, დღეს მნებავს აღსრულებად. საყუარელნო, და ვეძიებ, თუ სადა დაებეჭდეთ მაშინ სიტყუა..." 446—452 გვ.

39. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ეპიფანე კიპრელ ეპისკოპოსისა სამღთოსა ჯორცთა უფლისა ჩუენისა იესჳ ქრისტესთა დაფლჳსათ'ს და იოსებ და ნიკოდიმოსისთ'ს და ჴოცხებისა მათისლისათ'ს უფლისა, შემდგომად განმაცხოველებისა ენებისა მისისა, რომელი-ესე იკითხების დიდსა შაბათსა, მ. გ.—რაჲ არს დღეს დუმილი მრაველი ჭუყანასა ზედა..." 452—496 გვ.

40. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგორი ნოსელისა მჴედრეთით აღდგომისათ'ს უფლისა ჩუენისა იესჳ ქრისტესსა, მ. გ.—რადენიცა მამათმთავართა კურთხევა სულსა სულისა მიერ დამტკიცებულ არს..." 469—493 გვ.

41. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ამაღლებისათ'ს უფლისა ჩუენისა იესჳ ქრისტესსა, მ. გ.—ბრწყინუალე

არს ყოველი დღესასწაული უფლისა განგებულებისა და განმაბრწყინებელ გულებსა მორწმუნეთასა. ბრწყინვალე არს უკუე მიზეზიცა წინამდებარისა ამის დღესასწაულისა...“ 493—501 გვ.

42. „მისიცე წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, მ. გ.—სამნი განსაკრძალებელნი საქმენი და არა საცნაურნი კაცობრიელსა ბუნებისაგან თანა შემოსთხზნა ბუნებასა ჩუენსა...“ 502—505 გვ.

43. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარხისა სიტყუა ცილ ამაღლებისათჳს უფლისა და ღუთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ითქუა ესე ადგილსა თხემისასა შიშიასრის უღთოთა სარკინოსთასა, და სადა-იგი აღასრულებდეს წმიდასა ღესასწაულსა ამაღლებისასა. მ. გ.—ვდუმენ. ჩუეკუე მთრადს ვდუმენა და თავს ვიდუა, ვითარცა მლმობიერმან ეითმენდა...“ 505—508 გვ.

შენიშვნა: ერთეული—„ხანდაზმული წყობილი ამის“ 511 გვ.
ანდერძი (გადაწერისა): „ლმერთო, შეიწყალე ცოდვილი ივე“ 44 გვ.
მინაწერები: 1. „შეისწავეთო, რამეთუ დედასა შინა თქუენსა იყო ნაწილი ამისი, არამედ დაკლებულ იყო, და სადაც დედანი აქუთო, მოაწერეთო, წმიდანო ღმრთისანო“ 508 გვ. (აშიაზე).
2. „დედანები და ბილიონები ვასილი ადრიანოვის“ I ხაზები, ფ-ის r (იქვე, ხელით ბერნშტეინად).

(75) 75

გედეონიშვილი იონა, მოგზაურობა. XIX

60 ფ.; 20,3×16,3; ქაღალდი: მუქაოს ყდა; ხმედრული; XIX ს. (ქვირიწმობა: 1803). დაუწერელია: 59v—60v.

[გედეონიშვილი იონა. მოგზაურობა]—„მწადან მან ნათელ-მან უსახელოსან ყოველთა არსთა მიზეზმან მიზეზთამან იხილა კუშყანა განუსაზღერებელი და განუწვალებელი, უხილავი და ბნელი, და ჰსთქუა: იქმენინ ნათელი, იანიავქარბერტყა და განყარა ბნელი...“ 1r—52v.

შენიშვნა: ერთეული—„იქმეული იონა მიტროპოლიტის გედეონის ძისა—ა. ლიცეებიან ამნი: თიფლის ახალი და მოკლე პოეტიკა ხელით, ეკლესიასტიკა, ალბალელის წიგნები...“ 53r—59r.

(76) 76

ლიცეების წიგნი. XIX

173 ფ.; 22,3×16,5; ქაღალდი: მუქაოს ყდა; ხმედრული; XIX ს. (ქვირიწმობა: 1824). დაუწერელია: 1v, 2v, 72r—73v.

„დილის ლოცუა.—ქ ღ განგლო ღამემან! მე აღვსდგები ძილისაგან და ქ ღ ეგრძნობ სიამოვნესა მყოფობისა ჩემისასა, დაუსრულებელო სახიერებაო...“ 3r—70v.

შენიშვნა: 1. ტექსტის შედგენილობა:

1. „დილის ლოცვა“ 3r—6r.
2. „გრძნობა საკეთილოსა სულიერისა“ 6r—8v.
3. „წყრომისა განდიდებისა ღ-თისა თანა 8v—13r.
4. „ლმერთი არს სიყვარული“ 13r—16r.
5. „ცნობა საკეთილოს განზრახვისა“ 16r—19r.
6. „იმედი-ქრისტესთჳს ღ-ისაგან ქადაგი ქებაი ქველნიერის ცხებელებისა“ 19r—21r.
7. „ლოცვა კეთილის ძებნაი ჩემთა“ 21r—23v.
8. „ლოცვა მტერთათჳს“ 23v—24v.
9. „ნაშვილ ცნობისათჳს მოყვისა“ 24v—27r.
10. „ვედრება მონაჭებისათჳს სარწმუნოების ცნობისა“ 27r—v.
11. „ლოცვა გამოძიებისათჳს სჯნელისა თჳსისა“ 27v—28r.
12. „უფალსაი ლოცვა თჳსის სიბილწის გაძიებისა“ 28r—29r.
13. „ლოცვა ცუდობისათჳს, ჴანა კეთილისყოფისა“ 29r—30r.
14. „ლოცვა სიცილებელსა ნაცესკოვნოდა შეჯობართათჳს“ 30r—31r.
15. „მადლობელობა ღ-თისა მონაჭებისათჳს ჭეშდა უკდავის სულისა“ 31r—32v.
16. „ლოცვა მაცისა და სანდელთათჳს“ 32v—34r.
17. „ლოცვა მაცისა ძებითს თჳსთა“ 34r—35r.
18. „ლოცვა ტანსა ცხებელებისა“ 35r—v.
19. „ლოცვა წინასწარ თხრობისა სიტყუათა ღ-თისათა“ 36r—v.
20. „ლოცვა შემდგომ თხრობისა სიტყუათა ღ-თისათა“ 37r—38r.
21. „სალამოს ლოცვა“ 38r—42v.
22. „ლოცვა მოთხოვისათჳს სიბრძნისა ნათლისათჳს“ 43r—v.
23. „შეწირვა ნებისა“ 43v—44v.
24. „ლოცვა იესო ქრისტეს მიმართ მოელენისათჳს ღუთიერის სულისა“ 44v—46r.
25. „განწირაჲა ღ-თიერსა სიბრძნესა ზედა“ 46r—47r.
26. „ლოცვა დღეს შობისა თჳსისა“ 47r—v.
27. „ლოცვა ძღუენისათჳს ცოდუათა ზედა“ 48r—v.
28. „სასოებისათჳს ღმერთზედა“ 48—49r.
29. „შიში ღ-თისა“ 49v—51r.
30. „შეურაცყოფისათჳს ღ-თისა“ 51v—53v.
31. „გრძნობა სულისა მიწყოდებელისა ღ-ისა მიმართ“ 53v—55v.
32. „კუშპატებისათჳს და კეთილ-ყოფისა“ 55v—56v.
33. „სამეცნიო განზრახვა სიცდილსა ზედა“ 56v—59r.
34. „ღმერთი არს სიყუარული“ 59v—64r.
35. „დაბნისათჳს“ 64r—68r.
36. „ცანცტულება“ 68v.
37. „ყოველდღიური განშორვა ქრისტჱანის ცხოვრებისა“ 69r.
38. „ყოფობა ღ-თისა“ 69v—70v.
2. ერთვის „პინაკსი“ 71r—v.

მინაწერები: 1. „წიგნი მარგებელი სულიერის თანაზდებისა“ 1r.

2. „ღმერთი არს სიყუარული უბრწო, ღმერთი სიცუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰყოს და იგი ღ-თისა თანა. იოანესი თჳე დ და რიცხ ოგ: შეთხზული ყ ყ ა რ ტ ს ღ ა უ ხ უ ნ ი ს ა გ ა ნ“ 2r.

(77) 77

სწავლანი «სამასეული». XIX

79 ფ. (158 გვ); 16,5×10,5; ქაღალდი (ფურცელი); მუქაოს ყდა (ყუა და კუთხეები—ტყავი, ტყიფრული); ხუთფრული (სათეგრები სინგერით); გადაწერილი—იოსტოსი (158 გვ.): XIX ს. (კეკრნიშვილი: 1852).

1. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღ-ისმეტყუელისა.—დასაბამ(მ)ლ და აღსრულებად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაჴუნდინ, რამეთუ კეთილ არს ღ-ისაგან დაწყებად...“ 1—61 გვ.

2. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩ~ნისა დიდისა ეფრემ სირისნი, 1. ლოცუა უბრძოდ არს ღ~ისა მიმართ, აწ უკუე გულისხმა-ეყოთ, ძმანო, თუ ვითარი საზომი უხმს გონებასა მას...“ 62—106 გვ.

3. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩ~ნისა მაკსიმე აღმსარებელისანი.—პ~ლი უენებულობა არს, რათა კაცი საქმეთაგან ცოდვისათა უცხო იქმნეს და სრულიად განეშოროს...“ 107—156 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა სამასიგლი ესე სადიდებელად სამებისა წმიდისა“ 157 გვ. (ტექსტის ხელით, სინგურით).

მინაწერება: 1. „ხ~ჯრია ჭიპიანძის ბიბლიოტეკისა“ 1 სიცივე ფ-ის ე. 2. „სამასიგლი წ~ა გრიგოლისა ღთისმეტყველისა“ იქვე.

3. „ამას წიგნსა ეწოდების „სამასიგლი“ 1 სიცივე ფ-ის ე (სინგურით, ტექსტის ხელით).

4. „ეს სამასიგლი, იოსტ ოსის დაწერილი, თავად თ~ვ ირ ლაოდიკიელის, არს“ 158 გვ. (თვალი—ხელოვნება).

5. „ესე წიგნი, საღმთო სწავლა და დარიგება გრიგოლი მღთისმეტყველისა; ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა არის, ვინც მოიპაროს, ამის მადლი გაუწყრეს“: 158 გვ. (სხვა ხელით).

(78) 78

საგალობლები. XVIII

77 ფ. (154 გვ.) 16.6×10.5; ქაღალდი: ტყავგადაკრული ტვიფრული ბეჭდის ყდა; ბოლონაკლულია; ხმდრული (სათაურები სინგურით). XVIII ს. (ვერონიშანი: 1796) დაწერილია: 54 გვ.

1. „დასდებელი. ქმა ა.—სამწუხრონი ლოცუანი ჩუენნი შეიწირენ, წმინდაო უფალო, და მოგუმადლე ჩუენ მოტევება ცოდუათა, რაჰეთუ შენ ბჭოლო ხარ...“ 1—50 გვ.

2. „მომეხსენენი, რეა ქმა. ქმა ა.—საჭმლისა მიერ გამოხადა მტერმან ადამი სამოთხით..“ 51—53 გვ.

3. „თთუესა სეკდენტებრსა ა, ოხითა იბაკონი ყოველთა დღესასწაულთანი ქმა ბ.—ყოველსა დაბადებულსა შემოქმედო, ტაძთი და წელთა თ~სითა ჰელმწიფებითა დამსხმელო, აკუთხე გჳრგუნი ამის წელიწადისა...“ 55—111 გვ.

4. „ოხითა იბაკო მარხუათანი და ხატიკათანი, მეზუერისა და ქარისველისა კჳრიაკეთგან, ნაცულად მოციქულთა ეედრებისა ამათ სამთა მუხლთა ვიდრე ბზობადმდე ვიტყჳთ დიდებაჲ, ქმა ვ.—მსწაფლ განუხუნ სინანულისა ბჭენი სულსა ჩემსა, ცხოვრების მომცემელო...“ 112—128 გვ.

5. „აღდგომის საგალობლები».—„პასექისა ბრწყინუალესა კჳრიაკესა პასექისასა, ოხითა ქმა ე.—ქრისტე აღდგა მკუდრეთით, სიკუდილთა სიკუდილისა დამთრგუნველი...“ 129—154 გვ.

შენიშვნა: ქვედა ყდის ჴ-ზე დაკრულია დახიხნებული ნაწყვეტი „მეცნიერ ქმისა“, ტექსტისავე ხელით ნაწერი.

მინაწერი: „ჭიპიანძის ბიბლიოტეკისა“, ზედა სიცივე ფ-ის ე.

(79) 79

ოთხთავი. XVIII

48 ფ.: 19×13; ქაღალდი; რვსტაგრირებული; ნაკლული; მბეჭდრული; XVIII ს. დაწერილია: 21r-v, 36r-v.

„წიგნი სახარება მათეს თავი პირველი.—წიგნი შობის იესო ქრისტესი, ძისა დავითისაი და ძისა აბრაამისი..." 2r—48v.

წყდება: „რომელი არა არს ჩენებდა ტტერი, იგი ჩენ კერძო არს" (ლ. 9,50).

შენიშვნა: 1. ოთხთავს აკლია მთლიანად:
იოანეს სახარება;
მათეს თავი: 9,1—9,22; 12,13—12,40; 13,18-დან ბოლომდე.
მარკოზის თავი: 10,29—12,16; 13,22—14,65;
ლუკას თავი: 2,34—6,49; 9,51-დან ბოლომდე.
2. ბოლო სავსე ფ.ის r-ზე კრიპტოკრამაა.
მინაწერი: „პიჭინაძის ბიბლიოტეკის" 1r.

(80) 80

კრებული. 1853

42 ფ. (84 გვ.): 17,5×10,6; ქაღალდი; ტყვეგადაკრული ტეტერული ხიო ყდა; მბეჭდრული; 1853 წ. (74 გვ.): ჯადოსწერი—ნათ რუსთაველი (28, 59, 74, 83 გვ. გვ.); ადგილ—ხირსის მონასტერი (82 გვ.).

1. „კანონნი შეცოდებულთანი. აწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელ პატრიარქისაკოპოზისა, რომელსა მარხველ ეწოდა.—უწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მარხველი უკანასკნელ იყო უფროს ყოველთა მართალთა, ჰსჯულის კანონის წესნი აღსწერნეს..." 1—28 გვ.

ქორწინებისა თავისათჳს; თავი სჳა მატთესი. ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ-ივი კიბეთა ზედა აღვენენ ხარისხად და შთამოველენ, ეგრეთვე არს ნათესაობაცა ხარისხად..." 29—74 გვ.

შენიშვნა: ერთვის—1. „სიძიებელი კანონთათჳს, როგორ მიეცემის და რაოდენ ესპატიებოს და რომელიმე წელი მოუტევებს" 75—79 გვ.

2. წესთქმული კოებათა ნუსხა 80—82 გვ.

30. „მერაბ ენდრონიკაშვილისა, მეფის ძის დავითის შესხმა.— აჰა, როგორი ეთია არის შემოსლუა,
ევრეთ შვენიერ მრავლის ჰაეროვნებით“ 51r.

შენიშვნა: 1. შესხმის წინ დართული აქვს სინგურით ნაწერი დ. რეკტორის ცნობა: „მისს უგანათლებულესობას საქართველოს ირაკლი მეორის მეფის ძის ბიორგის ძეს დავითს შესხმით უგალობს იროკოთა ამათ თელავს ქალაქსა შინა სამეფოსა პალატას სემინარიასა ზედა მოწაფენი ალექსის ძის დავით რეკტორისანი. აპრილს 8, წელსა 1791. ქმა დ. სამსახეობა“, 51v.

2. „შესხმა“ შედგება 15 სტროფისაგან, თვითეულ სტროფს ყავს ცალკე ავტორი, გარდა სოლომონ ქობულოვისა, „შესხმის“ ავტორები არიან: იოსებ ალექსიძის დეკანოზის ძე, თავადი სოლომონ ქობულოვი, ჯერმანე ქობულოვი, ნიკოლოზოსი—კარის დეკანოზის გიორგის ძე, თავადი ევგენი ქობულოვი, დავით—მიხაილ მღებდლის ძე, იოვლე—გარეჯელი დავითის ძე, ბეგან თანისშვილი, ვასილი—შიო მღებდლის ძე, იოანე—დავით რეკტორის გაზრდილი, გიორგი—მიხაილ ბატონის ძე, თავადი იოსებ ქობულოვი, ისაკი—ალექსიძის დეკანოზის ძე, იოსებ პრეფექტორი—ალექსიძის დეკანოზის ძე (51v—53v).

31. „მეფის ირაკლის შესხმა დავით რეკტორის მოწაფეთაგან თავადის დავით მდივნის ძის სოლომონ ქობულოვისა.—
არა სადამე იქო ქადნიერებამ
თავი სილაღით შეკადრებად მაღალთა...“ 54r.

შენიშვნა: 1. „შესხმის“ წინ დართული აქვს სინგურით ნაწერი დ. რეკტორის ცნობა: „მისს უმაღლესობას მეფეს საქართველოსა და სპეთასა მეორეს ირაკლის, ყოველად მოწყალეს დიდებულს ქულწიერს შესხმით უგალობს იროკოთა ამით ათითხმეტსა ხუთ-ხუთეულად დალექსილთა მთანი უმაღლესობისა მათისანი ქალაქსა შინა თელავს შეკრებილნი სემინარისტნი და მოწაფენი ალექსის ძის რეკტორის დავითისანი რეთა ნაწილთა ღრმამეტყველისა სატყუეთა, ქმა დ, სამსახეობა“, 53v—54r.

2. „შესხმა“ შედგება 14 სტროფისაგან. თვითეულ სტროფს ჰყავს ცალკე ავტორი, გარდა სოლომონ ქობულოვისა, „შესხმის“ ავტორები არიან: თავადი მურად ენდრო-

ნიკაშვილი, ჭოხელოური გურამაზე, თავადი ევგენი დავითის ძე; ჭოხელოური იოსები—ალექსანდრეს დეკანოზის ძე ნიკოლოზის — თელაუის კარის დეკანოზის გიორგის ძე, ჭოხელოური იოსები—სვიმონ მგელიის ძე, ითელ გარეჯული—დავით კანდელაკის ძე, ესესი ლალხანისშვილი—შიო მღვდლის ძე, ბეგან თანიასშვილი, გიორგი—სვიმონ მღვრან ბატონის შვილი, დავით—მიხაილ მღვდლის ძე, ითანე—გიორგი ვეშაპნიელის ძე, დავით რეკტორის გახრდილი, ისააკ—ალექსანდრეს დეკანოზის ძე. 54r—56r.

3. „შესწორება" ბოლოს მიწერილი აქვს: «ესენი მე, ილარიონ ძეძამანტრატორმან დავითმან გადმოვწერე ჩემს მოწაფეთ თელაუს ქალაქსა სვიმონრიასა შინა, მეფის ირაკლის შესმამდ. ახლად იყვნეს დაწერებნი პარეულის ნაწილის ღრმმატიკისანი, იენის ად. ქრონიკონს» ფიო», 56r.

32. «დ. რეკტორის წერილი», „მისს ბრწყინვალებას თავადს ქორუღას, მდივანს, ჩვენს უსარწმუნოესს მოწყალეს ქელმწიფეს იოანეს.—ვინადგან არარაჲ არს მზესა ქუშე საროწმუნოსა მეგობრისა ბრძნისამებრ ზრახვსა..." 56r—57r.

33. «დ. რეკტორის წერილი», „მისს უგანათლებულესობას სრულიად საქართველოს მეფის ძეს, ყოველად მოწყალეს ბატონისშვილს იულონს.—სადა ითქმიან ტრფიალებანი სიფლისა უკუე ლტოლვილთაგან..." 57r—58r.

34. «დ. რეკტორის წერილი», „მისს უგანათლებულესობას, სრულიად ზემოჩსა საქართუელოს მეფის ირაკლი მეორის ძეს ბატონიშვილს, უმოწყალესს ქელმწიფეს ვახტანგს.—ძუელთა ბრძენთა დადებული ჲვი წინადადებაჲ შემკრიეს მე აჰა სურკლთა მოჰხსენებად..." 58r—59r.

35. «დ. რეკტორის წერილი», „ნადილთა უწინარეს აღმოხდომილსა აღმოსავლით მიდრეკილსა მესამესა მენაკსა მზისა თანა მომოარსა და ქვენა სფერათა წალაკტთა თანა თავმოხრილსა, ქუფრმოსილსა სუნნელსა, ყოველთა ჩემთა სავონიათა ზეთთა საწყურთა უმუშრეველსსა.—ჶი, საცუფრო, თუ ვითა არაოდეს მომლოდე, გარნა იერლაყსა მიეგებოხჳე..." 59r—60r.

36. „თავადს ალექსანდრე ჭაჭაჲაძეზედ დავით რეკტორისაგან თქმული შაირი.—

მიწათა იევრისათა შენებრ არვინ არს შობილი..." 60r.

37. „დავით რეკტორისაგანვე თქმული იროიკო თავადს ალექსანდრე ჭაჭაჲაძეზედ, რომლისა კიდურწერილობა არს ეგეგვარ: (ალექსანდრე), ჭმა დ, სამსახეობა.—

აცუფრებს უცხოდ გონებისა ხედვასა..." 60r.

38. „დავით რეკტორისაგან თქმული ოთხტაეპოვანი შაირი.—მთოვარე მაშვენებელი საუუთოთ შემომწყარალია..." 60v.

39. „ესეც არის თქმული დავით რეკტორისაგანვე, რომლისა კიდურწერილობა შაირის თავს არს „მაია".—

მტილთა, ვარჯთა, ნარდიონი ქუფრ შროშანებრ მოელვარე.." 60v.

40. «დ. რეკტორის წერილი», „ქელმწიფეო მოწყალეო ანდრონიკოვ პაატა, უგანათლებულესსა მოკონებისა წარმოდგენასა პოვებითა ჰაზრთა უფროს ანთრაკთა უძკრიასესთასა..." 60v—61v.

შენიშვნა: წინ დართული აქვს დ. რეკტორის ცნობა: „თოფურ-ბაშა პაატას ღირსი ჰხსოვნისა დაეწერე და ეს ვეპისტოლე მიეჰსწერე ორის იაშმაკოთა, რომელსაც აქვე აგროსტიხედად წერილობა: „ესაწვალესსა ხედვასა აღსუფებელო და ცეცხლისა საკურველთა მჭსაბურთა მებრძოლთა ბანაკებისა უმთავრესო", 60v.

41. „პა[ა]ტას გიძღუნ ალექსის ძემან დავით, ჭმა დ. სამსახეობა.—
პაზიონ საქებ, ძიებით უფროს სარაცხ...“ 62r.

შენიშვნა: „იაბბიოს“ სტრაჭონის დასაწყისი ასოებით გამოდის: „პაატას გიძღუნ ალექსის ძემან დავით“.

42. [მარიბაბაშიძის წერილი], „მოწყალეს ღმდას და დედამთილს ევფემიას. — დამწუარი დეირისა საკმეველითა და დაუწრეტელისა ლტენისსა ცეცხლითა, კნინღა მშჯნეიერებათა განშორებული და ხილული შორის არცა მყუდრად და არცა ცოცხლად...“ 62r—64r.

43. «დავით რეკტორის წერილი», „მისს ბრწყინვალებას ანდრონიკოვს ანუ პროკონციათა ეთიოფიას ძეს, თოფჩიბაშს, ფრიად საკუთრად მოწყალეს პატრონს ანუ სხვას.—ჩემს მოწყალეს ჯერს გაკოცებ...“ 64r—65r.

44. [ლექსი დ. რეკტორისა].—
„წარბი უცხოდ მოემახა, ხალხი ეარდით ზანგს ისროდეს...“
65r.

45. «დავით რეკტორი, სიზმრის განმარტება».—
„რა გოჯებამან უბორკოდ მოარნის თვალნი არებსა...“ 65rv.

შენიშვნა: წინ დართული აქვს დ. რეკტორის ცნობა: „სიზმარი ნახა რომელმანმე, მე ცოდად შეეგდოთ: სიზმარი განმიმარტეთ ლექსითაო, და მე ამგვარად ის სიზმარი აღვუწერე და ასე გავლექსე“, 65r.

46. «დავით რეკტორი, ლექსი» „საყუარელზედ თქმული. —
წარბთა მეომართ მშვლდთაებრ სურვილის ისრით მასარეს...“ 65r.

47. «დ. რეკტორი, ლექსი» „სინეისფეითზედ.—
ტროფალებით დანალებსა გული მჭონან დალახვრული...“ 66r.

48. „დავით რეკტორმან ბეგუმის სახლს დავწერე.—
მსურველო, აჭა სამყოფსა ეახლე საწადილოსა...“ 66rv.

49. „ეს მზეჭაბუკ მდივანბეგ ორბელიანმა ჰთქვა, მანცა კედელზედ დაწერა ჩემად ქებად.—
სიბრძნის ტრფიალო, გწომისა გიქებ სიმდიდრით ქონასა...“
66r.

50. „ეს იოანე მუხრანბატონის დედას ბარბარას ამ შაირებთან დაეწერა.—
ორთა ბრძენთაგან შემკულა ტურფა სრა, თვალთა ჩინება...“
66v.

51. «ლექსი დ. რეკტორისა».—
ვით ინდისა ხე მწუხარე დღე ნათელთა ურინაროს..“ 66v.

შენიშვნა: ლექსს წინ დართული აქვს დ. რეკტორის ცნობა: „ჩემს მომწამთლავს ბეგუმს ხუთშვილ ქალაშვილს იოსებზედ“, 66v.

52. «დ. რეკტორი», „ფისტიკაური ქალაშვილს იოსებზედვე.—
„შენთვის მოხუცდა იგი საწყალი, ენახენ, ვის ჰჭონდა შავთეთრ-ჭრელია...“ 66v—67v.

53. „ბარბარეს ბეგუმის მაგიერად ჩემთვის მოეწერა პასუხად.—
მკვე შერთულს ჰგიობ, ჰაბუკო, კარგ ენავ, კარგ სახედაო...“
67r.

54. «დ. რეკტორისაგან თქმული», „ბარბარეს პასუხად მიეჯსუერე.— ნიშნი ერმისა ბუნებით მკრახ ტიალთა დაგვარა...“ 67r.

55. «დ. რეკტორისაგან თქმული», „ესეც მასე ბარბარას.— სოფელი ხვედრთა არ ძეიროს, არა შენ ცერძცა იარა...“ 67r.

56. «დ. რეკტორი საგან თქმული», „ესეც სინეისეფითზედ.— ჩილფნაშალა დაუშვენდა მანიაკით ბროლი ყელი... 67rv.

57. «დ. რეკტორი», „ზეკაბუჯზედ თქმული.— ბეჯ-მრუდ ფრაკოდ საარაკოდ...“ 67v.

58. «დ. რეკტორისაგან თქმული», „ჩახრუხაული, ესეც მზეკაბუჯზედ.— ბრძენ ჰაბუასა, ბაბაკუასა...“ 67v.

59. «დ. რეკტორისაგან თქმული», „სიეას მიესწერე სხუაზედ ხუმრობა.— გული ტრფიალი ეწია მაკ თუსა საწადილისა...“ 67v.

60. «დ. რექტორი, ლექსი».—კაცრი მკადრთა არა ღალად ბრძენ, ახოვან, ქველ ლომისა“... 67v—68r.

შენიშვნა: 1. ლექსს წამძღვარებული აქვს დ. რეკტორის ცნობა:

„ბატონიშვილმა გიორგიმ საუცხოო ჯადოკაი გამოშორთო, ცისნს დაჰპირდა, აღარ მოცა, ამ პირით მოუგონე, მაგრამ ჯერაც მოდის“. 67v.

61. «ყოსმის ღამს თქმული ალექსის ძის დავით რეკტორისაგან ანბანთქება.—აკრობს, ალავს, ასადარებს, აანორაკებს, აელეება...“ 68r—69r.

62. «დავით რეკტორისაგან თქმული ანბანთქება ფისტიკაურად საყვარელზედ.—

აფროდიტ ბადრებს გაესითა, დისკოთ ელვარებს ვარდი ზე ცერმეულად...“ 69r.

63. «დავით რეკტორის წერილი» „ბარაკვენის ღ[ა]ა ძლიერებამან აღამაღლოს სახელი შენი, აფრიკასა ლომო, უგანათლებულესო, ძისა მეფისა ძო ბატონიშვილო დავით!—ახალნი ეელაკნი ვჰპოენ და მინდორნი ჰამონი ყუავილთაგან პირად-პირადთა...“ 69v—70v.

64. «დ. რეკტორის იამბიკო». „დათხზვილს ურანოს ნაზიესა მკობილებას ეიშრომე...“ 70v.

შენიშვნა: იამბიკოს ეძღვის დ. რეკტორის ცნობა: „სოლომონ ქვაღაშვილს „დაეუჯდომული“ დავუწერე და ეს ანდერძად იამბიკო დაუწერე—ჩემი და მისი სახელი აკროსტიხულად“, 70v.

65. «მისს უწმიდესობას სრულიად აფხაზ-იმერთა კათოლიკოს-პატრიარხს, ყოველად მოწყალეს მეუფეს, უგანწმიდილესსა მაკსიმეს.— უმწვერვალესის სიტყვსა სიმდაბლითა...“ 70v—71v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „უწმიდესობისა თქუენისა თაყვანისმცემელი ალექსის ძე ალექსიური დავით“, 71v.

66. «დ. რექტორი», „გაბრიელ ჩემი ძმისწული რომ მიიცუალა, მაშინ შგლოვიარემან ვჰსთქვი.— დაებნელდი ხედუთ სოფლისა ეითარებით...“ 71v—72r.

შენიშვნა: ლექსი აკროსტიხულია.

67. «დ. რეკტორი», „ჩემს ძმას გიორგის მივჰსწერე.—
გლახაკთ შემწოსი მდიდარი შიშველთა
იგორებს ყოფად ნაჭნთაყე საკეთილოდ...“ 72r.

შენიშვნა: ლექსი აკროსტიხულია.

68. «დ. რეკტორი», „ვესაიონ გაბაშველს მივჰსწერე.—
საყვარო ძმაო, სულითო მეგობარო...“ 72r.

69. «დ. რეკტორი», იამბიკო.—
აოსი, რომელი არა შეზავებულ არს...“ 72r—73v.

შენიშვნა: ლექსს წინ უძღვის დ. რეკტორის ცნობა: „როდესაც მეტაფისიკა დავასრულე, კათოლიკოსმა ბეჟიის იესუს ძმამ დიდმან ანტონიმ მიბრძანა ენებასუდ იამბიკოს გაკეთება“. 72r.

70. «დავით რეკტორი», „წუხარებაში სხვას მივჰსწერე.—
დღეს თუალთა ცრემლი ჰრწყვიდენ უბეთა ჰკნირად...“
73v—74r.

შენიშვნა: სტროკონის დასაწყისი და ბოლო ასოები კნინად „დავით“-ს.

71. «დავით რეკტორი», „სამეფო ტომარი აღვჰსწერე და მისს ბოლოს ეს მოკაწერე აკროსტიხორად.—
დაეპთხზენ ველოვნებრ საქმენი გარეგანნი
არ შინაობით, ქნა სპეკალთ უძჯრფასეს...“ 74r.

72. «დავით რეკტორი», „იამბიკო.—
დედოფალ დედა, ასული დავითისი,
ალმსურ წილ-ხდომილთ ლტოლვილთა სიბოროტის... 74r.

შენიშვნა: ლექსს წინ უძღვის დ. რეკტორის ცნობა: „ტაბოლუ მთავარეპისკოპოსის წიგნი აღვჰსწერე იმთწვიდის მოხილვა მონასტრებისა“. იმ წიგნის თავს ლორიშმოსელი დავხატე პორტრეტისა და ეს იამბიკო დავუწერე, ჩემი სახელი დავით“.

73. «დ. რეკტორი», „ბატონისშვილებმა დავით და იოანემ ილაჯი გამიწყვიტეს, მზეკაბუკ მდივანბეგს აგვეარი იამბიკოები მისწერო, და ნიჭჰსწერე, წარმკითხველთა ჰსცანით...“ 74rv.

შენიშვნა: 3 სტროფიანი ლექსი მთლიანად გადაწერილია ავტორისავე ხელით.

74. „დავით რეკტორის თქმული.—გული თუ ჩემად იცია, რადლა გწადს ჴშირი ფიცია...“ 75v—76v

75. «დავით რეკტორი», „თოფით ქედანი მოვჰკალ და ეს შაირი იმაზედა ვჰსთქვი.—
თავთა თხემნი ლურჯს ღრუბელსა, მზე დამტვრეულს უცხოდ გვანდეს...“ 76v—78r.

76. «დავით რეკტორი», „იამბიკო იოანეს მიმართ ოსეს ძისა, ჩემი თქნული.—
იმეცენ სავსედ საგონთა სავსებითად...“ 78rv.

შენიშვნა: კიდურწერილობაში იკითხება: „ითანე", „დავით".

77. „ითანეს თქმული.—
ითხოვ თუ ვინ იქმნაო ესე მწყემსდედ
ორფეოსებრად სხვისა წარნაწერიაა..." 78v.

შენიშვნა: კიდურწერილობაში იკითხება: „იოანე" და „დავით".

78. «დავით რეკტორი», „დავითის მიერ ბესარიონის მიმართ.—
სულთა საწყაური, გულისა შენაყვარო,
გიძღუნი თუალთაგან ცრემლსა, ღვარად მოდენთა..." 78v

79. „დავითის მიერ ლეონის მიმართ იამბიკო. ლეონ და დავით.—
ლალისა ელვა ოქროვილსაჲ ნაღვაწი,
ლომო, ელვადა ოტაირიდებრსაა ნაყოფსა..." 78v.

80. «დავით რეკტორი», „ბესარიონ გაბაონს მიჭაშუტეს ეს იამბიკო აროსტიხეულად და ამას შინა არს ბესარიონ, ლეონ და დავით.—
ბრძენი ლიმენთა, ნუ ჰხდროებ, მყისად წარვედ..." 79r.

81. «დავით რეკტორი», „ეს იამბიკო კიდურწერილობითი ერისთვის დედას ქეთევნ ზედ ეჰსთქვი, ოდეს სამნი ძენი დავიოცენეს: ბეგლარ ერისთავი, დავით და აღაბაბა. ისიც, მჭურეტო, რომლისა კიდურწერილობა არს ესრე: სამთა ტირს ძეთა გოდებით ქეთევან ეტნისთ მოდებით.—
სამაგთოს ვიტყჳ, მისმინე, მჰსწერო, სავსედ
აჩრდილსა დღეთა მონასიზრმესა წარმავალს..." 79r—80r.

82. «დავით რეკტორი», „მგალობელი იესე. საფლავზედ დაეწერე.—
იქცა ბუნება ადამის ცთუნებისა..." 80r.

შენიშვნა: კიდურწერილობაში იკითხება: „იესე".

83. «დავით რეკტორი», „შალვას, დავით ერისთვის შეილს მიეჰსწერე, წიგნი მოეწერა. მამაზედ შაი ეცვა. კიდურწერილობა არს შალვა და დავით.—
შაენი ძაძანი ტანისა ელატ მფარად..." 80v.

84. «დავით რეკტორი», „დიდს „კათოლიკოსს ანტონის მოვახსენე, სავედრებელი მჭონდა.—
სულით წყუფრალთა შემცუარე მადლ საზეოთ..." 80v.

85. «დავით რეკტორი», „ორ სახელიანი ლექსი: იულონ და მიქელ მეუდრნენ და ეჰსთქვი ჟამსა სიყმისასა.—
იასრს უყორნებ, ლამპართა ორბობ ნაზადი მზიანი
80v—81r.

86. «დავით რეკტორი», „ფრანგის ქალი ენახე ბაღში და მაზედ ეს ლექსი ეჰსთქჳ.—
წალკოტსა მსჯდა ქალი ვინმე, ლაწი ეარდი, პირი მთვარე..."
81r—82r.

87. «დავით რეკტორი», „ბარათი.—
უე ჩემებრ გულ-სიღმისა მანათო, მთოვარეო, მოი და შენის შაყარდნისა თვალითა მიხილე..." 82rv.

88. «დავით რეკტორი», „ბარათი.—
გულისა ჩემისაებრ შაესა ჴანგსა თუმბუთურსა, ორ ენისა ქალდაისა გაწლობილითა..." 82v—83r.

89. «დავით რეკტორი», [ლექსი].—
„ვის ნაძუს გკიდავს ჩაბანდულნი,
სათად თხზულნი ღულარჭნილ გველნი...“ 83r.

90. «დავით რეკტორი», „ითანე მუხრანბატონის დედას ბარბარას მიჭმსწერე.—
დათხზუა ათინთა წმასწაია ხავებით შენდა არესა...“ 83rv.

91. «დავით რეკტორი», „საყვარელზედ.—
ხილფი სიტურფით გიშვენის ღულაბრის შეგრეხილობა...“ 83v.

92. «დავით რეკტორი», „ხმად თქმული.—
მოხდა ვითხოვე ვერ თქმათა, აწ მოვახსენებ ბოდიშით...“ 83v.

93. «დავით რეკტორი», „ქაიხოსრო მდივანბეგს უხუმრე მიწერით ხმად.—
ბაგეთა ლალად გილიმებს, მისთვის ხარ გაჭრილ ხელია...“ 83v.

94. «ქაიხოსრო მდივანბეგი», „ქაიხოსროს მოწერა პასუხად ხმითვე ჩემთვის:—
შენთა ლალთა სიბრძნესა უქებ შენისა ზრდისათვინ...“ 83v—84r.

95. «დავით რეკტორი», „ერთს ჰაზრზედან არის თქმული.—
გულისა თეთრმან შუქებმან პირთა მოშნათა ელვანი...“ 84r.

96. «დავით რეკტორი», „თქმული ერთს ჰაზრზედ.—
ამას სულთქმითა მტირალი ვსჩივი ბედთაგან, მაძს თავსა...“ 84rv.

97. «დავით რეკტორი», „ხუმრობით მიჭმსწერე დაბალი შაირი სხუათა.—
ვის გერიტორნეს, ბედითო, განკაზმით ლექსთა გვარები...“ 84v—86r.

98. «დავით რეკტორი», „სხვას მიჭმსწერე ეს ლექსი. მოწერა, მიჭმსწერე.—მწუხლთა სათერთა მოხრითა მომწყლეს საკუდაად ასერა...“ 85r

99. «დავით რეკტორი», „ლეონ ბატონისშვილს მოწერა ჩემთვის და პასუხად მიჭმსწერე.—ვარდ-რგულევან, ნორჩ-სხმულევან, ბუტკ ძკულევან, კაზმულევან...“ 85rv.

100. «დავით რეკტორი», „სხვას მიჭმსწერე პასუხად.—
გიშრისა ფშვილდმან უწყალოდ გულსა მალახერი ნასობით...“ 85v.

101. «დავით რეკტორი», „სარკეზედ დავაწერე ეს ლექსი.—
ეს სამყარო ვარდთა სიტყჳთ გამობრძმედაცა, ვით იქ ალი...“ 85v.

102. «დავით რეკტორი», „სხვას ვეეღრე ამ ლექსით, დამებსენ მეთქი.—
გიწერს ბრძენი შენიერად უმსგავსოსა საქმეს მოკლად...“ 85v.

103. «დავით რეკტორი», [ლექსი].—
„დანაკლდარი სეედითა გული რა დილეგს იგებს...“ 86r.

შენიშვნა: 1. ლექსს წინ უძღვის დავით რეკტორის ცნობა: „მეფე ერეკლე გამიწყრა, მტერთ უბრალო შემისმინეს. შემდგომად განთავისუფლებისა „სამეფო ტომარი“ აღვჰსწერე და მისს ბოლოს ეს მოვაწერე ორი შაირი მწუხარებან“, 86r.

2. ლექსი აკროსტიხულია.

104. «დავით რეკტორი», „ურვეული საწოლთა ვჰსჯე, გულთა სევდა მილამებდა. საგონებელთა რასამე ვიყავ და ესე ოდენ ვჰსთქვ ფისტა კაური.—

კაცთა გულისა თვალთა მძინართა დედანი თუსდად გააღვიძებენ...“ 86r—87v.

105. «დავით რეკტორი», „სხუანი ნოგონებანი წარმომიდგეს. მათ ფიქრთა გული ნაღვლით აღმიშფოთეს და ნაღულიანმან ესე-ოდენ მოვიოხენ რეული.—

საყუარელისა პირმთვარეობა, მოხდომით გაშლა, ვით არეობა...“ 87v—88v.

106. „დავით რეკტორისაგან თქმული ეგმსა სიყმისასა. — მზეო შვენიერო, ეთერის ცათა აღმოხდომილო და ყოველთა განმანათლებელო...“ 88v—89v.

107. «დავით რეკტორი», „დავით ბატონისშვილს უბრძე ამ ლექსით. მოუწერა, მიეუწერე. — ტანსა შეცრესა აროინეს, ვით ტატანი აღმოსავლეთ...“ 89v—90r;

108. «დავით რეკტორი», „ზმად გამოყვანილი. — სულისა ძალთა წამლებო...“ 90r.

შენიშვნა: სულ არის სამი ზმა. თითეული ოთხ-ოთხს ტაეპოვანი. პირველი ზმა იძღეგა: დარეულან, მეორე — სალომე, მესამე — ქეთევან.

109 «დავით რეკტორი», „დავით ბატონისშვილს მოეწერა ჩემთვის. მე ეს მივსწერე მაგიერი დარეულანზედ.—

მთიებისა ტბათა გარე მკვირად გულნი რად აგერა...“ 90r v.

110. «დავით რეკტორი», [ლექსი].—

„უფროინაეს თვალნი, გაჰსჭვირიეს ღაღნი, ღაწვთა ზედ ასხედს ინდურნი ხალნი...“ 90v.

111. «დავით რეკტორი», „საყვარელზედ ვჰსთქვი.—

სურვილისა უთმობლობა, ცეცხლის ალთა მოკიდება...“ 90v.

112. «დავით რეკტორი», „ესეც ჩემს საყვარელს მივჰსწერე.— ოთხთა შინა ერთის სტიხით მაქვს ეთერით ძღეულება...“ 90v.

113. «დავით რეკტორი», „ჩემს საყვარელს მივჰსწერე ბარათი და შიგ ჩაერთე შაირნი.—

არ დაჰსჯერდა ბედი ჩემი, ამას ცრემლით მტირალი ვიგლოვ...“ 90v—92r.

114. «დავით რეკტორი», „ბარათი საყუარელთან მიწერილი.—აწ მოვედ, ერმისა პირო, და გული ღამიანი შენისა საბროშნისა ელვარისა ლამპრითა განმნათლენ, და შენისა იაგუნდისა ფერთა ბაგეთაგან დაბათვრენ...“ 92r—93v.

115. «დავით რეკტორი», „საყვარელს მივჰსწერე შაირად.— ცისა სფერათა სიმგრგუნეთა ერთია აღმოსულება...“ 93v—94r.

116. «დავით რეკტორი», „დავით ბატონისშვილი მოეწერა ჩემთჳს შაირი ხუმრობით. მაგიერი ეს მ[ი]ქვსწერე.—სად ჰრე ჯგანი მსტრეენ, მუნცა დაგეცნეს ლეანი...“ 94rv.

117. «დავით რეკტორი», „ზმად: ნინია, რევაზ, დიმიტრი და გრიგოლ.—

წარბნი ნაიგით რხეულნი გულსა ლახვრიდეს დაღებით...“ 94v.

119. „იოვანე მდიანს ქობულოს მოეწერა პასუხად იგივე სახელნი ზმად.—

სიმართლის მშვლდი მოეზიო ან ერთი საქმე მიმფარდეს...“ 94v.

119. «დავით რეკტორი», „დავით ბატონისშვილს პასუხად მიჰსწერე. ხუმრობა მოეწერა.

სად სურვილთა დაუდგრომად გულთა შეჰკრებ საგანთ შინა...“ 94v.

120. „მუსტაზადი თურქთა ენათა ზედა სათქმელი უცხო და შეუნიერი, შესაქცევად საამო ჴუთ-ხუთეული, თქმული დავითის ალექსისძისაგან ქაძსა სიჭაბუკისასა მისისასა საყვარელზედ. მუსტაზადი არაბულია, ქართულად—გრძელი, რაც ხმად გაწყობილი.—

შე მოყვარეო, ხილფ-ნარევო, ნარდიონგველო...“ 95rv.

121. „მუსტაზადიე მისვე დავით ალექსისძისგანვე თქმული.—

გრგვინვით ციურნო, მოით მზიურნო, რა არს სმინება...“

95v—96v.

122. „ბატონისშვილი დავით გარდამეყიდა, სუდიაზედ მუსტაზადი ჰათქიო და მისი ვეყაცობა აქეო. მუსტაზადი თურქთა ენათა ზედა სათქმული, შესაქცევად საამო, თქმული ალექსისძის დავითისაგან. საჩივარი სოფლისა.—

ლახვარ-სობანი, დაგმობანი, ზეცნეს ტყუბითა...“ 96v—97r.

123. „დავით რეკტორისაგან თქმული თურქთა ენათა ზედა, როშელსა ეწოდების თახმისი, ქართულს შაირებრ ათექვსმეტ მარცლოვანია, და ერთი შაირი ხუთი ტაეპია,—ხუთ-ხუთეული იქნება. ხოლო თახმისი არაბული ლექსია, რომელ არს ხუთტრიქონიანი.—

მეოთხესა ცის მენაყსა სიტყუჯრი მზე რა ახე...“ 97v—98r.

124. „მისის მაღალ კეთილშობილების ალექსოვის ალექსისძის დავით რეკტორისაგან თქმული ხანუმ ჯან ხანუმზედ, ჰარბახანდა ჩეშმი მახტუნის ჴმაზედ.—

გიქებ თვალსა, ღაწუად ღალსა, ზედ შეყრილსა ჰინდურ სალსა...“

98rv.

125. „ალექსისძის დავითისაგან თქმული მუხამბაზი ლათაიური, ესე იგი გაკიცებითი, გინა გოობითი, უწოდებენ ევროპელნი კრიტიკას. თათრული ლექსია ლათაია.—

ნეტარ რას ამბობ შენ, ბრძენო, იალალი, იალალი...“ 99r—100v.

126. „ოთხ ტაეპში ნინა ზმად გამოუყენებია, დავით რეკტორის თქმული.—

მისნი ნარინჯნი კეკელა პერანგს ჰსჭვირს, სადა გველია...“ 100v—101r.

127. „შაირი დავით რეკტორისაგან თქმული.—

წალკოტად მფწველთა ყუავილთა დაედგნეს ფერად კარაული...“ 101r.

შენიშვნა: „შაირს“ წინ უძღვის დავით რეკტორის ცნობა: „ჰაბაჯსა ვისმე ქალი უყვარდა. ყმამან წალკოტიდამ ყვავილნი მოკრიფნა, შეყონა და მიართუა, უთხრა: ამაი შენი შეყნებიდამ მოეპარაესთ ფერებია. მე შეყპყარ, მოგართვი და გარდაეხედვენით, და უთხრა შაირი დავით რეკტორისაგან თქმული“, 101r.

128. [წერილი]. „ნაბყოსა ქრისტესი, სამყაროთა შინა იაკობისთა აღმოსრულისა და გიგიპტურებულისა სიტყჳრისა მთიებისა აწწყოსა ტომსა სახისა

შემმოსელო და ზეციერისა მეფტილისაგან ხატოვნებითა მისებრითა დატკურნულო, უგანათლებულესო გურიელის ძეო, ყოველად უმოწყალესო, ხელებსა შინა უსასურველესსა ეახტანგ.—ესოვანმან ზეფირმან სურვილად განმზადებულისა გულისა იგურდიეთა მარაკთა გარდმომცენარისა მალ-მჭეფარისა წყალთა სიყვარულისათა მობერვალმან..." 101r—102r.

შენიშვნა: 1. წერილის ბოლოს მიწერილია: „ქსნის ერისთვის გიორგისძე რევაზ", 102r.

2. წერილის დასაწყისში სინჯარით მიწერილია: „დავით რეკტორის თქმული", ტყუობა, რეჭვის დაკეთით დავით რექტორს დაუწერია ეს ბარათი.

129. [წერილი]. „მათს მაღალ ყოველად სანღდელოებას ქუთათელ მიტროპოლიტს, ყოველად მოწყალეს მეუფეს დოსითეოსს.—ტრფიალო უსამღუდელოესო ბუნებაო, რომელმან დაიწერე საღმრთოთა ცეცხლეჩრიეთა უსამდვლესნი დოღმატთა ხედჳსა თეორეტიკანი და გამოსახენ პირველსა შინა სხეულსა ნაკეერცხალნი პირველისა სხეულისანი..." 102r—103r.

შენიშვნა: 1. წერილის დასაწყისში, მარჯვენა კიდეზე მიწერილია: „დავით რეკტორის თქმული", 102r.

2. წერილის ბოლოს მიწერილია: „ქსნის ერისთვის გიორგისძე რევაზ", 103r.

130. [წერილი]. „არსთა სიტყჳთა პსიხისა მიმოძურათა მწყემსობის კენტროთ შემოსფერავსა და მარტიოსისა ოქიმათა შეუზავებელისა არეთ-ბითა გუამის ნათლითა მმართებელსა, მარტჳლისა კათედრათა მეუფებელ-სა ყოველად სამღუდელოს ჰყონდიდელ მიტროპოლიტს ანტონოსს.—სადა თითმან ზესთ არსების მქექჳიაგან და თჳს შორებით სიბრძნისა კალმით სა-გრილის მელანთა აღმოაწუნა..." 103r—105r.

შენიშვნა: 1. წერილი მიწერილია ქსნის ერისთვის გიორგისძე რევაზის სახელით.

2. წერილი დაწერილია დავით რეკტორის მიერ, ალბათ, შეკვეთით.

131. „ალექსის ძე დავით.—ბრწყინვალეო ერისთვის ძეო, მოწყალეო ჴელმწიფეო, მდივანბეგო ბეგან.—შემოსენივთარისა ურჩად ნაყოფთა მკუღლობის მწჳღდან უბადრუკების მარმენთა ორ პიროვანთა ისართა გარდააცუნა..." 105r—106r.

132. „ალექსის ძე დავით.—მისს კეთილშობილებას გაბაონს, მოძღუარის ძეს, საყვარელს ძმას და მეგობარს ბესარიონს.—ძალებრნი თან შეკრულებითისა სურვისა სანუკუნი გიანი აღმოძოწდებიან..." 106r—107v.

133. [წერილი]. „საყვარელთან მიწერილი.—მთოვარსა ცასა ზედა ახლად შობილნან სამფეროვნმან მწჳლდან და შეყრილნან ნარგიზის ტბის ისარმან..." 107v—108v.

134. „ალექსოვი ალექსისძე დავით რეკტორი.—ყოველად ღირსსა და სანატრელსა იერომონახსა და უსაწყურველესსა ძმასა იუდას იაკობისსა იოსტოსს.—მცალს თუცაღა მარადის, რათა პირველ განიმზადებოდეს შენ-თჳს შავნი წარწერანი..." 108v—110r.

135. [წერილი]. „მის კეთილშობილებას გაბაონს, მოძღურის ზაქა-რიას ძეს, მოწყალეს ჴელმწიფეს და სატრფოს, ძმას ბესარიონს.—მწუხარე-

ბამან ცრემლი, უბადრუკებამან გოდება და განწირულებამან სასოებათა წარკვეთანი დამაკვეთნეს...“ 110r—111v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „შენი უსაცთრესი ძმა და მეგობარი ალექსისძე დავით“, 111v.

136. «დავით რეკტორი», „ჰამბავი პირველი. შესაფალი შაირთა, რომელსა უბომბენ ცხოველ დიაკის უბედობასა, გალექსილი მდაბიოთა და უკაზმაყითა ლექსითა.—

მჰსმენნო, მოგითხრობ რასმე გულითა ამოს მბობასა,
ლექსთა ლიზღობით შემკობაც, ოდესმე სხუათა გმობასა...“
111v—115r.

შენიშვნა: 1. „ჰამბავი“ შედეგია: ა „აჰა ხბოს ჩამოვარდნა წყალთა პირსა, კლდეთ დაცემა და დაბნედა...“ 112r—113r; ბ. „აჰა ხბოს ბაღლა კლდეთაეე ატანა და მუნ ჰმღუჩა და გოდება ჯერეთ სულთმობრძავისა“ 113r—114r; გ. „აჰა მის დაცისაგან თვისის ხბოს გამოჭეტება და თქის კვლიაგანეე ყელის გამოკრა“ 114r—115r.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „მე რეკტორი, როდესაც ეს ვსთქვი, მაშინ ეიყავ წლისა ათ ექვსისეტისა. დავით“, 115r.

3. „ჰამბავს“ წინ უძღვის სინგეთით ნაწერი დავით რეკტორის ენობა: „ნაბის ქალი ბეგუშ მეუდრა, როდესაც ეწყწვილი ვიყავ, ძე ალექსისძეს დავითს, რადგან მისი მონათლული ვიყავ, უარი ეკეთა ჯუბარი. ჩემის სასახლის პირდაპირ, მტკვრის პირს, ქვრივს დედაკაცს ხბო ჩაბოლვარდა, კლდეზედ დაეცა და მოკვდა. სასაცილო იყო დედაბრისაგან ხბოსთვის თავში ცემა და ტირილი, ის შაირად მსთქვით და ვსთქვი“. 111 v.

137. „ოთხ ტაეპში რეას ადგილს ზმად ანა გამოყუანილი დავით რეკტორისაგან.—

საროდ მრხეო ზარიფანეე. კიპაროზო ნორჩო ტანეე...“ 115r.

138. „დავით რეკტორისაგან თქმული.—

არ სამარადნი ივი მტრფენი სატრფე უცნოდსა,
საწყუროსადმი ეწრთოსა, სადით წარმემბადისა...“ 115v—116v.

139. „ძილისშორისი ხილეა. ფებერვალს იზ, დღესა ოთხშაბათსა წელსა 1781.—მიშეინა მე, მაღალ ღირსსა არიმანდორიტსა სტეფანეს, და ეიხილე ხილეა ესე ძილისშორისი...“ 116v—118v.

140. „მისს მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობას, არხიეპისკოპოსსა სამეფოსა კახეთისასა და ოროთა სამთაეროთა საქართუელოსასთა და სრულიად იეერიისა კაკალთა შინა მცხოვრებელთა, პირად-პირადთა მეუფესა ერთა, დიდსა მწყემს-მთავარსა მისსა უდიდებულესობისა დიდისა ქელმწიფისა, სრულიად როსსიისა და სხეათა და სხეათა მპყრობელისა იმპერატორისა ალექსანდრე პირველისა ქელმწიფისა, იმპერატორისა პაეე პირველისა ძისა, პირეელისა კაცალეროვანსა ანნასსა. უგანწყდებელესსა მეუფესა დოსითეოსს უგალობ შესხმათა ამათ იროიკოთა დღეს ამას ყოვლად ბრწყინეალესა აღდგომისასა, რომელსა დღეს აღადგინა დაცეული კაცთა ბუნება ძემან დაჲ სიტყუამან ღ-ისამან ჯოჩქჭნილმან, კეთილმობილი, სამეფოსა კახეთისა მოძღეარი, სიბრძნით-მოყუარე რეკტორი აღქსოე ალექსიშძე, რეკტორი დავით. თითონ სტიხნი ხუთტაეპოვანნი და თუთეულნი ტაეპნი ათორმეტთა მარცუალთა მიერ გარეწერეულნი. ჴმა დ, სამსახეობა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ.—

სულისა ძალსა მთავარსა გონებასა...“ 119r—125r

შენიშვნა: 1. „შესხმა“ შედგება ორმოცი სტროფისაგან.

2. ტყჩსტის ბოლოს მიწერილია: „შესხმა დიდის პოეტისა პოეტისა დოსითეოსის მიმართ ალექსისძის დავით რეკტორის მიერ, თქმული ქალაქსა ტფილისს, სიმოროსა შინა აწ ნისხატსა, დღესა ალდგომისასა, წელსა 1818, თთესპსა აპრილსა, რიცხუსა თ. დავით რეკტორი“, 125r.

141. «დავით რეკტორი», „მისის სიმაღლის სრულიად საქართუელოს მეფის ირაკლის მეორის ძის ლეონისათჳს თქმულნი ათნი სიტყუანი იამბიკოდ. სიტყუა პირუელი: ეითარ იშუა ძე მეფის ირაკლისა ლეონ.— დასაბამ ღმერთი იყავნ ყოველთა თავად...“ 126r—140v.

შენიშვნა: 1. იამბიკოს წინ დართული აქუს დავით რეკტორის ცნობა: „ურჳეულმან გონებითა და მწუხარებამან ფრიად გულითა ვჰქმენ იამბიკონი ესენი ათთა შინა სიტყუათა, ჟუჟურადოსა და მდაბიოსა ლექსითა, ყოველთა მიმართ ადვილ საცნოდ და გასაგონად. ყოველთა აღნომცითხუსლთა უმდაბლესად მოვახსენებ ყოველთა მიმართ ღჳეირსი მონა აღქსისძე დავით. წელსა 1781, თთესპსა აჲვსტოსა 10, ქალაქსა ტფილისს“,126r.

142. «დავით რეკტორი», „დროჳანაა ღუღლაფია აღვჰსწერე და მისს ბოლოს ეს მოვაწერე. ანდერძი აღმწერლისა.—ეითადგან არარაჲ არს სოფელსა შინა უფროს სიბრძნის მოყუარებისა...“ 142r—143r.

შენიშვნა: დავით რეკტორის კრებულს ერთვის სანდებული, 145r—149r.

ანდერძი: 1. „თუმცაღა ამას ქარდა მოვალი იყო ჩემგან ზოგი ნუსხები და ზოგი სხვადასხვა თქმული, ზოგი დაკარგული წახდენასა ტფილისისა აღმაშენებლისგან ასტარბათელისასა, და ზოგი წმენდისებრივად შეურეხებელსა თავი კელთ არა მჭონდა და დამშარდა ყოველივე ჩემგან თქმულისა დაწერა. და რაცა დამიწერია, ეს ვამბავე, რათა წარკითხუოსნი ვინმე ვიპოვნა თავად თუმცა ოდეს ჯანრცელებითა თავი არა შესწუენოდა. მარტის 19. წელსა ჩაჭ, ქ[რისტე]ს[ა]ნ]ს ფი. მაღალ კეთილშობილი აღქსის ძე აღქსანი, სიბრძნის მოყუარე დავით რეკტორი“, 143v.

2. „მისსან ბრწყინჳალებამ სტატსმა სოფეტნიკმან და კაპალერმან თავადმან გიორგი თუმანოვმან სიბრძნე მე, რეკტორს დავითს, შჳენი ნათქუმები აღმწერეო. ესეც ბრძანების მისისა მორჩილმან, დაკარგულს ჯარად ოდეს მჭონდა, აღვწერე. ღმერთმან მწყალობისა და დღეგრძელობისა შინა მოამადროს, ამ ჩემგან თქმულებს სიძუელეც მე გადუკეთ. ყოველთა ამა წიგნისა მხილველთა და წარმოჰთხულთა მოსწყალებელ ვარ უმდაბლესი მონა და მოსაწყალე თქუენი რეკტორი დავით“, 143v.

(106) 106

თეიმურაზ II. ხარკე თქმულთა. 1821

141 ფ.; 32,5×21,5; ჭალადი; ხის ტყავდაკრული ტიტრული ყდა: მხედრული, სათაურები და დასწყისი სიტყვები სინაწერით: 1821 წ. X. 23 (127r); გადაწერილი— დავით რეკტორი (126r); დაუწერიაა: 1—16; 130—141 ფფ.

„დღისა და ღამის გამბაასება, თქუენი მეფის ერეკლეს ძის მეფის თეიმურაზისაგან, როგორი ჰქონია ცხებულ შემკულობად წელიწადსა ცხრისა თქუისა ამისა. აწ წიგნსა ამას ეწოდების ხარკე თქმულთა.— ვით ჭელ-ეყო აღმრვად სიტყუათა ვერ სიბრძნის ღრმასან
სწაელობით,
ვერცა ღრმად გამომეტყუელი, რა ტორებრ ენა შრაელთით...“
17r—126r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერში მრავალგან დატოვებულია ადგილები ილუსტრაციებისათვის.

2. ხელნაწერი გამოყენებული აქვს თეიმურაზ II თხზულებათა სრული კრებულის გამომცემელს გ. ჯაჯანიას (1939 წ. გამოცემა, გვ. XXV, I-ნუსხა).

3. დართული აქვს: „სძიებული წიგნისა ამის სარე თქმულთასა ესე არს..." 127r—129v.

ანდერძი: 1. „აღესწერე ესე წიგნი სარე თქმულთა მე, კეთილშობილმან ალექსოვმან ალექსის ძემან, სამეფოსა ქართა თესლის ქალაქის სენიორიის სიბრძნისმოყვარემან დავით რექტორმან თთრესა ოცდაშვიდსა, რიცხუსა 20, წელსა ჩჟკა, ქ(რისტე)ს ფთ". 126r.

2. „ვისთვნ ბრწყინვალებამ სტატსის სოვეტნიკმან და კავალერმან თავადმან გიორგი თუმანოვმან მიბრძანა ამა სარე თქმულთა წიგნისა აღწერა. შეეკ, ბრძანებისა მისისა მორჩილმან, აღვსწერე. ღმერთმანმ მშვიდობასა და ფუღრძელობასა შინა მოახმაროს უუნებლობასა შინა მეფლესა, ძეთა და ასულთასა. ამას წიგნსა დაწყებითგანვე სძიებული არა ჰქონდა და მე ვპოვეთე, კეთილშობილი ალექსოვი ალექსისძე დავით რექტორი". 129v.

მინაწერი: 126v.

(107) **107-ა**

სამართლის წიგნები. XIX

294 ფ.; 33×22; ლურჯი ქაღალდი: ტაფაგადაკრული მუყაოს ტყავიური ყდა; შიდერფილი: ბეჭედნიშანი 1819 წლისა (2 ფ.); დაუწერელია: 1—10 ფ., 36v, 37r v, 82r, 158v, 215r—217v, 721v, 221rv, 229rv, 245v—247v; 284v—294v.

1. „სამართალი მოსესი", „კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსეს ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან მოსე წიგნსა მეორე[ე] სჯულისაჲ და გამოსლვათასა. მცნება ღ-თისაგან. სამართალი მოსესი.—ჲ. მცნება ღთისაგან: თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა..." 73v—81v.

2. „სამართალი მეძულე", „ლევან ბრძენისა და კოსტანტინესი და სხვათა ჴელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება, სჯულის კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა, რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამასა შინა, მცირეიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოდეა.—ჲ. რომ მოხდეს და დადგეს კაცი ვინმე მსაჯულად სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად საჯელის წოდება, ამა წესითა და რიგითა ნუ განაგდებს..." 83r—134v.

3. „სამართალი სომხური", „ესე წიგნი არს დიდის სომეხთასა სამართლის წიგნთა ზედა გადმოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართლისაჲ..." 137r—214v.

4. „სამართალი კათალიკოზისა", „ჲ. სახელითა ღ-თისითა, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიაქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთისკ[ათალიკოზმან, მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი..." 218r—220v.

5. „დგეგის-დება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ", „ჲ. ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავდეგით დგება, განაჩენი ესე, მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან..." 222r—228v.

«სამართალი აღბუღასი», „შევიყარენით ჰოლთა მინდნობილნი ღ~თისაჲ და აწყურისა ღ~თისმშობლისანი და გაჭცევისა, დაეიდეგით წინ პატრონისა ჰაპისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენი და იგი ავრეე სრულებით და უკლებრად დავწერეთ...“ 230r—245r.

7. «სამართალი ბატონისწვილის ვახტანგისა», „მყოფისა უმყოფსა, არსისა და უარსისა დამაარსისა მჭები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მჭებელი და მრთნებელი, უდებად მჭონე მპოვნელ ეიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი-დღე მრეველნი ჴელთა მარგალიტთა შინა, და ჰპოვებენ მძიეთა რათმე...“ 248r—284r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. E. Такайшвили, Описание рукописей..., ტ. II, Тифлис, 1906—1912 წ., გვ. 616).

2. სამართლის წიგნებს წინ უძღვის: „სძიებული ვახტანგ VI სამართლის წიგნთა მეხლებისა“, 11r—70v.

(107) **107-ბ**

სამართლის წიგნები. XIX

652 გვ.; 33×20; ქაღალდი: მუყაოს ყდა; ხეხდრული; ჰვორნიშანი—1810 (611 გვ.); დაუწერელია: 40—48, 50, 239—240, 551, 552, 588,650—652 გვ.

1. «სამართალი მოსესი», „კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსეს ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან მოსე წიგნსა მეორე სჯულისასა და გამოსელათასა. მცნება ღთისაგან, სამართალი მოსესი.—ა. მცნება ღთისაგან: თავ უკაე მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან...“ 9—39 გვ.

შენიშვნა: მოსეს სამართლს წინ უძღვის: ა. „წიგნი სამართლისა, გამოკრებული მოსეს მიერ აღწერილთა სჯულთაგან და განცემული ქართველთა მეფისა ვახტანგ მეექვსისა მიერ წელთა შორის ჩნდ და ჩნდა“ (1 გვ.).

ბ. «წესიერალი». „დასაბამიდგანვე დამდებელმან სიტყუჟველთა ქუეყანასათანად და დამჭესულმან ცათამან, უფსკრულთა გამომცველველმან და სიღრეცეთა სიღულისათა გარეშემცველმან, ყოველთა არსთა და არაარსთა არსებად მომყვანებელმან...“ 3—8 გვ.

2. «სამართალი ბერძული», „ლეონ ბრძნისა და კოსტანტინესი და სხუათა ჴელმწიფეთა მიერ თქმული და გაწწესება სჯულისა, კანონი მეფეთა და სამართლისა მოსამართლეთათჳს, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განუგდოთ, არამედ ყოველივე ეიძინოთ და ეყოდეს.—როჲ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ეინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცად მას მსაჯულად სახელოსა წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს...“ 54—238 გვ.

შენიშვნა: „ბერძნულ სამართალს წინ უძღვის ტექსტის ხელით დაწერილი შემდეგი ცნობა: „სამართალი ბერძენთა, გარდმოღებული თქუი ენისა ბერძენთაჲსა ზედა ქამსა ქართველთა მეფის ვახტანგ მეექვსისასა და განცემული მის მიერ ერთადი ქართველთასა ქამსა ყოფნისა მისისა პატრონშეულად და განზედ ქართლისა წელთა შორის ჩნდ და ჩნდა“, 49 გვ.

3. «სამართალი სომხური», „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედან გარდმოთარგმული (!) და ეწოდების სახელი სამართლისა...“ 243—551 გვ.

შენიშვნა: სომხურ სამართალს წინ უძღვის: „სამართალი სომეხთა გარდმოღებული თვით ენისა მისგან ქართულსა ზედა ჟამსა ქართველთა მეფისა ვახტანგ მეექვსისა და განცემული მის მიერ ერთად ქართველთასა ჟამსა ყოფისა მისისა პატრიარქობისათად და განწმედ ქართლისა წელთა შორის ჩლგ დაჩლა“, 241 გვ.

4. «სამართალი კათალიკოზისა», „სახელითა ღთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველსა საქართველოსა კათალიკოზმან, პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან, მაჩათმთავრმან ევდემონ დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეფისკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 555—553 გვ.

შენიშვნა: „კათალიკოზის სამართალს“ წინ უძღვის ცნობა: „სჯული, დადებული იმერთა ერთათვის კათალიკოსთა მიერ ქართლისა, მალაქიასა, და აფხაზეთისა—ევდემოსისათა, კრებითა ღუ˘დღეშთაყრთა, ჭნელი წელთა შორის 1605 და 1610“, 553 გვ.

5. „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ.—ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან დაუდევით ძეგლი განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შეეყარენით მთიულთა შიგან...“ 567—587 გვ.

შენიშვნა: სამართლის ტექსტს წინ უძღვის ცნობა: „საქართველოს მეფისა გიორგისაგან, რომელსა ეწოდა ბრწყინვალეცა, რომელიცა განმეფდა წელსა 1318 და ემეფა ვიდრე 1346-დმდე“ (565 გვ.).

6. «სამართალი აღბუღასი», „შეეყარენით ჰოლთა მინდობილნი ღო˘ისანი და აწყურისა ღ˘თისმშობელისანი და გაქცევისა.—ა. დავითდევით წინა პატრონისა პაპის ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბეჭას განაჩენი და იგი აგრეცე სრულობით, დაუკლებლად დავსწერეთ...“ 591—649 გვ.

შენიშვნა: აღბუღას სამართალს წინ უძღვის გადმწერის შემდეგი ცნობა: „სჯული, დადებული სამცხეს ათაბაგისა ბეჭასი და ვიდ დართულ[ი] ძის მისა მისისა აღბუღა ათაბაგისა მიერ. ათაბაგი ბეჭა ცხოვრებდა წელსა 1361 ვიდრე 1391-დმდე, ხოლო ათაბაგი აღბუღა ცხოვრებდა წელსა 1444 ვიდრე 1491-დმდე, რომელთაცა ჟამრონიკონ[თა] შორის დადებულ არიან სჯულნი ესე მათ მიერ“, 589 გვ.

მინაწერი: 553 გვ.

(107) **107-გ**

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. 1809

119 ფ.; 20×15,5; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მბეჭდრული; სათაურები და მუხლის დასაწყისი სიტყვები სინგურით; 1809 წ. (101v); გადამწერი: ანდრია ალექსიშვილი (101v); ნოსკოვი (101v); დაწერილია: 32v—20r; 102r—119rv.

«ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი», „მყოფისა უმყოფისა, არსისა დაუარსისა ჩემისაებრ მჭებელი და მომნებებელი (!), უღებად მჭონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი-დღედ ნრეველნი ქუეყანა მარგალიტთა შინა

და ჰპოებენ მძიეთა რათმე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთაზდებენ საუნჯედ. პატიოსანთა შემკობით უპატიოსნედ მარგალიტად ჰყოფენ...“ 24r—101v.

შენიშვნა: 1. სამართლის მუხლებს აკლია 225 მუხლის დასაწყისიდან 237 მუხლის ჩათვლით, 259 მუხლის ბოლოდან 261 მუხლის ჩათვლით და 248—260 მუხლები.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Е. Такайшвили, Описание рукописей.. т. II, Тифлис, 1906—1912 гг. стр. 629—630).

4. ხელნაწერის დაუწერელ ფურცლებზე დაკრულია სერთაები რუსული ნაბეჭდი გამოცემებიდან.

ანდერძი: „წელთა 1809, ენკენისთვის ბ. აღიწერა სანეტფოს ქალაქში შინა მოსკოვისასა წიგნი ესე სამართლისა, მეფის ვახტანგისაგან გაგებული, ხელითა ალექსანდრიანისა ანდრიასითა. ვინცხე. მკითხველთ შენდობა მიბრძანონთ. ანდრია (ჩართულით)“, 101v.

(108) 108

ანტონი I, გრამატიკა. XIX

284 ფ.; 34,5×22; ქაღალდი; ტაეგადაკრული მუქაოს ტყავრული ყდა; მბეჭდური, სათაურები და დასაწყისი ასოები მთავრული; [XIX]; დაუწერელია: 1, 2, 9, 10, 200, 281—284 ფ.

[ანტონი I], „თქუ ქელოვნებისა ღრამატიკოსობითისა. ნაწილი პირუელი, რომელსა შინა მარტივად ნდებარე არიან თჳოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკასა მოწაფე-ჭნელთა. თავი პირველი. ბრუნეთათჳს სახელთასა. § 1.—რიცხუსა შორის ჩუენ მიერ განპსყოთა შემოყუანილნი ბრუნეანი სახელთანი არიან რუა...“ 11—280 ფ.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის ა. „შეცდომილება წყობისა ღრამმატიკასა, მიწერილი მოძღუართაჲ და მოწაფეთაჲ ღრამმატიკასითა, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოულისა ზემოასა სპარსთესლოსასა“, 3—4 ფ.

3. „პინაქსი ღრამმატიკისა“, 5—8;

2. გრამატიკის ტექსტი მთლიანად მიჩვეულია 1885 წლის გამოცემას (იხ. ჩართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონი I მიერ).

(109) 109

მარხვანი. XVI—XVII

431 ფ.; 26,5×17; ქაღალდი; დახიანებული; რუსტავირებული; ტაეგადაკრული ხის ტყავრული ყდა; ნუსხური, ორი სხვადასხვა ხელით ნაწერი (სათაურები სინგურით); [XVI—XVII სს.].

«მარხვანი». „კჳრიაკესა მეზუერისა და ფარისეველისასა [იწ]ყებიან მარხუანი. მწუხრად ო ღ ყა ზედა დასდებელი აღდგომისა ჳმისაგან და ყოველდ. ეჰა დბ ლი.—ნუმცა ეველაჲთ ფარისეველისაებრ, ჲ ძმანო, რომეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დაიდაბლდეს...“ 1r—431r.

წყდება: „... გამოუთქმელსა დიდებასა შინა თ'სსა..... საიდუმლოსა ახლისა ჰრქუა ზიარებად მათთა..." 431r.

შენიშვნა: ხელნაწერში ორი სტვდასტვა ხელი შეიმჩნევა.

შენაწერები: 1. „ჯ. ესე ნარხვანი წმინდის მღვდისმობილისა არის, ვინც ეს მოიპაროს, გაეწყრეს ამისი მადლი, ამინ". 71v.

2. „ჯ. ესე მარხვანი დაწერილი და წამებული იყო, მე, დ ი მ ი ტ რ ი დ ე კ ა ნ ო ზ ი ა შვილისგანვე, ვინც ეს წიგნთხოს, დღეგრძელობა ღმერთმან". 38v.

3. „ამა წიგნის წყაროი ავად გაჯე. ღმერთო და მარ[ხ]ვანისა ღ'სმობელო. წ[ოშიტვე] ჩემნი ცოდვანი, ამინ ქ[რისტე]" (ტექსტის ხელითვა). 294v. მინაწერებია აგრეთვე 54v-სა და 358v-ზე.

(110) 110

კრებული. XIX

143 ფ.: 11×16: ქაღალდი (ორი სხვადასხვა ფერისა); დაზიანებული; კიდეებშემოცვეთილი; ხის ტაკვედაკრული ტყავფერული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; [XIX ს.]

1. „ჩ ა რ დ ა ე რ ი შ ი ა ნ ი", „კონსტანტინეპოლის ხელმწიფის ამბავი, უმჯობესიათჳს თუ როგორ შეუწუხებული იყო.—იყო ხელმწიფე კოსტანტინეპოლის ქვეყანასა, მორჩმული და განმდიდრებული, ყოველს ქვეყანას საჴელგანთქმული..." 1r—56v.

2. „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ირაკლეს ძის მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქნა ცხებულ შემდგომად წელიწდისა ცხრისა თქმისა ამისისა. წიგნსა ამას ეწოდების ს ა რ კ ე თ ქ მ ე ლ თ ა.—

ა. ვით ჴელ-ჭყო აღძრვად სიტყჳათა ვერ სიბრძნის ღირსმან სწავლობითა,
ვერცა ღრმაგ (!) გამომეტყველი, რიტორებრ ენა მრავლობითა..."
57r—92v.

შენიშვნა: ხელნაწერში მოთავსებული „სარკე თქმულთა" გამოუყენებია თაეის გამოცემაში გ. ჯაკობაის (იხ. თეიმურაზ II. თხზულებანი სრული კრებული ვითარა ჯაკობაის წინასიტყვაობით, რუდაკიით, ლექსიკონით და შენიშვნებით. თბ. 1939 წ., გვ. XXIII).

3. „ქ ა ი ხ ო ს რ ო ჩ ო ლ ო ყ ა შ ე ი ლ ი, ო მ ა ი ნ ი ა ნ ი", „[დიდება] შენდა, დიდება, ღმერთო ყოველისა მპყრობელო..."

შენიშვნა: „ომაინიანის" ტექსტი მცირე სხვაობით ეწობეეეა გ. ჯაკობაის მიერ 1937 წ. გამოცემულ „ომაინიანის" ტექსტს. ჩვენი ხელნაწერის ტექსტი ნაკლულია, წყდება XIII თავზე.

2. სათაურებისა და სტროფების დასწყისი სიტყვების ადგილები დაუწერელია, ეტყობა, გადაწერის შემდეგ სინგურით სურდა მათი ჩაწერა.

4. [ნაწყვეტები „ქილილა და დამანადან], „არაკი.—ერთი დიდი ვაჭარი იყო მრავლის ქონების პატრონი, მაგრამ დიაღ ავი და გონჯი სანახავი იყო..." 115r—143r.

წყდება: „...ზოგი საქმეები არის, რომ მტერი მოკეთე შეეკნეს კაცსა, როგორც ვაჭრის ცოლმან ქურდის შიშით ვაჭარი შეიყვარა. ხელმწიფემ ჰკითხა: როგორ ყოფილაო?..." 143r.

შენიშვნა: 1. „ქილილა და დამანას“ ეს ხელნაწერი რუსულ ენაზე გადათარგმნილი გამოცემული აქვს აკ. ხახანაშვილს (იხ. Грузинский отрывок Калилы и Димны. Древности Восточные, т. I, вып. II, Москва, 1901). ამ ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე: აკ. ხახანაშვ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, მეორე შესწორებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ. 1945 წ., გვ. 244)“.

2. ქრებული აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. (იხ. Описание рукописей, ტ. I, გვ. 299—302).

(111) 111

ქრებული. XIX

104 ფ.; 21×16; ლერწამი ფერის ქაღალდი; ტყავგადაკრული ტყიფრული ყდა; მთელი; ჭვირნიშანი: 1823. წ.; [XIX ს.]; გადაწერა: იაკობ ჯალიაშ (103r).

1. „ისტორია ალექსანდრეს მეფისა მაკედონიისა და ყოველსა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოველთა სამხრეთისა და თუთმპყრობელისა მეფეთ-მეფისა.—იტყჳან ძედ ყოფად მისა მაკედონიისა მეფისა ჰილიპესა (!), არა არს და ცრუ არს, არამედ ძე არს იგი ეგჳპტის მეფისა ნექთიანაფისა ჰილიპეს ცოლისა დედოფლის ალიმპიადესაგან...“ 1r—56v.

წყარო: „...ესე რა ესმათ მაკედონელთა, ტირილითა ჰრქუეს მას: „მეფეო ალექსანდრე და ძლიერო პატრონო, უკეთუმც შესაძლებელ იყო...“ 56v.

2. ი ო ს ებ ტ ი ფ ლ ე ლ ი ს, „დიდმოურავიანი. კარი ა. ამბავი დიდის მოურავისა აქა დაიწყების ლექსსა შინა გამოჩენით გარდასავალი თჳსისა ცხოვრებისა.—

მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთველის ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით...“
57r—102r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ზუსტად მისდევს გამოცემულ ტექსტს (იხ. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი. გ. ლეონიძის რედაქციით, 1939 წ.).

2. ხელნაწერს ერთვის „სახიბელი“, 103rv.

ანდერძი: „დასასრული სახიბელისა. ა ვ ა ლ ო ვ ი მე ი ა კ ობ. განსრულდა, დიდება ღმერთსა“, 103v.

მინაწერები: 1. „1724-სა გადაბძანდა ვახტანგ მეფე ასტარხანს, იმავე წელს პეტერბურღის (!). და უკან იქცა 1737-სა კიდეც ასტარხანს და გარდაიცვალა იმავე წელსა დიდი ვახტანგ მეფე“, 11r.

2. „მეფე ერეკლე დაიბადა 1716 წელსა. კახეთის მეფობა მიიღო 1744-ს წელსა და ქართლისაც მიიღო 1762-სა წელსა, და გარდაიცვალა 1798-სა წელსა. ყოვრილი მეფე დაიბადა 1750 წელსა, მეფობა მიიღო 1798-სა წელსა, გარდაიცვალა 1800-სა წელსა“, 10v.

მინაწერები მოვიძიო ბანის: 35r, 102v.

(112) 112

ბაუმეისტერი, ლოგიკა. 1797

II+302 გვ.; 18×11,5; ქაღალდი; ქაღალდისავე ყდა; მთელი; ხათაურები მთავრულით; გადაწერა: ალექსისძე რეკტორი დავით (298 გვ); 1797 წ. (298 გვ.); დაუწერელია: I, II, 293, 294, 299—302 გვ.

[ბაუმეისტერი], „თავი პირველი. წინასიტყუა ფილოსოფიისათჳს და ნაწილთა მისთა, § 1.—ვინადგან აწ შროშა ჩუენი არს ამაჲ შინა, რათა ყო-

ველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განკარგენთმცა..." 1—222 გვ.

შენიშვნა: 1. ბაუმეისტერის შრომა თარგმნა ქართულ ენაზე ანტონი I.

2. „ლეგენდის" დართული აქვს: „პირველი ღირებულება. ნაწილი პირველი..." 295—297 გვ.

ანდერძი (გადაწერისა): „აღსწერე ღირსია ესე სანებოსა შენ ქალთისასა, ქალაქსა შინა თელავს, თჳთ თელავის ქალაქის სემინარიასა შინა, წე. ალექსის ძეზან და თელავის ქალაქის სემინარიის რექტორმან დავით. ხამცეთსა შინა პალატსა დასაბამითგან სოფლისა წელსა ჩქე. წელსა განბორკილებითგან სიტკჳსა ძისა ღ-ისა **ჩღნბ.** ხოლო ქართველსა ქრონიკონსა ზედა **ოჰე**, ზედადებსა ო, კეელ.ს შინა გ. ათცხრამეტ.ერსა ჲ. ბაუეარის მოქცევასა ო, ბზის მოქცევასა კე. ალექსის ძე რექტორი დავით". 298 გვ.

(113) 113

ანდრია კესარიელი, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების თარგმანება. 1801

53 ფ.; 21 × 17.5; ქაღალდი მოლურჯო ფერის; დაშლილი, დაფერცლილი, კიდეებშემოცვეთილი; ტყავგადაკრული მუყაოს ტიეტრული ყდა; მხედრული (სათაურები და აბზაცის დასაწყისი სიტყვები სინჯარით, ზოგ ადგილას მთარგლით); მომგებელი მღუდელ-მონახონ. იოსტო ანდრონიკოვი (53r); გადაწერა: დიბერტი (53r); 1801 წ. X. 4 (53r).

„წმინდათა შორის მამისა ჩუენისა ანდრია მთავარეპისკოპოსისა კაბადოკიელისა თარგმანება გამოცხადებისა წმინდისა იოანე ღ-თისმეტყუელისა, რომელი ჰსთხოვა სხუთამან ეპისკოპოსმან და მან მიუწერა ესე: უფალსა ჩემსა და ძმასა და ჩემ თანა-მღუდელსა უფლისა მიერ გახარებ.—მოვალთა მიერ მრავალგზის ვეგულე, რომელთა-იგი აქუნდა ჩემდა მომართ იქმი უზესთაესი ძალისა ჩემისა..." 1r—53r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგინეს ეკ.თხზულების თარგმანს (იხ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I,[2] თბილისი, 1941 წ., გვ. 577).

ანდერძი გადამწერისა: „სრულ იქმნა წიგნი ესე, რომელ არს გამარტება (!) გამოცხადებისა, რომელიცა მიბძანა ყოველად კეთილმან კაცმან და წერილისა ჩუენისა ზედაწერვითნი გამომძიებელმან მღუდელ-მონახონმან იოსტოს, ხოლო გუარით ენდრონიკოვმან, მე ფრიად და ნაწყვეტ-მოუფარესა და სარწმუნოსა მგოსნობრს. თჳსსა მღუდელ-მონახონს დიბერტის აღწერა წიგნისა ამის, თუმცა ქებისა უფასობა მაყენებდა, მაგრამ უწყუმრავლესსა სიყუარულსა მიაძელა, და ხხიღელთა მიერ ლილეთ მოკსენებაი ეთხოვე მცნებისათჳს ღ-ისა. წელთა 1801, ოქტომბრის 4", 53r.

(114) 114

ანტონი I, ფიზიკა. XVIII

IV+290 გვ.; 18×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიეტრული ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები მთარგლით; მთარგმნელი და შემდგენელი: ანტონი I (I ფურცელი); [XVIII საუკ. ბოლო]; დაფწერილია: IVrv.

«ანტონი I», „შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი. შესაველი, ანუ წინასიტყუაობაჲ. § 1.—ფილოსოფია ბუნებითი, ანუ ფისიკა არს

ცნობა ბუნებითთა ნივთთა, ესე იგი ყოველსა მის, რაჲცაღა არსებისაგან და თჳსებისა სხეულთასა ყოფად შესაძლებელ არს..." 1—259 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ბოლოს დართული აქვს თორმეტ ნაბეჭდი ტაბულა წახაზებით.

2. ხელნაწერს წინ ერთვის: „პინაკსი ფისიკისა", IIr—IIIr.

3. ტექსტს წინ უძღვის ანტონი I წინასიტყვაობა: „ანტონის მიერ პრიხისკოპოსისა წინასიტყუობაჲ ფისიკისა ამის წიგნისმეცხრისა.—შემდგომად მეცნიერთა სუეტლენ წერილთამოყუარეთა და უფროსად სიბრძნისმოყუარეთანი, რაჲთუ წინასიტყუობაჲ შეუბამი აქა დადებად, ვითა დაფენებულმან გარეგნოებითგან საჭიროთა, გერ უძლე. ვინათგან ესმოქმე ხელოვნე, ვითათჳნეც გარეგნებითაგან საჭიროთა ვითა დაცენებულმან წინასიტყუობაჲ აქა დადებად ვერ უძლე. ამისთჳს თანა-მაცს განესადებად, თუ რაჲთენი იყუნეს საჭიროთნი იგი დაფენებანი: მგზაურობა ბანელისადჲი, რომელსაცა მონარხისა მინართ დიდითა-რე თხოვითა მიეცემიხუ.

გარდამოვიღე წინამდებარეჲ ესე ბუნებითი ფილოსოფია საკმარად სწაელის მოყუარეთა რუსთა სამოქალაქოჲსა ენისაგან ჩ^ნაა ხედა ენასა ხოლო საკმარად ესთა. გუშინ წუელს 1762. თთუესა დეკემბერსა 26 შეყრებელ ვიყუნით სახლსა ვისმე ხათჳსჳსა ჩ^ნინასსა, სადაცა ითჳე ესაუბნე, ვითარმედ ფისიკა გარდაქცეულ კაცსა შეშნარიტებისაგან ცნობისა, ხოლო ღჳანწყელელსაცან ვიწმე და, უფიდესი ვჰსთქუა, ტკჳრსტუსმოყუარესან მიეცა ხანა. უმეცარნიო ფისიკისანი მხაჲს არიან ბრძანთა, ხოლოდ ნივთთა წინაშეგნებარეთა ჲელითა ოდენ განძილულნი და ნგრძნობელნი შეიებითა ოდენ ნივთისანი და ვერ სადმე მცნობელნი შეახუთჳთანი. ხოლო ხელოვნენი ფისიკისანი არიან ვითა მხედველნი და არა შეიებითა ოდენ ჴგრძნობელნი ნივთთანი, რომელნიცა არა რაჲთენი მხაჲნითი ფისიკოსობისთა გარდაიქცეულ შეშარიტისაგან ცნობისა.

არს ფისიკასა ამას შინა ანბანი, რომელიცა გუეცნობებს ჩ^ნ ცნობასა არისასსა, გჳრგჳნთა და მაცთურთა ჱხეთსა და ნიჩიდუასა წყლისასა მთოუარია მიმართ, და ესე დაღეთუ არა ადვილ არს, მაგრა ნაკუნთნი დაბატუნენი ბოლოს წოჭისა ადვილად შეჲუსწაელებენ.

გარდამოვიღე ფისიკა ესე სხეთა და სხეთა ევჳსთთაგან შემკრებელმან მით, რაჲთუ ყოელფიოსისჯანსა სიტჳებასა სოფლისასა მიერიდე. ხოლო მეუფესა ამას სამეცნიერთასა უბრწყინესსა, უხილავსა, მხოლოსა, პრძანსა უფლისსა ათტიკი და დიდება უკუნით უკუნისამდე. ამინ". Irv.

(115) 115

მითოლოგია. XIX

26 გვ.: 21×16,5; ქაღალდი: დაფერცლილი; ნაკლული: ტყვეობადაკრული მეცამეს ტეტრული ყდა: მხედრული; (XIX ს.).

„შეყუანებილება მეტაფიზიკისა საზოგადოდ. თავი I.—მეტოლოგია ანუ ძეწლი ხლაპარსიტყუობა, არს მოთხრობა ერთობითს ნივთთა და ბუნებითთა მოქმედებათა ღ^თად აღსარებულთა ძველთა წარმართთაგან..." 1—26 გვ.

წყებაჲ: „...მ. მაესილოი, რომლისაცა საფლავი არს ერთი ზჳდთაგანი ღირსი ჴსოვნისა, რომელნიცა აღაშენა თავისა თჳსისათჳს საფლავი დიდითა წარსაგებელითა და ნივთთა სიმძიმითა ზედა და უყუეთა რომელნიცა მდებარე არა შესაცალთა მორევთა მიერსა..." 26 გვ.

შენიშვნა: 1. ნაშრომში ანბანზე დალაგებული და განმარტებულია სხვადასხვა მითოლოგიური ამბები. ტექსტი წყდება ასო მ-ზე.

(116) 116

ახალი აღთქმის საკითხავები. XIII—XIV

172 ფ.; 18×14; ეტრატი (შიგ ჩართულია მოგვიანო ხანის ქაღალდის 3 ფურცელი (61,116 და 117 ფფ.)); ნაკლული; ტყავგადაკრული ხის ტეფრული ყდა (შიგნიდან ჯვაროკრული აქვს ძველი ქსოვილის დახიანებული; ნესხური, სათაურები სინგურით; [XIII—XIVსს.].

[ახალი აღთქმის საკითხავები]. „... და ჰრქუა: ავსე! უფალო, ყოველთა ზაკუეთა და ყოველთა მანიერებითა, შვილო ეშმაკისაო, და მტერო ყოველისა სიმართლისაო, არა დაასცხრე... ქცევად გზათა უფლისათა წრფელთა ..“ 1r—101r.

შენიშვნა: ფართული აქვს: „განკებაჲ თუსთა წელწდისთჳს საკითხავეთთჳს დღითი-დღედთა წ-თჲსა და საუფლოთა დღესასწაულთა წდ-ბისათჳს დაალიფია ფსალმუნისა“ (101r—172v).

მინაწერები. 1. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდველი ა ბ ლ, ამენ“. 23r, 64r, 168v.

2. „ღმერთო შეიწყალე მ ი ქ ე ლ“, 34r.

3. „[ი ო ა ნ ე ს ა რ ა ბ ი ძ ს ...სა მისა მეუღლეს [გ უ ლ ქ ა ნ ს ა შეუნდეენ ღ-ნ“, 40v.

4. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდველი დ ა ვ ი თ, შამა მისი ი ა ს ო ნ, დედა მისი ტ ა ნ უ ხ ს, ამენ“. 44r.

5. „სოლსა ა ბ რ ა მ ა ს ა და მისისა მეუღლისა ე ლ [ი ს ა ბ ე თ ს შეუნდეენ ღმერთმან...“ 46r.

6. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდველი დ-ნ ა (!), ამენ“. 63v.

7. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდველი დ ა ვ ი თ“, 170r.

8. „ჳ. ღმერთო, შეუნდე მისი ცოდვანი ა ნ ა ს ტ ა ს ი ა ს“. 166r.

9. „[ს უ]ლსა ა რ ა ბ ი ძ ს ა ე ს ა ი ს, მისა მეუღლეს ა ზ ი ფ ა რ ს შეუნდეენ ღმერთმან“. 169v.

მინაწერები: 5v, 15v, 16r, 23v, 24r, 27v, 39v, 40r, 61v, 84v, 91v, 92r, 93v, 121v, 133r, 134v, 137r, 138v, 149v—151v, 158v, 170v, 171v.

(117) 117

ფსალმუნი. XVII—XVIII

52 გვ.; 19×13,5; ქაღალდი თანამედროვე (აკლია 4 და 5 გვ. შეა.); ტყავის ტეფრული ყდა; ნუხბური, სათაურები სინგურით; [XVII—XVIII.].

[ფსალმუნი]. „... შინა შენსა სრულად. ლოცვაჲ სამგამისა. ფსალმუნი დავითისა, ავ.—ისმინე, უფალო სიმართლისა ჩემისაო, გელრებასა ჩემსა...“ 1—52 გვ.

(118) 118

კრებული. XIX

32 ფ.; 31,5×16; ქაღალდი მოლეწილი ფერისა; ნაკლული; დაშლილი; მუყაოს ყდა; მბეჭდილებ; გადაწყვრი: დიაოკი ბაჭარია (30 v); ჰეონიშანი 1820 წლისა.

1. „ქ ა ი ო ს ო რ ო ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, მ ი ჯ ნ უ რ თ ბ ა დ ე.— „ჭ. აწ დაეიწყოთ თქმა ამბისა, თუმც[ა] სულნი შეპრებიან, გითხრა, რაცა გულსა ჩემსა დიფარული იდებიან...“ 1r—11r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. 42 სტროფიდან პოლიმდე ტექსტი მისდევს ვამოცემას (იხ. ანთოლოგია, ტ. II, რედაქტორი ია ეკალაძე, ტფ. 1928 წ.).
2. ტექსტს აკლია პირველი ოთხი თავი (შდრ. S—1511, 111r—117v).

2. „ქ. თქმული ლექსი სამიწურნი (!), რომელსა ეწოდების ეშხი ხონია.— ჩაბრუნებული.
ქ. ზანბახის პირი, მნახავთა ჰირი, კეკლუცს მახე წარებით...“ 11r—19r

შენიშვნა: მისდევს S—1511 ხელნაწერის ტექსტს.

3. „ქარი პირველი ნარგიზოვანისა.—
ქ. Ჱე საყვარელო, შენის გონებით
ხილ ვარ მინდორსა თაეის ღონებით...“ 19r—26r

შენიშვნა: ტექსტი სრულია, მაგრამ თავების თანმიმდევრობა არ მისდევს ნაბეჭდ ვამოცემას (იხ. „ნარგიზოვანი“ აღ. ბარამიძის რედაქციით, ტფ. 1936 წ.).

4. [ლ ე ქ ს ი].—„ალმართნა ბროლნი სვეტისა, რა მზემან ნახა, იამა, უფუურკუნელსა(!) ვარდსა კოკობსა ჯვართა შეედგა, შეისიამა...“ 26rv.
5. „ხილთა ქებაჲ.—უყურებ ხილთა ქცევასა, რისა ანბისა მოქმელია, ფერ-შეწონერი, ძირ-წვრილი ცოტახან მდგომელია, უხუცესი და პირველი მარწყვი მიწას მდგომელია...“ 26v—28v.
6. [ლ ე ქ ს ი].—„სიყვარულისა პარ-მოვარეობა, მოხდომით გაშლა, მით არეობა,
კვიპაროზისებრ ტან-სარეობა ნაძვისა, ზანბახნი ვარდთ ნარეობა...“ 28v—29v.
7. [ლ ე ქ ს ი].—„არა გიცნია და აქებ, ესე ვით მოგიგონია, მრავალთა ეამთა განხრიკე, თუ ვითა სავარელნია...“ 29v—30r.
8. [ლ ე ქ ს ი].—„ნორჩნი, ახალ სანუკვარნი, ვაი დაზრდეს აწ უდაროდ, სიყმის ვარდნი დამერთვილნეს, გაჭსე (!) ყოველთა საწუდაროდ...“ 30rv.

შენიშვნა: კრებულის ბოლოს სხვა ხელით დართულია სასიყვარულო წერილის ნიმუში. იწყება: „ჰაჲ, თვალთა ნათელო ჩემო! ხედნისა ჩემისა წამალო, დაწყრუნებელისა გულისა ჩემისა. ჩემისა მკერდელო, ჩემო სი[ა]ცოცხლეო ცხოერებაჲ...“ 31v—32v.

ანდერძი: „მე ფრიად ცოდეელმან და უღირსმან დიაკონმან ზაქარიამ დავწერე წიგნი ესე მიჯნურთა ბაღი. რომელმაც წაიკითხო წიგნი ესე და შეცთომა პოვოთ ენით, ნე გეწყინეს, არამედ ლოცვით მომიხსენებდეთო, და თქუენცა მოგიხსენოთ უფალმა ჩუენმა იგით ქრ[ისტე]ს მეორედ მოსულობა უკუნისამდე, ამინ“. 30v—31r.

(119) 119

მხითარ სებასტიელი, რიტორიკა. XVIII

374 გვ.: 18,6×12; ქაღალდი; დახეიძებული; შეყავის ტყიფრული ყდა; მზედრული; სათაურები და აბზაცების დასაწყისები ასომთავრული; [XVIII]; დაუწერელია: გვ. გვ. 15—18; 355—356; 363—374.

„თჳს ჴელოვნებისა სარიტოროჲსა (ესე იგი სამჴევრმეთქუაჲსა): წიგნი ა. თჳს საზღურისა სამჴევრმეთქუაჲსა და წუალებისა ნაწილთა მისთჳსა. თავი

ბ.—მჭევრმეტყველობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჴელოვნება საკეთილმეტყველო. ითქმის ჴელოვნებად, რომლითა ეზიარების სხუათა ყოველთა ჴელოვნებათა. ითქმის საკეთილმეტყველო, რომლითა სხუათაბს სხუათაგან ყოველთა ჴელოვნებათა..." 19—354 გვ.

შენიშვნა: 1. წინ ღმერთის: ა. თავფურცელი 1 გვ. (თავფურცლის ტექსტი იხ. S—48 ხელნაწერის აღწერილობის შენიშვნაში). ბ. „წინასიტყუაობა—ეპისტოლე, მიწერილი ანტონი მიერ არხიეპისკოპოსისა ყოველისა საჭართველოსისა დავითისა-ბაგრატიონისა ირაკლის მიმართ..." 2—14 გვ. (ტექსტი იხ. „Н კოლექც. ხელნაწერთა აღწერილობა" I ტ. № 256; გვ. 183—184).

2. „რიტორიკის" ტექსტს დართული აქვს „პირველ-სიტყუაობა სარიტორისა ჴელოვნებისა..." 357—362 გვ.

(120) 120

კრებული. 1794

412 გვ.: 21 : 18: ჭაღალდი; ზეყაოს ყდა: მხედრული, სათაურები მთავრულით; მეორე ნაწილში სათაურები ჯუფებად სინგარით: გადაწერა: პატრე ბოძღვარი და მისი ძმა გიორგი (202 გვ.): 1794 წ. (202 გვ.): დაუწერელია: 203—206; 410—412 გვ.

2. „პ ა ე ქ რ ო ბ ა გინა ბაასი, უფლისა თეოფილაქტე ეპისარხოსისა და არხიერის ფილარეტისა რაოდენთამე შენიშნებათა ზედა უფლისა ა ნ ს ი ლ ი ო ნ ი ს ა ა ღ ნ ა ქ უ ს ს ა შინათა. I. სიტყუანი აქაონისნი (პირველსა განჰსჯისა მესამესა პუნქტსა შინა).—ყოველადობა წარმოდგენათა და ანუ, უმჯობეს თქმად, ყოველნი მყოფნი და არსნი გარეგან ჩემსა პოებულნი და ჩემზედა არადამოკიდებულნი, ერთითა უკუე სიტყჳთა სოფელი...“ 41—114 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა 1823. VI. 18. თანაწყრო გარდმოწერილ იქმნა მღუდელს დ ი მ ი ტ რ ი ო ქ რ ო ძ ე ს ა გ ა ნ“, 19 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(143) 143

სჯულის კანონი. XI

204 ფ.: 19×15; ეტრატი ნაკლული (აკლია თავში, ბოლოს და შიგნით); აკრავს ტყავის ტვიფრული ყდა (ტყავი გადაკრული ყოფილა ხუნ. რომლის ნაწილი ამგამად მთლიად ზემო ყდაზეა შერჩენილი); ნუსხური; სათაურები და აბზაცის დასწყისები ასომთავრულად, სინგურით; მთარგმნელი ეფთვმე (94 r; გადაწერი ბასილი (176 v); მომგებელი: ზაქარია ვალაშკერტელი (94 r); ხელნაწერს გააჩნია თავსამაგალები 94 v, 149 r, 173 r.

1. «მცირე რჩულის კანონი შეექუსისა კრებისა» „...ცხო იყავე პატივისა მისგან, უკეთუ მონაზონი ანუ ერის კაცი იყოს, წყეულსა ქუეშე იყავნ..“ 1r—94r.

> **აწდერძი:** 1. მთარგმნელისა—„რომელნიცა ამას რჩულის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცესა მომიხსენით გლახაკი ეფთვმე, რომელმან ეთარგმნე ესე ბერძულისაგან ქართულად, ამენ იყავნ“, 94 r.
>
> 2. გადამწერისა: „უფალო იესუ ქრისტე, მფლობელო ყოველთაჲ არსთა და სუეტებათაო, ადიდე შენითა წარეგებელითა დიდებითა ბერსა სასუფეველსა წმიდაჲ მამად-მთავარი ზაქარია ვალაშკერტელი“, 94 r.

2. „კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანეს მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისა, რომელსა მ მარხველ ეწოდებოდა.—უწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოვანე მმარხველი ყუანაჲსკენ იყო უფროს ყოველთა მათ, რომელთა რჩულს კანონისა წესნი აღწერნეს...“ 94 v—117 v.

> **შენიშვნა:** 1. ეს შრომა გამოკუნძულებულია, იხ. Н. А. Заозерский и А. С. Хаханов. Номоканон Иоанна Постника. Москва 1902, стр. 2—92.
>
> 2. ხელნაწერს ამ ნაწილში შუა აკლდება ასლა, რახედაც მოეთითებს თ. ეორდანიას მინაწერი: „აჴ ბეერი ასლა, სახელდობრ 4×8=32 უფრ. ანუ 64 გვერდი“, 114 v.

3. „ეფთვმის განმარტებაჲ.—რაჲ არს შეტირებაჲ და მსჯენელთა თანადაუსებაჲ და ქუე-დავრდომით ეევრებაჲ და მორწმენეთა თანა-დგომაჲ და ღრის-ყოფაჲ სიწმიდისაჲ. შეტირებაჲ ესე არს: ოდეს შეცოდებული იგი დგეს გარეშე კართა ეკლესიისა და შემაცლთა ეკლესიად მორწმენეთა შეუერდებოდის ლოცვად და ეევრებოდის მისთჳს...“ 117v—118v .

> **შენიშვნა:** ტექსტის ბოლოს სინჯურით მიწერილია: „დიდებაჲ შენდა, ქრისტე მეუფეო დიდებისაო, დაწერეს რჩულის კანონი ყოველთა განგებითა. იესუ ქრისტე, ადიდე ზაქარია მამად-მთავარი“, 118 v.

4. „ძეგლის წერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლეს შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელ-ესე წარაკითხვის სოფიაწმიდას პირველსა კვირიაკესა წმიდათა მარხვეთასა.—წინასწარმეტყუელთა ქადაგებულისაგან დამტკიცებულნი და წმიდისა სახარებისა ბრძანებათა დამორჩილებულნი ვდღესასწაულობთ დღესა ამას სატფურებისა და განახლებისა სარწმუნოებისა ჩუენისანი... 118v —133 v.

> **აწდერძი** მთარგმნელისა: „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთვმესთჳს, წერა ღ'თისანო, რომელმან ესე ეთარგმნე ბერძულისაგან ქართულად, ამენ იყავნ“, 133 v.

5. „თქმული წმიდისა ბასილისი კესარიელ მთავარეპისკოპოსისაჲ მარტჳლისა მწუხრი.—ვითარცა ცხრაჲ ვამ იყოს, დღე კჳრაკე წმიდისა მარტჳლისაჲ, დაჰრეკონ ჟამსა და შევიდენ და იწყონ მწუხრისა ლოცვასა...“ 133 v—143 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ასომთავრულად, სინჯურით მიწერილია: „იესუ ქრისტე, ადიდე ხატჳრია მამად-მთავარი შენწიროთა დიდებითა“, 148 r.

6. „რაცხჳ დასაბამითგანთა წელთა ბერძენულბრ, რომელი გამოგჳთარგმნა წმიდამან მამამან ეფთჳმე.—ადამისითგან ვიდრე ქრისტეს ნოსლვაღმდე...“ 148v.

შენიშვნა: ბოლონაკლულია.

7. „წესი და განგებაჲ სატფურებისაჲ, რომელ არს ჳრთხევაჲ წმიდისა ცკლესიისაჲ, რომელი თარგმნა იოანე ენისაგან ნეტარმან ეფთჳმე.—პირველ დღისა ერთისა სატფურებისა მოვიდეს ქადაგი მღდელთმოძღურისაჲ ანუ სხუაჲ მღდელთაგანი, რომელიცა მიაელანოს, და მიიყვანნეს მარმარილოჲსა მოქმედნი, და ტრაპეზი ოგი საკურთხეველისაჲ დაამყაროს..“ 149r—163 v.

ანდერძი: „დიდებაჲ ღმრთისა, დაცხრილეა კურთხევაჲ წმიდისა ცკლესიისაჲ, ლოცვა ყოვთა მამისა ეფთჳმესთჳს, რომელმან ესე ბერძულისაგან გჳთარგმნა ქართულად. იესუ ქრისტე, ადიდე ხატჳრია მამად-მთავარი ორთავე შინა ცხორებათა“, 163 v.

8. „კურთხევაჲ წიგნის მკითხველისა და ფსალტისა, რაჟამს ეპისკოპოსი ჟამისწირვად დადგეს შემოსილი].—მოიყვანონ მღდელთა წიგნის მკითხველად კურთხევად იგი და სიმრავლე თმათა თჳისა მისისათჳს აღკეცონ და ფილონი გარდააცუან...“ 164 r—166r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ასომთავრულად სინჯურით მიწერილია: „ქრისტე, ადიდე ხატჳრია მამად-მთავარი ზეცისა სასუფეველსა“, 166 r.

9. „კურთხევაჲ მთავარდიაკონისაჲ ესრეთ არს.—შემდგომად აღსრულებისა საიდუმლოთაჲსა და განლებისა კართაჲსა ვიდრე ახლა ეთქუას დიაკონსა...“ 166v—169v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ასომთავრულად, სინჯურით მიწერილია: „ესოი ქრისტე, ადიდე ხატჳრია მამად-მთავარი ჲჳ და სუეტნესა, ა˜ნ“, 169 v.

10. „კურთხევაჲ ხუცისაჲ.—დადგეს ეპისკოპოსი ჟამისწირვად წესაებრ და ოდეს სიწმიდე შემოიყვანონ და სიწმიდისა გალობაჲ აღასრულონ...“ 170r—173r.

11. „კურთხევაჲ ეპისკოპოსისაჲ ესრეთ წეს არს.—შევიდეს პატრიარქი ჟამისწირვად და ვითა თქუან ფსალტათა „წმიდაო ღ˜ო“ საფსალმონეთა ზედა და აღასრულონ გალობაჲ იგი...“ 173r—176v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დიდებაჲ შენდა, იესუ ქრისტე, სრულებაო ყოველსა კეთილთაო, რომელი მიანიჭებ საწადელსა მოშიშთა სახელისა შენისათჳს, ა˜ნ. ლოცვაჲ ყოვთა ცოდველისა ბასილიჲსჲ“, 176 v. (ეფიქრობთ, აქ მოხსენებული ბასილი გადაწერია).

12. „განგებაჲ მათ ზედა, რომელთა მიაქუნდეს დიდი სჯემაჲ[1].—წინა დღით მწუხრსა სამონაზონოჲ ჩასაცემელი ყოველი და სჯემაჲ და დუჭარდი აღსაელსა საკურთხეველისასა დადვას მღდელმან...“ 176v—204v.

წყდება: „და იწყონ შემოსად საკურთხეველისა, ძმანი ამას იტყოდიან... შეიმოსეთ...“ 204 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი გამოცემისათვის აწერილი და გამოყენებული აქვს ჭიაბერიძის და ხახანაშვილს (იხ. Номоканон Иоанна Постника. Москва, 1902 г. 94 стр.) ხელნაწერს დაწერის თარიღი არ მოეპოება. ხემოხსენებულ გამოცემაში კი იგი 1031 წელს გადაწერილად არის მიხსენებული. აწერილი აქვს აგრეთვე პროფ. ილ. აბულაძეს—ქართული წერის ნიმუშები, თბილისი, 1949 წ. გვ. 308.

(144) 144

მცირე სჯულის კანონი. XVII—XVIII

342 გვ.: 14×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტყიერული ყდა; ზნედრული, სათაურები სინგურით; გადაწერა: გიორგი (319 გვ.); [XVII—XVIII]; დაუწერელია: 320-33. 2, 3. 320.

1. „ჩრ̃ულის კანონი, ახლად თარგმნილი წმიდისა მამისა ჩ̃ნისა ეფთჳმისი. წესი და განგებაჲ და რ̃ულის კანონი მეცხესისა კრებისაჲ ასსაეოცდარვათა წმიდათა მამათა, რომელნი შეკრბეს კოსტანტინეპოლეს, ახალსა ჰრომსა, კოსტანტინე ღ̃ის მსახურისა მეფისა ზე, ძის წულესა ისა ჰერაკლე მეფისა. იყვნეს წინამძღუარ კრებისა მის: აგათონ პაპაჲ ჰრომისაჲ და გ̃ი პატრიაქი კოსტანტინეპოლესაჲ და თეოფანე ანტიოქიისაჲ და სხუანი იგი ღმერთშემოსილნი, დბ̃ა ღ̃ა...“ 5—206 გვ.

2. კანონი შეკრებულთანი, აღწერილნი ნეტარისაჲ მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა ეწოდა მშჳნველ.—უწყებულ იყვენით, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მშჳნველი უკუანასკნელ იყო ყოველთა მათ, რომელთა რ̃ულის კანონისა წესნი დაწერნეს...“ 206—244 გვ.

შენიშვნა: 1. ეს ტექსტი გამოკვლეულებულია (იხ. И. А. Заозерский и А. С. Хаханов—Номоканон Иоанна Постника, Москва 1902 г. стр. 2—38).
2. სათაურის შემდეგ მიწერილია: „წერილსა შუენდენს ღმრთისმ̃ან ამისსა“ (906 გვ.).

3. „კანონნი შეცრებულთანი განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მჱმარველისა მიერ კოსტანტინეპოლელ პატრიარქისაჲ.—ყუელთ გისმე შეემთხჳნენ ბუნებითნი ცოდუანი...“ 244—300 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოკვლეულებულია (იხ. И. А. Заозерский... გვ. 58—92).

4. „წესი, რომელი აღესრულების აღმსარებელსა ზედა თჳსთა ცოდუათჳსა.—პირველად შეიყუანოს იგი მღუდელმან ეკლესიად და დაჰკრძალნეს...“ 303—319 გვ.

[1] აქ ასომთავრულად, სინგურით მიწერილია: „იესუ ქრისტე, ადიდე ხაჭარია“.

5. „უწყებაჲ ცხოვრებისათჳს.—მომყვანებელ იქმნების სულიერი იგი მამაჲ მათი, რომელთაცა რისა ერთბამად ჯ(ე)რ-უჩნდეს ცხოვრება...“ 321—336 გვ.

შენიშვნა: დართული აქვს რუსული სიტყვები ქართული ტრანსკრიპციით და მნიშვნელობით 337—340 გვ.

ანდერძი: „ამისსა წერაულსა ურიად ცოფელსა გიორგის და მისთა ბანაქშოპელთა შეეხებოდნეს ღმერთმან. ვინცა ბოძანოთ, თქუენცა შეგიწყალებენ ღმერთმან, ამენ და კირიელეისონ“, 319 გვ.

მინაწერები: 1. „ძეუფალო, მრავალმოწყალეო ქალწულო, ღირსო დამტკუნეულო, შენ ფიცრ დაგიშვებ(!) პოოტია და ვიწყუა კეთილთა მე, ცოდვილი სამწყალო ია(კობ. და შენ მიპყარ მარჯუენე მოწყალებისა შენისა, ოდეს სჯიდეს ძე შენი მართლისაჯულებით ყოველთა კაცთა და მიაგებდეს საქმეთა მათთაებრ“, 4 ვგ.

2. „ესე შემწეობერი წიგნი საკეთოება პილიევეკტოს ჭრიე. კარბელოვისა. ჩაჭ. წელსა, იანუარის თ დღესა“, 1 გვ.

3. „ღ“რის სიყუარულისათჳს შენდობაჲ უბრძანეთ ცოდვილს მღვდელ-მოსაზრონ დომენტის ჭიკანაძეს. თქუენცა შეგიწყნის ღმერთმან, ამენ“, 336 გვ.

(145)

145

იოანე დამასკელი, კატეღორია. 1799

244 ფ.; 22×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტეიფრული ყდაჲ მხედრიანი, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით; ვადამწერი: დავით რეტორი (227 v); 1799 წ. (227 v); დაწერილია: 228—244 ფფ.

[იოანე დამასკელი, კატეღორია]. „მყოფისათჳს არსებისა და შემთხუმეთისათჳს. თავი პირუელი.—მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა. ესე უკუე მყოფი განიკუთუების არსებისა მიმართ და შემთხუმეთისა...“ 5ვ—227v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „ყოველად ღირსსა და ღ“რივ პატივცემულსა მამასა კოსმას ეპისკოპოსსა მაიუმისასა იოანე უმდაბი.—წიგნისა ვიდრეცა გონებისაჲსა და ღუთიურებასა ვინაჲ ჩემისაჲსა მეცნიერსა მეორედ, ჲ, სანატრელო, ქნელ-ჰყოფად უაღრესთა ძალისა ჩემისა...“ 3ვ—4v.

2. ხელნაწერს კიდეებზე აქვს დავით რეტორის შენიშვნები.

3. ხელნაწერის ტექსტი წარმოადგინა არსენ ეპისკოპის თარგმანს (იხ. ს. გორგაძე, იოანე დამასკელის მთავარი თხზულება... ქართულ მწერლობაში“, მიმდინარეველი, I. 1926 გვ. 173—194).

ანდერძი: „რაჟამს შეიქუეხოდა გაემართე, რჯტორი დავით, ოქტომბერის კ, წელსა ჩ[ღთ, ქ“კს უჟზ“, 227 v.

მინაწერება: „წიგნი ესე ეკუთჳის იეროსინე ალექსიეს“, 3ვ.

(146)

146

იოანე სინელი, კლემაკსი. XVIII

110 ფ.; 17×16; ქაღალდი, დაზიანებული; ნაკლული; დაშლილი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდაჲ; მეცრუტი, სათაურები და აბზაცების დასაწყისები ასომთავრული, სინგურით; [XVIII ს];

[იოანე სინელი, კლემაკსი].—“... თავი მეორე.
ზჩრუნუსლ ვის თ უყოფიეს აქ თავი
ზენა აქათ ზ ესე ამაღლუებულ არს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ ტროფია ლამის აღურენას ზენა,
უხარის სატრფო-ორპობს, ზეობს ქუშეთრთ.
ნეტარ არს საქე და ბ რძნებრთა ესე ქმნათათჳს...“ 3—110 გვ.
წყდება:„... ეჱრებისცა მჳრნალსა ესე გვარი...“ 110 გვ.

შენიშვნა: 1. შეიცავს თავებს ცეროდან 30-მდე.
2. „კლებანქსი“ ანუ „კიბე“ გალექსილია იოანე პეტრწის მიერ. (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1941 წ., გვ. 263).

(147) 147

საქრისტეანო მოძღვრება. 1822

III ფ. 86 გვ.; 17,3×11; ქაღალდი; ნუსხა: ხშირული; ხელმწერი: ალექსანდრე ჩიქოვანი (66 გვ.); 1822 წ. (66 გვ.); დაწერილია: I—III ფ.; გვ. გვ. 74—81, 83, 85 და 86

„ნაწილი ა. საქრისტეანო მოძღუარებისა თავი პირველი.—
კით. ვინ დაგბადა შენ?
მიგ. ღმერთმან.
კით. რისთჳს დაგბადა შენ ღმერთმან?...“ 1—63 გვ.

შენიშვნა: 1. საქრისტიანო მოძღვრება შედგება 3 ნაწილისაგან.
2. ე რ თ ვ ი ს: ა. „შეიდღის ლოცვა. სიხვილითა მაძისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.—ტუალი, აღაბუნ პირი ჩემი, რათა ჭკადლობდე წმიდასა სიხელსა შენსა...“ 67—73 გვ.
ბ. ცნობები ქართული წელთაღრიცხვის შესახებ 63—64 გვ.

ანდერძი: I. „ესე წიგნი აღიწერა თავადი ალექსანდრე ჩიქოვანისა მიერ. ა. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ძჱ დავსწერე სულისა ჩემ სარგებელი და, მჱთხველნო, ღ“ისა მოიხსენეთ კეთილი მოსაგებელი. ბ. გთხოვთ ეგდარებით, რომ მაღორსით შენდობა და ლოცუა თქუენი“, 64 გვ.
2. „აღიწერი ამა საქრისტიანო მოძღუარებისა თავადი ალექსანდრე ჩიქოვანი, წელსა 1822-სა, თუესა დეკემბერისა, რიცხუსა 22-სა, ხოლო ქართულსა რიცხუსა“, 66 გვ.

მინაწერები: „1. საქრისტიანოთ ცნობილი ამბავთა ღ“ისა კაცთანი.
შესთმა ღ“ისა და წმინდათა და გარდახდომა ქორთანი.
კათოლიკეთგან ნათლუაში, ქცუა ბროლულთა მჱპირთანი.
და მაინის ჲთსა სრულ იქმნა, უნი პირი და ჯდის ბანი.
2. გიორგის ძემან დაჱსწერე წიგნი ესეა.
ასთის კაცს უნდა მიუყიდო, ვინც გულთა უდიდესია,
უჯგარო კაცსა იკითხოს, არ არის ამის წესია,
და ვინც ფასის ფეხა იკითხოს, მანეთი გამინწესია.
3. მყიდელს მოხმარდეს სალხინოთ, სწყალობდეს წმინდა მწესა,
ჯამს მწათობისაგან წაკითხვა. ვინ მხისგან ეტკობესია,
ბრწყინვალეს ცელით გაშალოს, ნუ ჰქონ ლალს ჰფენდეს წესია,
და სირინოზის ქნით იკითხოს, მსმენელთეის ტკბესია“, 65 გვ.

მინაწერები: 82, 84, გვ.

(148) 148

ქართული გრამატიკა. XIX

74 გვ.; 21,5×16; ქაღალდი: მუყაოს ყდა; ხელმწერული; პეტერბურგში 1818 წ.; დაწერილია: 62—70 გვ.

„ქართული ღრამმატიკა. §1. ღრამმატიკა არს ჰსწავლა ენელთმძღუანველი კანონიერ უბნობისა და მართლ წერისადმი. § 2. ღრამმატიკა განყოფების სამთა ზედა ნაწილთა. 1. ეტიმოლოღიისა(!) ზედა, ესე იგი ლექსთ წარმოებასა.

2. სინტაქსა ზედა, ესე იგი ლექსთ თხზულებასა.

3. ორთოღრაფიასა ზედა, ესე იგი მართლწერასა...“ 1—61 გვ.

მინაწერები: 71. 74 გვ.

(149) 149

კრებული. 1754

44 ფ.: 10×7,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტყიურული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; გადაწერა: თეიმურაზ II (44v): 1754. XII.. 27 (44v): დაწერილია: 24v—26v.

1. „ქ. გალობანი ღთის მშობლისანი. დაუჯდომელისა გალობა ა. ჴმა დ.— ზღვა უვალი. წიგნად სიტყჳსა ღთ'ისა სულიერად სულისა მიერ წმიდისა დაბეჭდულად გიხილა დიდებულმან ძალთა მთავარმან და ჴმა ყო...“ 1r—24r.

2. „ქ. გალობანი აღსარებით შეერდომთნი ყოვლისა მონანულისანი, თქმული ბაგრატიონისა დავით მეფეთა-მეფისანი. გალობანი გ. გ'ი წამის ყოფითა.—რომლისაცა წინაშე ქედ-დადრეკილ არს ყოელი მუხლი...“ 27r—44r.

ანდერძი: „ანდერძი მწერლისა მეფეთა-მეფისა დავით აღმაშენებელისა მიერ თქმული[ა]სა. ამას მე, ტოში მისი, მეფე თეიმურაზ ვსწერ კულითა ჩემითა. სრულ იქმნა დეკემბერსა კბ. ქრისტეს აქეთ ჩლნგ“, 44v.

(150) 150

სადღესასწაულო. XVII—XVIII

542 ფ.: 11×8,5; ქაღალდი: ნაკლული; ტყავგადაკრული ტყიურული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVII—XVIIIს.]; დაწერილია: 10r-v; 29r-v; 47v; 92v; 98v; 256 v; 279v; 360v; 365v; 372v; 282v; 396v; 417v; 426v; 441v; 453v; 469v; 473v; 478v; 486v; 506v; 521v; 529v.

1. „... შენითა, მფ'Ო, შემოსრულსაცა წელსა უნებლად დაგჳცენ, ყოველად ძლიერო...“ 1r—3r.

2. „თუესა სეკდენბერსა ე. წმიდისა წინასწარმეტყუელისა ზაქარიაჲსი, ნათლისმცემლის მ'ისა. უფალო წ'ყჲ. ჴ'ჲ, დ...“ 3v—7v.

3. „თუესა სეკდენბერსა ვ. წმიდისა მთავარანგელოზის მ'იქაელ ი...“ 7v—9v.

4. „თუესა სეკდენბერსა ზ. შობაჲ ყოველად წმიდისა ღ'ის მ'შობელ ისა...“ 11r—18v.

5. „თუესა სეკდენბერსა თ. წმიდათა და მართალთა იოვაკიმ და ა[ნ]ნაჲ...“ 19r—22v.

6. „თუესა სეკდენბერსა იგ. სატფურებაჲ წმიდისა ქრისტეს აღსადგომელისა და წინადღე ამაღლებისა...“ 23r—28v.

7. „თუესა სეკდენბერსა იდ. ამაღლებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ და დაძინებაჲ წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲ...“ 30r—42v.

8. „თუესა სეკდენბერსა ივ. დიდისა მოწამისა ევფემიასი...“ 43r—47r.

9. „თუესა სეკდენბერსა კ. წმიდისა და დიდისა მოწამისა ევსტათისი მეუღლითურთ და შვილთა მისთა...“ 48r—51v.

10. „თუესა სეკდენბერსა კგ. დადუმებაჲ ზაქარიასი და მუცლადღებაჲ იოანე ნათლისმცემლისა—ვჰაჲ დ...“ 52r—57v.

11. „თუესა სეკდენბერსა კდ. წმიდისა პირუელ მოწამისა თეკლასი...“ 57v—61v.

12. „თუესა სეკდენბერსა კვ. მიცვალებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მახარებელისა და ღ[ა]რს მტკუელისა იოანესი...“ 62r—69v.

13. „თუესა სეკდენბერსა ლ. წმიდისა გრიგოლი პართეველისა მღდელ-მოწამისა, სომხითის ეპისკოპოსისა, და წმიდათა ქალწულთა დედათა რიფსიმესი და გაიანესი...“ 70r—73r.

14. „თუესა ოკდონბერსა აქუს დღე ლა. დღეთა აქუს ჟამი ია. და ღამეთა გამი იგ. თთუსა ოკდონბერსა ა წმიდისა მოციქულისა ანანიასი და ღირსისა რომანოზ მგალობელისა...“ 73v—78r.

15. „თუესა ოკდონბერსა ბ. წმიდისა მღუდელმოწამისა კჳპრიანესი და წმიდისა მოწამისა იოსტინასი...“ 78v—82r.

16. „თუესა ოკდონბერსა გ. წმიდისა დიონოსი არიოპაგელისა...“ 82r—86v.

შენიშვნა: აქ ტექსტის ბოლოს ასომთავრულად ხუთჯერ მიწერილია: „ქრისტე, შეიწყალე მწალობელი პეტრე“. 86v.

17. „თუესა ოკდონბერსა ვ. წმიდისა და ყოვლად ქებულისა თომა მოციქულისა კ[ა]დ...“ 87r—92r.

18. „თუესა ოკდონბერსა იე. წმიდისა მოციქულისა ლუკა მახარებელისა...“ 93r—98r.

19. „თუესა ოკდონბერსა კგ. წმიდისა იაკობ. ძმისა უფლისაჲ, ვჰაჲ დ...“ 99r—103v.

20. „თუესა ოკდონბერსა კვ. წმიდისა და დიდებულისა მთავარ-მოწამისა დიმიტრისი...“ 104r—117r.

21. „თუესა ნოენბერსა ა. წმიდათა უქრთამოთა მკურნალთა კოზმან და დამიანესი. განგებაჲ ყოველივე იელის ა ჰპოო...“ 117v.

22. „თუესა ნოემბერსა ზ. კრებაჲ ძალითა მთავრისა მიქაელისა და სხუათა...“ 118r—129r.

23. „თუესა ნოენბერსა იბ. წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე მოწყალისა...“ 129r—132v.

24. „თუესა ნოენბერსა იგ. წმიდისა იოანე ოქროპირისა მიცვალებისა. ნაცვალი ვჰაჲ ა...“ 133r—144v.

25. „თუესა ნოენბერსა იდ. წმიდისა ფილიპე მოციქულისა...“ 144v—149v.

26. „თუესა ნოენბერსა ივ. წმიდისა მათე მახარებელისა...“ 150r—153r.

27. „თუესა ნოენბერსა ია. წმიდისა გრიგოლი საგვირველთმოქმედისა...“ 153r—157v.

28. „თუესა ნოენბერსა კა. ტაძრად მიყვანებაჲ წმიდისა ღ~თის მშობელისა...“ 158r—166r.

29. „თუესა ნოენბერსა კდ. წმიდისა დიდისა მოწამისა ეკატერინესი...“ 166r—170r.

30. „თუესა ნოენბერსა ლ. წმიდისა მოციქულისა ანდრიასი...“ 170r—173v.

31. „თუესა დეკენბერსა დ. წმიდისა მოწამისა ბარბარესი და წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა...“ 173v—179v.

32. „თუესა დეკენბერსა ე. წმიდისა მამისა ჩუენისა საბასი...“ 180r—185v.

33. „თუესა დეკენბერსა ვ. წმიდისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მღდელთ მოძღურისა მიჰრონ-ლუკიასი...“ 186r—191v.

34. „თუესა დეკენბერსა თ. მუცლადღებაჲ წმიდისა აბრაამი...“ 191v—195v.

35. „თუესა დეკენბერსა იბ. წმიდისა და საკჳრველთმოქმედისა მამისა ჩუენისა სუერიდონისი...“ 195v—200r.

36. „თუესა დეკენბერსა იგ. წმიდათა მოწამეთა ევსტრატი, ავქსენტი, ევგენი და მარდარი და ორესტისი და წმიდისა ლუკასი...“ 200r—205v.

37. „თუესა დეკენბერსა იზ. წმიდისა წინასწარმეტყუელისა დანიილისი და წმიდათა სამთა ყრმათა ანანია, აზარია და მისაელისი...“ 205v—222v.

38. „თუესა დეკენბერსა კ. წინადღე ქრისტესშობისა და წმიდისა ეგნატისი...“ 222v—237v.

39. „თუესა დეკენბერსა კე. განწმაცხოველებელი შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი წმიდისა ქალწულისა მარიამისგან...“ 238r—251r;

40. „თუესა დეკენბერსა კზ. წმიდისა პირველ-მოწამისა სტეფანესი...“ 251r—256r;

41. „თუესა იანვარსა ა. წინადაცუეთა უფლისაჲ ჩუენისაჲ იესუ ქრისტესი და წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი...“ 257r—263v.

42. „თუესა იანვარსა ბ. წინადღე განცხადებისა და წმიდისა სილიბისტრო პრომთო პაპისა...“ 263v—279r.

43. „თუესა იანვარსა ვ. წმიდაჲ ღ~ისა გამოცხადებაჲ უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესი...“ 280r—297v.

44. „თუესა იანვარსა ზ. წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა...“ 297v—301v.

45. „თუესა იანვარსა ია. წმიდისა მამისა ჩუენისა თევდოსისი...“ 301v—305v.

46. „თუესა იანვარსა იდ. წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოსი...“ 305v—307v.

47. „თუესა იანვარსა ოვ. თაყუანისცემაჲ პეტრე მოციქულისა ჯ~უთი...“ 307v—311v.

48. „თუესა იანვარსა იზ. ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონისა...“ 311v—315v.

49. „თუესა იანვარსა იᲅ. წმიდისა ათანასე დიდისა...“ 315v—319 v.

50. „თუესა იანვარსა კ. წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳესი...“ 319 v—325 r.

51. „თუესა იანვარსა კბ. წმიდისა მოციქულისა ტიმოთესი და წმიდისა ანასტასია სპარსისა...“ 325—330 v.

52. „თუესა იანვარსა კე. წმიდისა გრიგოლი ღუთის მეტყუელისა...“ 331 r—334 v.

53. „თუესა იანვარსა კზ. ნაწილთ აღმოყუანებაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისა...“ 334 v—337 v.

54. „თუესა იანვარსა კᲅ. წმიდისა ეფრემ ასურისა...“ 338 r—340 v.

55. „თუესა ფებერვალსა ბ. მიგებებაჲ უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესა...“ 341 r—350 r.

56. „თუესა ფებერვალსა ᲅ. წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე სტრატილატისა...“ 350 r—353 r.

57. „თუესა ფებერვალსა ი. წმიდისა მღუდელ-მოწამისა ელასისი...“ 353 r—356 r.

58. „თუესა ფებერვალსა იზ. წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე ტირონისა...“ 356 r—360 r.

59. „თუესა ფებერვალსა კდ. თავის პოვნა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა...“ 360 r—365 r.

60. თუესა მარტსა თ. წმიდათა ორმეოცთა სევასტიას წამებულთა...“ 366 r—372 r.

61. „თუესა მარტსა კე. ხარებაჲ წმიდისა ღᲀის მშობელისა...“ 373 r—382 r.

62. „თუესა აპრილსა კგ. წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისი...“ 383 r—391 v.

შენიშვნა: ტექსტის ამ ნაწილში 384 v-ზე კიდეზე ასომთავრულით მიწერილია: „ჴერმანოზ“, 385 v-ზე—„ჯოზნან“.

63. „თუესა აპრილსა კე. წმიდისა და ყოველად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მარკოზისი...“ 392 r—395 r.

64. „თუესა აპრილსა ლ. წმიდისა იაკობ მოციქულისა, ძმისა წმიდისა იოანე მახარებელისა და ღᲀის მეტყუელისა..“ 397 r—400 v.

65. „თუესა მაისსა ბ. ექსორიობისაგან მოქცეულჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ათანასე ალექსანდრიელისა...“ 401 r—405 v.

66. „თუესა მაისსა ვ. წმიდისა და ნეტარისა იობ მართლისა...“ 406 r—409 v.

67. „თუესა მაისსა ია. წმიდისა მამისა ჩუენისა პახუმისი...“ 410 r—412 r.

შენიშვნა: ტექსტის სათაურის გასწვრივ კიდეზე ასომთავრულით მიწერილია: „თეოფუნე“.

68. „თუესა მაისსა კა. წმიდათა მეფეთა და მოციქულთა სწორთა ოსტანტინე და ელენესი...“ 413 r—417 v.

69. „თუესა მაისსა კდ. წმიდისა მამისა ჩუენისა სვიმონ საკჳრველთმოქმედისა,...“ 418 r—422 v.

70. „თუესა ივნისსა ი. წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე სტრატელატისა...“ 423 r—426 r.

71. „თუესა ივნისსა იჲ. წმიდათა მოციქულთა ბ̾ართლომესი და ბარნაბასი...“ 427 r—433 v.

72. „თუესა ივნისსა იბ. წმიდისა მამისა ჩუენისა ონოფრესი...“ 434 r—436 v.

73. „თუესა ივნისსა იდ. წმიდისა წინასწარმეტყუელისა ელისესი...“ 437 r—441 r.

74. „თუესა ივნისსა კდ. შობაჲ წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისა...“ 442 r—453 r.

75. „თუესა ივნისსა კთ. წმიდათა და ყოველად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პაველსი...“ 454 r—464 v.

76. „თუესა ივლისსა ა. წმიდათა კოზმან და დამიანესი...“ 465r—469 r.

77. „თუესა ივლისსა ბ. წმიდისა ღ̾ის მშობელისა სამოსლის დადებაჲ ვლაქერნას...“ 470 r—473 r.

78. „თუესა ივლისსა ი. წმიდისა და დიდებულისა მოწამისა პროკოპისი...“ 474 r—478 r.

79. „თუესა ივლისსა იე. წმიდათა დიდებულთა კვირიკე და ივლიტასი...“ 479 r—483 r.

80. „თუესა ივლისსა იზ. წმიდისა დიდებულისა მოწამისა მარინასი...“ 483 r—486 r.

81. „თუესა ივლისსა კ. წმიდისა წინასწარმეტყუელისა ელიაჲსი...“ 487 r—494 v.

82. „თუესა ივლისსა კე. დაძინებაჲ წმიდათა და მართალთა იოაკიმ და ანნაისი...“ 495 r—498 v.

83. „თუესა ივლისსა კზ. წმიდისა და დიდებულისა მოწამისა პანტელეიმონისა...“ 499 r—503 r.

84. „თუესა აგჳსტოსა ე. წინა დღე ფერისცვალებისაჲ...“ 503v—506r.

85. „თუესა აგჳსტოსა ვ. ფერისცვალებაჲ უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესი...“ 507 r—518 r.

86. „თუესა აგჳსტოსა იდ. წინა დღე წმიდისა ღ̾ის მშობელის მიცვალებისა...“ 518—521 r.

87. „თუესა აგჳსტოსა იე. მიცვალებაჲ ყოველად წმიდისა ღ̾ის მშობელისა... 522 r—529 r.

88. „თუესა აგჳსტოსა კთ. წმიდისა იოანე წინამორბედისა თავის კუეთა...“ 530 r—541 v.

წყებაჲ: „...ესმა რაჲ ჰეროდეს თ̾ქა, ეითარმედ რომელსამე თავი მოეკუეთე ინ̾ს, იგი აღდგომილ არს...“ 541 v.

შენიშვნები: „ნაკლულოჲ შეიწყალე უ̾ფალ“. 542 v.

2. „ჴ. ეს წიგნი თომასია, ვინც მოიპაროს, მამის, ძის, სულის წმინდის მადლი ჰაეწყრეს, ამინ, ამინ, ამინ! 542 v.

მინაწერები მოთავსებულია ამრეთვე ქუედა ყდის შიდა მხარეს.

(151) 151

ლოცვანი. XVII—XVIII

260 ფ.; 10,5×8; ქაღალდი: დაშლილი, დაზიანებული, ნაკლული; ხის ტყავგადაკრული ტეიფრული ყდა; ნუსხური, სათურებე სინგურით; [XVII—XVIII]; დაუწერელია: 44 r.

„ლოცვანი. — ... მხოლომან ყოველივე დაბადე გამოუთქმელითა განზრახვითა ყოვლითა და ძალითა. ცანი, ვითარცა კამარანი გარდაართხენ და ქუსლანი წყალთა ზედა დაკიდე, რომელმან ეთერი, ვითარცა ცეცხლი განპფინე და სული ჰაერთა ზედა მოფინე...“ 1 r—260 v.

შენიშვნა: 1. ლოცვანი შეიცავს: ა. „ლოცუა შეაღამისა...“ 1 r—43 v;

ბ. „იბაკონი წმიდისა ღ~ის მშობლისანი, რომელსა დაუკდომელი ეწოდების, ბერძულად აჰპოისტოა..“, 45 r—85 r.

გ. „ლოცვანი ყოველთა წმიდეთა დღეთანი, რომელიცა ვინ ჰყოფდეს აღსარებას თქუთა ცოდვათასა კრიაესა სათქმელი. თჳოფანეს მიერ თქმული...“ 85 v—156v;

დ. „ლოცვანი ძილად დაწოლისა...“ 156 v—162 r;

ე. „ლოცვანი ღამისანი ათორმეტთა გამთანი...“ 162 r—170 v;

ვ. „ლოცვანი დღისანი ათორმეტნი...“ 170 v—180 v;

ზ. „დაცემისა...“ 181 r—188 r;

თ. „ხიარებისა...“ 188 v—223 v;

ი. „ვალმაჲი ყოველთა წმიდათანი, რომელნიცა იტყჳან რიცხჳსა ყოველთა წმიდათასა წესისაებრ ტჳბიკონისა...“ 224 r—236 v;

კ. „პარაკლისი, ანუ თარგმნილი. საჴსრებელი ყოველად წმიდისა ღ~ის მშობელისა მიმართ...“ 237 r—249 v;

ლ. „პარაკლისი საქებრებელი წმიდისა იოანე ნათლის-მცემლისა...“ 250 r—S60r.

2. 44 v-ზე მოთავსებულია ღვთის მშობლის მინიატიურა.

მინაწერი: „ო~, შეიწყალე ამისი დამწერებაჲი..“ (სავსე ამოშლილია) 236 v.

(152) 152

მარკოს ავრელიუსი, საყოფაკცევო სჯა. XIX

149 ფ.; 22,5 × 17,5; ქაღალდი, ხის ტყავგადაკრული ტეიფრული ყდა: მწერდრული, სათურებე სინგურით; კვირინშანი 1828 წ. (7 r); დაუწერელია: 1 r—8 v; 146 v—149 v.

„საყოფაკცო ჰსჯა მარკოს ავრელიანი, ჴრომის კეისრისა. წიგნი პირუელი.—I. პაპისა ჩემისა ცერუსისაგან ვისწაე სიმდაბლე და უშიურუილობა...“ 12 r — 146 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის „წინასიტყუაობა“ 9 r—11 r; ამ წინასიტყუაობის ტექსტი იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“ II კოლექცია, ტ. V. თბილისი, 1949 წ. ხელნაწ. № 2206, გვ. 146—147.

2. ხელნაწერი კ. ზ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის შეუწირავს ზალიკაანს: „უძღუნწინ წერა-კითხუის განმავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაცავს. გიორგი ვასილისძე ზალიკალიანი.“ 9r.

(153) 153

იოანე ოქროპირი, მათეს თავის სახარების თარგმანება. 1809

431 ფ.; 32,5 × 21,5; ქაღალდი მოლურჯო ფერისა: მუყაოს ტყავგადაკრული ტეიფრული ყდა: შეღებილი, სათურებე ასომთავრულით, სინგურით; გაჩენილი თავსამკაული (1 r); გადაწერილია: 1809 წ. VI. 25 (428 r); დაუწერელია: 428 v, 429v — 431v-

„თარგმანება წმიდისა სახარებისა მატთეს თავისა, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩუენის იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა. დაწყება სიტყუათა, წიგნი შობისა იესო ქრისტესი.— ჯერ-იყო ჩუენდა, ძმანო, რათამცა არა გუემხარებოდა წერილთაგანიერი შეწევნა, არამედ ესეცითარიმცა გუაქუნდა მოქალაქობაჲ სავსეჲ სიწმიდითა...“ 1r—42v.

შენიშვნა: დართული აქვს: ა. „ესე ანდერძი მამისა ევთჳმისი იოანესი არს...“ 424r—428r.

ბ. „ჯამოწერილი თარგმანებისაგან საქმე მოციქულთასა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისასა...“ 429 r.

ანდერძი: „გმადლობ შენ, მაცხოვარო ჩუენო და უფალო იესო ქრისტე, და გადიდებ და თაყუანის-ვცემ, რომელმან ღირს-მყო მოსალითა სახიერებითა შენითა აღწერად ამის სადმრთოჲსა წყობისა, რომელი იყავნება სადიდებელ შენდა თანა მამით და სულით წმიდითურთ. შენ, უკუე ქალთმოყუარეო მეფეო, ღირს-მყავ აქა აღწერილითა სათნოებათა საქმითაცა აღსრულებითა. სათნო ყოფად შენდა, მეოხებითა უბიწესად კურთხეულისა და უხრწნელად მშობელისა წმიდისა ქალწულისა დედისა შენისაჲთა და წმიდისა წინამორბედისა და ნათლის-მცემლისა შენისა იოანესითა და წმიდისა ქადაგისა შენისა მახარებელისა მატთესითა, და ლოცვითა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲთა და ღირსთა მამათა ჩუენთა ქართულთა იოანე და ევთჳმისათა, ხოლო ღირს-ჰრიცეა. შენვე, სახიერო მეფეო, უბიწესცა სალმრთოთა წერილთა შინა გაგჴძრახებად უ-ნ შობამაჲ ჩემი შენითა აურაცხებითა მოწყალებითა, ოომელი კურთხეულ ხარ და დიდებულ თანა დაუსაბამოთით მამით და ყოველად წმიდით სახიერით და ცხოველს მყოფელით სულით შენით წმიდითურთ. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. თთუესა იუნისსა კე დღესა, წელსა განკურძეულებითგან სიტყჳსა ღ-სა ჩჟთ“. 428 r.

(154) 154

იოანე ოქროპირი, თარგმანება იოანეს სახარებისა. 1810

600 გვ.: 31×19,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები ასომთავრულად, სინგურითა: გადაწერა: იესე ჩუბინიძე (592 გვ.); 1810 წ. 31 აგვისტო (592 გვ.): დაბეჭდილია: 597—600 გვ.

„წმიდასა და ნეტარსა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისი, თარგმანებაჲ იოანეს სახარებისა, თავი პირველი. წმიდასა იოანე მახარებელისა და ღ-ს მეტყუელისათჳს.— [მ]ეცდართა ამის სოფლისათა, რაჟამს იხილიან ახლად მოსრული ვინმეჲ უცხოჲსა ქუყანისა მჳედარი...“ 1—591 გვ.

შენიშვნა: დართული აქვს: „ხანდღეი ამა წიგნისა სწაულები...“ 593—596 გვ.

ანდერძი: „კეთილმსახურნო და პატიოსნონო მკითხველნო, შეიხილეთ მე უღირსნაჲ წერისათჳს წმიდისა ამის და სულთა მაცხოვნებელისა სახლთაჲსა წყობისა, ღმერთმან იცის, თუ ვითართუა ჯოსმოგონებითა ვჰსწერე, და თუ რაოდენი დაბრკოლებაჲ შემემთხჳა. რამეთუ ვიწყე ფებერვარს 3 დღესა, წელსა 1810. და დიაკონად ყოლდასმული ვიქმენ ამასვე წელსა მაოტის 13 დღესა, მესამესაა კრიალეს მარხუთასა, ბოდბეს მიტროპოლიტის იოანესაჲ-ნ. მესამენ ჩემნით დამიტევა და გარდაიცვალა ამირე ამასვე თთჳს 15 დღესა. მღუდელად ეკურთხე მე ამასვე თთჳს 19 დღესა ნინოწმიდელ მიტროპოლიტის სტეფანესაჲ-ნ. ქრისტეს სამწყსოთა პირმეტყუელსა ცხოვართა მოძღურებაჲ მერწმუნა ამასვე თთჳს 22 დღესა. და მოვიქეცი მსოფლიო ზრუნვაჲთ, ოხლობის მწუხარებაჲთ და მღუდელობის მოვალეობაჲთ, გარნა მრავალ მოწყალებამან ღ-ნ[ი] კელი აღმიპყრა და სრულ ყოვე ამასვე წელს აგვისტოს უკანასკნელს დღეს. საქართველოს მეფის, გიორგის ბრძანებელს დედაზე აღვსწერე და გავმართე ოტტომბრის 17 დღეს. ამავე წელსა ორულ ეყოჲ ოცდამეათე წელი სიცოცხლისა ჩემისა. ჩემის დიაკონად ყოლდასმის დღეს, რაჲ წელიწადი შეს-

რულდა ჩემის ძმის იოანეს, სიკუდილისა და საჭართველოში წმიდის ნინოს ჯუარის მოსვენებისა და მმართებელობის განწესებისა და გუბერნიის განხსნისა. გვედრებით ყოველთა მკითხველთა: უკეთე ცოთმა რაამე იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ შეინდვით სიცუარულისათჳს, მცირე მეუდღეა და უნდო მოსამსახურე ქარის საყდრის დავით მღუდლის შვილი იესე ჩუბინაძე". 592 გვ.

(155) 155

პეტრე ლარაძე, მრავალფერყუავილოვანი. 1826—1834 წ.

239 ფ.; 35×22; ქაღალდი: ტყავგადაკრული ბის ტყიფრული ყდა; მუდრუკელი (სათაურები სინგურით); ილუსტრაცია: ჰეორნაშანი 1826 წ. (1ფ); კრებულში შეტანილი ლექსებიდან ყველაზე გვიანდელი თარიღით ჯვეწება 1834 წელს დაწერილი ლექსი (202 რ); დაუწერელია: 1—9 რ-ვ; 124 რ—129 ვ; 163 რ—166 ვ; 176 ვ—177 ვ 189 რ—192 ვ; 199 რ—201 რ; 202 ვ—216 ვ; 217 ვ; 232 რ—239 რ-ვ.

1. [პეტრე ლარაძე]. „აჰა იწყების სიტყუა პეტრეს მიერ ყარიბის ლარაძისა შეჭნისათჳის სოფლისა და ადამ, პირველისა მამისა ჩუენისა, მაორად თქმული.—

სულო, ღმერთ სრულო, ათორად განბრძნობად გარეშემოსრულო და,
სახედ ცეცხლისა ენათა ნათლად განბრწყინვებულო და..." 11 რ—121 რ.

შენიშვნა: ეს თხზულება ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია „დავითიან ბაგრატოვანთა მატიანედ" (ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, 1939 წ., გვ. 134).

2. „წესხმა თამარ დამყარებულისა ჴელმწიფისა, მეფის გიორგის ასულისა, გიორგიელთა თჳმპყრობელის მონარხისა, თქმული ხუთკაეპ იამბიკოდ ბოლოს განწყობილად, ათშვიდმეტ მუხლედად კეთილშობილის პეტრეს მიერ ლარაძისა, გიორგის ძის, ყარიბისა, რომლისა მიერ ჰამბავნეცა ზემორენი გალეკსილ იქმნნეს ჩყკე-ს წელსა.

ა. ცისა სფეროთა ქუე მფლობელთა ყოველთა,..." 121 ვ—122 ვ.

3. „თქმული მისვე პეტრე ლარაძისა მიერ ყარიბისა იამბიკოდვე იესოს ქრისტეს შობისათჳს.—

აღვიმსთოთ, ეჳტრფინეთ ყოველთა არსთა საჭეს,..." 122 ვ—123 რ.

4. „სიზმართათჳს განსაზღურა იამბიკოდ, თხზულნი ესე პეტრეს მიერ ლარაძისა.—

სამე ჴეშმარიტ იცით ზომიერ, მხედნო,
არს რაიმენე, თუ რაულად აღძრვანი..." 123 რ ვ.

5. „ესე ჩაბრუნებულად რეულწყობილნი და შაირნი მწირობასა შინა ჰსთქუა პეტრე ლარაძემან, ვითარცა მხნედ-მორჩედობით ჰმსახურა მეფეს ძეს თემურაზს და ძლიერის ჴელოსნებით გამოიყვანა სპარსეთით.—

აჰა ესერა, უბიწო სძალო, მოვიელტი შენდა, მრჩობლ დედოფალო..." 130 რ—133 რ.

6. „ესე შაირნი მაშინ ჰსთქუა პეტრე ლარაძემან, ოდეს მეფის გიორგის ასული მენგრელიის დედოფალი ნინო მოძრძანდა პეტერბურღს და თანმყოლთა მისთა თაჳადთა და აზნაურთა ჰსთხოეს პეტრეს დაწერა შაირთა რეცა მათ მაგიერად.—

მწადს, დაუგო ტაბლა ტკბილი გონიერთა, სიბრძნით ვრცელთა,..." 133 ვ — 135 ვ.

7. „ეს იამბიკო მეფის ძეს დავითს მიართო პეტრე ლარაძემან ქურთი რა ჰსძლია.—
დღეს მეფსალმუნე დავით ქნარს ჰსცემს ჴმა ტკბილად...“ 135 v — 136 r.
8. „ეს ქვემორე იამბიკონი კ[ა]დ მეფის ძეს თეიმურაზზედ თქმული მისივე პეტრე ლარაძის მიერ. —

თენგილთა გულთა სიბრძნისა შარავანდით
იმსწრაფლეს მცნებად...“ 136 r — 136 v.

შენიშვნა: ამ ლექსის ბოლოს სინურით მიწერილია: „ეს ზემო იანბიკონი პეტრე ყარიბაძან მისწერა მეფის ძეს თეიმურაზს სანტახტერბურღსა შინა. მისგან განშორებული სცხოვრებდა რა საკუთრად ნაჭირავებსა სახლსა შინა წელსა ჩყიბ-ს. ზემო შაირნი და ჩანართნიცა ამაევ წელსა შინა ჰსთქუა პეტრე-მან,“ 136 v.

9. „ეს დავითის პირველის კანონისა პირუელი ფსალმუნი იამბიკოდ გალობის ჴმაზედ გააკეთა პეტრე ლარაძემან. მიერ ვინც აღმოიკითხოთ, მოიხსენებდეთ სიყვარულისათვის ღ[მრ]თისა.—

ნეტარ არს კაცი, რომელი არ მივიდა
ზრახუას ულმრთოთას და გზასა ცოდველთასა...“ 137 v.

10. „ანბანთქება ოთხ ტაეპზედ პეტრე ლარაძის მიერ თქმული ფისტიკაურად ქამსა ათრუამეტის წლისასა.—
ალალის ბაგე გიწრის დალალებს, ელვარეს ვარდს-ზე ყოერულობენ...“ 137v.

11. „მისივე პეტრე ლარაძის მიერ ანბანთქება ოთხ ტაეპზედ შაირად. —
აკრთო ბალახში გულს დია ეთერს ვლის-ზე ცე თმა ია...“ 137 v.

12. „მისივე პეტრე ლარაძის მიერ თქმული ანბანთქება შაირად. —ალვა ბუტკი გუკსა დღიად ერხევ ვარდად ზრო ცელვობით...“ 137 v.

13. „მისივე პეტრე ლარაძისა მიერ თქმული ქამსა ათურამეტის წლისასა ანბანთქება ოთხ ტაეპსა ზედა, ყოველს ლექსზედ თჳთო მარცულოვანი.—
ჰსე აღმკულა, აღნაგსა აკრთობსო, ალვად არებსა...“ 137 v—140 r.

14. „მისივე პეტრე ყარიბისა.
შეგბრალდე შენი, ნათელ-დღიურო, მკუდარი ყარიბი მთენ ზეციერო...“ 140 r.

15. „მისივე პეტრე ყარიბისა შაირა.—
ამ ქამსა ვისურვებ—შენს არეს ვმსლელობდე ვითა ფრთიანი...“ 140 r.

16. „მისივე პეტრე ლარაძისა.—
ჰაჲ მოესთქვამ საყვარელსა, ჰაი სრულად ია-ვარდი...“ 140 r.

17. „ანბანთქება პეტრეს მიერ ლარაძისა თქმული შაირად.—ავსტრიელმან არიოპაგს მოვინებე ბრძენთ განმსტრობა...“ 140 v — 142 r.

18. „ეს ქვემო აკროსტიხორნი მეფის ძის იოანეს ძეს გრიგოლს. შესძღუნა პეტრე ლარაძემან[1].—
ათეული რაიგ ლევიტელთ უმცნო გულთ...“ 143 r.

[1] ნუსხაშია: „ლარაჰზემან“.

შენიშვნა: ლეჭხის ბოლოს მიწერილია: „პეტრე ყარიბი გძლევი ხოტბასა ტკბილსა, თუ ვინმე, ჰსცნობ კიდურწერილსა...“ (143 r).

19. „ანბანთქება სტატსკის სოფტნაკის და კავალერის კნიაზ თუმანოვის გიორგი ევნატისძის მიმართ ძღუნილი პეტრე ყარიბის ლარაძის მიერ.—

ატეიფრებს აღნაგს, აღიმკობს აფროდიტს აღზეებითა...“ 143 v — 144 r.

20. „კნიაზ თუმანოვს სტატსკის სოფტნაკს და კავალერს უძღვნის ყარიბი ტკბილს მისთვის ფინიკს. ჩაბრუნაული.—

ვინ არს ყოველთა, მოძრავ ცხოველთა, მთა-წყალ-ტყე-ველთა დამაწესები..“ 144 r.

21. „თავადის სტატკის(!) სოფტნაკის და კავალერის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ყარიბის ლარაძისა მიერ, ყარიბაული.—

წარსრულნი იგ დღენი და სულთა მომალხენი და, განვლეს, ვერ-რა გძღვენიდა...“ 144 v.

შენიშვნა: ბოლოს მიწერილია: „კნიაზო, მოგიღოცავ წარსრულთა დღესასწაულთა და მომავალთაც მრავალ გზის მიგაგებოს ღმერთმან მხიარულებით.“

22. „მისვე კნიაზის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრე ყარიბის მიერ ლარაძისა, ყარიბაული.—

მამამან ზეცით ძალნი გივლინოს მცველად მალნი, გცეაროს ფარეა მრავალნი...“ 145 rv.

23. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრე ყარიბისა ლარაძისა მიერ, რეულ-ჩაბრუნაულნი.—

იშვებენ ცანი ანგელოსთ დასით, ქვეყანა კაცით მრავალ-მწყობრ ასით...“ 145 v-146 r.

შენიშვნა: ლეჭხის ბოლოს მიწერილია: „კნიაზო, მომილოცავს დიდისა მთავარ. მოწამის გიორგის დღესასწაული, რადგან მოსახელე მისი ჰბრძანდები. ჰგებდე მრავალწულ[ს] მხიარულებით. ყარიბი“.

24. „მისვე კნიაზის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრე ლარაძისა მიერ.—

მოშაკის მიერ კეთილის ვჰსცან კეთილ-ნამოშაკევი...“ 146 r-v.

25. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრეს მიერ.—

დღეს ვხედავ ტკბობას მნათობის მზისას და კეთილობას ნაზისა დღისას...“ 146 v.

26. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრე ლარაძისა მიერ.—

თუ შინ ჰბრძანდები, მეც მოვგოგდები, არ დავზარდები თქვენთან ხლებასა...“ 146 v.

27. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრე ლარაძისა მიერ.—

ოდეს იესომ ლაზარეს უწოდა მკუდარსა სამარით...“ 146 v — 147 r.

28. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ლარაძისაგან ჩახრუხაულად რეული.—
ძოლან მისილე ჩემს ვახს ნარონი, გულისა სულებრ შესაყარონი..."147 rv.

29. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ყარიბის მიერ ლარაძისა, ყარიბული.—
დღეს ჰსწორობს ჩემდა სენი, თუმც არ მახსოვს ესენი..." 147 v — 148r.

30. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ლარაძისაგან.—
საბრალოა ეწყით სრული გული, წვიმამ დაამწყვდიოს..." 148 r.

31. „კნიაზ ალექსანდრე ჰავჭავაძისაგან.—
ძველთ მოლექსეთ საქებელად ნიჭად ესე დაიდვიან,
რომ სიცრუეის ქშეერებას, მჭიდრომეთქვობით დაჰბურვიან..." 148 r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. ალ. ჰავჭავაძე, თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ., 129 გვ.).

32. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ყარიბისა მიერ ლარაძისა, ყარიბული.—
ესე ახალი გვარი გონების შესაყვარი არს მხილველთ საწადელად..." 148 rv.

33. „მისვე კნიაზის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ლარაძისაგან. თქვენმა მჱირთა სიტკბობამან მეცა მასურვა უნდოთა ამათ ლექსთა მოარამაღნება.—
ვიცი, გასმია ბულბულთა მრავალგვარ ტკბილად ჴმობანი..." 148r—149r.

34. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრე ლარაძისაგან.—
მესმა, სასთუნალ ნოხებსა ჰსწევ ჩემთჳს საამბოხებსა..." 149 r v.

35. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღვნილი პეტრე ყარიბისა მიერ ლარაძისა, ყარიბული.—
ჰგავ სპარსეთს განაჯარსა, მით ვერა ვსჯამ მაჯარსა, ვერცა ვჰყოფ ენით სლაპსა..." 149 v — 150 r.

36. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ლარაძისა მიერ ყარიბისა. რეული.—
ისარი პირბასრეული აქვს სვესა ჩემზედ სრეული..." 150 r.

37. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრეს მიერ ლარაძისა.—
ბახუზს რა აჰბროზია დაერთო ყბას დახია..." 150 v.

38. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი მისვე პეტრე ლარაძისაგან.—
ბედი მწყრომარე ჩემზედა ჰგავს ზენით მონაჭუხარსა..." 150 v.

39. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ლარაძისა მიერ.—
მომსურდა საუბარი თქვენთან, ალერსი მტკბარი. ვსთხზე გვარი საქებარი..." 150 v.

40. „მისვე თავადის გიორგი თუმანოვისადმი ძღუნილი პეტრე ყარიბისა მიერ ლარაძისა.—

სეედის ემპლასტროდ საკურნებელად საქმის ჭელ-ყოფა ბრძენთ მიერ თქმული...“ 151 r — 152 v.

41. „საქართუ□ლოს მეფის ძის ოქროპირისადმი ძღუნილი პეტრე ლარაძისა მიერ ყარიბისა.—

მამისა სული, ათორთადმი მოსრული...“ 152 v — 153 r.

42. „საქართველოს მეფის ძის მიხაილისადმი ძღვნილი მისვე პეტრე ლარაძის მიერ ყარიბისა.—

სული ცეცხლ-სახედ ძისა რა ათორთ მჭადაგთ...“ 153 r-v.

43. „საქართველოს მეფის ძის ილიასადმი ძღვნილი მისვე პეტრე ლარაძის მიერ ყარიბისა.—

ინათელ-ცისკრეს ერთა ღირსთ ვარსკულავ ახლად...“ 153 v.

44. „ეპიტაფია პროხორე ლარაძისა მისისავე ბიძის პეტრეს მიერ ლარაძისა მოტირალისა.—

ოთხთაგან ერთად ჭელოვანთა მთავარმან...“ 153 v — 154 r.

45. „კულავ პეტრეს მიერ მოთქმა.—

მესმა რა შენი, პროხორე, შვილო ტკბილო...“ 154 r.

46. „გოდება პეტრეს მიერ ლარაძისა საყვარელსა თჳსსა ძმისწულსა და შვილსა სოლომონსა ზედა.—

შვილო საყვარელო, ბრძენო, ბატკანო სოლომონ...“ 154 v — 155 r.

47. „პეტრეს მიერ ლარაძისა ყარიბისა თჳსსა ძმისწულსა იოანეს ძესა ზედა დათესგან შვილად მიღებულს სოლომონსა ზედა ცრემლით გოდება. შაირი.—

შვილო ტკბილო, საწადელო, სიცოცხლეო სასურველო,
თვალთა ჩემთა დაბრყინვებულთ უხვად ნათლის მომფენელო...“

155 r- v.

48. „ეპიტაფია საქართუ□ლოს მეფის იოაკლის ძის იუსტინისა, წარწერილი პეტრეს მიერ ლარაძისა.— იუდას ტომით, იესეს კვერთხის ძირით, დავითის წალკოტს ბმულ რტოთა კეთილ ხშირით...“ 156 r-v.

49. „ნინა დედოფლისადმი ძღუნილი პეტრეს მიერ ლარაძისა.—

ნიავ-წუღილთ გამო, ზესთა მიმცემი ჰსჯულთა
ისრაილთადმი, განმცხადი დაფარულთა...“ 156 v — 157 r.

50. „კიდურ წერილობა.— ერნო, ვექებდეთ ძნობით გრიგოლსა...“ 157 r.

51. „მისვე პეტრე ყარიბისა მიერ ლარაძისა თქმული ყარიბულ რეულად.—

მამამან ჭელმან, ცათა დამრთველმან, მანვე არსთ ქმნელმან, უხე, უზურველმან...“ 157 r-v.

52. „ეს მეფის ძემ დავითმა დასწერა და პეტრე ყარიბს გაუგზავნა პასუხის დასაწერად.—სოფელმან მიმცა უბედობას განსაბძარველად...“ 157 r — 158 r.

53. „ეს პეტრე ლარაძე ყარიბმა მისწერა პასუხად მეფის ძეს დავითს და მადლობელ იქმნა ფრიად ესე-ვითარად შეგონებისათჳს.—

რად ჰგმობ სოფელსა, რა უქმნია შენზედ ავები...“ 158 v.

54. „მეფის ძის ბაგრატისადმი ძღუნილი იამბიკო მისვე პეტრე ლარაძისა მიერ.

კიდეურწერილობა. — დავითის ძირით რტოვ ნაყოფ-კეთილსხმულო...“ 158 v — 159 r.

55. „პეტრეს მიერ ყარიბისა რეული.—
ვინ პირითა ჰმსგავსებს მთავარეს, ნათლით — მზესა სხივ-მცხინვარეს...“ 159 r.

56. „პეტრეს მიერ ყარიბისა იამბიკო.—
— შენ სულთ საწადო, ყუავილ სუნნელთა მტილო,
სამეფოს წალკოტს,გაბათნს აღბუტკეილო...“ 159 v.

57. „პეტრეს მიერ ყარიბისა.—ეჰა, რაბამად უმოყვსო ვარ პირთგან მოყვსიანია...“ 159 v.

58. „მისვე პეტრე ყარიბისა.—ისწრაფდიან, შემოკრბიან მისს საქებრად არსნი სრულნი...“ 159 v—160 r.

59. „პეტრე ყარიბმან მიულოცა დიდმარხვა მოყუასსა თჳსსა შტატსკის სოვეტნიკს და კავალერს თავადს გიორგი თუმანოვს, ეგნატის ძეს. —
აჰა ესერა მარხუა ყოველსა ცოდჳსა მწიკულსა ჰყოფს განმბანელსა...“ 16 r-v.

60. „მისვე პეტრე ლარაძისა.—არწივმან ჰაერს განმახუნა, ჩარბნი განბძარებად ქორისად...“ 160 r.

61. „მისვე პეტრე ლარაძისა.—მზე ვნახე მჳმუნვარედ, ჟამი მხედა მწარე...“ 160 v—161r.

62. „მისვე პეტრე ლარაძისა.—ეჰა, ვითარსა დროსა მწარესა შევესწარ ცრემლით სამგლოვარესა...“ 161 r-v.

63. „მისვე პეტრე ლარაძისა.—ზეცს არ ბედოვნებს თჳსის მეხებით...“ 161 v—162 r.

64. „მისვე პეტრე ლარაძისა.—ვინადგან ჩვეულება არს იმერთა ერთა კრებისა.. “ 162 r v.

65. „მისვე პეტრე ლარაძისა.—განთიადს ცისკრის მნათობსა მზე რა მოესწრას სხივითა...“ 162 v.

66. „ხარებობისათჳს, თჳმული პეტრეს მიერ ყარიბისა ლარაძისა ტკბილ ჴმად სათქმელი.—
ანგელოსი მაღლით მოსწრაფებულად, სძალო წმიდაო...“ 167 rv.

67. „მისვე პეტრე ყარიბისა შობისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა ტკბილჴმაზედ სათქმელი.—
რომელმან არსნი ყოველნი შემზადენ და ჰყვენ ცხოველნი...“ 167 v—168 v.

68. „მისვე ყარიბის პეტრე ლარაძისა წინადაცვეთისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქ¯სსა.—
ჴელობიმთ განმწესებელი,
სერაფიმთა მბრძანებელი,
ადამის დამბადებელი...“ 168v—169 r.

69. „მისივე პეტრე ყარიბის ლარაძისა ნათლის-ღებისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა.—
დღეს ბუნება წყალთა განახლდებოდა,
იორდანე შიშით უკუნდგებოდა...“ 169 r.

70. „ლაზარობისათჳს თჳმული მისივე ყარიბის პეტრეს მიერ ტკბილ ჴმად სათქმელი.—

დაენატრი უფლისა საწადელს ვმასა, თაყვანის-ვსცემ მას..." 169 r—170 r.

71. „მისვე პეტრე ყარიბის მიერ თქმული ბაიობისათვის.—
ცისა საყდრად მჭონი ჯელმწიფებითა..." 170 rv;

72. „მისვე ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ თქმული იესოსადმი ვედრებისა.—
შენ ხარ მამის საყდარს მარჯუნივ, მჯდომარე..." 170 v—171v.

73. „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ვნებისათჳს, თქმული ყარიბის პეტრეს მიერ ლარაძისა.—
დედა რა ქალწული ვნებულს გხედვიდა, ტკბილო იესო..." 171v—172v.

74. „აღდგომისათჳს უფლისა ჩვენისა იესოსა, თქმული მისვე პეტრე ყარიბისა ლარაძისა მიერ, სხვა ჴმა ტკბილი.—
არსნი ზენანი და ქვენანი დღეს განცხრებიან..." 172 v — 173 r.

75. „მისივე პეტრე ყარიბის მიერ თქმული თომას მიერ გვერდის განხილვისათჳს.—
მოციქულნი ოდეს კართა დახშულთა..." 173 r v.

76. „სულის წმიდის მოსლვისათჳს, თქმული პეტრე ყარიბის ლარაძისა მიერ.—
ოდეს მოწაფენი სახლს აღთქმულთ აღსრულებას..." 173 v — 174 r.

77. „აჴალ ლებისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, თქმული ყარიბი პეტრე ლარაძის მიერ.—
იესო ჩემი არსთ მბრძანებელი..." 174 r—175 r.

78. „ფერისცვალებისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, თქმული ყარიბის პეტრე ლარაძისა მიერ.—
შემდგომად ექუსის დღისა უჯალმან..." 175 r—176 r.

79. „ღ-ის შობლის იაჰბიკო პეტრე ლარ'ძისა მიერ თქმული.—
ზესთა ნათლისა წინაშე მდგომარეთა..." 178 r.

80. „იაჰბიკო ჯუარისა პეტრე ლარაძისა მიერ.—
ჯუარო, დიდებავ იესოს ძისა ღ-ისა..." 178 r.

81. „იაჰბიკო მთავარანგელოსთა პეტრეს მიერ.—
ზეცის მხედრობათ უსხეულოთ მთავარნო..." 178 r.

82. „იაჰბიკო მახარობლისა პეტრეს მიერ.—
კრავი ღ-ისა. რა ძლსა ამაღლებული..." 178r v.

83. „იაჰბიკო წმიდის გიორგისა პეტრეს მიერ.—
მხნეო, მოწამეთ შორის დიდად ღუაწლის მძლევ .." 178 v.

84. „იაჰბიკო არგვეთის მთავართა წ-თა მოწამეთა დავით და კოსტანტინე სი პეტრე ლარაძისა მიერ.—
მურვან სადგური ეშმაკთა, ბილწი, ცრუცა.." 178 v.

85. „იაჰბიკო დავით გარესჯელისა პეტრეს მიერ თქმული.—
ნეტარო დავით, ღჳაწლითა ფრთოვან ქმნილო..." 178 v — 179 r.

86. „მუხლით სინანულისანი საყდრებელნი იესოს მიმართ, თქმული პეტრეს მიერ ლარაძისა მწირობასა შინა გალობის ჴმაზედ: რომელი მუცელსა დაიტიე.—
ოდეს მოხვიდე, ჰო, მსაჯულო, სიმართლით განმკითხველო ბრალთა ჩათ
ყოველთაო

იესო, მაშინ, ტკბილო, შემიწყალე ცოდვილი ესე...“ 179 rv.

97. მისვე პეტრე ლარაძისა მიერ.—

გითხრა ლოდს ოდეს ცით ქვეყანად რებული,
მოსავთ ახიელს ხელით ტყეებულთ ეს ახარეს...“ 179 v.

შენიშვნა: ლეჭსის ბოლოს სინკრიტი მიწერილია: „ეს აკროსტიხორნი პეტრე ლარაძემან ყარიბმან ქნიან გიორგი თემნოვს ეგნატის-ძს და მეუღლეს მისს ქნინა მარიამს და დასს მისს ქნინა ანნას კრისტეს აღდგომის დღეს უარბენა. ვინცდგან ფრიად მოყვასობისა კავშირითა შეკრულიყო სიყრმიდგანვე ქნიან გიორგისა და მ პეტრე ყარიბი,“ 179 v.

88. „უფლისა იესოს შობას მოგიღოცავ ძესა მეფისასა იოანას მადლითა ევმანუილისათა. მრავალს წელს დღეგრძელ იყავენ, ამინ. კიდურწერილობა. —

ანათელ-ცისკრეს ერთა ღირსთ ვარსკულავ ახლით...“ 180 r.

შენიშვნა: ლეჭსის ბოლოს სინკრიტი მიწერილია: „ეს ზემო აკროსტიხორნი მეფის ძს იოანას შესძღუნა სანკტპეტერბურღსა შინა პეტრე ყარიბმან დღესა ქრს შობისასა...“ 180 r.

89. „იამბიკო კიდურწერილი შესძღუნა პეტრე ლარაძე ყარიბმან მეფის გიორგის ასულს მენგრელის დედოფალს ნინას თუსის სახელის დღეობას სანკტპეტერბურღსა შინა.—

დღეისის დღესა ვინ ისახელწოდების,
ელვით ნათლებაის ღუთივ ცნობის შარავანდით...“ 180rv.

90. „ეს ქვემორე ერთი იამბიკო პეტრე ყარიბმა მისწერა საყვარელსა მოყვასსა თუსსა ქნიან გიორგი ავალოვს პეტრებურს ვასილის ოსტროვდამ ლეტნი სადის პირისპირ მეტეევის სახლში.—

ესწუხ შენთვის, ძმაო, ბელშის ჴეშმარიტებით...“ 180 v.

91. „ეპიტაფია ბაგრატის ასულისა პეტერბურს.—

იუდას ძირით რტო ალმაცენებული,
იესუს წალკოტს ახლად აღყვავებული...“ 181 r.

92. „ეს ქვემორე შეიდ მუხლედი ლექსნი ძეობის ჴმაზედ შესთხზა პეტრე ლარაძე ყარიბმან. ძეობას ვიყავ მხისასა, მზეც შინ შემოდიო.—

ცისა სფეროს მნათობთ დასნი უცხოდ შეჰკრებიან...“ 181 r—182 r.

93. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ მუსტაფაზადი.—

სიხარულ მწყადარსა, ცოცხლივ მკუდარსა, დრო მხუედა სამწარად...“182v.

94. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ მუსტაფაზადი.—

დამმწარდეს ეამნი, შემხვდეს ვამნი, საწამ-საწამნი,
შემაშთეს ზართა სატუთართა, მხშირდეს თვალთ ნამნი...“ 182 v—183 r.

შენიშვნა: ლეჭსის ბოლოს მიწერილია: „ეს ზემოთჭმული მუსტაფაზადი მას ეამსს ჰსთქუა ყარიბმან. ოდეს მოყუასსა თუსსა შეჰჭნოდა სევდითა კაეშანი“, 183 r.

95. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ მუსტაფაზადი.

ესუის მჭონები, ჰირ-მგონები თქმულ ჩემებრ აროს...“ 183 rv.

96. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ თქმული ხმა ყარიბი ორბელიანის დავით სარდლის ძის ყაფლანის სიკუდილისათვის რეცა მის მაგიერად.—

მოდით დასად სისხლისა ცრემლთა მდენელნო,..." 183 v-184 r.

97. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ ქმა ყარიბი.—
გაზაფხულმან აწყო ყვავილთა დასნი..." 184 rv.

98. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ თეჯნისი.—
დილის მთებს აღმოშქვირავლს დახედდა..." 184 v-185 r.

99. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ თეჯნისი.—
მზე ცორნობს, ერობს, ჰაი დარადა..." 185 r.

100. „ყარიბის პეტრე ლარაძის მიერ თეჯნისი.—
ქმა კიპარი, ქამქამ, ქენარ მანათად..." 185 v.

101. „ყარიბი პეტრე ლარაძისა მიერ თეჯნისი.—
არხეც ტანსა, გულს წამტანსა, სარულად..." 185 v—186 r.

102. „მისივე პეტრე ყარიბისა.—
ქუფრ დრომონნი, ლერჯოთა ზღუათა მაარნი..." 186 r-v.

103. „მისავე პეტრე ყარიბისა მუსტაფაზადი.—
ჰმუნვისა ქარმან, შესაზარმან, დამჭროლა მწარედ..." 186 v—187 r

104. „ოსმალის ყაიდაზედ ილაი, თქმული მისივე პეტრე ლარაძის ყარიბისა მიერ.—
მოვიდა გაზაფხულისა დრო გულთ სიხარულისა..." 187 r.

105. „თქმული პეტრე ყარიბის ლარაძის მიერ.—
მწყლავს ვარდის ფეროვნებანი
და ტურფად დაშვენებანი..." 187 v — 188 r.

106. „ოდეს სტატკის (!) სოვეტნიკმა თავადმა გიორგი ეგნატის ძემ თუმანოვმა გარეთუბანს სახლები იყიდა, მაშინ პეტრე ლარაძემ ეს ჩახრიხული რეულად წესძღვნა.—
სახლო, სეიანად ჰგებდეყე მარად, ანგელოსი გყვეს ზღუდედ, მცველ ფარად.

შენ შორის მყოფნი იყვნენ დამტკბარად, სრულ სავსეობდე კეთილით კმარად..." 188 r.

107. „პეტრე ლარაძის მიერ მილოცვა წმიდის გიორგის დღესასწაულისა სტატსკის სოვეტნიკის თავადის გიორგი ეგნატის ძის თუმანოვისადმი.—
წმინდათა მათდა იესოს ჰმსახურთ ნამდვილ..." 188 v.

108. „უბრალობა.—
ა. სინიდისთ შვების შენ, საყდარო.
ხულისა ღმრთის ნიჭ-ქებულო..." 195 r — 198 r.

შენიშვნა: 1. წინ დართული აქვს: ა. „უბრალობა, თხზულება თავადის ივანე მიხაილის ძის მხარგრძელისა, პოეტნის წერილისა მოსკოვის სამმეცნიერატოროს უნივერსიტეტისა და სახოგადოებისა მოყვარეთა რუსსიულის სტატვიერებისათა, რომელიცა მას შინა დაწესებულ არს და რომელსაცა შინა თხზულება ესე იყო წარკითხული საჯმნოდ. ხოლო ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებულ არს სტიხიდეე რუსულ გვარად **ჩყვ-ს** წელსა, ფებერვლის ი-ს დღესა.

ს ა ნ ქ ტ პ ე ტ რ ბ უ რ ხ ს ტიფოლრაფიასა შინა ივანე ღლაბუნო ვისასა **ჩყი-ს** წელსა. დაბეჭდვისა ნება არის დართული ს. პ. იანვრის **იგ-ს** დღესა, **ჩყი-ს** წელსა— ცენზორი სტატსკის სოვეტნიკი და კავალერი **ტიმკოვსკი**", (193 r-v).

ბ. მიძღვნა ლექსად: „თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო კეთილშობილებავ! ტაძარი ჩახრიხული.

სიყვარულმან რა ადგილი ჰპოვის, შიში გარჰსდევნის, არღა იხსოვის..." 194 r-v.

ჯ. ლეკნის წინ სინგურთ დაწერილია: „სტიხნი ესე რუსულად თქმულნი არიან კნიაზის მიერ დოლგორუკოვისა იოანე მიხაილის ძისა, ხოლო ქართულად ლექსად შეიწყო პეტრეს მიერ ლარაძისა, ყაირახისა, როგორცა რუსული ქართულად ჰამბად გარდმოეტყუებულ იქმნა კეთილშობილის აღუქსიძის აკინთე დიმიტრიანცის მიერ წელსა ჩყკ-სა, ფებერვლის ი-სა დღესა" (195 r).

II. ბოლოს ერთვის: „უეჭველად პატივცემულთა წარმეთხეელთა თხზულებისა ამისათა ევრნებით მიზეზი დარწმუნებული ყოფად, რომელ დამთხზველსა ამისსა ამით გვაროვით სტიხთათა ძალ-ედგა ქნა მისი ქართული სტიხთ გუარითაცა, გარნა განზრახვითა მისი იყო ესე, რათა ამისგან იცილეზოდეს, რომელ ქართულსა ენასა ზედა იქნებიან სტიხნი გარდა სხვათა გვართა, გუარითაცა რუსულითა, და იგიც, თუ ვითარი სიამოვნე აქვს კითხეასა სტიხთა ქართულთასა და კითხეასა სტიხთა რუსიულთასა", 198 r.

109. „თქმული მისვე ლარაძისა.—ა. რას მკითხავ, ჭიკაკო, სოფლის ვითარებასა განსჯერეტდე უმტკიცობით მის ყვავილოვნებასა..." 198 v.

110. „მისის უგანათლებულესობის მეფის ირაკლის ასულისა თეკლას მიმართ მილოცვა იამბიკოდ და აკროსტიხურად პეტრეს მიერ ლარაძისა ყარიბისა.—

აღმძრავს სურვილი ათას გზის ნეტარ მეფის .." 201v—202. r

111. „ახლიდგრე გარდმოეწერებული როსსიის ხმით ქართულსა ენასა ზედა სამენგრელოჲს მემკვიდრის დავითის მიერ წელსა ჩყლდ, ივნისს ით, ჭ. ტფილისს, ხოლო გიამბიკოებულ ჰყო პეტრე ყარიბმან ლარაძემან. წინასიტყუაობა გამსტიხებულისა. იამბიკო.—

ჭ-ი, სარწმუნოვ, ერთსა შინა მღუთაებას,
ერთ დასაბამის დაუსაბამოებას..." 202 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ერთვის: „პინაკსი, გინა საძიებელი, გინა ხანდუკი წიგნისა ამის. ესე წიგნი სხეათა და სხეათ ყუავილთ ყოველთა ყოველობად წოდებული, ქმნილი ყარიბის პეტრე ლარაძეს მიერ, რომლისაც სახელი ქნილ არს ანბანსა ზედა. რომელნიცა იკითხვიდეთ და გეწეინოსთ პოვნა და გამორჩევა რომლისმე ყვავილთ ყოველობისა, იპოვით პირველად ფურცლის რიცხვით, მეორედ—დაწყების რიცხვით და მესამეთ—შაირის რიცხვით," 217 r — 231 v.

2. ხელნაწერს წინ დართული აქვს: „წიგნი მრავალ ფერ ყვავილ ოვანი.—

ამა წიგნსა ჰსწერ სახელად მრავალ ფერ ყვავილ ოვანი
მით, რომე სხენან სხეადასხეა ჰაბანი სახელოვანი.
ეით მტილი ყვავილ-მოყვალი, სატრფოები, ენ ეკლოვანი.
და მოალნეს მჭირეტთა გულებსა, ყმანი იყენენ თუ მხცოვანი.

წიგნის მეცნიერთა ყოველთა ასმიათ, ახსოვთ გულებსა,
მამათმთავარსა მოთხრობას ჰსჯეროტენ პიპელას თქმულებსა,
მენიან გარდმოვეც შაირად, გიძღეინი მწერობას თხზულებსა.
და ვინცა იკითხებმი, ჯრ ჰკვენებსთ არ ხორცით, არცა სულებსა.

თუმც შეუნიერი ითსებ მეფესა ენა-ბრძენი და,
სიბრძნის მტრფიალსა, მჭევრ-მეტყველსა, თქმა ტკბილად მეტყველისა და,
შეემკო ტურფად ჰამბაჲი მისი ძლიერად მხნისა და,
და შეეთხზა მსწენელთ სასმოდ, პანკრატიონთა ძისა და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჴ ცერ ჰსცნობთ მისებრ ხილიბას ვისთვისცმე ლეჭსთა ტკბობასა.
ვის დიდად უქებს აღნაგისს და სიბის ლამაზობასა.
გარნა ამბავსა ნანდველსა ისმენთაგე თქმა მართლობასა,
და იგი სპარსულით შეუთხზავს, ვაქებ მისს მუსიკობასა.

ორნი ყოფილან პირველნი ქართლოსელთ მესტიხეთანი,
ენატკბილნი და რიტორნი, სიტყვასა მარჯვედ მკვეთანი,
თჳთ მეფე თეიმურაზ და ვის აქვნდა გული მხნეთანი,
და შოთა, რომელსა აჴქებენ მკვეურ-მეთქვნი ქართველთ ერთანი.

ყოფილან სხუანიც მრავალნი ტკბილთა შაირთა მთქნელები,
გარნა ლექსთ სიტკბოებითა მათ აღეცვიათ ველები,
მეცა პატივს-[ვ]ცემ წინანთა, არიან საქებელები
და მათ შორის შევსთხუნ მეც ლექსნი, მსმენელთა სასურველები.

დასაბამითგან სოფლისა ჴელ-ვჰყავ შაირით წერასა,
ადამისდგან ქრისტედმდე ვსთქვი: სული მცედა მე რასა,
ქრისტესით დავითის ტომთა თხრობა ძმანცემდა მღერასა.
და აღმაშენებლის ჰამბისთვის ვიქმოდი სტიხთა მზერასა.

თამარ დიდსა ჴელწიფას ჰამბავნი საწადელები
აღვსწერე, სრულ-ვჰყავ მოთხრობა ბრძენთაგან საქებელები,
სხუა—კოლხიდელთა დედოფალს შეუწყევ ლექს ნათლები
და თეიმურახსაც შეუთხზენ შაირნი სასურველები.

ცოლად წიენი სახე მგოსანი, შაირი ცხრამეტ ასობდა,
ვინცა იხილა მუეთარეთ აქებდა, ვერა ნასობდა,
დილარიანი ჰამბავად, მიჯ ჰრთელნი ლექსნი ნასობდა,
და ეს გვარნი რემგან შეთხზულნი შაირნი ოც ათასობდა.

სხუა მომღერალთა სათქმელნი ტკბილადრე გასაგონები,
სჳეფისა მოსალხინები, ლექსნი მსმენთ მოსაწონები,
მრავალი შეეთხზე მეჩანგეთ შეტროფთით შესაკონები,
და ვინც ისმენდა, იშვებდა, არ იყუნენ დანაღონები.

კუალად საღმრთოდ თქმულნი ლექსნი და სტეფანესგა უცხო გვარები,
სულისა კურნად მეტრეტნი, კეთილ გზის შემაკვარები,
იამბიკონი კიდურზედ მარცუალებით ნამკოპარები
და ნუთუ არ მეხშას ცოდვეთა ზეცისა სასძღოს კარები.

ერთს წიგნად დილარიანი შეეთხზეყე ტკბილ უბნობითა,
ერთს წიგნად სახე მგოსანი შაირთა ვჰყავ მცონითა.
ერთად თჳთ ესე შევმხადე სხუადასხუა ფერადობითა,
და ათთაგან ერთი შეეკრიბე რემთა თქმულთ აჳა წყობითად, 10 rv.

(156) 156

წიგნი მაკაბელთა. 1818

61. „თთუესა იანვარსა იზ. ჯსენებაჲ წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა უდაბნოჲსა მთიებისა და მონაზონთა წინამძღურისა ანტონი მოღუაწისაჲ. ორ ღრ ტყუესა ჴ̃ზ ჲ გ̃ი.

ვიხაროდენ თანაბიარო: ანგელოზთაო მაღალთა შინა ანტონი:..“ 107v—
—108r.

62: „დასდებელნი წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონი მოღუაწისანი,
ქართულნი აღბეჭდულნი აკრისტიხონნი, ორო ღტყესა ჯრ დ
გრი... რომელმან გარდააოთხნა.
მამისა თანა მფლობელი სიტყუაჲ:..“ 108r—109r.

შენიშვნა: „გალობანი“ აკროსტიხულია.

63. „თთუესა იანვარსა იზ. ანტონი რაეახისა. ორო ღტყესა დ
გი. ზეცით ჯყნად მო.
განგეყუნნა ქრისტემან: დედის ბუცლითგან ღირსო:..“ 109v—110r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ასომთავრულით: „შეობ მეყაე, წმიდაო მამაო“, 110r.

64. „თთუესა იანვარსა ით. ჴსენებაჲ ღმრთივ გჳრგჳნოსანისა მეფისა
თევდოსი მორწმუნისა, სასწაულთა მოქმედისაჲ. ორო ღტყესა ჯრ ა გრი.
სუფევს ღმერთი წარმართთა.
სიბრძნით განმგებელო იესუ: სიტყუაო დაუბადებელო:.. 110r—111r.

შენიშვნა: 110r-ს კვემო კიდეზე სინჯერით მიწერილია: „იოანე მინახისაჲ.
ქრისტე, განუსუენე სულსა მისსა“, 110r.

65. „თთუესა იანვარსა კ. მამისა ევთიმესი. ორო ღტყესა ა. ჭე
კაცთ-მოყუარეო.
მამაო ევთჳმი: შობასა: შენსა მოიცლიხა ანგელოზი:..“ 111v—112r.

66. „დასდებელი წმიდისა ევთჳმი მოღუაწისანივე. ორო ღტყესა ჯრ ა.
შნ, ღთისა სიტყო შობილო.
ჲჱა შუენიერსა: დღესასწაულსა შენსა: ნეტარო მამაო ევთჳმი:..“ 112r
—113v.

შენიშვნა: 1. „ორო ღტყესას“ კიდურწყვრილობაში იკითხება ეზრა (112r) და
„ქრისტე, ადიდე სახრმაჲ“ და ძეგ მისი მრიაბ, ამებ“.
2. 112r-ს კვემო კიდეზე ასომთავრულად, სინჯერით მიწერილია: „მინახისაჲ“.

67. „დასდებელნი წმიდისა ევთჳმისნივე, [ჯრ] ა გრი. გბრთა ზედა,
იხარებდ უდაბნოჲ როშეულ: არა შობდ პირველ და მხიარულ იყაე სუ-
ლითა:..“ 113v—114v.

68. „თთუესა იანვარსა კა. ჴსენებაჲ ღმერთ-შემოსილისა მამისა და უძლე-
ველისა... მაქსიმოს აღმსაარებელისაჲ. ორო ღტყესა ჯრ ა. ქრე
კაცთ-მოყუარე, შენ.
მართლმადიდებლობით: მართლისა: სარწმუნოებისათჳს მოღუაწეო:..“
114v—115v.

შენიშვნა: 1. „გალობანი“ აკრისტიხულია.
2. „მხ(ლ)სა-ს“ გვერდით სინგურით წერია: ქ. შ. გ. მ. (ქრისტე, შეიწყალენ გლახაკი მიქაელ). 114v.

69. „თთუესა იანვარსა კბ. ჴსენებაჲ ყოველთა წმიდათა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, ანგელოზ-მთავართა, ანგელოზთა, მამათ-მთავართა, წინაწარმეტყველთა, მოციქულთა, მოწამეთა, მღდელთ-მოძღვართა და მამათანი, რომელნი სატკუნითგან სათნო ეყვნეს ღმრთსა. სახელით ჴსენებაჲ. დასდებელნი აღბეჭდულნი აკრისტიხონნი. თავნი სიტყუასა იტყუან ესრეთ: შეიხ მეყუენით ყოველნო წმიდანო წინაშე მეუფისა დღესა მას განკითხვისასა. დასდებელნი, თქემულნი ორმოცისა, ათისა, ექუსასისა. ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი. ო(ო) ღ(ტ)ყსა ჴ(ე) დ გ(ა).
მოვედით მორწმენით: განათლებულნი სულითა:...“ 115v—117r.

შენიშვნა: 1. „გალობანი“ აკრისტიხულია.
2. 116v-ს ქვემო კიდეზე მიწერილია ასომთავრულით: „დასრულდეს ძუელისა შჯულისანი“.
3. „გალობანის“ ბოლოს მიწერილია ასომთავრულით: „რიცხჳ წმიდათაჲ, რომელნი ამათ გალობათა შინა იესენებიან: ანგელოზნი—[ს], მამათმთავარნი—ლ%. წინაწარმეტყველნი—კჱ, მსჯულნი—%, მოციქულნი— ბბ, მოწამენი—რა, მღდელთმოძღუარნი—აჱ, მამანი—ნბ, დედანი—ჳ, ერთ რიცხუად ყოველნი[კ...] იბ. დიდებაჲ ღმრთსა უკუნისამდე“. (117v).

70. „წმიდათანივე, დ(ა) გ(ა)... წინა საუკუ.
ვითარმე გბადოდით თქუენ წმიდანო:...“ 118r—119r.

71. „თთუესა იანვარსა კჱ. ჴსენებაჲ ღმერთ-შემოსილისა დიდისა მღდელთ-მთაურისა კლიმი ანკჳრიელ ეპისკოპოსისა და მის თანა უძლეველისა აღთაბაგელ(ო)ზ მოწამისაჲ. ო(ო) ღ(ტ)ყსა ჴ(ე) დ. თანასწო.—
საღმრთოჲსა შურისა ცეცხლი:... 119r—120r.

72. „დასდებელნი წმიდისა მოწამისა კლიმისნივე. ო(ო) ღ(ტ)ყსა ჴ(ე) ბ(ა) გ(ა). დასაბამად ქმნა.
ვითარცა ზეთის ხილი: მსხმოჲ: ყოველად ნაყოუიერი:...“ 120r—121v.

შენიშვნა: 120r-ს ქვემო კიდეზე ასომთავრულით მიწერილია: „თქუმულნი ღმერთ-შემოსილისა იოანე მტბევარ ეპისკოპოსისანი“.

73. „თთუესა იანვარსა კდ. ჴსენებაჲ ღმერთ-შემოსილისა ტიმოთე მოციქულისა, ეფესიელ პირველ ეპისკოპოსისა და უძლეველისა მოწამისაჲ. ო(ო) ღ(ტ)ყსა ჴჲ დ. პირველ ქმნული.
ღირსად შევამკობდეთ: ტიმოთეს ეფესოჲსა მოიებსა:...“ 121v—

შენიშვნა: 1. „გალობანი“ აკრისტიხულია.
2. 122r-ს ქვემო კიდეზე სინგურით მიწერილია: „ბერძულნი POMAHETH.“

74. „თთუესა იანვარსა კე. ჴსენებაჲ ღმერთ-შემოსილისა გრიგოლი ღმრთის მეტყუელისა კოსტანტინეპოლელ მამათ-მთავარისაჲ. დასდებელნი ო(ო) ღ(ტ)ყსა ჴ(ე) ა(ა) გ(ა). მამისა თანა მ% დომა.
გიხაროდენ ღირსო წყაროო:...“ 123r—127r.

75. „დასდებელნი ღმერთ-შემოსილისა გრიგოლი ღმრთისმეტყუველისანიცა, ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ დ გ̃ი.
მოედით მორწყბუნენო: სულიერითა ქებითა:...“ 124v.

შენიშვნა: 1. 124v-ს ქვემო კიდეზე ასომთავრულით მიწერილია: „იოანე მტბევრისანი“.
2. სათაურის ბოლოს მიწერილია მთავრულად, სინგურით: „ჯ. შ. გ. ჰ. ან“ (ქრისტე, შეიწყალე გალობაჲი მიკაელ).
3. „გალობანის“ ბოლოს მიწერილია ასომთავრულით: „შეიხ მეყავ, წმიდაო ბერაო“.

76. „თთუესა იანვარსა ჴ̃ვ. ჴსენებაჲ ღმერთ-შემოსილისა იოანე ქოს, ტანტინეპოლელ მამათ-მთავრისა მწარხველისაჲ. დასდებელნი ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ გ̃ი. წიაღნი მამისანი არაჲ.
იდიდების ღირსებით: ღღეს ეკლესიასა შინა:...“ 126r-v.

შენიშვნა: 1. „გალობანი“ აროსტიხეულია.
2. „გზნთა ხ̃ა-ს“ გვერდით ასომთავრულად სინგურით მიწერილია: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“. (126r).

77. „თთუესა იანვარსა ქ̃ზ. ჴსენებაჲ წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა დიდისა მღდელთ-მთავრისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მამათ-მთავრისაჲ. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ დ. წემოქმედი.
შემსგავსებულად ქალაქსა სამეუფოსა:...“ 127r—129r.

შენიშვნა: 1. 127r-ზე ასომთავრულად, სინგურით: „სხ̃ნი მტბევრისა თქუმულნი“.
2. „გალობანის“ დასასრულს ასომთავრული მიწერილია: „შეო მეყავ, წმიდაო“

78. „დასდებელნი წმიდისა იოანე ოქროპირისანიცა. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ დ გ̃ი, რ̃ნ გარდაართხნა.
როგორი უპირატეს ზოგისა:...“ 129r 130v.

შენიშვნა: „ცისკრად ნეტარებანი ხედა“ აროსტიხეულია (129r).

79. „დასდებელნი წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა იოანე ოქროპირისანიცა, ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ ბ. მამისაგან შობი.
სამეუფოსა ქალაქსა გერწმუნა:...“ 130v—131v.

80. „თთუესა იანვარსა კ̃ე. ჴსენებაჲ წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა ყოველთა მამათა მეუდაბნოეთაჲ, რომელნი ქრისტესთჳს სოფლით განეშორნეს. დასდებელნი, ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ ა. შ̃ნ ღრ̃თისა სიტ.
აღჴურვილნი ნიშითა: ჯ̃ჲთა მწყემსსა მას:...“ 131v—133v.

81. „სხ̃ნი დასდებელნი ღმერთ-შემოსილთა მამათანი იოანე მტბევარ ეპისკოპოსისანი. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ ა. რომელი უხილაე ბარ.

რომელთა ყოველნივე: იგი მცნებანი მჴსნელისანი:...“ 133r—134r.

82. „სხ̃ნი მაძეთა დასდებელნი. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ლ გ. ქერობინთა მრ.
საუნჯეჲ განუპარველი:...“ 134r—135r.

შენიშვნა: 1. სათაურის გასწვრივ მიწერილია: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ." (134r)
2. „გალობანი" აროსტიბუნელია.
3. „ორო ღ(ერ)ტყუსს" პირველი ტროპარის გასწვრივ მიწერილია: Π A T E P.

83. „დასდებელნი ღმერთ-შემოსილთა მამათანი. ორო ღ(ერ)ტყუსა ჴ(ა)ა გ(ი). მ.
გიხაროდენ ღმრთის-მოყუარენო: და საღმრთოჲთა მადლითა განმტკიცებულნო:..." 135v.

84. „თთუესა იანუარსა კ(ა). ჴსენებაჲ ცხოველს-მყოფელისა ჯუარისაჲ, რომელი წყობასა შინა გამოუჩნდა ღმრთის მოყუარესა მეფესა კოსტანტინეს მდინარესა ზედა დანობს. ორო ღ(ერ)ტყუსა დ(ა) გ(ი). რომელმან გარდა.
რომელმან ედემს შინა ოდესმე: ხ(ე)ი(ა) საცნაური:..." 136r—137r.

85. [ო]კდომბერსა თ(!). „...ღ(ერ)თ(ა)ნსა. ღ(ა)მითგან აღვიმსთობთ ჴ(უე)ნ.
ღალატ-ყუეს მოწამეთა: ანტიოხოჲის მიმართ: მოსაგებელსა ბოროტსა:..." 137r.

86. „ოკდომბერსა ი(ა). გ(რ)იგოლ პ(ა)რთევ(ე)ლისაჲ. ორო ღ(ერ)ტყუსა ბ(ა) გ(ი).
წმიდაჲ ზოსტერი შენი:..." 137v—138v.

87. „ოკდომბერსა ი(ა). რიფსიმესი, მოყუასთა მისთაჲ, ორო ღ(ერ)ტყუსა ჴ(ა)ა გ(ი).
გიხაროდენ ნაყოფ-შუენიერო:..." 138v.

88. „ოკდომბერსა ი(ვ). გ(რ)იგოლ ნოსელისაჲ. ორო ღ(ერ)ტყუსა გ(ა) გ(ი). მ(ა) დ(ა)ე(ა) ვნებისაჲ.
მღდელთ-მოძღუარო: გ(რ)იგოლ შუენიერო:..." 139v.

89. „ოკდომბერსა იზ(ა). კოზმან დამიანეთაჲ. ორო ღ(ერ)ტყუსა ა(ა) გ(ი). გბ(ა)თა ზედა.
შეიჭურნეს ბორძოლად(!) ღუაწლსა მას:..." 140v—141v.

90. „ოკდომბერსა კ(ა). კორნილიე ასისთაჲსაჲ. ორო ღ(ერ)ტყუსა ბ(ა). მ(ა)ი(ა)სგან შობილმან ბ(ა)ლდ.
რაჟამს წმიდათა გონებათა: უფროჲს გონებასა გულს-მოდგინე იქმენ შენ მისსა:..." 141v—142r.

91. „ოკდომბერსა კა(ა). ალ(ა)რიონისი. ორო ღ(ერ)ტყუსა ბ(ა) გ(ი). ყოველი სახოებაჲ მათი დადგ.
შეეგებრე უფალსა: სანატრელო იღ(ა)რიონ..." 142r—143r.

92. „ოკდომბერსა კბ(ა). მ(ა)კ(ა)რი მეგუპტელისაჲ. ორო ღ(ერ)ტყუსა ა(ა) გ(ი).
ღირსო მამაო: საშოჲთგანვე წმიდა გყო შენ:..." 143r—144r.

93. „ოკდომბერსა კგ(ა). ანასტასი მოწამისაჲ. ორო ღ(ერ)ტყუსა გ(ა) გ(ი). წ(ი)ალნი მ(ა)მისანი ა(ა)რაჲ დაიცა.
მოვედით მორწყუნენო: ვიდიდებდეთ სიხარულით:..." 144r-v.

94. „ოკდომბერსა კვ(ა). ვ(ა)რაზ მოწამისაჲ ჰპროთ ფებერვალსა ი(ა)." 144v.

95. „ოკდომბერსა [კვ]. ჲოვანეს თავის პოვნაჲ. ორო ღ(ერ)ტყუსა ბ(ა). პ(ა)ირველითგან იყო სიტყ(ა)ჲ მ(ა)მისაჲ.

ნაშობი დედათა: ვერვინ ესწორების იოანეს:...“ 144v—145v.

96. „ოყდრმბერსა კჳ. დადგმაჲ თავისა ნათლის-მცემელისაჲ. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა ბ. მისგან შობ.

მოვედით პატიოსანსა თავსა:...“ 145v—146r.

97. „ოყდრმბერსა კ. წმიდისა დიმიტრისი. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა დ. მწსნელთა ზ˙ჲ.

დღეს იხარებს მდაბიონთა(!): ეკლესია მორწმუნეთაჲ:..“ 146v—147r.

98. „თთუესა ნოენბერსა ა. გრიგოლი პრომთა პაპისაჲ დასდებელნი˙ო˙რ ღ˙ტ˙ყსა დ გ˙ი.

მამაო სანატრელო გრიგოლ:...“ 147v—148r.

99. ნოენბერსა გ. ლუდიას ეკლესიასა სატფური და ჳსენებაჲ ღუაწლით შემოსილისა გიორგისი. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა ჳ˙ბ.

მოვედით ერნო დიდებულსა: მოღუაწისა ჳსენებასა ედღესაწოულობდეთ:...“ 148r—150r.

100. „თუუესა ნოენბერსა ზ. წმიდათა მთავარ-ანგელოზთაჲ. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა ა˙ გ˙ი. გხ˙ნთა ზედა.

გიხაროდენ, რომელნი ჰმთავრობთ:...“ 150r—151r.

101. „თთუესა ნოენბერსა ი. წმიდისა მოწამისა გიორგისი. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა ა. იშეე ქალწულნი.

ღუაწლთა შენთა სიმრავლე:...“ 151r—152r.

102. „თთუესა ნოენბერსა ი. უგლ˙ბთსა. ეტლთა სიმრვ.

მადლი მეაწ მოვნიჲე: სულისა წმიდისა:..“ 152v—153v.

შენიშვნა: „გალობანი“ აკროსტიხულია.

103. „ნოენბერსა იჱ. წმიდისა მოწამისა მინაჲსი. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა დ. სამწუხროსა.

ვნებათა მათ: ქრისტესთა დიდებულთა ჰქადაგებდი:...“ 153v—154r.

104. „ნოენბერსა იბ. იოვანესი. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა დ გ˙ი. ჶ. სასწაულ საკჳრვე.

ჶ დიდებულ საკჳრველ: საფასის მომცემელმან:...“ 154r.

შენიშვნა: 1. სათაურის გასწვრივ ნუსხურად სინჯურით მიწერილია: „ქრისტჱ. შეიწყალე მიკჳელ“, (154r).
1. გალობანი აკროსტიხულია.

105. „დასდებელნი იოვანე მოწყალისანიჲე. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა დ. მწნეოთა ზ˙ა.

მოიგბი ყოველად მნათობი:...“ 155v.

106. „ნოენბერსა იგ. ჲოვანე˙ ურაჭელისაჲ. ო˙რ ღ˙ტ˙ყსაჲ. შნსიტყჲ დაუსაბამოჲ.

ეაქებდეთ იოვანეს: ღირსსა მღდელთ-მოძღუარსა:...“ 156r—158r.

107. „ნოენბერსა იდ. მთავარ-ანგელოზთაჲ. ო˙რ ღ˙ტ˙ყსა დ გ˙ი. ბადლთა ზ˙ა.

მოვედით მორწმუნენო: დიდთა მთავარ-ანგელოზთა:...“ 157v—158r.

108. „ნოენბერსა ი̅ე. გურია, სამონა და აბიბოს მოწამეთაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა ჲ. შენ სიტყუაჲ და.
მოწამებისა ღუაწლითა: ღმრთივ-განბრძნობილნი:...“ 158r—159r.
109. „ნოენბერსა ი̅ვ. ტაძრად მიყვანებაჲ ღმრთის მშობელისაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა ჴ̅ჲ ჲ. ყოვლისა დიდებული.
დღეს განსცხრებოდეთ თქუენ მორწმუნენო:...“ 159r—160r.

შენიშვნა: „ჯალობანი“ ასოსტიხულია.

110. „ნოენბერსა ი̅ზ. ბასილისი და გრიგოლისი. ო̅რ ღ̅ტყესა დ̅ გ̅ი. ჴ̅ სასწაული საკჳრველ.
მოვედით ერნო მორწმუნენო:...“ 160r—161r.
111. „ნოენბერსა ი̅თ. თ̅ელ̅ლ̅ მოწამისაჲ. უგ̅ლბდოსა ჲ. რ̅ი შეეწია ღ̅ი.
მთიების სახედ გამობრწყინდა:...“ 161r—v.

შენიშვნა: „ჯალობანი“ ასოსტიხულია.

112. „ნოენბერსა კ̅ა, მათე მახარებელისაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა დ̅. რაჟამს მოწყალე ეჭმ.
რომელი განიკითხავს გულსა კაცთასა:...“ 161v—162r.
113. „ნოენბერსა კ̅ბ. წმიდის მოწამისა კოსტანტი კახაჲსაჲ, ქართველისა მოწამისაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა დ̅ გ̅ი. რომელმან ედემს შინა ოდესმე.
რომელმან სიბრძნისაგან:...“ 162v—163v.
114. „ნოენბერსა კ̅გ. წმიდისა მერკ̅ლესი. უგ̅ლბდოსა გ̅ გ̅ი. წამისყოფითა ღ̅თ̅ი.
მერკ̅ლეზ გჳთხო: უხუებით მადლი ზეცისაჲ:...“ 163v.
115. „ნოენბერსა კ̅დ. წმიდისა ეკატერინესი. ო̅რ ღ̅ტყესა დ̅. თანასწორმან.
სურვილითა მით საღმრთოჲთა:...“ 169r-v.
116. „ნოენბერსა კ̅ე. პეტრე ალექსანდრიელისაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა ჲ. შენ სიტყუაჲ დაუსაბამოჲ.
მწყემსობითა გამოჰხარდე: ერი მღდელთ-მოძღუარო:...“ 164v—165v.
117. „ნოენბერსა კ̅ზ. ჲაკობ დაჭრილისაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა ბ̅. მაისაგან შობილმან.
სუფლისა ამის სიმდიდრენი:...“ 165v—166v.
118. „ნოენბერსა ლ̅. ანდრია მოციქულისაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა ჲ. ანდრიას მოციქულსა: ერთობით შეეპყობით:...“ 166v—167r.
119. „თთუესა დეკემბერსა ჲ. ჲაკობ, ძმისა უფლისაჲ. ო̅რ ღ̅ტყესა დ̅. მოვედით, ვაღიდებდეთ სამოთხ.
მოვედით ჴსენებასა: იაკობ ძმისა უფლისასა:...“ 167v—168r.
120. „დეკემბერსა ჳ̅. ბარბარესი. ო̅რ ღ̅ტყესა დ̅ გ̅ი. ო̅რ პ̅ლ საუკუნეთაჲ სიტ.
ო̅რ რაჟამს მოხუედ ზეცით ქუეყანად:...“ 168r-v.

121. „დეკემბერსა დ. ჴსენებაჲ ბარბარესი, იულიანჱსი და ჲოვანეჲ დამასკელისაჲ. ო̃რ ღ̃ტ̃ყსა დ. მჴნეოთა ზედა.
სრულად სიძისა უკუდავისა: სარწმუნოებით მამამან:..“ 168v.

შენიშვნა: 168—169 ფ.ფ. შორის ახლია ჲჱ რვეული.

122. „დეკემბერსა იზ. წმიდისა მამისა პალადესი. დასდებელნი, ო̃რ ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ლ ა გ̃ი. სუფევს ღ̃ი წ̃არ.
პალადიოს ღმერთ-შემოსილსა: შეეძკობდეთ დღეს ერონ ქებით:..“ 169v—170r.

123. „დეკემბერსა ით. დ ე ო ნ ს ი ო ს ბრძენთ-მთავრისაჲ, ო̃რ ღ̃ტ̃ყსა გ გ̃ი. წიაღნი მამისანი.
დასაბამად ყოვლისა: სიტყჳსა აღმოეთქუათ ერონ:..“ 170r—171r.

შენიშვნა: „გალობანი“ ახროსტაბულია.

124. „დეკემბერსა კ. წმიდისა ეგნატისი. ო̃რ ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ლ დ. თანაარსმან მამისამან და.
ღმრთის მეტყუელებისა თავად: თანამჴდრად და მსახურად:..“ 171r-v.

შენიშვნა: „გალობანის“ ბოლოს ნუსხურით სანგურად მიწერილია: „ქრისტე, შეიწყალენ... [ლოდვილი მწარედ]“, 171v. მინაწერი საგანგებოდ ამოფხეკილია, ცუდად იკითხება.

125. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი მეხურნი ბერძულნი და ქართულნი. ო̃რ ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ლ ჲ.
სამწუხაროსა ლოცვასა შევსწირაოთ შენდა მომართ უფალო:..“ 179r—173v.

შენიშვნა: 1. აღდგომის დასდებელთა თავზე გაკეთებულია ზედწარწერა ასომთავრულად, სანგურით: „აღდგომაჲ და ცხორებაო მოსავთა შენთაო, მიხჳხო კეთილისაო, ქრისტე, უხუებათ მომნიჭებელთა ნიჭთა სრულთა მადლისა შენისათა. კერპთბეულ არს ცხოველს-მყოფელი სახელი წმიდაჲ შენი ყ̃ჳ ყ̃ჳ, ო̃ნ, იყავნ“, 172r.
2. „გალობანის“ სათაურის გვერდით მიწერილია: „ქრისტე, ადიდენ უძლეველნი მეფენი სუმბატ და გურგენ 172r.
3. „ო̃რ ღ̃ტ̃ყსის“-ას პირველი ტროპარის გასწვრივ კიდეზე მიწერილია ასომთავრულით: „ვერნი“.

126. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო̃რ ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ლ აეე. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ. ჰშეე ქალწუ.
ქრისტეჱსთა მათ ენებათა: თაყუანის ვსცემდეთ ჩუენ:..“ 173v—174v.

127. „დასდებელნი წმიდისა აღდგომიანივე. ო̃რ ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ლ ა. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ. ჰე წმ ი რ ი ტ ე ბ ა ჲ აღ.
წმარმართთა შორის: აღჰმაღლდა ჯუარსა ზედა:..“ 174v—175v.

128. „დასდებელნი აღდგომისანივე. უგ̃ლბდთსა. ბუნებაჲ იგი მდი.
განვიდეენინით დიდებულისა: სამკჳდრებელისა მისგან:..“ 175v.

შენიშვნა: 175v-ს ქვემო კიდეზე ასომთავრულით მიწერილია: „ორ ღრ̃ტყვი ჰპოო წინა ამის ბჭისა დასასრულსა, მეცნეშენ მუცნებათშენ – ამას ხედა".

129. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ა. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ. ეჰა დიდე.
ეჰა გამოუთქუმელი სულგრძელებაჲ:..." 177r—178v.

130. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ა. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.—სიტყუჲ დაუ.
სიტყუაჲ პირველ ცთმაი შობილი:..." 178v—180r.

131. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ა. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ბ̃ნ ღრ̃ისა სიტყუაო ზო.
შენ ღმრთიაჲ სიტყუაო: ღმრთებით ჴენებელო:..." 180r—181v.

132. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე ქართულნი. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ა. მოციებად წ̃.
მიზეზითა: პორცწესხმისაჲთა ქრისტე ღმერთო:..." 182r—185r.

შენიშვნა: 183r-ზე: „უგლ̃ბდთსა სამადუენი უცხონი, ერთიერთას შეყოფილნი და გაჩუოფილნი შეუცუებით, მსგავსი მსგავსებითი და თითოეული განუსხებითა ქართულნი".

133. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ბ. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.
რომელი იშუა მამისაგან წინაჲსწორ:..." 185v—187r.

შენიშვნა: 1. 185v-ზე: „უგლ̃ბდთსა, თქუმულნი ღმერთ-შემოსილისა იოვანე დამასკელისანი, იაბპოონი. ყოველსა მუხლსა ჲ შეუყენებაჲ არს—ე ჯერ იბ. პ. ფრთხილო, გულისხმა-ყავ და ჩემ ცოდეთლისათჳს ლოცეა ყავ."
2. 186—187 ფ.ფ. შორის აკლია ერთი ფურცელი.

134. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ბ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—მამისაგან შო.
რაჟამს აღჰჴედ ჯუარსა ძელისასა:..." 187r—188v.

შენიშვნა: 187r-ს ქვემო კიდეზე მიწერილია: „ნუჰარისა კოზმან იშრუსალიმელისანი".

135. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ბ. რომელი აქები ძაღ.—ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.
რომელმან ჯუარითა: აღჰკოცე ცოდვაჲ ჩუენი:..." 188v—189v.

136. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ბ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ბ̃ნ სიტყუაო გაბო.
შენ სიტყუაო მამისაო: რაჟამს დამოჴიდე ნეფსით:..." 189v—191r.

137. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ბ. რ̃ნ სიბრძნით და.—ქ[რისტე], შ[ეიწყალე] გ[ლახაკი] მ[იქაელ].
რომელმან პირველ: ურჩებით მიიღო წყუდაჲ:..." 191r—192v.

138. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორ ღრ̃ტყესა ჴ̃ბ. რომელმან მოწყალებით.—ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი სულთ-გრძელებით: აღჰმაღლდი ნეფსით ჴორცითა:..." 192v—193v.

139. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა ბ. მოსდრიკენ ქრისტეცა.

მოასწავა წინაჲსწარ: მოსე სახეჲ ვნებათა შენთაჲ ქრისტ[ე]:..." 193v—196r.

შენიშვნა: 1. 194r-ზე „სჯ[ა]ნა"-ს გასწორივ კიდეზე სინგურით წერია: „იოვანე მ[ა]".

2. 194v-ზე „უფლებდისა"-ს გასწორივ კიდეზე სინგურით წერია: „იოვ[ა]".

140. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე ქართულნი. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა ბ. პირველითგან იყო.

პირველეს აუწყა: უშჯულოთა ერსა შჯულისმდებელმან:..." 196r—198v.

შენიშვნა: 1. „სჯ[ა]ნი უცხონი"-დან დაწყებული „გალობანი" აკროსტიხულია.(197r)

141. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა გ., ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—მოსლვითა შე.

ჯუარითა შენითა ქრისტე: დაჰპყან ძალი სიკუდილისაჲ:..." 199r—200r.

142. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა გ. ჭერობ[ა]ნთა მიერ ქ. ქრისტე შეიწყალე მიქაელ.

ჯუარსა ზედა აღმაღებული:..." 200r—201r.

143. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა გ. ქრისტე შეიწყალე მიქაელ.—სიტ[ყ]ჳა მამისაჲ.

კრტსაბმელი განიღო: ჯუარცუმასა შინა ქრისტე ღმერთო:..." 201v—202v.

144. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა გ. რომელმან მჯდომარე.—ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.

რომელმან ჴორცითა მით ვნებადითა ივნო:..." 202v.

შენიშვნა: „გალობანი" ბოლონაკლულია (202—203 ფფ. შორის აკლია ერთი ფურცელი).

145. [დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა გ]. ... ღმრთეებით ეგე უვნებელად: რაჟამს არაჲ: შეიმუსრა ძუალი შენი „ქრისტ[ე]:..." 203r—205r.

შენიშვნა: 1. „გალობანი" თავნაკლულია.

2. „გალობანი" აკროსტიხულია.

3. 203v-ს ქვემო კიდეზე სინგურით მიწერილია: „ქართულნი ძლისპირითურთ".

146. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო[ჳ]ა ღ[მრ]თ[ა]ყვსა ჩ[ქ]ა გ. ვ[ა]ი იგი პირველ.—ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.

ვითარცა იგი პირველადვე:..." 205—206v.

შენიშვნა: 205v-ზე: „უგ̃ლბდისა იამბიკონი. ყოველსა მეცლსა ჲ შეტყუებაჲ არს ე-ჯერ ჲა. თქუმენი ორმეოცისა, ათისა, გჳრისისა, ერთისა და ოცდაათისანი. ხოლო შენ, ერთხილო, გულისსმა-ყავ და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცა-ვად.

147. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე, შეიწუალე მიქაელ.—სამწუხროსა ამას გ.
საწერტელი სიკუდილისაჲ შეჰმუსრე ქრისტე და უკუდავებაჲ მომეც მორწმუნეთა შენთა:..." 207r—208r.

148. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე შეიწყალე გლახაკი მიქაელ.—ცანი ცათანი ძა.
ჯუარსა ზედა რაჲ აღჰპოლდი:..." 208r—209r.

შენიშვნა: 208r-ს მარჯვენა კიდის მთელ სიგრძეზე ასომთავრულით მიწერილია: „სამბრისა ოხითა ჴელთაბანისა და სიწყნდისაჲ ჰპოვენ წინა ამის ჴმისა დასასრულსა ხოლო მოპოვნენსა დასდებელნი ჴუანა ა ჴმასა".

149. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ცათა დაუტევე.
ცანი მგლოვარე იქმნნეს: და ნათელი მზესი მოაკლდა:..." 209r—210v.

150. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყაესა ჴ̃ა დ. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.—რაჟამს იბილე ურ.
რომელი ღმრთებით შეუხებელ ხარ:..." 210v—212v.

151. „დასდებელნი აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—შემოქმედი ყლ.
შეუხებელი ღმერთი ჯორცითა გამოჩნდი:..." 212v.

152. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.—შევსწირავთ შ.
საშინელსა მას დღესა: ენებასა შენისასა მაცხოვარ:..." 214r—215r.

153. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე, შჳწყალე მიქაელ.—ღმრთისა სიტ̃ყო მ.
ღმრთისა სიტ̃ყოო მპოოო:..." 215r—216r.

154. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.—ნათელი დ.
ნათელი დაუბადებელი: იხილა რაჲ მის მიერ დაბადებულმან მზემან:..." 216r—217v.

შენიშვნა: 217r-ს კიდეზე ასომთავრულით მიწერილია: „სბ̃ნი წყალნი ო-რო შესწ̃ა—«იხილა რაჲ ეს»—ჰპოო ამის ჴმისა დასასრულსა".

155. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ო-რო ღ̃ტ̃ყსა ჴ̃ა დ. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ. გერონი.
გუაშუყე ჩუენ აწ მოსე ღმრთის მხილველო:..." 217v—219r.

შენიშვნა: 218r-ზე: „უგ̃ლბდისა. ყოველსა მეცლსა ჲ შეტყუებაჲ აჴეს ე-ჯერ ჲა. იამბიკონნი, თქუმენი ნეტარისა ჲოანე ს̃ა ნ̃ა ნ̃ი ს̃ა. ჲ, ფრთხილო, გულის-ხმაყავ და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცა ყავ, მღდელო, ღმრთის მჴალობელო".

156. „დასდებელნი აღდგომისანიე ქართულნი, აღბეჭდულნი აკრისტიხონნი. ო ღ ტყსა ჯ დ.-ო, წყალობით მოიკსენე სული გლახაკისა მიქაელისი.—ღმერთმან სიბრძნითა თჳ.
არა საცრად აჩუენე ქრისტე თჳთებაჲ:..." 219v—223r.

შენიშვნა: 1. „უგრძნობესსა"-ს გასწორივ წერია: „თჳთ ძლისარნი", (219r).
2. „ჯჯრძლის" გასწორივ: „ქრისტე, სტეფანე მოძღუარი ჩემი შეიწყალე".
3. „გალობანი" აკრისტიხეთია.
4. „გალობანის" ბოლოს ასომთავრულად, სინგურით მიწერილია ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, ცოდვილ არს ცხოველს-მყოფელი სახელი შენი. დაესრულა ქრძოჲ სიგჳლობელთა აღდგომისა შენისათჳს. ო ღ. წყალობით მოიკსენე სული დავითისი."

157. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ჯ ა გ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—სუფევს ღ.
სუფეჲსა სიკუდილისაჲ დაჰჴსენ დ:..." 223v—225r.

შენიშვნა: „გალობანის" ბოლოს ასომთავრულით მიწერილია: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე". (224v).

158. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ჯ ა გ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—რომელი ჭებულ ხარ ჭე.
რომელმან ჯუარითა ღობჳთა სიკუდილი:..." 225r—226r.

159. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ჯ ა გ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—მამისა თანა მჯ.
რაჟამს აღჰმაღლდი ჯუარსა ზედა:..." 226r—228r.

160. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ჯ ა გ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—საიდუმლოსა გ.
საიდუმლოსა ცხოველს-მყოფელისა ენებისა: შენისასა ქრისტე ღმრთისა სიტყუაო:..." 228r.

161. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ქართულნი, ჯ გ. ეითარცა მწყემ.
ეითარცა კრავი უბიწოჲ: და ტარიგი უჭმობელი:..." 229v—231v.

შენიშვნა: 230r-ზე: „უგრძდისა მერჩულიდნი ჯცხონი". 230r.

162. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ჯ ბ გ. რომელმან სიბრძნით მოდრიკნა.—
რომელმან ივნო ჯორცითა ნეფსით:..." 231v—232v.

163. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ჯ ბ გ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—შენ რი გარდგამ.
შენ რომელი ჯუარსა ზედა აღჰმაღლდი შორის ავაზაკთასა:..." 233r—234r.

164. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო ღ ტყსა ჯ ბ გ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ანგელოზთა მეუფეჲ.
ანგელოზთა კრებულნი განკჳრვებულნი ძრწოდეს:..." 234r—235v.

165. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—რნ წმისყოფი.
რომელი შეუხებელ ხარ: და უჟნებელ სიტყუაო მბოლოდ შობილო:...“ 235v—237v.

166. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. ქართულნი. გერნი.
გამოიჭქმული ღმერთი: ღმრთისა მამისა სიტყუაჲ დაუსაბამოჲ:...“ 237v—239v.

შენიშვნა: 237v-ზე: „სხნი ორო ღღტყსა უცნობი. უფალო, მოიკსენე სული დავითისი“.
2. „გალობანი“ აკროსტიხულია.

167. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.—დაიმდაბლა თავი.
დაეწერგა ცხოველს-მყოფელი ძელი:...“ 239v—240r.

168. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. ქრისტე. შეიწყალე, მიქაელ.—წიაღნი მამი.
ჯუარითა შენითა: დაეც ძალი სიკუდილისაჲ:...“ 240v—241v.

169. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე, ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—აღხუმასა ბა.
სიკუდილი დაითმინე: უკუდავო მიზეზი ცხოვრებისაჲ:...“ 242r—243r.

170. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—მხოლოდ შობი.
მხოლოდ შობილი ძეჲ და სიტყუაჲ მამისაჲ:...“ 244r.

შენიშვნა: 1. სათაურის გასწვრივ კიდეზე სინგურით მიწერილია: „მიქაელ“. (243v).
2. ამავე ფურცლის კიდეზე მიწერილია: „მინჩხი“
3. 243r-ზევე „სხნის“ გასწვრივ: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე. თუნი“.
4. 243v-ზე: „სხნი ქურდნაი“.

171. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე, ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.—დაუსაბამოჲ ღნ.
დღესა მას ვნებისასა: ჯუარსცუმასა ღმრთისასა:...“ 244v—246r.

172. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე, ორო ღღტყსა ჴაბ ჯნ. გერნი. ქრისტე, შეიწყალე გლახაკი მიქაელ.
გიცანთ წარმართთა. ეჳი მხოლოდ შობილო:...“ 246r—248r.

შენიშვნა: 1. 246v-ზე: „სხნი ორო ღღტყსა აღბეჭდულნი. სასდეკნი“. გასწვრივ კიდეზე მიწერილია ასომთავრულით: „მიქაელისი“.
2. „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ“, (248)).
3. „გალობანის“ ბოლოს მიწერილია ასომთავრულად, სინგურით: „მომესწინა დასდებელნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტსა ჴსნაი, რეთაჲცა ჴსნაი ჩემი იმსახურენ, მტკიცეო ღმერთ-შემოსილო, და ეხლირსა მონისა მიქაელისთჳს ლოცვა ყავ, ამე“ 248r.

173. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ო‹ პირველ საუკ.
უფ‹ლო დაღაცათუ ნეფსით ვნებულნ:...“ 248v—250r.

174. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ...
სიკუდილი წარმოსტყუენე ჯუარითა შენითა:...“ 250r—251v.

175. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ჰ მიუწდომელსა სი.
ჰ, გამოუთქუმელი სულ[illegible]ელებაჲ:...“ 251v—252v—253r.

176. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ორ‹ გარდაა.
რომელმან დასაბამსა ოდესმე: ურჩებისა პატიჟად:...“ 253r—255r.

შენიშვნა: 253r-ს ქვემო კიდეზე ასომთავრულით მიწერილია: „ნერტუსა დაჰბერვნი“.

177. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—უწინარეს.
უხილაჲ სიტყუაჲ: თანაბ‹ყოო‹ა არსებაჲ:...“ 255r—256r.

178. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე ძ‹ქაელ სიტყუაო ღ.
სიტყუაო ღმრთისაო: ნეფსით ვნებად მოხუედი...“ 256r—257r.

179. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—ვითა‹ცა სახიერ.
ვითა‹ცა კაცი ვნებად მოხუედ:...“ 257r—258v.

180. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ.—იხარებენ დ.
იხარებდ ქალაქ ღ‹ისო სიონ:...“ 258v—260r.

181. „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანიე. ო‹ ღტ‹ყსა ჯ‹ჲ დ გ‹ი. ქრისტე, შეიწყალე გლახაჲი მიქაელ. გერნი.
განსრულებასა რიცხუსა: ხუთთა მთ შჳდეულთაჲსა:...“ 260r—262v.

შენიშვნა: 1. „გალობანი“ აკრისტიზელია.

2. ტექსტის ბოლოს ასომთავრულით დაწერილია ანდერძი: „დიდებაჲ შენდა ქრისტე, ნიჭებო ყოველსა კეთილისაო, დაესრულნეს შეწევნითა შენითა საგალობელნი წმიდისა აღდგომისა შენისანი, რომელთა იდიდების ცხოველს-მყოფელი სახელი წმიდაჲ შენი, რომელი კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე, ა‹მ.

შეწევნითა დიდად სახიერისა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმან და ცრიელ უდებებით ცხოვრებულმან, ღირსთა სოფლისათა დასთმენელმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისათა დაღონებულმან მიქაელ მოდრეკილმან ვიღუაწე და უხუმრაჲს ტკბილისა ძალსა ჩემსა შრომაჲ ვიხილე და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვასენ ენითა ქართველთაჲთა: მეხუთენი ბერძნულნი და ქართულნი, სრულნი ყოველითა განუკუეთითა, წესისაებრ სადღესასწაულოსა: ო‹ ღტ‹ყუითა, ოხითა, მოთხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწრფედით და სიმარჯუით, სისწორითა კილოჲსაითა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა. იხილე, ღმრთეო ღმერთ-მოყუარეო, ცნობაჲ ესე წამოწმაგები უნდოთა ყოველთა ჩემთაჲ, რაჲთა ცხოველად აღმოვიდეს საღმრთოსაჲ ესისგან წყაროსაჲ. მოიკსენე სასწალობელი სული ჩემი ქრისტეს სიყუარულისათჳს, რაჲთა თჳენცა ჰპოოთ მადლი მოწყალებისაჲ და სასყიდელი სიყუარულისაჲ. რომელნი იკითხვიდეთ, ისწაგებდეთ, გინათუ

ისმენდეთ სიტყუათა ამათ ღმრთივ-სულიერთა სავალდებულთა უფლისათა, რომელი კურთხეულ არს, უკუნითი უკუნისამდე. იყავნ.

უფალო, წყალობით მოიპყარე სული მსმისა და ვითი ნი, იოვანესი, და ვითისი და წყალობა ყავ საწყალობელისა მიქაელისთჳს"

182. „დასდებულნი სამშაბათონი წმიდათანი. ო რო ღ ლტყესა ჭ ჲ ბ. ქრისტე, შეიწყალე სტეფანე.

შენ სიტყუაჲ დაჲ. ზეცისა ძალნი შეძრ.

განუშოვრებელ ვიყვნეთ ბჭეთა სიონისათა..." 263r—268v.

შენიშვნა: 1. „დასვებულნი სამშაბათონი" დაწერილია 8 ხნის.

2. 269r-ს ქვემო კიდეზე ასომთავრულით ჩაწერილია: „უფალო, შეიწყალე ეფთჳმე ცოდვილი მწარედ". ამავე ველიდან ტექსტის პოლოს: „უფალო შეიწყალე მოსე".

183. „დასდებელნი სულისანი. ო რო ღ ლტყესა დ გ. ო რო პლ სწ ე. უფალო სულთა მათ აღსრულებულთასა:..." 268v—269v.

184. „შესხმანი წმიდისა ღმრთის მშობელისანი და ოხითანი დღესასწაულთა სათქუმელნი, საუფლოთა საქმარნი ფა რა ფთო ნნი, მოსართავნი ბერძულნი, თქუმულნი წმიდისა კოზმანისნი, თარგმნილნი გლახაკისა მაკარისნი. უფალო ღმერთო, შეიწყალე გლახაკი მოსე სულითა.

ქალწულსა კრებულისათჳს: დღეს ერნო..." 269v—272v.

შენიშვნა: 1. იადგარის ტექსტებს აქვს მინაწერები სოხუმურ ენაზე, გადმოცემული ჯადამწერების მიერ (იხ. მინაწერების შესახებ იხ. ა.ბენელიანის წერილი: «X ს. ერთი ქართული ხელნაწერის სოხუმური მინაწერები და მათი ენობრივი სოხუმური დიალექტოლოგიისათვის», „ბანბერი", 4. 1958 წ., სოხუმი-რუს).

2. გალობათა ტექსტებს აქვს რიტმული პუნქტუაცია (წრთელი და მაგი წერტილები) და სანოტო ნიშნები.

3. მიქაელ მოდრეკილის იადგარის ვრცელი აღწერილობა იხილე პ. ინგოროყვას წიგნში „ეიორგი მერჩულე", 1954 წ., გვ. 01-038, 760—775).

(416) 427 ა

კრებული. XIX

9 ფ. (18 გვ.); 34 × 20.5; ქაღალდი, შეკვეთილებული და დასინჯებული; ცუდო, დაშლილი, ნაკლული; მხედრული; [XIX ს.], ჭეროზმანი აქვს.

1. [მიტროპოლიტ პლატონის მიერ წარმოთქმული მისალოც სიტყვა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I გამეფების დღეს]. – „წელსა 1800, თუსსა სეკდემბერსა 15 ცხებულ იქმნა და მიიღო გვრგვნი და საჭიფო ნიშნები მათმა დიდებულებამ უაღუსტესმან, ყ ისა. როსიისა იმპერატორმან და მონარხმან ალექსანდრე პირველმან..." გვ. 1—2.

წყდება. „...წყარო ესე დასატკბობელად მისსა და უკეთუ..."

2. [სიტყვა, თქმული კელმწიფისა ჩვენისა კოსტანტინესთჳს].— „...ვიდრე განჴრახუამდე ლოცვისა ჩუენისა დაგებად წინაშე მისსა...“ გვ. 3.

3. „დიოდორე სიკილიელის ისტორია, ტომი 6, ფურცელი 220.—ყოველი კაცი უბედურებასა შინა უმეტეს იხსენებიან ღ[ა]ისათჳს ჩუეულებრივ...“ გვ. 3.

შენიშვნა: ეს ტექსტი განმეორებით მოთავსებულია ხელნაწერის მე-12 გვერდზე.

4. „უარის-ყოფა ნაჰოლეონისაგან ფრანციისა და იტალიისა ტახტთა.—ვინაჲდგან მეყოფირე ჴელმწიფეთა გამოცადეს...“ გვ. 4.

5. „ელისაბედ იმპერატრიცასაგან მიწერილი იმპერატრიცას მარიამთან.—დედაო! ანგელოსი ჩემი ცათა შინა არს...“ გვ. 4.

6. „შესხმა, თქმული შემთხუევასა ზედა იმპერატრიცა ეკატერინა მეორისა მისლვასასა ქალაქსა შინა ბესტილაჲს 1787 წელსა, იანჳრის 19 ს.—ყოველად უგანათლებულესო იმპერატრიცაჲ! უტეოთ ასტრონომოსთა დამტკიცებად...“ გვ. 4.

7. „ბარი წიგნისა წარჴლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმპერატორისა მიმართ პაბლიო ლენტულუს მთავრისაგან ურიასტანისა იესო ქრისტეჲსთჳს. წიგნი ესე დაიმარხვის რომის მონასტერსა შინა უფალთა კესარიანელთასა და ლათინურისა ენისაგან გადმოთარგმნილ არს. —სათნო ყოფად ჰ კეისარო, ნატრჳსა შენისა მოგახსენებ...“ გვ. 5—7.

8. „არხი(!) მეფეს თეიმურაზთან კათოლიკოსის ანტონის მიერ ეკსორციზმასა თჳსსა ზედა.—ღმერთმან ჩუენის ჴელმწიფის საქართუელოს მეფის ცხებულის უფლის უფლის(!) ჭირი მისცეს...“ გვ. 7—8.

9. „განჩინება კათოლიკოზს ანტონის ზედა. დამხობად, განდევნად და წირჳსაგან დაყენებად...“ გვ. 8.

10. „იამბიკო, თქმული რუსთაველის მიერ, რომელიცა ზედა წარწერილ არს გელათს ხატსა ზედა ხახულისა ღ[ა]ის მშობელისასა.—ქალწულებრივის სისხლთა შენთაგან სძალო...“ გვ. 8.

11. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმი მთაწმიდელისა, რომელი იყო ნათესავით ქართჳლი, რომელმან იგი მრავალნი წიგნნი საღმთონი სთარგმნნა ბერძულისაგან ენისა ქართჳლთა ენისა ზედა. რამეთუ გამოტყოდა იგი ენითა მადლითა სულისა წმიდისათა და ესე მცირე კითხუა-ბიგება მოაცა თჳედირე ხუცესსა სახა ჳჭირელსა, რამეთუ იყო იგიცა მღუდელი კეთილი ქართჳლიჲ.—კითხუა: გეეკლრები წენ ღმერთშეწოსილო...“ გვ. 9—11.

შენიშვნა: 1. ბოლომი ერთის ანდერძი: „ეს მამა ეფთიმი ქართველისაგან თქმული კითხვა-მიგებაა ერთს ძველ ქილით წერილის ქართველურში წერილს, რომელიც ენახა მღვდელ-მონახონს ტარასი ალექსიეს ძეტრებეტრს, რომელიც ყოფილა მეფის არხილისაგან წაღებული ქართლ[ი]ს რეუისის ღ[ა]ვთების ეკკლესიიდამ, რომელიც ყოფილა ავალიშვილის მროველისაგან შეტანილი, და კითხვა-მიგების ბოლოს ნიკოლაოს ტი-

ლეონ ასე მიუწერია: ყოველად უსაძლოთესონო წმიდანო მამანო და სულიერნო ღირსნო ძმანო, სამღთოისა სიბრძნისაგან წინაშეე ცნობილნო..." გვ. 11.

(ამ ტექსტის ნაწილი თავისი ანდერძითურთ გამოირებულია მე-13—14 გვერდებზე).

12. „ეპისტოლე. მიწერილი კრისტე იესოს მიერ ავგაროსის მამართ.—ნეტარ ხარ შენ ავგაროზ და ქალაქი შენი..." გვ. 11—12.

13. „ანდერძი საყდრისათჳს საჭართჱლოს მეფის დავით აღმაშენებელის პანკრატიანისა, რომელი წარმოუთხრა ცემსა მიცუალებისა თჳსისასა მოძღუარსა თჳსსა არსენი პიოთა ყოველთა საძღუდელოთა და დიდებულთა მისთა.—გიბრძანებსთ და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავით..." გვ. 12.

წყდება: „ამას ყოველსა თანა წარუძღუანე წმიდა ძელი ცხოვრებისა და მიეცე დროშა ჩემი სჳანი, აბჯარი ჩემნი სამეფონი და სა...".

შენიშვნა: ხელნაწერში ფურც. სხვა ხელნაწერებიდან ორი ფურცელი შემდეგი შინაარსისა: 1) „მეგობრობა".—მეგობრობა არს მეტღლეობა სულთა, ჯაჭვი წარმოხიდული ღუთაებრივისა სიყუარულიდგან...". 15r-v.

2. [დოკმატიკური ხასიათის. თხზულება]—ჰოი მამაო! მაგ სახით განეგებოდეს. სიკუდილი...", 16r-v.

წყდება: „...ამ მდგომარეობაში ვეღიდებოდი მე..."

მინაწერები: 1. „მკითხველო, ნე ეცრეგ! რათა დიდის ღუწლით დამიწყეიეს ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი". გვ. 1.

2. (ტექსტის ხელით): „ფუტი არს ქართული ერთი ჩარეჯი და ნაბეკარი".

427ბ

საბუთების კრებული, გადატანილია საბუთების კოლექციაში (იხ. 8ქ—5329—5504).

(417)

428

როსტომიანი. XVII—XVIII

445 ფ. (890 გვ.): 32,2 × 21,5; ქაღალდი (სხვადასხვა), რესტავრირებული; ნაცრისფერ ტყლაპაჭარული მუყაოს ყდა: ნაკლებია: კალთრატული მეტრული, სხვადასხვა ზომი. სათაურები და სტრიქონების დასაწყისები სინჯურით, [XVII—XVIII]. მოკეთანებით რამატებულ ფურცლებს აქვთ ჰეერმანშანი: სამი ნახევარი მთვარე (ვ. 75).

რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ი.—„...ეითა მართებს მხიარულთა, ღამე ლხინით გაითენე,
ესე საქმე ჭელმწიფესა ბანუჩარსაც მოსახსენე,
საამო შვილი მისცემია, გასაგდებლად წაიყუანე,
და როდის იშვა, ბაშინათვე თმა ბანბასა დაუგეანე..."
1—890.

წყდება: „...ანაზდ მოვიდა ფასჭუნჯი მაღლით აერთა რებული,
ჩრდილმა დაფარა იგი მთა, ჭგავს მზეა ჩრდილ დაფარული,
საამ და მისნი ლაშქარნი ღუტრატენ დაკვრებული,
მან ვითა კაცმან დახედნა, სად ბუდე ედგა გებული.
დაჯდა ტბრთანა ზაალდასტანს ფასჭუნჯურისა ენითა,

ძე დიდის ნარიმანისა სამ ზის ცრემლითა დენითა,
ტახტოსან-გვირგვინოსანი ნიმროზს ხის შუქთა ფენითა...".

შენიშვნა: 1. ტექსტი ნაკლულია. ადგილ-ადგილ დატოვებულია დაუწერელი ადგილები, ჭვიან ჩაშტამპებით მთელი რიგი ფურცლები (23—26, 31—34, 69—70, 75—82, 93—100, 107—110, 185—186) და აღუდგენიათ ზოგიერთი ადგილები.

2. ეს ხელნაწერი სათუძლად დაედვა „როსტომიანის" 1916 წ. გამოცემას. იხ. „შესწავლა ანუ მეცნიერული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იესტინე ბაბლაძემ. თბილისი, 1916 წ. გვ. XII—XVII.

3. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ეკ. თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей", 1902—1904 წ. ტ. I, გვ. 361.

4. ხელნაწერში ჩაწერილია კრიპტოგრამები, იხ. გვ. 121, 361.

მინაწერები: 1. „კ. ეს წიგნი ბატანიშვილის ელენესია, როსტომიანი", 107.

2. „მეფისა მადლსა, ნუ მაგინებთ, სამი ლექსი დაბრუნდოდა", გვ. 317. იხ. აგრეთვე გვ. 135.

(418) 429

ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო მოქმედებათა აღწერა. XIX

12 ფ.: 37.8×12.4; ქაღალდი: ფყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 12v.

„აღწერა სამხედრო მოქმედებათა ალექსანდრე დიდისა, მეფისა მაკედონელთასა. პირველი. 3668 წელსა შექმნიდგან სოფლისა, უწინარეს იესო ქრისტეს შობისა 336.—ალექსანდრე ჯერეთ არა იყო ოცისა წლისა, ოდესცა აღვიდა ტახტზედ. პირველს ომის მეცადინობად იყო ესე, რათა აღესრულებინა დაფლვაჲ მამისა თჳსისა ყოველთა დიდშვენიერებითა..." 1r—12r.

შენიშვნა: 12v-ზე მუხის მრგვალი ბეჭედი.

(419) 430

სარიდონიანი. XIX—XX

27 ფ.: 35,5×22; ქაღალდი; ქაღალდის ყდა: ბოლონაკლული; დახიანებული.

„წიგნი სარიდონიანი.—ღმერთო, შენ მამეც გონება ძალითა მღვიძითა შენითა,
რომელმან შექმნა ადამი მიწისაგან ხელითა

და მისცა ჯოჯოხეთსა განუჭვრეტელი ცეცხლია,
მაცნობე გზანი კეთილი ცოდვილის ენითა...“ 1r—27v.

წ ყ დ ე ბ ა: „...რა სარიდონს რა ეს ხმა ესმა, გახდა გაბარებული,
ფერი ვარდისფრათ შეცვალა, გახდა აყვავებული,
სიყვარულმან მოიტაცა, გახდა აყვავებული,
მამობილს ყელზედ აკოცა, სიტყვა სთქვი ჩემნებური...“

(420) 431

სირიანოზიანი. XIX—XX

133 ფ.; 35,5 × 22; ქაღალდი, დახიანებული, ზოგი ფურცელი დახეულია. ქაღალდის ყდა, დაშლილი, კიდეებშემოცვეთილი; თავ-ბოლოანკლული; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია: 1 v.

„...მარხაყ დეზმან უთხრა: ძმაო დერიყან გიე დღეს, დიაღ სასირცხვილოდ არა გრცხვენის და ვითარ ეკადრება შენს მამაცობასა, დღეს ერთი ფალავანი შეიპყარ და მეორემ ომი გაგისწორა და კიდეც და[გ]კოდა, თუ ამის მეტს ვერ შეიძლებდი, რაღა გამოითხოვე ომი...“ 2r—133v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ამებამად ნახეს, რომელმან დიდმან ცაცხვის ხემან რყევა შეჰმნა და დიდი მწუხარებისა ხმა გამოხდებოდა. შეხედეს, ნახეს, რ[ა] ჰგრიდამ ერთი შავი ღრუბელი გამოჩნდა და ნახეს მას შინა ჯადო ქვეყრნედ იჯდა და ზოვიდოდა. წამსაე შინა მარიხმან შეილდსა ისარსა ჭაზე გასმული... სტყორცნა ჯადოს, დასცდა და მას ღრუბელში განელო და...“

შენიშვნა: ყდაზე და 1r-ზე წერია: „სირიანოზიანი, თავი და ბოლო აკლია“.

(421) 432

ნაკაზი იმპერატრიცა ეკატერინესი. XVIII

28 ფ.; 33 × 22; ქაღალდი, კიდეებზე შემოცვეთილი; ქაღალდის ყდა, დაშლილი თაუნაკლული; მხედრული; [XVIII], ბეჭდნიშანი: 1785 წ.

„...მოჭალაქისა, არიან რიცხვისაგან თჳთ დიდთა ბრალთასა, და სახელითა ამით დაინიშუნიან არა ოდენ მკულელობა, რომელიცა იქმნების შორის გლეხთა კაცთა, არამედ იგიცა ნათესავი ძალადობისა, რომელიცა იქმნების მის პირისადმი, რომელნიცა იყუნენ ვ[ა]რისამე ღირსებისა და ჩამომაელობისა...“ 1r—28v.

(422) 433

ქილილა და დამანა. XVIII
(ს. ს. ორბელიანის რედაქციის)

148 ფ.: 21×31; ქაღალდი, დახიანებული (ხოგიერთი ფურცელი მელნისაგან დამწვარი); ქაღალდის ყდა; დაშლილი, თავ-ბოლონაკლულია; მბეჭდური. კალიგრაფიული ხელი, დასაწყისები სინგურით; [XVIII]. ჰვირნიშანი აქვს შემოწირულია გვანტა იოსელიანისაგან (14r).

[ქილილა და დამანა. კარი მესამე]... [შეუპოვრობა სხუსა საქმისა უნდა ჰქონდეს, ესე საქმე ამას ჰგავს, მას განაი უძევს რამე, და მისი ამედი ესოდენსა შეუპოვრობასა აჭნევინებსო...“ 1r—148v.

წ ყ დ ე ბ ა: [კარი მეთორმეტე]. „... სოლომონს ესეთი სიტყვები დია მოეწონა და ქება შეასხა, გესლ-სანსალა ნარევსა სასმელსაითი მოერიდა და უკადაებისა წყალი სადეთაც მოეტანათ, ჭუნე წარგზავნა ესე აოაკი ამად მოვიუბნე, რათა სცნათ: მე უამაოოდ სიცოცხლე არ მინდა და ჩემი თუ მათი სიკვდილი მეტნაკლებო[ბით]...“

შენიშვნა: 1. „ქილილა და დამანა“-ს 1886 წლის გამოცემის მიხედვით მელნაწერის ტექსტი იწყება 254 გვერდზე, წყდება 512 გვერდზე.
2. ხელნაწერში ილუსტრაციებისათვის დატოვებულია თავისუფალი ადგილები.
3. კიდეებზე მოთავსებულია სიტყვების განმარტებები.
4. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ე კ ი მ ე თ ა ყ ა შ ვ ი ლ ს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. I, გვ. 296—297.

(423) 434

ანტონოვი ზურაბ, ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა. XIX

16 ფ.: 35,5 × 22; ქაღალდი: ყდო, დაშლილი; მბეჭდური: ავტოგრაფი(?); [XIX]; დაუწერელია: 12r—16v.

„მოქმედება 1. სცენა ზარმოადგენს გოროდნიჩის ზალასა, მებელით მორთულსა, გოროდნიჩი სკამზედა ზის ზალათით, და გოგია წამოწოლილია დივანზედა. გამოსვლა 1. გოგია, ჩემო ძმისწულო! უბძანე ბიჭსა სუფრა გაშალოს, პური მომზედა ვეთო...“ 2r—11v.

შენიშვნა: 1. წინ ფურცელს მოკმედ პირთა სია, „მოქმედნი პირნი: პოროკოვნია თავადი გროგოლ ლრუბაკოვი...“ 1v.
2. პირველ გვერდზე წერია: „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა. ნამდვილი კომედია 2-ის მოქმედებითა. შეად. ხ. ა ნ ტ ო ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ. ქ. თბილისი. უ. კეკელიის ნამსტნიის კანცელარიის სტამბაში“.
4. ეს პიესა გამოქვეყნდა 1854 წ. იხ. „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა. ნამდვილი კომედია 2-ს მოქმედებით. შეთხზ. ხ. ა ნ ტ ო ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ“. ტფილისი 1854 წ.

მოხე ხონელი, ამირანდარეჯანიანი. XIX

III+117 ფ.: 35× 22; ქაღალდი; ულგო, რეველტებად შეკრული, სულ 9 რეველი; მხედრული, ორ სვეტად. [XIX ს.]: დაწერილია: Iv—IIIv, 110r—111r, 117r-v.

[მოხე ხონელი, ამირანდარეჯანიანი]. — „ქარი პირველი. აბესალომ ჰინდოთ მეფისა ანბავი. (მისივე მეფისა მარკ-მულისა(!) და გამდიდრებულისა აბესალომისა და წიგნი ამირან დარეჯანიძისა).— იყო ჰინდოთ მეფე აბესალომ მორჩენული და განგებიანი და არა იყო შეჰირვება გულსსა მისსა...“ 1r—109r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ჯგუფები გაყოფილია ორ სვეტად. I სვეტში ტექსტია მოთავსებული, II-ში შენიშვნები და ვარიანტები.

2. ძირითად ტექსტში შეტანილია „ამირანდარეჯანიანის“ დამატებანიც: „ჯიმშერ ხახანთა მეფისა დილოისა შვილისა ანბავი“, „ჯიმშერისშვილის ჯიმშერის არმოყვანებისა“, „ციხი ხელწიფის შვილის გურგენის ანბავი“.

3. ტექსტს ბოლოში ერთვის: ა) ლექსი.—

„ვის ხატათ ღთისა გუტყვან ფილაქიფოსთა წინანი,
მიშველეთ რამ ტყეე-ქნილს, ჯაჭვი მაკვია რკინანი,
ბალახისა მმეწონელნი სათი დავკარგე ვინანი,
მაშინ ცუდ გავდელ ციახლე, აწ სიშალე ვინანი.

ეს გადარჩა თოხ ტრიჭოსა თოოშეტისაგან მგონორიეს
ბეწებად შეტყეულებსა სიბრძნე არ მოეშორიეს,
ავრეე რიცევ-პუტყეულებამან თავი სპეთ ბრავსთა მორიეს,
ვინც ეს თოოეტი შეკრაბოს, სულ სიბრძნე დაეშორიეს.

დვითის ხაბაკი ხარ, გიძღვენ ფსალმუნით გალობა,
სიბიბნის კონა მცა სოლოვონ და ასალით ლაღობა,
შენდა მადლობა, ძალობა, შორით მაყნოსე წყალობა,

ესე წიგნი ამირანის ნათქვამია მონელისა,
ძალით ჩჩარად ეთქვიათ წყანარა ხონელისა,
აწეცა სჯეროტს, მოეა აქო, ყველა ზის ხონელისა,
ვეჰე, ასრეა ესე კაცი, მოეა მისთვის მგონელისა.

ძლევა მოგეც არსთა მქედან და სიმკვნე თან მოსაკმარად,
ტანად სპილოდ, ძალად ლომად, შენს მტერთათვის შესაზარად,
მკლავნი გმირად, ჩიხი ჯაჭვად, გული სალად, ვითა ფარად,
თოფი მარჯვედ, ირა მცდარად, ჯრმალნიც გაჭვან ლეკთა კმარად.

დედა ჭაღწული მშვენიერი შრომანი,
შას ახარებდა ანგელოზი ფთოსანი,
შენგან იშვების მეუდე გვირგვინოსანი,
და მას მონებდენ მრავალ ყმოსანი.

ესე არის სიბრძნე ბრძენთა, პირველ ფილოსოფოსთაჲ.
მწარჱ სიტყუაობა, რიტორობა, მერმე ღრამატიკოსობა.
ქუეყანა ზომა, ვარსკულავთ რიცხუა, სიტყუის შეთხუზად მესიკოსობა.
ბოლოს წესი, ქნელობენა, ძნელის ნივთის შემტყობლობა.

სულხან ვითანიას(!)შეილი მეც მახსოვს იყო ჩემობას.
ცოდნა მას ჭონდა ბეერი რამ, მაგრამ სწაბრძნენ ჩემობას,
ამირან დარეჯანისძე უქებდა გამომჭერობას,
ვეკვეთ, რომ კარგი თქუა მაშინეა. რად ჯობებს ამიტომაი მისმინე:

ნანურარს რუსთველს ნათქუამში ბერი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმიდად რამ ეუმღერებია,
მასთან რად სწერდი მას ლექსსა, სირეგვენე მას მორევია,
რუსთველი სიბრძნის ტბად არის და იგი არც მორევია". 109r-v.

ბ. ცალკეა ჯატანილი: „მეეთე კარისაჲს. მზისჩაბუკს ანბაჲი (რაც ბრისტომატიაში არ არის).—ორგულთა თქუნთა, ბაბანა ამირან დარეჯანისძემან და ნადროობად გავიდა", 112r—116v.

4. გადაწერს ტექსტი შეედარებია დ. ჩუბინაშვილის კრესტომატიაში გამოცემულ ამირანდარეჯანიანის ტექსტისათვის (იხ. 15v, 73v და ა. შ.). ხელნაწერში გამოტოვებულია ის ადგილები, რომლებიც ჩუბინაშვილს აქვს დაბეჭდილი კრესტომათიაში.

5. 1r-ზე აწერია: „დარეჯანიანი, მოსე ხონელისაჲ".

(425) 436

რუსუდანიანი. XVII

285 ფ.; 27,5 × 20; ქაღალდი, დალაქვებული და დახიანებული; უცდო; ნაკლული, ბოლო ფურცლები (283, 284, 285) ხელნაწერს მოკლებული აქვს და დაზეპირებულია; მხედრული, სხვადასხვა ხელი, დასაწყისები სინგურით; [XVII]; ჰეორნიშში აქვს; შემოწირულია იოსებ დავითაშვილის მიერ.

[ამბაჲი ჩინეთის ხელმწიფის ზოსტერისა, ძისა ზაჲისა].
„... სიმაგრე ეს ყოფილა. რა პაპასა ჩემსა ქალაქი ეუშენებია. რად მინდა აქ ყოფაო. მტერნი არსით მებძიებიან და არა შიშია ჩემსა გულსაო..." 1r—285v.

წყდება: „...ჩემითა ბედითა შენ რამ დაგი... ჰირი მინახაჲს გზაშია და ასეცე ... და შენსა ჰირსა.. თ ამ სიტ..."

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ცუდად არის აკინძული. ამიზედ მიუთითებს მინაწერებიც: „ეს რომ გაათაო, თხუთმეტი ფურცელი გამაპრიწე და იქითო".

2. ხელნაწერის დედანი ნაკლული ყოფილა, ამას მოწმობს ხელნაწერში დატოვებული დაუწერელი ადგილები, რომლებიც შემდეგში მინაწერებისათვის გამოუყენებიათ.

3. 154r-ზე მოთავსებულია პატარა ზომის ოთხკუთხა შერის ბეჭედი, წარწერა არ იკითხება.

4. 1v-164 ფურცლის მარტო კუნძა მარცხენა კუთხეა დარჩენილი.

5. 226v-ზე მოთავსებულია ასომთავრული ჩართული წარწერა.

6. ხელნაწერი აღწერილი აქვს ეკვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей". ტ. I. გვ. 408. იხ. ავრთვე „რუსუდანიანი", იღ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957 წ. გვ. XXXII—XXXIII.

7. 274v-ზე მოთავსებულია კრიპტოგრამა.

შენაწერები: 1 „ხელმწიფისა დედოფლისა“. 42r.

2. „ღმერთო, აცხონე დავითი თუმანიშვილი...“, 75v.

3. „შეწევანითა წყალნი ...ბიბიჟით“. 85r.

4. „... ტყდ მართალ ახოს. ქ-ნს ტყდ [1706] სწო... ქარადორისასს(!) კეთილი მობდეს“, 130v.

5. „ქ. აწ გითხრა ცუდი ხელობა შანშია მოაბადისა,
ძალი შეიპყრა, მჭყვანდა, ვით თევზი მოაბადისა,
ახა ისმინა ნათქვამი მეტყველთ მოაბადისა,
და ეისმან ს[ა]ბაცლოდ შეიპყრა სერვიელი მოაბადისა.

ქ. უფალოსმან მის ყამისა პერ[ა]ნგი სისხელით შესვარა,
მათ მისი ცხენი მიჰყვანდათ, ნეტარ მისთან რა შესვა რა.
იგი მაუნ დადგა, ეს მიეკ, ვაი რად ძმისან ძმის სისხელი შესვარა.
და სხვა მეზვასი იოსების, ეეჭობ, დედამან შესვა რა“. 204 v.

6. „ქ. ღონეო, შენსა ანბავსა მე ვინ მიანბობს, მინდოდეს,
მოკაითხვა ის წიწყია მამწერდე, თუ ჩემი თვით(!)ენინდოდეს.

ქ. ღონევაო, შენი ენთაბაზა ვაი თუ მე მჭირდეს და შენ არა,
ყველას სწამს შენი სერვიელი, მე მატირებდეს და შენ არა,
სიკვდილსა თვის სნაცლოთ ჩემს თვის მივაცემდი, შენ არა
და ვიმე თუ ეს დამემართოს, მე კაი მიყვარდე, შენ არა.“ 206v.

7. „ქ. სახელით მამისათ, ძისათა, ამინ, სამყარო ასე თქვა, ორკულ შეულოცე, მესამეთ დაწერე, შუბლზე მიაკარ.
შაკიკი შემოჩეჭეული სათევზის ბოლოზე,
ასე ენტდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო,
ჯასწყარამია მეტყე, გაიპარა ციღასაო.
ქალისთვის შავი ფისი ტილოში დაიდეს სამკერდ. არგებს. კიდევ კარგი...“230r

8. „ვარტანგ“ 240r, 258v.

9. „ქ. ვაჟი ხარ საროს უმაღლეს, ლამაზი ყვავრიანი,
ყვაჭი გაეცია ჩაჩანი, ცხვენი გყავს ლაბადიანი,
ასიანისა მთას გეეხარ, შეგარდენ კანჭებიანი,
და შენ მტერი ვერ შემოგივა, ტიროდეს თვალცრემლიანი“ 241v.

10. „... ... რ-ა შეინახე თეთრია,
გ ი ე ს შეილებმა შეჰხმეს, იმათ არ სწყობათ ღმერთია,
არცარა სარჩო მე მაძევს, არც გამიეთხეს ტრფია,
ეეჭობ, მოჭკითხა უფალმა, მათ გაურისხდა ღმერთია.

ქ. ობლობით ძე გავიხარდე, არა მყოლია მამაო.
არცარა მამისა დამრჩა, ღ-ა, შენც იცი განაო,
ვინც ჩვენი თეთრი შესწუპა... დაწანაო მაჭამეო“. 246 v.

11. „ქ. ნებითა და შეწევანითა, მეთაე ხელით აღმატებულმა,
მეთიე შეუდგა დაფარებულმან, იასიან(!) დავითიან-სოლომონიან-პანგრატიან მეფეთ მეფეთამან, თვით ხელმწიფეთმან, პატრონმან ნა ზ[ა]რ[ა]ლ ი ბ ა ნ, ძმამ ჩვენმან პატრონმან ი მ ა მყ ა ფ ლ ი მ. პატრონმან კ ა ო ს ტ ა ნ დ ი ლ მ ა ნ ესე მამულისა და წყალობის წიგნი და სიტყვა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვა...“ 253r.

12. (ნუსხურით). „ქ. ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ხრახვასა უღთოთასა“ 261v.

ის. ეგრეთვე მინაწერები: 75v, 178v, 216v, 226v, 241r, 251v, 258v, 267v, 279v

(426) 443

სვინაქსარი. XVII—XVIII

263 ფ. (526 გვ.); 28,5 × 19,5; ქაღალდი, დალაქავებული, ჭიის მიერ შეჭმული, ძველი რესტავრირებული, დაზიანებული; ყდა მოცილებული აქვს. ზედა და ქვემო ყდის შიდა გვერდებზე დაკრულია სვინაქსრის საძიებლის ფურცლები;ბოლონაკლულია ნაწილობრივ დამწიფილ ნესხური ორ სვეტად, დასწყისები სინგურით; [XVII—XVIII]. ჯვრისწამანი: სამი ნახევარი მოკლე.

„სახელითა ღ ისთა, იწყების წმიდაჲ ესე სჯნაქსარი მოძღუარი სოფლისა და სამკაულ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა. სეკდემბერსაჲ აქუს დღე ლ. დღეთა აქუს ქამი იბ და ღამეთა ქამი იბ. —თვესა სეკდემბერსა ჲ. დაწყებაჲ ინდიკტიონისაჲ. მოკლება წელიწდისა. ჴსენებაჲ ღ ის მშობელისა მასიანეს შინა და ჴამება წმიდათა დღეთა მოწესეთა და მოწამეთა...“ გვ. 1—526.

წყდება: „...და მთაეარმან უშჯულომან დადეა ბრძანებაჲ, შემსგავსებული ყოელად ბილწისა მის გონებისა თ ისა, რათა აიძულებდენ ქრისტეანეთა ბუნებისა გ რეგ წეთა...“

შენიშვნა: ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ სვინაქსარს.

მინაწერები: 1. „ეთიოპიას შინა იყო იგი ვითარცა...“ (ხელის ყდის შიდა გვერდი).

2. „სვინაქსარი ნინოწმიდელისა არის, ვინც გამოსწორის, ღმერთიც რისხავს“, გვ. 256.

3. „ტუალო, შეიწყალე ნიკონ დიაკონ“. გვ. 267.

4. „ეს სვინაქსარი საბა ნინოწმიდელისა, ვინც გამოსწოროს, ღმერთიმცა რისხავს, ამინ“, გვ. 269, 411.

5. „საბა ნინოწმიდელი გარდაიცვალა 1782 წ.“ გვ. 411.

6. „ეგვა ხ. ქ. ღმერთმან ბატონის ეშიკ-აღა ბაშის ჭირი მოსცეს მათ ფუთ მიწა-მტვერს სვიმონ დიაკვი...“ გვ. 462.

7. „ქ. ბატონის შვილი ელენე მოკასენებ, ნინოწმიდელო, ხელს კოცნა მომიხსენებია, ჩემს ამბავს ... მომნახე ჩემო ნათლია.“ გვ. 483.

8. „გულისთვი აღექსანდრე, 1884 წ“. გვ. 508.

9. „ა. გულისმცილი“. გვ. 525.

იხ. ამრეთვე გვ. გვ. 56, 126, 255, 317, 356, 364, 394, 440. ქვემო ყდის შიდა გვერდი.

(427) 449

კრებული. XIII—XIV, XII—XIX

174 ფ.; სხვადასხვა ზომის: 29 × 20; 24 × 28; 26,5 × 19; 26,5×19,3; 22.9 × 16,5; 21,9 × 17,2; ქაღალდი სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ფერის (დაზიანებული, ზოგი მათგანი ძველი რესტავრირებულია); მეყაყის ყდა, ყდაზე და ყდის კუთხეებში ყავისფერი ტყავი; ნაკლული; სხვადასხვა დროის ნესხური და მხედრული, სათუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვები სინგურით; [XII—XIV ს. (4r—37v), XVII ს. (99r—150v), XIX ს. (2r—3r, 40r—94r, 153r—171r)]; დაწერილია: 1r-v, 3r-v, 38r—39v, 86r-v, 94v - 98v, 151r—152v, 162v, 166r-v, 171v—174v.

1. „...ცნობა იქმნების ორად: პირველი არის ხედვითი და მეორე საქმითი...“ 2r-v.

წყდება: „... ანუ შეიქმნილთაჯანი შემძლებელ არს დაუბადებელისა და შეუქმნელისა ანუ მიწეთობად მიუწოთმელისა არსებისა...“

2. „თუესა აგვისტოსსა ია, მიცვალებაჲ ყოველად წმიდისა და უბიწოჲსა და სანატრელისა დაჳ ეტლისად კურთხეულისა ქალწულისაჲ მარიამ ღვთისმშობელისაჲ ქუეყანით ზეცად. თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი „ესარიელ მთავარეპისკოპოსისაჲ. მიცვალებისათჳს ქუეყანით ზეცად აღსვლისათჳს წინაწე ღრთისა და მისთჳსცა, რომელ სადგუშლოჲ აღესრულა საკჳრველი ცასა შინა და ქუეყანასა ზედა ღ[ისა მიერ დედის თჳსისა. გ[ხნ უ[კი.—სამებამან წმიდამან ცხოველმან, დიდებულმან დაუსაბამომან, დამბადებულმან ყოველთა დაბადებულთამან, რომელ არა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ...“ 4r—23v.

3. „აგვუტოსსა კ. საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღსარებელისა სტუდიელთა წინამღუ[რისაჲ თჳის კუეთისათჳს დიდებულისა [წი]ნამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანჱსსა, გ. შ.—ბრწყინვალე არს და ღ[თივ მონიჭებულ დღენდელი ესე დღესასწაული...“ 23v—29v.

4. „თუესა აგვუტოსსა ლა, საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ გ[რ]გორის მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოლ[ელისაჲ სიტყუაჲ სატურარისათჳს ტაძრისა ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობელისა, რომელ არს ხალკოპრატის და ეკრდების ... და ვის შინა დადებისათჳს პატიოსნისა და წმიდისა სარტყელისა ... და შემდგომად სასიხარ[ბლთა და ... საცემელთა სახუ[... უფლისა ჩუენისა იესუ ქ[სთა, გ. ჱ.—დიდებული ითქუა წინათჳს, ქალაქ ღ[რთისაჲ, საღ[რთოჲსა სულითა აღ[რულ...“ 29v—33v.

5. [მოსაწუნებელი წმიდისა მოციქულისა ბარნაბაჲს მიმართ, ერთისა სამოციდათოთხჳანისაგ, რომელსა შინა მიმოვლანიცა მისნი].—„... ესენი ძმანი მიერ აღს...ზე მსახურებისა და მირთუ[ც საჭ[რისა მათ და მიძღუანებულისა...“ 34r—37v.

წყდება: „...რომელსა იგი წინაჲ თე... ასმიოდა საჭ[ეთათჳს და ქ[დი...“

6. „თუესა ნოემბერსა კა, ტაძრად შესლუა ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობელისა წმიდის ქალწულისა მარიამისა. თქმული წმიდათა შორის შინაჲ ჩუენისა გ[რ]გორი ნიკომიდელისა რიტორისაჲ, გ. შ.—ბრწყინვალე არს მიზეზი ამის კრებისა, რომელისა მიერ მიუწოთ[ებელისა მის ნათლისა მინართ აღიწყებიან აქა შემოკრებულნი ესე...“ 40r—45r.

7. „თთუესა დეკემბერსა კდ, წინა დღე ქ[რისტეშობისა, საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასი ალექსანდრიელ პატრიარხისა, სიტყუა აღწერისათჳს ყოველად წმიდისა ქალწულისა და ღვთისმშობელისა მარიამისა და იოსებისათჳს, რომელმან მოითხოვა იგი, მ.გ.—ვითარცა მუშაკნი იგი, რომელნი აღმოჰკუსთენ მიწასა გამოსადნობელსა

ოქროჱასა, რაჲგამ ჰპოვიან ნაპრალთა მისთაგანი რაჲმე მცირე ნაწილი..." 45r—49v.

8. „თთუსა იუნისსა კდ, დადუმებისათჳს ზაქარიასსა და შობისათჳს წინამორბედის იოანესა. სიტყუა შესაწთომი, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, კონსტანტინუპოლელ პატრიარხისა, გ. მ.—მოსე დიდმან, მსახურმან ღუთისამან, წინასწარმეტყუელთა თავმან, ზღუის მოგზაურმან, რაინდმან ჰაერისამან, ტაბლა-მყოფელმან შანაჲსამან..." 50r—52v.

9. „თთუსა აგჳსტოსა ვ. სიტყუა ღრმისა მაჲსი ჩუენისა ეფრემ ასურიაჲ ფერისცუალებისათჳს უფლისა ღ~ისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქ~ესსა, გ. მ.—ავარაკისავან ჴა სიჲარულისა, ხოლო ენუკისაგან ნაყოფნი სანოვაგეთანი. დაწერილთაგან სჳელანი ცხოველ-მყოფელნი. ავარაკსა ერთი ღეი აქუს მცისა..." 53r—56r.

10. „თთუსა დეკემბერსა კე. შობაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სიტყუა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგორი ღ~ისმეტყუელისა, მ. გ.—ქ~ე იშუბის, ადიდებდით, ქრისტე ზეცით მოვალს, მიეგებოდეთ, ქრისტე ქუეყანისა ზედა, აბაღლდით, უკჳლობდით უფალსა ყოველი ქუეყანა..." 56v—61r.

1 ფ.; 34×42,3; მწვანე ქაღალდის ასომთავრული. ნუსხური, მშვიდრული; [XIX ს.]; ბოლოში ჩართული დაწერილობით: „დავით. სოლომონ. ალექ~სანდრე. იო~ან. იესე. იოთამ".

შენიშვნა: ქაღალდს, რომელშიაც ჩადებულია სხვა ფურცლებთან ერთად ეს ფურცელიც, დაბერით აწერია: ა. „შესანიშნავი ხელნაწერნი (ნაპრებად) დ. რექტორის". ბ. „არაფერი შესანიშნავია, წერის ფედნებია ორი ცალი". (ეს წარწერა ეხება S 954 ბ და გ-ს.ც).

954 ბ

ჩართული დაწერილობის ნიმუში. XIX

1 ფ.; 21,5×36,1; ქაღალდის; [XIX ს.]; მრგულოვანი; ჩართული დაწერილობით: „ე~ფლო ძ~ლით წ~ნათნო, იყავნ, რაბეთ".

შენიშვნა: იხ. S—954 ა ხელნაწერის აღწერილობა.

954 გ

წერის დედანი. XIX

1 ფ.; 21,2×36; ქაღალდი [XIX ს.] ასომთავრული; ბოლოში შეზდრული: „ბართლომე იოანეთვისა მიერ".

შენიშვნა: იხ. S—954 ა ხელნაწერის აღწერილობა.

40. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I

954 დ

კრებული. XVIII—XIX

37 ფ. (74 გვ.); სხვადასხვა ზომისა: 8,7×5.5; 8,7×6,1; ქაღალდი: უცდო, დაშლილი; მბეჭდრული, შიგადაშიგ გამოყენებულია მრგვალფანი, სათაურები და დასაწყისები სინგურით, ჯამოყენებულია მწვანე მელანიც. ტექსტი ჩამოულია ჩარჩოში. ხელნაწერი დასურათებულია ფერადი საღებავებით: [XVIII—XIX ს. ს.]. ჰეერნიშანი აქვს: ჯადაწერი: დაეით [რეკტორი] (ბეგ. 43); დაუწერელია: გვ. გვ. 32, 34, 35, 38, 40, 42, 44, 46, 48, 50, 52, 54, 56, 58, 60, 62, 64, 66, 68—74.

1. „გალობანი ყოველთა წმიდათანი. ჴმა გ'. ზღვა მეწამული.—ო'გა. ჭამთა და წელთა ჴელმწიფებითა, ღ'თმთაერობით მოჴმედო უფალო, სამგვამოვნებით დიდებულო, ხოლო ერთარსად თაყუანის-ცემულო. გვაცხოვნენ ქრისტენი შენნი აწცა მოწევნულნი დასაბამსა ამის ჭამის მოსრულსა მოქცევისასა. თვესა სექდემბერსა აქვს დღე ლ. დღეთა ი'ბ. და ღამეთა ი'ბ. ა. ღირსი სუმეონ ჴ'ისა დაბადებუ. ს'ტ. მთ.; ბ. მამა—მოწამემან შენმან...“ გვ. 1—31.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს წმინდანების მოსახსენებლებისა და საბალობლების ნუსხას, თვეებზე განლაგებულს. ყოველი თვის ტექსტის თავში ფერებით დახატულია ზოდიაკოს ნიშანი.

2. [იღუსტრაციები, რომლებზედაც აღნიშნულია ყოველი თვის კვიმატი დღეები]. გვ. 33—47.

3. [სათნოებათა და ცოდვათა იღუსტრაციები]. გვ. 49—67.

შენიშვნა: ხელნაწერი გაბეჭდილია ქაღალდში, რომელსაც დანჭრით აწერია: „დავით რეკტორის წერილი ხელით ნაწერი.“

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ცოდველი დავით“. გვ. 43.

(473) 962

ოთხთავი. 1054

266 ფ.; 14,5×11,4; ქარგად დამუშავებული ეტრატი, დალებებული და დახეხილი; უცდო, დაშლილი, კიდეებ-შემოკუეცილი, ნაკლული; მრგვალფანი, ორ სვეტად ადგილ-ადგილ გამოყენებულია სინგური და ოქრო-ვერცხლი; ნოხატული კანონი (1r—4v). წმიდანების ფერებით შესრულებული სახეები ასოები, ჯამოსახულებები: მარკოზის (85r), ლუკასი (132r): თავსამკაული: 82r, 130v, 133r, 224r, 265r); ბოლოსამკაული: მოხატული ჯვარი ბერძნული წარწერით: „Ī'ς Χ'ς Νικα“ (84v, 131v, [1054 წ.] ის. კვინკლოსი; ჯადაწერი: მიქაელი (264r); დაუწერელია: 85v, 131v; შემოწორებულია გრ. ღურიელისაგან.

[ო თ ხ თ ა ვ ი]. „...მეფისათა, ამა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალჱმდ და იტყოდეს...“ (მათე 2,1). 5r—264r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის „კანონები“ (1r—3v) და „ეპისტოლე ეგვსებისი კარპიანეს მიმართ“ (4r—v).

ბოლოს ერთვის „კვინკლიოსი“, რომელიც იწყება 1054 წლით. ეს თარიღი შეიძლება მიეკვლიოთ ხელნაწერის გადაწერის თარიღად. „კვინკლიოსის“ დასაწყისთან ყოფილა გაკეთებული სინგურით მინაწერი, რომელიც დღეს აღარ იკითხება.

2. ამ ხელნაწერის ფრაგმენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია ნაპოვნი (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების ჯუმბერული, თბილისი. 1952 წ., გვ. 33—36).

ანდერძი: (სინგურით) „ლოცვა ყოველ მ[ო]ქ[ლ]ისთჳს მწ[ერლ]ისა, წიდანო მამანო“ 264r.

მინაწერი: (მხედრული) „აპარიდგან მიტანილია ეს თაბახი“. 92r

(474) 964

ზატიკი. XVIII

1+228 ფ. (458 გვ.); 10.1×15,9; ქაღალდი (1 ფ. ლერწამი ფურისაა). შეკვთილებული, დალპვებული და ჭიისაგან დაზიანებული; ტაეფადაკრული ტიტულური ბის ყდა 3 ტყავის სკეტაეით (ამჟამად ერთი აქეს შერჩენილი). ყდის შიდა მხარეებისათვის გამოყენებულია სხვა ხელნაწერის ფურცლები (ნესხერით ნაწერი); ნესხერი, დასაწყისის სინგურით; [XVIII ს.].

[ზატიკი]. „იწყებიან წმიდანი ზატიკნი წმიდასა დიდსა შაბათსა, მწუხრი. უფალო ღაღადყავ.—სამწუხრონი ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ, წმიდაო უფალო, და მოგუმადლე ჩუენ მტ[ვ]ი ცოდეათა, რამეთუ შენ მხოლო ხარ, რომელმან უჩუენე სოფელსა აღდგომა...“ 1—455.

მინაწერები: 1. (ქიზიური მელნით). „...დაიწერა ეს წიგნი 1885 года. მე იოსებ გამყრელიძემან ვიპოვენე ესე ზატიკი, რომელსა...“ 1r.

2. „ესე წმიდა და სუეთა განმანათლებელი ზატიკი მუედელ-პოპაზონი ბუხულისშვილის იოვანესი არის. და ვინც ხელთ იპყრათ, წაწდომას ბრძანებდეთ ჩემ ცოდეელისათჳს, რათა თქუენც შეგინდჳნეს ღმერთმან ცთომილებანი თქუენნი, ა[მ]ნ. გორონკონს აის რვას და ორს“. 1r.

3. (ქიზიური მელნით). „დაჰსწერე ესე წიგნი 1885 года, რომელიც დასწერე იოსებ გამყრელიძემან. უფალო, აცხონე ერი შენი...“ 1v.

იხ. ალ[ექსე]: გვ. გვ. 4, 9, 67, 342, 364, 403, 404, 425, 452, 456.

(475) 965

ხელაშვილი იონა, ბუნებითი კატეხიზმო. 1826—1828

09 1-272 ფ. (544 გვ.); 23×29; ქაღალდი; შეკვთა ყდა; ხელნაწერი ორკოლონიანია აქვს; გვერდთბრეული და რეცეულებრივი; მხედრული; 1826—1828 წწ. (04r, 05r); ავტოგრაფი; დაუწერელია: 09r—v, გვ. გვ. 536—544.

იონა ბერ-მონაზონი [ხელაშვილი], ბუნებითი კატეხიზმო—კითხვა: რაჲ არს კაცი? მიგება: სული და ჴორცი. კითხვა: რაჲ არს სული? მიგება: სული არს გონიერ-სიტყუიერი. კითხვა: ვითარი არს ჴორცი? მიგება: გრძნობიერ-მოძრაჲ...“ გვ. გვ. 3—535.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. კალენდრის შედგენა სამი საწყისისაგან: საიწყისოებრი, სასიცა და სიყვარული.

2. კალენდრის ტერმინი: ა. „წინასიტყვაობა წიგნისა ამის ბენებითა კატეხიზმოისა ქითხვა-პიგებითისა", (01r—05). ბ. „თავი-ითქუმულება კათეხიზმოისა", იხ. სარჩევი, (06r—08r).

3. წინასიტყვაობა შეიცავს ისტორიოგრაფიული ხასიათის ცნობებს: „...იხილეთ, მკითხველნო წიგნისა ამის, პირუელად ქადაგება დაეწერე წელსა ორასა წელსა და ხანგრძლივსა, ე. ი. ორმეოცდაათისა კლიავებისა და რომელთაცა დღესასწაულებისაცა. ცხრეთუე ღ ი თ ი ს მ ტ ყ უ ე ლ ე ბ ა შუბლად სამსა წელსა შინა, ეგ სახედვე ლ ე ქ ი ნ ო ნ ი ა თ ა წელიწდებთა შინა. მ ე ფ ი ს ა ბ ი ა ნ ე ს შ ე ქ ა თ ი ს ი ო ქ ა ა თ ი თ ბ ჭ ე ნ ი ფ ე ლ ა ს ო ფ ე ი ნ ი და ღ ი თ ი ს მ ტ ყ უ ე ლ უ რ ი და როგორცა ფსალმუნებისა და ეკლესიისაგან ხილული ყრმის თვალი და ოთხნი სახენი განცხადრეს თითუსა ცხებასა, ხოლო კ ა ტ ე ხ ი ზ ო ე ს ენ ეწერე წელსა 1826, თითუსი იანვრისა 2.

ამა, ცისრა ზემოსი დღე და ღამე ათხუთმეტსა წელიწდებთა შინა ვირეფდენე, გარნა წიგნისა ამის შევასრულე რა მტრეთ შენებისა ჯაბარტები, სეკდებრის 9, მაშინ ჯანაღა სისხლსან ჩემან მარცხენისა ცხენისა პირნი და აწყო დენა ეროსა შეიდეულსა ზმობითდრე ყამ-ჟამებში და ვიქმენ დიდ ურიად შესლობიდ, რომელსა ყოველსა ნაწევარი მთოლიან და ბოლი მაპატრებენ გულამოდგინესა სულსა ჩემსა შესრულებისათჳს ხუთთა დაბრმთისა ცხებებისასა. და მკურნალთაცა ამ[ო]ძალეს(!), რომენელი მეტყეულებენ; თავდაბრით მრავლის წერისაგან გამოსაქმენ სისხლენი ეგე ცხებისა ნესტოსაგან...

მოახსენეთ ათხუთმეტსა წელიწდებთა შინა, ე. ი. კურთხევითგან, ვიდრე აქამომდე. განვიღე ეროვნითა მსახურებად თქუენდა, რათა მი-რამე-გეც თქუენ, ე. ი. სიყუარულისა კაჳშირნი, რომელ არიან წიგნები ჩემნი ხუთნი.

მეფენი ფაფიოლმსახეულნი იროკლი II და გიორგი XIII მზრდიდენენ სამთა ადგილებთა სასწავლებელებთა შინა მანდარე: მეტეხს ტფილისისასა, კიხიჭს(!), ეზოსა შინა წმიდის ნინოსსა, და თელავს შუოლასა შინა, ხოლო აქარე ალექსანდრე კურთხეულმან იმპერატორობ შესძინა შესრულება სწავლისა ჩემისა თჳსისა კახნეთისა წორწიგებლებითა წ. ალექსანდრე ლავრის აკადემიასა შინა, რომენი ადეგზარდე საკლესიონი შემოსილებითა ოქროი ფასისა...

მოახსენეთ, მე არარაჲ მსურს თქუენგან, გარნა სიყუარული და ლოცუა წინაშე ღ[მრთ]ისა, რათა, ვინ უკუის, განვკრნეო სისხლისა ამის დინებათაგან, და ინებოს ღმერთმან მიწყინა მაგის მარა-სხუა მანდაც, სადა მჭვი უუსაკვარულებან ოფიციანან ორგზის, ე. ი. ბენებითად და ებბანითა, და მწყივდეც — სალთა სწუელითა, რამეთუ სურს სულსა ჩემსა დასცეა საფლუნა შინა მანდარე...

მოახსენეთ, მე არარაჲ მსურს თქუენგან, გარნა სიყუარული და ლოცუა წინაშე ღ[მრთ]ისა, რათა, ვინ უკუის, განვკრნეო სისხლისა ამის დინებათაგან, და ინებოს ღმერთმან მიწყინა მაგის მარა-სხუა მანდაც, სადა მჭვი უუსაკვარულებან ოფიციანან ორგზის, ე. ი. ბენებითად და ებბანითა, და მწყივდეც — სალთა სწუელითა, რამეთუ სურს სულსა ჩემსა დასცეა საფლუნა შინა მანდარე...

მშვიდობა შენდა ღმერთი იუმრიაო, სამზის მშობელო ჩემო. თქუენი მლოცველი ტ ე ც ე ს ა მ ნ ა ხ ი ნ ი ი ო ნ ე გიტყუე სიყუარულისა და ლოცუისა თქუენისა კაჳშირად მე—თქუენდამო და თქუე—ჩემდამო ზემოხსენებულებითა წერილებითა ჩემითა. ღმერთმან ძალთამან მსახურ თქუენდა ქრისტე. წელსა 1828, ოკტომბრისა 8[ი] (04v—05r).

(476) 1039

ცხოვრება და იგავნი გონებამახვილისა ეზოპესი. 1852

65 ფ. (130 გვ.): 16.5×10.5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის მორაგეული ყდა; ნაკლული (აკლია გვ. გვ. 18—19-ის შორის). ხელნაწერს აქვს რვეულებრივი სათვალავი, ძველი და ახალი—გვერდობრივი. ხმიდრული (სათარო სინჯარითა), სახედაო ილიაები შემკულია ფოთლოვანი ორნამენტებით, რომლებიც შეფერილია სინჯარითა და ტექსტის ნელით; მხედრული 1852 წ. (გვ. 129): გადამწერი—ბასილ სიმონისძე (გვ. 129).

1. „მოდგმითი ცხოვრება და მოქალაქობა გონებაშობილისა ესოპესი.—მოდგა ივი საქმეთა, რომელ არიან ქალთა შორის. ყოველივე გამოვსცადენ და სხვანიცა რაოდე მრავალი, და მიეცეს მისთჳს განხრიახებასა თჳსსა და ვეღარებ მე ამას, ვითარმედ ესოპე არა იყო ბრძენი ბუნებით, არამედ განგებულებითა ღთა, ვინათგან მიიწია სახომსა სიბრძნითა ძველთა მათ მოძღვართაჲსა...“ გვ. 1—89.

2. „ივანეი ესოპესნი. ივიეი პირუსლი მელისა და ჩიჩვეისჲსი.—აღვიდა ოდესმე მელი ერთი ღობესა ზედა და დაუსხლტა მას ფერხნი თჳისნი ჩამოსავარდნელად. ხოლო დამოეკიდა ივი მსწრაფლ ჩიჩვესა რასამე ვარდასასა, რომელმანცა ტკბილითა თჳსითა ენერეთ დაჰხელიტა ივი, რომელ სისხლი სდიოდა...“ გვ. 90—128.

ანდერძები: 1. „დასრულდა ცხოვრება ესოპე გონებაშობილისა“ (გვ. 89).

2. „დასრულდა ამბანი და ოქმი ესოპესი. აღიწერა წიგნი ესე 1852 წელსა, იე მარტსა.

ცუდად ყოფასა შინა ცუდად შრომა უფრის აღმაჩნდა და ესე წიგნი გარდაჰრწყინე, ოდესმე კაცს შეჰკჳდეს.

უსდაბეჭდად მოხსენებულ ვარ მზილველთა სიმრწყინვ ბასილ“ (გვ. 129).

(477) 1040

ალექსანდრე არჩილის ძე, ხაარტიელერიო წიგნი. 1729

151 ფ.; (302 გვ.): 20×15,4; ქაღალდი; ტყავდაკრული ტიპიური ხის ფიცრებიანი ყდა; თუნაქლებით; შეფერილი (სამაღრები სინელერით); 1729 წ. (გვ. 290), გადაწერა—ბოლო ...რადა. (გვ. 289); მოსკოვი (გვ. 209).

[ალექსანდრე ბატონიშვილი არჩილის ძე, ხაარტიელერიო წიგნი. პროპორცია რაკეტის ყალიბისათვის].—

„...გაჰყოფ ვანზედ. მერმედ, რ[ო]გორადაც სხვას სკალაში, ისე მრუდის ხაზებით გაჰყოფ კუეიდამ ზედამდის. მერმე იმ წკალის ყეერდებს პოუგრძელე და ტანზედ შეიდათ გაჰყოფ. ეს რომ ასე ჰქნა, პირველად მოიხენე ამ შენის მაშტაბის რკინაზედ ერთი დიამეტრი...“ გვ. 1—289.

შენიშვნა: 1. ერთის ფინდიის (წაძლის) მომზადების წესი (წაძლის შემადგენლობა—«Состав» იხილეთ ეხახე, გვ. გვ. 291—301).

2. ეს ხაარტიელერიო წიგნი წარმოადგენს ალექსანდრე ბატონიშვილის თარგმანს ფრანგულიდან (შდ. II—1069-ს, იხ. ხელნაწერთა აღწერილობა. II კოლექცია, ტ. III, გვ. 63).

3. ხაარტიელერიო ხაქმის ამ ხახელმძღვანელო წიგნში ჩართულია საბრძოლო ინსტრუქციის ნაწყვეტი.

4. ტექსტში რუსიცირებული ტერმინებით, ერთის მხრით, და წაძლის მომზადების წესები რუსულ ენაზე დართვა, მეორეს მხრით, გვაფიქრებს: ხომ არ უთარგმნია ალექსანდრე ბატონიშვილს წინამდებარე წიგნი ჯერ რუსულად და შემდეგ ქართულ ენაზე ან ორივეზე პარალელურად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი: „ღმერთო, დაუსრულებო და **დაუსაბამო**, მოუმართე **ხელი** ამისი(!) დამწერს თიფლელი(!) მოლა ...რადას. დაიწერა მოსკოვს, მეფობასა პატრა ალექსი[ს] შვილისასა, წელსა **ჩ**ლკ, თვესა მარტსა დ. გავათავე. ვინც წაიკითხეთ, ვა-თილად მისხვრებდეთ და თქვენცა კეთილ გაგოსთ(!) ღმერთმან ხელიეროვან, ამინ.

რუსულად(!) ქრისტეს აქათ გასული 1729“ (გვ. 289×290).

(478) **1080 ♦**

ლარაძე პეტრე, ლექსები. XIX

17 ფ., 41.5×19; ქაღალდი (სხვადასხვა ზომის); ხელგეხრილი ფურცელი წარმოადგენს ფრაგმენტს; [XIX ს. 10-ანი წწ.]; ავტოგრაფი.

1. „ეპიტაფია პროხორე ლარაძისა პეტრეს მიერ მოტირალისა.—
ოთხთაგან ერთად ქველოუანთა მთაუარმან
მაწარმოა-რა, ხუთითა განმაშუ[ა]ა...“ 1r.

შენიშვნა: ა. გამოირკვა, რომ ამ სხვადასხვა ზომის ფურცლებზე დაწერილი ლექსების უმეტესობა შეტანილია პეტრეს „მრავალფერ-ყვავილოვან[ში]“, რომლის გვერდებზე მითითებას ვიძლევით ქვემოთ. კადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სათაურები და სათაურის შევსებანიც იქ(და)ვეა აღებული.

ბ. ეპიტაფია პროხორე ლარაძისა (თავისი ძმისწულისა) პეტრეს დაუწერია 1811 წელს, თუ მის მახლობლად. ამ ფურცლის v-ზე ვკითხულობთ ავტოგრაფულ მინაწერს:

„მწერვლების მთავრინა ნინას ნებართუთ დავსდგეთ სახლებსა ამას შინა წელსა **ჩ**ყიბ, დეკემბრის კ. ხუთშაბათს. იესო წარგვმართოს“, (1v)

გ. **ეს** ეპიტაფია შეტანილი აქვს პეტრეს თავის კრებულში („მრავალფერ-ყვავილოვან[ში]“), იხ. S — 387, 133 r[1].

2. „კლავ პეტრეს მიერ მოთქმა.—
მესმა რა შენი, პროხორე, შვილო ტკბილო,
სიკუდილი მწარე, მღელუარის მტკურისა მიერ...“ 1r. (S—387, 133 v),

3. „ეპიტაფია [საქართველოს მეფის ირაკლის ძის იულონისა, წარწერილი პეტრეს მიერ ლარაძისა].—
იუდას ტომით, იესეს კერთხის ძირით,
დავითის წალკოტს, ბზულ რტოთა კეთილ-ხშირით...“ 2r, (S—387, 135r).

შენიშვნა: ეს ეპიტაფია (იულონისა) დაწერილია 1816 წ.
ეპიტაფიის ბოლოს ვკითხულობთ:
„ეშვე წელსა **ჩ**ლვ. იენისს დ დღესა,
აღესრულე წელსა **ჩ**ყივ. აგვისტოს კგ დღესა“.

[1] ქვემოთ ფრჩხილებში მიეუთითებთ ბზოლოდ დასახელებულ კრებულს (S—387) და მის გვერდს.

4. იამბიკო გიორგის ძის იოანეს, შობის დღეს მილოცვილი პეტრეს მიერ ყარიბის, ლარაძისა].—

„იესუ ტკბილსა, ღმერთ-მამაკაცსა სრულსა,
ოსანნას ჰსძღუნიდეს ყრმანი ქალაქს შესრულსა...“ 3r-v, (S-387, 135v).

5. [წინა დედოფლისადმი, ძღუნილი პეტრეს მიერ ლარაძისა].—

„ნიავ წულილთ გამო, ზესთა მომცემი ჰსჯულთა,
ისრაილთადმი განმცხადი დაფარულთა...“, 4r, (S—387, 135v—136r).

შენიშვნა: ამ ლექსის მეორე მხარეს, მოთავსებულია პეტრე ლარაძის წერილი წინა [გრიგოლ დადიანის მეუღლის] გიორგი XII-ის ასულისადმი:

„უმაღლესო დედოფალო, უმოწყალესო ქალბატონო! გმადლობ, გაგებ და უმდაბლესად თაყვანს გცემთ ...[უ]მდაბლე გებმეთ და მოგეკითხეთ. ღმერთმან მრავალჟამიერ გაგოსთ. ჩემის მოგონებისათვის მადლიერები გახლავარ.
პეტრე ყარიბი“ (წერილი გადაბახულია).

6. „კიდურწერილობა.—
ესა რაბამად, ნოტ ორად ვიგთ ალტრუობით,
ჭეშად ესურვის ბაგეს დღე ესე თნობით...“ 5r (S—387, 136r).

შენიშვნა: ლექსი ორსტროფიანია. „კიდურწერილობა“ აღებულია არა მხოლოდ კიდის, არამედ ყოველი სიტყვის დასაწყისი ასოდან. იგი გამოხატავს შემდეგს:
„ერნი, ვაქებდეთ ძნობით გრიგოლსა,
საღმრთოს სჯულისა მწყრთელ-თანამყოლსა“.
ამ გალექსილი „კიდურწერილობის“ თვითეული ასო თავდასაწინოებისათვის დაწერილია მთავრულად.

7. [საქართველოს მეფის ძის ოქროპირისადმი, პეტრე ყარიბის ლარაძის მიერ].—

„მამისა სული ათ-ორთადმი მოსრული,
ესე ცეცხლისა ენთებრ ბილეებული...“ 6r, (S—387, 122r).

შენიშვნა: ა. ეს ლექსიც აკროსტიხებულია. კიდურწერილობაში იკითხება:
„მეფის ძე ოქროპირი დღეგრძელ, დიდად დიდებულ გყოს მრრობლსავე შინა თქუენ“.
ბ. ამ ტექსტის ნაწილი „დიდად დიდებულ გყოს...“ ლექსის ბოლოს, ერთ სტრიქონადაა მიწერილი.

8. [მეფის ძის ბაგრატისადმი ძღუნილი იამბიკო მისივე პეტრე ლარაძისა მიერ ყარიბისა. კიდურწერილობა].—

„დავითის ძირით რტოე ნაყოფ-კეთილ-სხმულო,
ღელვა-გვემულთა ლიმენად სიქადულო:..“ 7r (S—387, 137r—138r).

შენიშვნა: ა. იამბიკოს კიდურწერილობა ასეთია: „დღეგრძელდინ ბაგრატ“.
ბ. ამ მიძღვნის მეორე მხარეს მოთავსებულია პეტრე ლარაძის წერილი ბაგრატ ბატონიშვილისადმი: „უღირსთაღმებულსა ძეო მეფისაო, უმოწყალესო ქელმწიფევ!

ანგელოსთაგანება განსაღმდებულნი ქვეყნის საქმენი თქუენნი, რომელნიცა ცხოველ-ყოფიან შენი ჩემსა ძალსა ქუეშე ფ. შეძინენი კეთილი კეთილსა ზედა და შეუუნა მოგეცეთ ოთხისა წიგნისა გადაწერისათჳს" (წერილი გადაბეჭდილია).

9. „პეტრეს მიერ ყარიბისა, რვეული.—
ვინ პარიოა ჰმსგავსებს მთავარს, ნათლით მზესა სხივმცინარეს,
ღაწუით ეარღსა ნაფუნჩვარეს, იერიქოს ნაბუტკარეს...“ 8r. (S—387, 138r).

10. „პეტრეს მიერ ყარიბისა, იაშმიკო.—
შენ, სულთ საწადო, ყუავლ სუნნელთა ბჭეთო,
სამეფოს წალკოტს, გაბაონს აღბუტკულო...“ 8v. (S—387, 138r).

11. [მისიეე პეტრე ყარიბისა].—
„ისწრაფდიან, შემოკრბიან მისს საქებრად არსნი სრულნი,
ზე ფრთოვანნი, ქვე მიცე-ნადირ, თევზ-ნიანგნი პირ დამჭრელნი...“ 9r.
წყდება: „...შეენებისა გამკურვეთა, ჴას წესწირეს გული ყოველთ“...
(S—387, 138v. აქ, ამ ლექსის ორი სტროფიღაა შემორჩენილი).

12. [მისიეე პეტრე ლარაძისა].—
„მზე ენახე მჭეხეარედ, ღამი მხედა მწყარე,
ვიქმენ დაწყუეული სვისა და სვისა...“ 10r—v (S—387, 139v).

შენიშვნა: v-ზე ტექსტის ხელით მიწერილია: „ეფემრაშიდა, და მკარას. სიმბითისა მგელ“.

13. [მისიეე პეტრე ლარაძისა].—
„ზეეს არ ბედოვნებს თვისის მეხებითა,
აშურო, შენგან არს იგ ვალდებით...“ 11r (S—387, 140v).

შენიშვნა: 140v-ზე მოთავსებულია მინაწერი საკრესელ ვასაზე.

14. [მისიეე პეტრე ლარაძისა].—
„განთიადს ცისკრის მნათობსა მზე რა მოესწრას სხივითა,
მისნი ცამცინარ, კამკამნი დაბუნდრს თუ რა ძივითა...“ 12r (S—387, 141r-v).

შენიშვნა: ა. ამ ფრაგმენტის მეორე მხარეს ყოფილა წერილი უცნობი პირისაგან. შემორჩენილია სიტყვები: „ებრწყინვალესა ეკლესიაო, უხრწნელისა...“
ბ. აქვეა მიმწერები: „წეპტენ—სვეიის ღმერთი; მიწერილი, პალესტინის ენისა“.

15. „ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტჱსი, თქმული ყარიბი პეტრე ლარაძის მიერ.—
იესო ჩემი, არსო მბრძანებელი.
აღსდგა რა მკვდრეთით მბრძოლთ-შემმუსვრელი...“ 13r (S—387, 148v).

16. „ფერის ცვალებისათჳს, თქმული პეტრეს მიერ ყარიბისა ლარაძისა.—
შემდგომად ექუსის დღისა უფალმან
წაოიყვანნა, მთას თაბორ. შეველმან“... 14r, (S—387, 142v).

17. „ქრისტეს ნათლისღებისათ[ვ]ს, თურქის გაჟი. თქმული ყარიბის პეტრე ღარაძისა მიერ.—
დღეს ბუნება წყა[ლ]თა განახლებითა,
იორდანე შიშით უკუნდგებოდა...“ 15r (8—357, 144r).
18. „თქმული პეტრე ყარიბისაგან, ბზობისათვის.—
ცისა საყდრად მჭონი ჯელაშვილებითა,
ძლიერად მპყრობელი ხმელთა ზღვებითა...“ 16r.

შენიშვნა: აქვე ოთხტაეპანი ლექსი, ნაწერია პეტრეს ქალიშვილები ხელით, იგი წარმოადგენს ფოტოკოპიას:
„ჩრდილოეთით ვენერია შუქსჯელი აღმოხრეშეტესა...“
წყება: „...ზან დაბნელდება ირიონა, ვარსკვლ. ხელი ვსწით ვნებულსა“... 17r.

1080 ბ

ხალიაშვილი ლექსები. XIX

7 ფთ. 21×17; თეთრი და ლურჯი ქაღალდი (სხვადასხვა ზომის); ცალკე, მცვრული (სხვადასხვა ხელით). (XIX ს. I ნახევარი).

1. [დამტკიცებულ ჰყოს].—
„დამტკიცებულ ჰყოს ეს მარად მზერამან,
საწუთოს ბრუნვანი თქმად არ ეგების...“ 1r—2r.
2. [შენ გნატრიან].—
„შენ გნატრიან ყოველნი მნათნი შრიანარნი, სიცოცხლეს!
შენსა მცნობსა მაქუს სიყვარული ვალი...“ 3r—v.
3. [მიკვირს ადრე ახლოს მყოფი].—
„მიკვირს ადრე ახლოს მყოფი, ვითა ვწორავთ ურთიერთსა,
სიყვარული საზოგადო უკვარს, უწყით, ზეშთა ღმერთსა...“ 4r.
4. [ჰოი მიჯნურო].—
„ჰი მიჯნურო, სულო, გულო,
ვარდის კონავ, თიხეულო...“ 5r.
5. [შენ გეტრფი მზეო].—
„შენ გეტრფი მზეო, შენთვის ვშრაობ, შეყჭვნილვარ ჯელად(!).
მდუღარის ცრემლით ვატარ მწუხარედ, გაჭრილი ჯელად...“ 6r—v.
6. „ვუხამხაზი ხოით სალბურიანის ხნაზედ სათქმელი.—
ვის გიხილავსთ ვარსკვლავი ზეცით შთასორული,
პირ-გავსილი მთოვარე და მზე ბალრიბულია...“ 7r.

შენიშვნა: ა. ცარცკილი სამი ლექსი (4,5,6) დაწერილია ერთი ხელით. ლექსები ეკუთვნის ვინმე გარსევანს, ან შეთხზულია მასზე. თვითეული—ბოლოდება გარსევანის ხსენებით:
1. „...შენს გარსევანს მიმებარე, ჩემად სულეულად მოვრთილი“ (5r).
2. „...გარსევან, მეც შენ კარზედ, ღმის მოველად“ (6r).

3. „... ჯარსუანი მსურს გიმსჯელოლე სიცოცხლენი, სულია“ (7r).
ბ. ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ფ.ფ-ზე სხვადასხვა ხელით დაწერილი სატრფიალო ლექსების კრებულს.

(479) 1084

თეიმურაზ I, ლეილ-მაჯნუნიანი. XIX

25 ფ. (50 გვ.): 18×22; ქაღალდი; უცდო; ბოლონაკლული; მუქდრული; [XIX ს.]; ხელნაწერი ზაჭარია ჭიჭინაძისეული.

„ჯარი პირველი ლეილ-მაჯნურის ამბისა სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული მეფის თეიმურაზისაგან, სასმენელად მშვენიერი.— ღმერთო, რომელი თვით სიბრძნით ხარ სიბრძნის მომცემელობით, არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მთქმელობით...“ გვ. 1—50.
წყდება: ...„კიეილისა და მოთქმისა ხმა სახლით გამოუდისა, და იყო ზარი და ქვითინა(!), არ თუ კერა ჩასტა-ლულისა“(!)...

შენიშვნა: ა. იხ. თეიმურაზ I თხზულებათა კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაჯანიშის რედაქციით, 1934, გვ. გვ. 24—59; წყდება 208-ე სტროფზე (დასაბეჭდად გამოცემა, გვ. 52).
ბ. ამ ნუსხის სათაურში სიტყვები „მეფის თეიმურაზისაგან“ წაშლილია და მის ნაცვლად არა ტექსტის ხელით მიწერილია: „ხალ თუმანიშვილისა“. წინა სიტყვას, რომ დაეშთატოთ, გამოდის: „გადმოთარგმნული ხალ თუმანიშვილისა“(!).
გ. იხ. აქვე თავაშვილი, „Описание“, ტ. II, გვ. 266.

(480) 1085

გოჩაიანი. XIX

4 ფ.: 22×18; ქაღალდი; უცდო; დაზიანებული; მუქდრული; [XIX ს.]; ხელნაწერი ზაჭარია ჭიჭინაძისეული.

«გოჩაიანი».—

„აწ ჩვენ დავიწყოთ სოფლისა სარჩიელი და ბჭობანი,
თუ რამ დავაბჭოთ სოფელსა, თქვენც დაგვაწიეთ ბჭობანი...
გოჩა: ნუ ემოყვრები სოფელსა, თავს ეუბნება გოჩაო,
არ გახსოვს მამა მოგიკლა, ობლათ რომ დარჩი, ბეჩაო...
სოფელი: დამ[მ]ღურებიხარ, შევიტყე, სოფელმ უთხრა გოჩასა,
მე მიმადლოდი, მეგონა, ქართლით გაცვედი ფარჩასა,
თუ დაგაცლიდე, არ მიწყენ, აგრე სოფლისა ჩაჩვასა...“ გვ. 1—7.

შენიშვნა: ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერის (№588, კრებული) მიხედვით „გოჩაიანის“ ავტორია გოჩა ღლონტიძე. აღნიშნული თხზულება დასაბეჭდად კრებულში სათაურდება და იწყება ასე:
„... თქმული გოჩა ღლონტიძის მიერ—
აწ ჩუნ დავიწყოთ, სოფელო, სარჩიელი და ბჭობანი...“ (28v—30r).

(481) **1086**

ამბავი აბულ ღიფარ ალმაზორიხა. XIX

3 ფ.; 35,5×21; ქაღალდი; უყდო; დაუტკეცლილი (კიდეებ-შემოკეცვილი); ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; ხელნაწერი ხაჭარია ჭიჭინაძისეულია.

„აბულ ღიფარ ალმაზორ, ანუ ვითარ სათანადო არს ჰსჯაჲ ერთა თჳსთა ზედა,—ფანა ხუასრო, წოდებული ადღიად ედდულად, იყო ერთი აღმოსავლეთისა ჴელმწიფეთაგანი დიდებულთა, რომელმანცა შეიერთა თჳს შორის ყოველივე თჳსება და კეთილმოქმედება, რომელნიცა მისცემენ სახელსა შემდგომთა ჴელმწიფეთ შთამომავლობათა...“ 1r—3v.

მთავრდება: „... კანონისა ამის შეუძლებელ არს, რათა იქმნეს მოტყუებულ, ვინადგან არა აქუს მას დაშთომა“...

შენიშვნა: 1. გვერდობლივი ტექსტი პაგინაცია (გვ. გვ. 11—16) არკვევს, რომ ეს 3 ფურცელი ნაწილი ყოფილა რომელიღაც კრებულისა.
2. კიდეზე გაკრულად, ტექსტის მეორით მიწერილია: „ჯამრჯელი“ (3r).

(482) **1087**

კრებული. XIX

22 ფ. (44 გვ.); 21×16; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; ხელნაწერი ხაჭარია ჭიჭინაძისეულია.

1. [ქაიხსრო ანდრონიკაშვილი], „მიჯნურთ ბადე.—
ასლა გამოვჩნდი, დამირჩო სახელათ მიჯნურთ ბადია,
გულ-დაკოდილთა ამიყოთა სალხენათ დავიბადია,
ვინც რომ მესტუროს, დავათრო, ვასვა ეშხისა ბადია...“ გვ. 1—22.

ანდერძი: (გადაწერისა): „ეს მიჯნურთ ბადე, რომელმანც ითხოვოს და წაიკითხოს და შეეკვეს, ყვრენ პატრონსაჲ უბოძეთ, და მიეცემა [თუ] აღარ ინებოჲ, მოვალენი ვყოფნი მეორეთ მოსყიდსა, ამინ“. (გვ. 22).

2. „თქმულნი ლექსნი სამიჯნურონი, რომელსა ეწოდების ე წ ხ ი ყ ო ნ ი ა ჩახრიხულნი.—
ხამბახის პირი, მნახავთა ჰირი, კეკლუც მზე წარები,
მასთან ვლითა სრულად დაიწვის, მაზედ წარებით...“ გვ. 22—31.

3. [გარსევან ჩოლოყაშვილი]. „კარი I-ლი ნარგიზოვანის.—
ჰე, საყვარელო, შენის გონებით, ნარგიზოვანო,
ხელ ვარ მინდორსა თაეის ღონებით, ნარგიზოვანო,
სიმდიდრე მიჩანს დრამის წონებით, ნარგიზოვანო...“ გვ. 31—39.

4. [მისივე?, აღ მ ა რ თ ნ ა ბ რ ო ლ ნ ი ს ე ე ტ ი ს ა].—
„აღმართნა ბროლნი სეეტისა, რა მზემ[ან] ნახა, იამა,
უფურჩვნელს ვარდსა კოკობსა ჯარით შეედგა, შეესმა(!)
ორთაეე დენა დაიწყეს ბროლან, ლალმა და იამა...“ გვ. 39.

5. [გარსევან ჩოლოყაშვილი, ხიდთა ქება].—
უყურეთ სილთა ქცევასა, რისა ანბისა მთქმელია,
ფერ-შეენარი, ძირ-წყრილი ცოტა ხანი. მდგომელია,
უხუცესი და პირველი მარწყვი მიწას მდგომელია...“ გვ. 40—41.

6. [მისივე, სიყვარულისა პირმთვარეობა].—
„სიყვარულისა პირმთვარეობა, სოსტომით გაშლა, მით არცობა,
კეთაროზისებრ ტან სავრება, ნაძვისა ზანზახნი ეარდო ნარეობა,
ამის დართვითი უცს მწყარეობა, არს თუ ყეენერება, ხაზს გაოც[ო]ბა“...
გვ. 42—44.

შენიშვნა: იხ. ეკე, თაყაიშვილის „Описание“ ტ. II, ეკეკ. 183—14.

(483) 1088

ლექსთა კრებული. XIX

14 ფ.; 22 × 17; მოლეკოკო ქაღალდი; ეყდრ: დახაზებული (დალაქებული, ნაწერი აქა-იქ გაფანტული და ძნელად იკითხება); მხედრული: XIX საუკუნის 10-ანი წწ. (კვირიწანაში 1813); ხელნაწერი ბიბლიოთეკისეული.

1. [გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, ბრძენი მთხრებელს ირჩევს საჯდომლად].
„ბრძენი მთხრებლს ირჩევს საჯდომლად, მინდორთა ყვაეილოვანთა,
იმისთვის მარტო ყოფობა ღმერთსაც ეუკეთესად მეჩვენებოდა...“ 1ր.

2. [მისივე, ჰოი რა ვიწყო ტარიალ].—
...„[ლორეს] ეებრალებ [საქმესა], ვარსი თავისა ცოდვასა,
ეარ მოიმედე ღვთისაგან, [ხმას] ცოდვის შენანდობასი...“ 2ր.

3. [მისივე,] ანბანური თქმული.—
არსთა მშადისა [მაღიტო], ანგელოზებრივ შოკოლაქო...“ 2ր.

შენიშვნა: ამ ლექსის ნაწილი დახაზების გამო ძნ იკითხება. ლექსებულ ფრაზისაში ჩასმული ანბანური ანდაზებია H—874 ნუსხის მიხედვით (იხ ქართულ ხალხურ ლექსურობა, კრებული H. ტ. II).

4. [მისივე, ბუსიკის ქება].—
...„ და რა ვაქო ბესაროონი, მე თავსა მეცეი სმალები,
საწყალსა ბესაროონსა კელაე ეთქეა სიტეუა მკლეელისა,
მოკეურობითი დაწეარი, ცეცხლთა ეულ-მონაეულისა...“ 2ր.

5. [მისივე], „ეფის ასული მზეხათუნზე თქმული.—
ღეთაეკოს ალესა ასოსა, ალბუტკვილს ადნაე არიად,
ბალახზ-ბაგესა ბარწყინეალესა, ბროწეულს ბუტკსა ბარიად...“ 2ր.

წყდება: „... ეორდო ეალალო, ვაჲ, ვის ვინათგან ეისადაეები...“

6. [მისივე, მოგიწყრ დასა ტურფასა].—
„მოგიწყრ დასა [ტურფასა, ქალსა ყელულსა და ნაზსა ჩუსა სელებსა],
ამბავს ასოსა, ჩეძთ[ეის საკოსა, მეეანსა საროსა, ნაბეწეის ეულებსა]...“

შენიშვნა: 1. ამ ლექსს დასაწყისი მიაკლდა აქეს. ალდგენილია ქალაქელები ნუსხის მიხედვით.

2. ამავე ლექსის „მოგიწყრ დასა ტურფასა“ ნაწილება აქეს სიტეუა-ჰანგი ქართულად:

„ტეიბი.—
ძიგზოთეი სულსა, ადნაე შეიყენა,
ბრძენ გარეხელსა, ამდამატ ჯელსა...“

ბ. „როს განგიცადე, ტურფაო, გულს ხელა ისრად ღალება...“

გ. „მე, სული ჩემი ფეშქაშად შენთვისა შემწირია...“

3. ეს ლექსები შეტანილია ბესიკის ლექსების სადაო განყოფილებაში (იხ. ბესიკი, ლექსები აღ. ბარამიძისა და ე. თოფურიას რედაქციით).

7. [ბესიკე]. „მეფის ასულს მზეხათუნისათვის თქმული.—
ქართ ქარგის მგონე, შენაღონე, მომხსენი ახის,
ტან-კიპარ-ზრდილმან, დალალ-დათხზულმან, რაღა ვთქვათ სახის...“
3v – 4r.

8. [ბესიკე, ანბანთქება].—
„აღვახვამ ქებად ბაგესა, თუმც შეგიძლო მკობილება,
ბინოვანთა უტურფეო, გიქო მაღალმობილება...“ 4r—5r.

9. [ბესიკე, ანბანთქება].—
„აწმაჲს ავწერ ადრინდელსა, აღმკულების აღმკობასა,
ბულბულ მეეზად ბუდობასა, ბედისაგან ბირებასა...“ 5r—v.

10. „თქმული ბესარიონის გაბაონის ძისაგან.—
ითნად ბრძენთა გახრდილი, ახიდ ვგმხაროდ(!) არესა,
ამილბარს ვეყმე ავთანდილ, ამოდ რა ლმობიარესა...“ 6r—9r.

11. [თეიმურაზ II, ხილთა ქება].—
„მარწყვმან თქვა: მოვალ პირველად, მე ვერ მომისწრობს ხილია,
ფერად მაგაჲსი ვარ ლალისა, მერმეთ საქმელად ტკბილია...“ 6r—11v.

12. [ბესიკე, ანბანთქება].—
„ჲარს ბრძენ გნობით, დაელის ეთერს,
ვლა ზეეღობს ღლვა თმობით...“ 11v.

13. „ბესარიონისაგან თქმული დედოფალს ანნაზედ.—
ვარ უცხო ვინმე ყარიბი, ამა სიტყვითა ნხმობელი.
ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი...“ 12r.

14. [ხელმწიფეე გული].—
„ხელმწიფეე გული, შენთანა ბმული,
წყალობიახად მომცემი ზეების...“ 12v.

15. „ბესარიონის თქმული.—
სევდის ბაღს შეველ შენაღონები,
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები...“ 12v—13v.

16. [ბესიკე, ცრემლთა ისარნი].—
„ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი, ჩემდა ბრენით,
ღმენით გულნი, ჯირ-ნატყლნი, შეგვიწყაფენით...“ 13v—14r.

შენიშვნა: 1. გიორგი ბაგრატიონი (იმერთ ბატონიშვილი) ამ კრებულში არსად დასაბეჭდებული არ არის. მისი ავტორობის საბუთად იხ. ლ. ჭუთათელაძე, ბესიკის „სადაო“ ლექსების ავტორისათვის, „ენათმეცნიერება“, № 3, 1958.

2. ბელიაშვილის გარეგანზე აწერია: „ბესიკის(?) ლექსები“.

3. გარეგანზე (რომელიც შეწებებულია ყანანჩელ ფურცელთან) მოთავსებულია ზაქარია ჭიჭინაძის „თბილისი“ დასაწყისი (სათაური) ეგზარხოს პავლესთან (რუსულ ენაზე).

4. იხ. ეკვ. თაყაიშვილის დასახელებული აღწერილობა, გვ. 449.

(484) 1089

ანტონ I, წყობილსიტყვაობა: XIX

12 ფ. (24 გვ.): 21,6×17,5; ქაღალდი; უყდო; თავ-პოლონკელები; დაზიანებულ-დალპობილები; მბეჭდრული; [XIX ს.].

[ანტონ I, წყობილსიტყვაობა] ...„იტყჳს უკუ იგივე ეკლესიარტა: ჩუენ, მსწავლულნიო სხუათანი თჳთ ვისწავებთ. ვინაცა ვერ შესაძლებელ არს თქმად სადამე, თუ ვითარ დიდისა სარგებელისა ამისგან წარმოზრდად შესაძლო იყოს მათდამი, რომელნიცა სხოლათა შინა და ღიმნაზიათა ისწავებენ..." 1—24 გვ.

წყდება: 76-ე პარაგრაფის შემდეგ სიტყვებზე: „... დიდებასა შინა ქუჱშდებარე არს იულიოს კეისარი და... შესწინელი არს, ხოლო ლექსი ესე არს, კავშირი არს. § 77. სხუა..."

შენიშვნა: ამ ხელნაწერის სახით შემონახულია „წყობილსიტყვაობის" §§ 54—76.

(485) 1090

ეპოკრიფულ თხზულებათა კრებული. 1840, 1851

25 ფ. (50 გვ.): 19,5×17; ქაღალდი; უყდო; მბეჭდრული (სტვდასხვა ზელით); 1840 წ. (გვ. 16), 1851 წ. (გვ. 41); გადამწერი: გიკო ოჩანეზოვი (გვ. 16); გაასრა (გვ. 21), ვიოანე სვანიძე (გვ. 41); დაწერილია გვ. გვ. 29, 43—45.

1. „ხილვა ღუთისა მშობლისა და მარადის ქანწყულისა მარიამისა. —ღუთისმშობელნან თქუა თაჳის გუნებაში, განიძრახა ყოველად წმინდამან და ყოველად უბიწომან: თუ წყალ მთასა ზეთის ხილისასაო, ღმერთს შეეხეწეწებიო, რომ, რაც ქუეშკნელისა ჯოჯოხეთები არიან ან სატანჯველი, სულ მანჳენოსო..." გვ. 3—16.

2. „თარგმანი ცოდვამადლისა.—კაცი თუ გაიგონებს, ღმერთის დარბეცა არის. კაცმა რომ კაცს საიდუმლო სიტყუა უთხრას, [და] ის რომ [ნან] სხუის უთხრას..." გვ. 39—41.

შენიშვნა: 1. კრებულში შესულია ქართული ტრანსკრიპციით დაწერილი სხვადასხვა ხასიათის სომხური ტექსტები: გვ. გვ. 17—32, 25—38; 21 გვერდზე მოთავსებულია სომხური ანბანი, შესრულებული, აშკარაა, ქართული დამწერლობით.

2. გვ. 24-ზე მოყვანილია „ქალ-ეგანის" მახილად დასაწყისი: ეს წიგნი ქალისა და ვაჟისა.—იყო ერთი ხებწიფე მრავალის სარჩოს პატრონი იყო და შვილი არა ჰყავდა..."

ანდერძები: 1. „ესე წმინდა ღ[ვთისმშობლის თარგმანის წიგნი(?) არის. აწერე მე, მონა[მ] ზ[ოსი]მა გიკო ოჩანეზოვი(?) წელსა[ა] ჩყმ, აპრილის კ დღესა" (გვ. 16).

2. „უფალო ღმერთო იესო ქრისტე, სწავლათა(?) კეთილათ მოებოძნე მონასა შენსა გასპარასა, რათა ისწავლას(?) წიგნის წერაჲ(?), გაკოს და გადიდოს და გემსახუროს. მიეც შენი შიში და გულისყური", (გვ. 21).

3. „ჩუნა-სა, მარტის 27 დღესა, გიორგი სვანიძე[სა] წერილი არის...“. (გვ. 41).
მინაწერები: ქართულსა და სომხურ ენებზე (ქართული დაწერილობით) მოპოვება: გვ. გვ. 1—2, 42, 46—47, 49—50.

(486) **1091**

კრებული. XIX

23 ფ.; 21,7×17,3; ქაღალდი; უყდრო; ნაკლული; მბეჭდრული; [XIX ს.]: ხელნაწერი ხაჭარია ჰაჭინაძისეული.

1. [ანბანთქება].—
....„საბარმაკულო ღრუბელო, ცეცხლს ნუ მოიცდიდე გზებულსა,
და სილტოლვა წარწყმედისაგან ნუ გაძხდი წამწარებულსა...“ 1r—8r.

შენიშვნა: ა. ხელნაწერის მფლობელს პირველი გვერდის კიდეზე მიეწერია: „ბარბარე ბატონაშვილის ლექსებია. ს. ჰაჭინაძე“.
ბ. თვით ანბანთქებაში ავტორად ვინმე პაატა ჩანს. ამის სამოწმოდ. თხზულების დაწერის დროისა და საჭართველოს ცხოვრების ზოგიერთი კულტურულ-ისტორიული ფაქტის გასათვალისწინებლად, მოვიტანთ ანბანთქების ბოლო ნაწილს:

„...ჰ ოდეს ვიწყე ესე წიგნი ათეთრმეტს თვეს ფებერვალსა,
ჰ ონისიმეს, მის დღეს ქალაქს, ბრწყინვილესა ვითა თვალსა,
ჰ ოცი წელი განმისრულდა, თვეც ოცდაცხრით ჯარდვალესა,
და ჰ ორმოცობას(!) დღეს განსრულდა, მარტს მეცხრე დღეს, მომავალსა.
ჰ ოხგროვლა(!) მას ქამად ქართლს ბეჭდავს სახარებასა,
ჰ ორბელიშვილი ნიკოლოზ ყოფს წერილთ განსწორებასა,
ჰ ოხითა ვა ბატანგ წეფისთა ქმენ წიგნთა განმრავლებასა,
და ჰ ოჭრაიერისა ნათარგმნსთა მოგვფენენ განათლებასა.
ჰ ონისიფორეს ვიმოწმებ ამ ქორონიკონს ვსწერ რიცა,
ჰ ოჭრო ვის შესძენდა მას აქეთ ათას შვიდას წელს ცხრითა.
. . . . . .
ჰ ოკდაპრიდგან ჯვეტერნეს მეფე და მისი სპანია,
ჰ ობითა გეძლივს, დავმორდით მოცვარენი და ძმანია,
ჰ ოთხვევე ციხეს მიეპყრათეთ, მათ დარჩათ შორაპანია,
და ჰ ოქითა შემოგვრჩენ ესენი: სვერი, კაცხი, ნაგორძენია.

ამაზედან ამათ ქება(!) დაესრულა ჩემის თქმითა,
უეცნაი და ჯერ უთქმელნი პაატას მიერ გამოთქმითა.
ნურც შერეთ და ნურც განძოცებთ, ასე სწერეთ ზედმამითა,
და ნურც მამცემთ და ნურც წაიღებთ, თქვენ სთქვით თქვენი.
ძველ-ახლის სიბრძნით შეკრებე(!) ანბანთქება და ლექსები,
ამას ზემოთაც სწერია ლექსები მოაბასები,
უგნურთა განმაბრძნობელი, თეით სჯულთა ასაცნესები,
და ერთნაწთისა მოწმენი მეგობარნი და თვისები.
სხვა ანბანთქებისა თავები, არ[ა] ვეც, რასც წაბერთავს,
არც ნიფხის თეამურაზის ტურფანი ლექსი ჩამითავს.
არც არჩილ ნეული სიბრძნენი მასალათაც არ მობერთავს,
და არც ვახტანგ მეფის რიტორიკი ჩემი ლექსები მოგბერთავს,
ამ სამმა მეფემ გვასმინა ანბანთქებათა ქებანი,
მე არ მინახავს სხვათ თქმული მათ ზეტის ანბანთქებანი,
მე ეს განვესმენი განბარტვით, თავშეყრით ანბანთქებანი...“ (7r—v).

2. „აქ დაიწყებ[ი]ს შესაქმე და სოფლის დაბადებანი.—
აღმოსავლეთით ედემი, სამოთხის დასხმა მკაბანი,
არა არსიდგან მოყვანა, მიწისა განკაცებანი...“ 8r—23r.

(487) 1092

თავგადასავალი მეფის ასულის მარიამისა. XIX—XX

14 ფ. (24 გვ.); 22×17,5; ქაღალდი; ფუძო; კიდემოკვეთილი; მზერული; [XIX—XX ს.]; გადამწერი—ნიკოლოზ დიღმელი.

[თავგადასავალი მეფის ასულის მარიამისა].—

„კოსტანტინეპოლის ქალაქში იშყოფებოდა კეისარი დიდი, ძლიერი და ახოვანი, მართლმადიდებელი ქრისტიანელი, აღმაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა და დავრდომილთა. იმ კეისარს ჰყვანდა მეუღლე, სჯულიერი და განთქმული მშვენიერებითა. ჰქონდათ ერთმანეთის სიყვარული, ისე რომ სხვათა ხალხთა შორის არ ითქმოდა. იყვნენ სიყვარულში და ერთმანეთის მორჩილებაში. მათ ეყოლათ ერთი ქალი, მშვენიერი და ლამაზი, რომელსაც სახელათ დაარქვეს მარიანი...“ გვ. 3—28.

შენიშვნა: ნიკოლოზ დიღმელს «თავგადასავალიდან» მიღებული შთაბეჭდილება გამოუხატავს თოთხმეტ ტაეპიან ლექსში, რომელიც წარეპძღვანებია თხზულებისათვის შემდეგი სათაურით:

„მეფის ასულის მარიამის წამება.—
ქალო, მარიამ, ბევრი ითმინე,
როგორც ანბები შენი ეისმინე.
მსურს გმება გწირო ჩემსა მხრითა
და გამოგსახო იკონის თქმითა.

შენს მტერს ყოველსა შეეკმენ მონა,
მათ წებას მიჰკვე, შენ სხვა გეგონა,
დედინაცვალმა ეგ საქმე გაყო,
და შენ სიცოცხლე შეა გაგიყო.

კაცი გველიენით თუ აოი ჰელი,
მისთვის კაცის კლა არ არის ძნელი,
შენ ზომ დაგჭრა ჭირისა მახე,
და ბოლოს მასაც ბევალი სახე.

შენ მოგცა იმან დიდი წვალება,
გაეწყრა მასაც თვით სახარება.

ძველი ნაწერიდან გადმოკეთებული. ნიკოლოზ დიღმელ[ი...*] (გვ. 1).

(488) 1094

ასტროლოგიური კრებული. XIX

35 ფ.; 9,5×7,7; ქაღალდი; მუქაის ყდა; ბოლონაკლული; მზერული (სათაურები და ახსნათა დასაწყისი ასოები სინგურით); თავაზმულობანი (1r).

1. „მთოვარის მსრბოლობა.—თითოეულს მთოვარესა აქუს დღე ოცდაცხრა, ნახევარი დღისა ანუ ღამისა და ღამისაც ნახევარი, და მეხუთე ნაწილი საათისა...“ 1r—31r.

2. „ათორმეტთა თვეთა საკვირიატონი დღენი არიან ესე შემდგომნი თვეთა რიცხუნი: სექდემბრის—ზ და კდ. ოქტომბრის—ზ და კა...“ 31r—32r.

3. „ახალის მთოვარის ნახევისათჳს.—მარტის ახალი მთოვარე აღმთებულს ცეცხლზედ დახედე და ისრე ნახე. აპრილის ახალი მთოვარე ახალ მზეზე ნახე...“ 32r—33r.

4. „ბოროტისა ვარსკულავისა სიფრთხილისათჳს.—ესე არს ბოროტი ვარსკულავი, რომელი განუცხადა ღმერთმან ისუს მღვდელსა(!) და რქუა ესრეთ: რაჟამს პირდაპარ ვარსკულავი იგი გაქუნდეს, ნუ წარხჳარ იქით, ნურცა კეთილსა რასმეს მოქმედებ, ნუცა წიგნსა დასწერ...“ 33v.

5. [მთოვარის მდებარეობა თვის სხვადასხვა დღეების მიხედვით]:

„ა, ია, კა მთოვარისას აღმოსავლეთით არის.

ბ, იბ, კბ მთოვარისას სამხრეთსა და აღმოსავლეთ[ით არის]...“ 34r—35r.

შენიშვნა: ერთვის (ტექსტის ხელით): „ბასიათი სისხლის გამოღებისა შარშითა ანუ კოტოშითა.—თუ ხურვება ტანში დაფანტული ქონდეს, იმას გამოიღებს; თუ ქვეით მოიკიდებს კოტოშსა, ტანის სისხლს ჩამოიღებს...“ (31r-v)

წყდება: „... ნურც ხელს გაუხსნით და ნურც კოტოშს...“

(489) 1096

ჯამნი. XVIII

344 ფ.; 13,8×9,2; ქაღალდი; ტაეფადკარული ტვიფრული ბის ყდა; ბოლონკელული (აკლია შიკადაშეკეც); ხელნაწერს აქვს რვეულებრივი აღრიცხვა, შეიცავს 86 რვეულს; დაზიანებული (2,245, 331 ფ. ფ.-ს ტექსტის ნაწილი მოხეული და დაკარგული აქვს; 1,324, 326 ფ. ფ.-ის დანაკარგი ტექსტი აღდგენილია მოლურჯო ქაღალდზე სხვა ხელით. განსაკუთრებით დაზიანებულია ზოგიერთი მინიატურა: 324r-v, 325V, 326v, 331v; სავებით დაზიანებული ფურცლებიდან მინიატურები ამოღებულია და ჩარჩოს მსგავსად ამოკრილ ლერწ. ქაღალდზეა დაკრული, ასეთ შემთხვევაში ტექსტიც აღდგენილია); მბეჭდური (სათაურები სინგურით); ხელნაწერი შემკულია გრაფიკულად შესრულებული ზოგიაკოებითა და მინიატურებით. ზოგიაკოები: 147r (სასწორი), 170v (ღრიანკალი), 193r (მშვილდოსანი), 216v (თხის რქა), 248v (თევზები), 257v (ვერძი), 263r (კურო), 267 (ტყუპი), 277r (კირჩიბი), 285r (ლომი), 295r (ქალწული), 231v (წყლის საქანელი); მინიატურები ძირითადად დახატულია ოქროს ფონზე. ზოგი—მთელი, ზოგს კი გვერდის ნახევარი უჭირავს. მინიატურები განლაგებულია შემდეგ ფ. ფ.-ზე: 154r (დაბადება ღვთისმშობლისა), 158v (ჯვარის ამაღლება), 209v (ტაძრად მიყვანება), 227v (ქრისტეს შობა), 234v (ნათლისღება), 249v (მირქმა უფლისა), 261v (ხარება), 297v (ფერისცვალება), 300v (მიძინება ღვთისმშობლისა), 320v (ლხინის აღდგენება), 321v (იერუსალიმს შესვლა), 323v (სრობა), 324r (ჯვაროსნა), 324v (ჯვარდამხსნა), 325v (აღდგომა), 323 (იესოს გამოცხადება მოწაფეთა წინაშე), 328r (კრება მოციქულთა), 329v (ამაღლება), 330v (სულის წმიდის მოსვლა), 231v (ყოველნი წმიდანნი); მხატვრუ-

ლადება შესრულებული ანი (304r); [XVIII საუკუნის დამდეგი]; გადამწერი—ალექსი გრიგოლის (მხატვრის) ძე მესხიშვილი (216r).

„ეამნი.—ძალითა ღთისათა... ყოველი რაოდენი აქუს ლოცვა მსგავსად წე... სისა მის წმიდისა იერუსალემისა და... მონასტერთა. რაჟამს აღსდგე ძელისაგ[ან], განეშორე სარეცელსა და ბძანეთ: ლოცეთით წმიდათა მამათა ჩუენთა უფალო იესო ქრისტე...“ 1r—344v.

შენიშვნა: 1. ქამნში ცალკე თავებად შედის: ა. [სჯნაჭსარი ათორმეტთა თვეთა წელიწადისათა]... „თვესა სეკდნბერსა აქუს დღე ლ. დღეთა აქუს ქამი ის და ღამეთა ქამი ის. დაწყება პირველისა ინდიკტიონისა, ახლისა წელიწადისა...“ (147r—303v).

ბ. «ოხითა იბაკონი მარხვათა და ხატიკისაი. „ოხითა იბაკონი აღდგომისანი რვა კმანი. ოხითა ქმა ა.—როკამს ლოდი იგი დაბეჭდულ იყო...“ (304r—332r).

გ. „სახარებანი საეისკრონი ათორმეტნი. კვირიაკესა სახარება მათეს[ი.—ბოლო ათორმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილაიას, მთასა მას, სადაც უბრძანა მათ იესო...“ (332v—344v).

წყდება: „...და არა ჰრქუა მას იესო, ვითარმედ არა მოკუედეს, არამედ უკუ...“

2. ტეტკანის მიმართ მნუსხეველი კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს. ერთგან იგი წერს: „...ამასცე დღესა [18 სეკტემბერს] წმიდისა მოწამისა ბიძინა დაჭრილისა. ამაოი ქნენება და წამება ამასა დღესა არს, ძმანო, და არა თუ იელისა[ა]. ვისცა დაუწერია, ტყუილად დაუწერია, იელისა[ს] არა არს, არამედ იმ სეკდემბერს ეწამნეს...“ (161v).

ანდერძი: ა. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ალექსი მხატვრის შვილი. მე, ალექსიმ, დიაკონმან ჩვიდმეტის წლისამან დაჭრაბე ქამნი ესე“. (216r).

ბ. „ღმერთო, შემიწყალე ცოდვილი კვრძო დიაკუანი ალექსი“, (119r 145r).

მინაწერი (წერთალი მგონით «ქრისტეს შობის» მინიატურის ქუემოთ): „თვესა დეკდნბერსა კე მაია დაიბადა ამ ქ[ა]ს უნა“ [1763].

(490)

1097

კრებული. 1726—1727

04+152 ფ. (304 გვ.): 15×9; ჭაღალდი; ტყავგადაკრული ტეიურული ყდა; მზედრული (სხვადასხვა ხელით, სათაურები სინგურით); მარტივად შესრულებული თავბოლოკაშმულობანი აქუს შემდეგ გვერდებს: 259, 263, 266, 269, 273, 277, 278,281; 284, 287, 289, 291, 292, 294, 295; 1726—1727 წწ. (გვ. გვ. 250, 298); გადამწერი—თუმანიშვილი მირველი (გვ. 250), გურმანე? (241): ადგილი —ასტრახანი (გვ. 250, 298).

1. „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა. მოწაფე ჰკითხავს და მოძღვარი ასწავლის.

უწყოდეთ, რამეთუ მოწაფე იტყვის(!) მოწაფესა და მოძღვარი იტყვის (!) მოძღვარსა.—

მოწ ვინ არის ღმერთი ან რა შეუძლია?

მოძ. ღმერთი ძლიერი არის და ჴელმწიფე და დამბადებელი ყოველისა(!) ხილულისა...“ გვ. 1—241.

შენიშვნა: ერთვის ამავე ხელით დაწერილი: ა. ლოცვა „მამაო ჩვენო...“ (გვ. 242), ბ. «მოწამსი».—„მოწამეს ერთი ღმერთი...“ (გვ. 243—249) და ორი ანდერძი.

ანდერძი: ა. „ეს არის სწავლა შვიდის საიდუმლოსი შემოკლებულად თქმული. გელოცავ გლახაკი ბერი გერმანე, ყრმანო, ახლად მოსწავლენო, რათა იცოდეთდეთ და ხეპირით დაიმწყვლიდეთ. ამისთვის დავსწერე სიტყვაო და სოფლურის სიტყვითა, რომ სიამეკილისათვის მსწრაფლ ხედ მიიწვიენთ და მტკიცედ დაიდგათ გონებასა და ჩემ ცოდვილისათვის შენდობას იტყოდეთ“, (გვ. 241).

ბ. „განსრულდა სარწმუნოება შვიდის საიდუმლოსნი, მადლობა დიდსა ღმერთსა, ქალაქსა ათანარბას, ქელითა თუმანისშვილის მირველისათა. ვინც წარიკითხოთ, შენდობა გვიბრძანეთ, რათა თქვენცა შეგინდეს ღმერთმან შეცოდებანი თქვენი, ამინ. დაიწერა მცათვის თხეთმეტსა, ქ“ს უიდ. არის რვეული ი“ზ, ფურცელი რკ“ (გვ. 250).

2. „თვეთა მეტყველებანი.—ძალითა ღთისათა წლითი-წლად თესა სეკდენბერსა აქვს დღე ლ, დღეთა აქვს ჯამი იბ და ღამეთა—ჯამი იბ...“ გვ. 259—298.

შენიშვნა: უძღვის: ა. ლოცვა „მიწყალენ ჩვენ უფალო...“ (გვ. 255—257), ბ. ანბანი რიცხვითი მაჩვენებლების აღნიშვნით: „ა—ერთი, ბ—ორი..“ (წარმოდგენილია ერთეულები, ათეულები, ასეულები და ათასეულები. გვ. 251—253).

ანდერძი: „დაიწერა ათანარბანს, იანვარს თორმეტს, მეფობასა ეკატერინესა, ქ“ს უიე“ [1727 წ.].

მინაწერები (არა ტექსტის ხელით): ა. „ესე მოძღვარ-მოწაეის წიგნი არის. ყიზლარის მოსამღე ქართველი ხაბარ ივანოვის [ივანოვიჩის?]. ვინც ამა წიგნს მ[ო]პარამს, ღ“თის მადლი გაეწყრეს“. (01v. ტექსტის ახასიათებს ა-მეტრიბა).

ბ. „ესე მოძღვარ-მოწაეის წიგნი არის საქართველოს დეპორენინის სიმონ ანდრეიჩისა და ამ ხუთ ნაწერის გამამცხადებელი არის ყიზლარის ყაბანის სობორისა მთავარდიაკვანი ვასილ საველიჩ ბიბილეროვი. აღიწერა წელსა ჩყიე, აპრილის კვ დღეს“, (03r).

გ. „ესე მოძღვარ-მოწაეის წიგნი ხაბარასია, და ვინც ეს წიგნი მ[ო]პაროს, ამისი მადლი გ[ა]ეწყრეს და ღ“თის ლოცვა გ[ა]ეწყრეს“, (გვ. 259. ტექსტი ა მეტია).

შენიშვნა: დაეწერილად დატოვებულ ფურცლებზე მრავლადაა ამგვარივე მინაწერები ქართულსა და რუსულ ენებზე.

(491) 1099

გაბაშვილი ტიმოთე, მარწუხი. XVIII

02+134 ფ. (268 გვ.); 19,5×15; ქაღალდი; ტანგადაკრული ტყიფრული ბის ყდა; აქვს რვეულებრივი აღრიცხვა, შეიცავს 18 რვეულს; ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVIII ს.]. დაეწერილია: გვ. გვ. 01v—02v, 6—9, 260—268.

«მარწუხი». „და სამღდელოთა მიერ წმიდათა კრებათა ერთად წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ნ[ა]წერი აღწერილითა წინადათა წერილთაგან, რომელიცა უცთომელად გეუწყების წმიდისა ამის წიგნისაგან, რომელსა ეწოდების მარწუხი. იქმნა მადლითა და წყალსყოფითა ღ[ა]თა წმიდაჲ და პირველი მსოფლიო კრება ჭრისტეს აქეთ ტიე, მა[ი]სს კჲ, მეფობასა დიდისა კოსტანტინესა, რომელი დაჯდა დასაბამითგან წელთა ხუთ[ი]ათას რვაას და მეათორმეტესა, ქ“ს განჭორციელებითგან სამას და მეათორმეტესა, ქალაქსა ნიკაას...“ გვ. 11—259.

შენიშვნა: 1. უძღვის: ბ. „ანდერძი მშრომელისა.—იქველის-მეტყველებდენ და იდიდებოდენ ჩ~ნ მიერ..“ (გვ. 1—5).

ბ. „ცხრილი წინამდებარისა წიგნისა» (მოცემულია: რომელი მსოფლიო კრების დროს ვინ იყვნენ ხელმწიფენი, პაპები, პატრიარქნი, რომელ ქალაქში შედგა კრება და სხვ., გვ. 10).

2. თავფურცელზე ფანქრით მიწერილია: „მარწუხი მთ.-უაისკრპოსის ტიმოთე გაბაშვილისა, ქუთაისელისა“ (01რ).

3. ტექსტს კიდეებზე მიწერილი აქვს განმარტებანი.

ანდერძი (შემდგენლისა): „უკეთუ წიგნთა ამათ შინა წინაალმდგომი და ანუ შეცთომითი რამჱ იპოოს აღწერილი კაცობრიეთა უმცერებითა, მეცა უარ-მიყოფიებ და შედგომილ გარ ბეშარიტსა სარწმუნოებასა, რომელიცა ბერძენთა ეკლესიისგან მოგუცემიეს ჩ~ნ, რუსთა და საქართველოთა ერთა. რომელსა შენდის პატივი და თაყვანის-ცემა უკუნისამდე. ა~ნ.

დასრულდა მრავალ-ნაღვაწი წიგნი მარწუხი—კრებათა მომთხრობელი, შეკრებითა და გამოძიებითა ნამუშაკევი მდაბლისა ტიმოთე მონაზონისა იერუსალიმელისათა“, (გვ. 259).

(492) 1102

ქრებული. XIX

41 ფ. (82 გვ.); 21×16,5; ქაღალდი; ფუდო; ნაკლული: დაზიანებული; მიდრეკილი; [XIX ს.]: გადამწერი—კოსტანტინე იოანეს ძე ალმაზოვი; გვ. 36 დაუწერელია.

1. [ლოცვები]. ...„ღმერთსა ჩვენსა. მოვედით თაყვანის-ვცეთ და შეურდეთ ქრისტესა მეუფესა ჩვენსა...“ გვ. 1—8.

2. „მოკლე საქრისტიანო სწავლა. — გახსომ[დ]ეს ყოველსა ქრისტიანესა, ვითარმედ არს ღმერთი და ვითარმედ იგი არათუ ოდენ საქმესა შენსა, არამედ თვით გონებასა და განზრახვასა შენსა ხედავს...“ გვ. 8—33.

3. [ცხოვრება ალექსი ღვთის კაცისა]. „მოთხრობა ალექსი კაცი ღ~თს(!).—კაცი ვინმე ქალაქსა სტანბოლსა, დიაღ მდიდარე. ჰქონდა მრავალი ხაზინა: ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, რომ იმისთანა გამდიდრებული არავინ იპოვებოდა...“ გვ. 37—58.

4. [ქალ-ვაჟიანი].— „კითხეა და მიგება ქალისა და ვაჟისა.— იყო ერთი კაცი, დიაბ მდიდარე და მოხელე ქალაქისა. ჰქონდა უანგარიშო ხაზინა...“ გვ. 59—88.

წყდება: „..., უთხრა: თუ გიყვარდეო, გუშინ რომელიც სიტყვა ხემწიფის ქალს უთხარიო, ის სიტყვა მე...“

შენიშვნა: იხ. ე. თაყაიშვილის დასახელებული აღწერილობა, გვ. 519—524.

ანდერძი: ბ. „ამის დამწერავი არის კოსტან[ტინე] იოანიძი[ს] შვილი ალმაზოვი, ვისაც რომ ჩაუარდეს ეს წიგნი, ცხონება უთხარით, მადლია თქვენი სულისათვის“ (გვ. 16).

ბ. „ვინც ეს წიგნი დაწერა, პირველად ოსტატი ადღეტელი(!). და მემრე(!) დამწერი აღხონეთ, თუ ცოცხალია, ადღეგრძელეთ. რაც რომ წაიკითხოთ, ყველა შეისმინეთ, წამკითხავს ყური დაუგდეთ, უფლისაგან დაილოცეთ“, (გვ. 16).

მინაწერები მოთავსებულია გვ. გვ. 34—35.

(493) 1103

კრებული. 1780

134 ფ. (268 გვ.); 20,4×16,4; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; თაბაშირული (ჯალია შიგადაშიგაც); ბეღნაწურს აქვს ძველი რვეულებრივი ალრიცხვა. მხედრული (სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით); 1780 წ. (გვ. 266); გადამწერი—იოანორე (გვ. 266).

1. [თეიმურაზ II, სარკე თქმულთა, ანუ დღისა და ღამის გამაასება].—

„...მამას უმობელს, ძეს შობილს, მამისა თანა დიდებით,
სულსა წმინდასა, გამოსრულს მამისგან მოუწყინებით...“ გვ. გვ. 1—128.

შენიშვნა: ა. დასაწყისში აკლია 11 სტროფი და მე-12-ის პირველი ტაეპი. (იხ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაჯანაძის წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, 1939, თბილისი, გვ. 2).

ბ. ერთვის ანდერძი: „ესე სრულდა ბაასი დღისა და ღამისა ქამეთა და საერო ყოველივესი, რომ აღარა დაჯერა-რა პირი თუ ლნინი, ივლისს ლა ონოფრესაგან, რომელ არს ანი და პი“, (გვ. 128).

2. «თეიმურაზ II, ანბანთქება». „მისდამი ქება ამიცანად თქმული მეფის ერეკლეს ძის, მეფის თეიმურაზისაგან.—
არის რამ უცხოდ საცნობელ, გამოუთარგმანებელ ენათა,
არა არსისგან მოძრავად, მოცემი აღმაფრენათა...“ გვ. გვ. 128—134.

შენიშვნა: იხ. დასახელებული წიგნი, გვ. გვ. 131—135. დაბეჭდილი ორი უკანასკნელი ტაეპი ამ ნუსხაში არ არის.

3. „ანბანთქება, ამიცანად თქმული მეფისა მისივე, თეიმურაზისა.—
აღვძრათ სიტყვა საცნობელი, არცა ძნიად გამოჩნდების,
აწ უზრახოთ პირმეტყველთა, უტყვისაგან რათ ტყეედების...“ გვ. გვ. 134—140.

შენიშვნა: ა. იხ. დასახელებული წიგნი, გვ. გვ. 126—130.

ბ. ერთვის: „აღესრულა მეფის ერეკლეს ძის, მეფის თეიმურაზისაგან თქმული. აჴ მოყვება დიდის მეფის თეიმურაზისაგან [1] თქმულს ამბავსა: შემოდგომის-გაზაფხულის, ვარ-ბულბულის, ფარვანას, ანბანთქებასა“, (გვ. 140).

4. „ანბანთქება, თქმული დიდის მეფის თეიმურაზისა, რომელ იყო ცხებულ.—
ადამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელი,
აბელ და სეით მოყუსითურთ, მთასა წმინდასა მდგომელი...“ გვ. გვ. 140—144.
წყდება: „...გიორგის ვაქებ, დიმიტრს, მანოელს, სერგი, ბაქოსა...“

შენიშვნა: ა. იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, თბილისი. გვ. გვ. 145—149.
ბ. ამ ნუსხაში, ფურცელთა კლების გამო, 36 სტროფის შემცველი ანბანთქმების მხოლოდ პირველი ორი სტროფი და მესამის პირველი ტაეპია შემონახული.

5. [თეიმურაზ I, ანბანთქმა II]. —
„...ორნი მსხვერპლნი აღასრულა, ერთი თვით არს დასაკლავად,
ომს იქს პეტრე, მახვილს იხდის მალხოზისთვის დასაკრავად..." გვ. გვ. 141—144.

შენიშვნა: ა. იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 151[19].
ბ. ამ ანბანთქმებისაც აკლია დასაწყისში 14 სტროფი და მე-15-ის პირველი ტაეპი.

6. „მესამე ანბანთქმა მისივე, დიდის მეფის თეიმურაზისაგან თქმული. —
აღმართა მხსნელმან ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადამის ძვალსა,
აღმოსავლეთით მისცა მამული, პირველ მუნითვან გამონაძვალსა(!)..."
გვ. გვ. 144—150.

შენიშვნა: იხ. დასახელებული წიგნი, გვ. გვ. 154—159.

7. «თეიმურაზ I, შვიდთა კრებათა თვის» „ანბანთქმა, ამბავი კრებისა, მისივე დიდის მეფის თეიმურაზისაგან თქმული.—
აღვაღო პირი, სიბრძნე და ძერი, ზეშთა ძალისა ჩემისა მბობად,
ღ[ვთისათვის რამე, ნათლად, არ ღამე, უღრმესსა რასმე თქვენად
მოთხრობად..." გვ. გვ. 150—154.

შენიშვნა: ა. იხ. დასახელებული წიგნი, გვ. გვ. 161—167.
ბ. გამოცემის 27-ე სტროფი ამ ნუსხაში არ მოიპოვება.

8. „სხვა ლექსი, გაზაფხულ-შემოდგომის ქება, მეფის პატრონის დიდის თეიმურაზისა. —
ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთა კრებულნი,
ქვე კაცნი—სამოელისგან სამოთხით გამოძებულნი..." გვ. გვ. 154—166.
წ უ დ ე ბ ა: „... და მისითა მოწყალებითა მეც სინანულსა მოველი"...

შენიშვნა: ა. იხ. დასახელებული წიგნი, გვ. გვ. 99—112.
ბ. ამ ნუსხაში ტექსტი წყდება გამოცემის მიხედვით 79-ე სტროფზე. აქვე არ არის 50-ე და მე-60 სტროფი, აგრეთვე დასახელებულ გამოცემასთან შედარებით.

9. [თეიმურაზ II, ხილთა ქება].
„სხვა ბაასი ხილთ ქებისა ნათქვამი ბატონის მეფის თეიმურაზისა, როცელ არს ბაღთა შინა ანუ სურნელებათა, ანუ სიტკბოთა, ანუ შვრგოთა, ანუ შეურგებელობათა.—
მარწყვმან თქვა: მოვალ პირველად, მე ვერ მომისწრობს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელად ტკბილია..." გვ. 161—173.

შენიშვნა: ა. იხ. თეიმურაზ მეორის თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ. გვ. 109—113.

ბ. «ხილთა ჭებასა» ერთგის თურქული ლექსი:

„გუეთეშჩი ჯანანუმ დილიმ ახუე იარ გირეთ,
ათაში თუ სინგიმან დაარ გირეთ,
ჰარკესჩი მარა ახუე ჯუდა იარ გირეთ,
მისლი დილიმან ხოშაიონ და არაგირეთ". (გვ. 173).

10. [თეიმურაზ I, ვარდ-ბულბულიანი] „ლექსი მუნასიბი და ტკბილი განწყობილი, მსმენელთათვის სასიამოვნო ვარდ-ბულბულის განბჭობა, თქმული ღ[მრთ]ით გვირგვინოსანის მეფის, პატრონის დიდის თეიმურაზისა.—

Ჲე არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლითფერი:
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი..." გვ. 173—188.

შენიშვნა: ა. იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ.გვ. 3—14

ბ. „ვარდ-ბულბულიანს" გამოუყოფდად მისდევს [პოლოსიტყვაობა]—„შედარება განსუფთავისა და შემდგომისა". თავის ადგილზე ამ თხზულებას აკლია [პოლოსიტყვაობის] დიდი ნაწილი (ნ. ჰქვე. 8). დარჩენილია მხოლოდ დასაწყისი ოთხი სტროფი. აქ კი იგი, პირველი სტროფის („...ეს არის მათი ონარი...") გამოკლებით, მოცემულია მოლიანად:

[პოლოსიტყვაობა] «განსუფთვილ-შემოდგომის ქებისა».—
...მე ვიყავ უცხო ღარიბად, რაჯა ქვიან თუ ახარა,
იგ რაღდენ გვარად სოფელმან გული ცეცხლითა დაგარა..." (გვ. 188—193).

11. „შაჰი-ფარვანას წიგნი, თქმული მეფის, პატრონის, დიდის თეიმურაზისა.—

ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იდუმალთ დაუფარაო,
ვის სერაბინნი ვერ გხედვენ, პირსა ფრთა მოუფარაო..." გვ. 193—204.

შენიშვნა: იხ. თეიმურაზ I თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ. 13—23.

12. „წამება და წიგნი პატიოსნისა თეიმურაზის დედისა, ქეთევანისა, თქმული მეფისაგანვე, ძისა მისისა თეიმურაზისა, სუფევითმცა ყოს უფალმან უკუნისამდე.—

ღმერთო, ცისა და ქვეყანის საბრუნავითა მაქცევ,
ზე აღმართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცევ..." გვ. 204—219.

შენიშვნა: ა. იხ. თეიმურაზ I თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ. 126—137.

ბ. გამოცემასთან შედარებით ამ ნუსხას აკლია სტროფები 69-ე და 70-ე.

გ. ერთგის ანდერძი: „განსრულდა წამება დედოფლის ქეთევანისა ქელითა ონოფრესითა", (გვ. 219).

13. „თავი დასაწყისი უსჯულოს მაჰმადისა და ქრისტიანეთ გაბაასება, ლექსად ნათქვამი შემოკნედელისა იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მისისა მეფის შაჰნაზისათა.—

სოლომონ თქვა სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღ~თისა, სამგვამოვნის ღ~თაებისა შემოქმედის მის ერთისა...“ გვ. 219—266.

შენიშვნა: იხ. ე. თაყაიშვილის დასახელებული აღწერილობა. გვ. 282—284.

ანდერძი: „განსრულდა სადიდებელად ღ~თისა, ამინ, დღისა და ღამის ბაასი და სხვა ამბებიც, ბულითა უფ~რისის ონოფრესითა, ღ~ო, მწყალობაში მაბმარე. აღიწერა მარტის იბ, ქ~ს უაშ“, (გვ. 266).

მინაწერები: ა. „ონოფრე: ასული ელენე დაიბადა სეკდენბრის იდ, დღესა პარასკევსა...“

ბ. „ამისივე ასული ანასტასია დაიბადა იანვრის კე, ქ~ს უო“ [1782].

გ. „ამისივე ძე ზაქარია დაიბადა სეკდენბრის კგ, ქვრას ძალს, ღამსა მწყაზესა ღამისასა, მთოვარესა კვ. ქ~ს უოზ“ [1789]. (გვ. 266).

დ. „იქნა ბედნიერ ეჳე წაკითხვად ბატონიშვილის ბარბარესა“ (ქვედა ყდაზე).

ე. „პირველის სამფიცის ქუთაისის უჩიტელის პანტელეიმონისა არს. ღმერთმან აჳმაროს კეთილსა შინა დღეობასა და ... ბედნიერობასა შინა აწ, და უკუნისამდე“ (ქვედა ყდა).

ვ. „პანტელეიმონ უჩიტელი, დომენტის დეკანოზისძე“ (ზედა ყდა; სახელი და ტიტული დაწერილია ასომთვრულით).

ზ. [ჯურამიშვილი დავით, გოდება დავითისა და სოფლის გამოტირილი].—

„ჳელი ღონდება, ვიწყო გოდება,
ბორგენა, ბიდება, რაც მაჯონდება,
სული მშორდება, ხორცი მშორდება,
რად შევა დედამან, შვამა ბედამან,
ვაი სიწუთროვო, ცუდო სოფელო...“ (გვ 267).

შენიშვნა: 1. აქ მოცემულია მხოლოდ 3 სტროფი. (იხ. დავით ჯურამიშვილი, დავითიანი, 1956, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, გვ. გვ. 216—230).

(494) 1104

სამთვარიო. 1836

